

ΑΘΑΕΕΙΑ ΕΑΥΑΕΥΑΕΕ ΕΟ ΟΑΑΕ Ϊ ΑΕΟ ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Ϊ Ο
ΟΑΕΟΟΪ ΟΕΪ ΟΑΕΪ ΑΑΪ ΑΑΑ
Α x áÀÆÄÈÉΟ Ϊ ÒÄÁÍÉÆΑΥΈΑ

ΑÖÖΑΑ ΔΑΔΑΟΘΕΘΕ

ΙΑΘΕΑΑΑΑΕ ΕΑΪΑΪΑΪΟΪ ΑΑ Α x áÀÆÄÈÉΟ
ΕΟΟΪ ΟΕÖÈ É ΒΑΘΟÖÈ ΕΪΑΪ

ΙΑΕΑÄÈÉ Ι

ΟΡΑÄÈÄÓÈ ΑΟΪ ΕΑΪ 1917 ΒΕΑΪΑΪ

È Á È È Ó È

2003

წიგნში გადმოცემულია აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსული უძველესი დროიდან 1917 წლამდე. ეს არ არის რეგიონის სრული, ყოვლისმომცველი ისტორია, მასში ძირითადი აქცენტები გადატანილია ე.წ. „სადავო პრობლემებზე“ და სათანადო პირველწყაროების ანალიზისა და მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების ფონზე ნაჩვენებია, რომ ისტორიულად აფხაზეთი ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი.

წიგნმა შეიძლება შეასრულოს ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ის მიიპყრობს საქართველო-აფხაზეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ყურადღებასაც.

ÖÄÄÄÖİ ÖÉ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
Öİ Eİ İÄÖÖÄÄÉÉ

ÖÄYÄİÄİÖÄÉ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ÄÉÖÉ ÄÉÄÖÄİÉÄ
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ÄÄÄÄİ äİ ÖÄÄÄ

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველო-აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხების კიდევ ერთხელ გააზრება-გაანალიზების აუცილებლობა დღევანდელ სიტუაციაში უთუოდ საშური საქმეა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ ისტორიული სიმართლის გაყალბება იყო ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგიურ არსენალში. ათეული წლების მანძილზე აფხაზური სეპარატიზმის „სულიერი მამები“ ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და წარმატებითაც ახერხებდნენ, აფხაზთა მეხსიერებიდან „ამოეძირკვათ“ ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის შეგნება. აფხაზობას თავს ახვევდნენ ყოვლად დაუსაბუთებელ და ყალბ „თეორიებს“ იმის შესახებ, თითქოს აფხაზ ხალხს ისტორიულად არასოდეს არაფერი აკავშირებდა საერთო-ქართულ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროსთან. უფრო მეტიც, საქართველო, ქართველი ხალხი გამოცხადებული იყო აფხაზთა თავზე დატრიალებული ყველა უბედურების მიზეზად. თვით ისეთ ფაქტშიც კი, როგორც იყო XIX ს. 60-70-იან წლებში ცარისტული რუსეთის მიერ მაჰმადიან აფხაზთა დიდი ნაწილის ოსმალეთში გადასახლება, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველებს ადანაშაულებდნენ.

რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ XIX ს. 60-იანი წლებიდან შეიმუშავა ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ერთობის მოშლის „სახელმწიფო“ პროგრამა. პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც იმპერიამ ამ მიმართულებით გადადგა, იყო რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნა, რომელიც, თვით ამ ანბანის შემქმნელის გენერალ პეტრე უსლარის აღიარებითვე, მიზნად ისახავდა

აფხაზთა ქართული კულტურული სამყაროსაგან ჩამოცილებასა და მათ რუსულ წიგნიერებასთან ინტეგრირებას. ამავე დროს, რუსულმა იმპერიულ-იდეოლოგიურმა მანქანამ ე.წ. „ისტორიოგრაფიული ფრონტიც“ აამოქმედა. 1907 წელს გამოქვეყნდა წიგნი გამომწვევი სახელწოდებით „Абхазия – не Грузия“, რომელსაც ვინმე ნ. ვორონოვს მიაწერენ. XXს. 20-იან წლებში ეს ფორმულა უკვე ე.წ. „აფხაზური სახალხო ინტელიგენციის“ სეპარატისტულად განწყობილმა წრეებმა აიტაცეს. ასე გაჩნდა თავიანთი ანტიქართული სულიკვეთებით ცნობილ აფხაზ მოღვაწეთა ს. ბასარიასა და ს. აშხაცავას პროგრამული ნაშრომები აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე, რომლებიც ბოლშევიკური აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ ისტორიულ დასაბუთებად აღიქმებოდა. XXს. 50-იანი წლებიდან სსრკ-ში შექმნილმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა კონიუნქტურამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა აფხაზეთში სეპარატისტული იდეოლოგიის რეანიმაციისათვის. ამ დროიდან დღის წესრიგში კვლავ დადგა აფხაზთა „ნაციონალური“ (არაქართული) ისტორიის შექმნის საკითხი. თუმცა, პირველ ეტაპზე ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული. აფხაზ და ქართველ ისტორიკოსთა მიერ მომზადებული „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულში, რომელიც გამოიცა 1960-1964 წლებში გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის გიორგი ძიძარიას რედაქტორობით, აფხაზეთის ისტორიული წარსული გაშუქებული იყო საერთო-ქართული ისტორიის ჭრილში.

მიუხედავად ამისა, მცდელობები, ჩამოეცილებინათ აფხაზეთი და აფხაზობა საერთოქართული სამყაროსაგან ისტორიულად, არ წყდებოდა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ: შ. ინალ-იფას, მ. გუნბას, ი. ვორონოვისა და სხვა მკვლევართა პუბლიკაციები. გარეგნულად ეს გამოიყურებოდა როგორც საპასუხო რეაქცია ცნობილი ქართველი მეცნიერის პავლე ინგოროყვას მიერ 1954წ. გამოცემულ წიგნ-

ზე „გიორგი მერჩულე“, რომელშიც სრულიად ახლებურად იყო წარმოდგენილი აფხაზთა ეთნიკური ისტორია. მასში განვითარებული იყო თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ადრეული შუა საუკუნეების „აფხაზები“ („აბაზგ“-„აფსილები“) ეთნიკურად ქართველურ ტომებად, ხოლო თანამედროვე „აფსუა-აფხაზთა“ წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან (XVI-XVII სს.-ში) მოსულებად იყვნენ გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, მაშინდელი მისი ლიდერის აკად. ნიკო ბერძენიშვილის სახით, არ გაიზიარა პ. ინგოროყვას ეს შეხედულება და მოგვიანებით გამოცემულ ყველა განმარტებულ ნაშრომში (მათ შორის ისეთ საეტიკო გამოცემაში, როგორცაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეული) უცვლელად დატოვა ტრადიციული თვალსაზრისი აფხაზთა ეთნიკურ წარმომავლობაზე.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი, უკიდურესად გაღიზიანებული სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ თავხედური თავდასხმებით საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე, ყოველნაირად ცდილობს და ერთგვარი აგრესიულობითაც მოითხოვს ქართველი ისტორიკოსებისაგან პ. ინგოროყვას თვალსაზრისის უპირობო აღიარებას.

1992-1993 წლების ტრაგიკულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს ქართველი და აფხაზი მეცნიერები და მოუსპო მათ ნორმალური, აკადემიური დიალოგის საშუალება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სავალალო ვითარებაა დღეს, როდესაც სეპარატისტული რეჟიმი აფხაზეთში აღვივებს ყოველგვარ ზღვარს გადაცილებულ ანტიქართულ ისტერიას. რომლის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს „ნაციონალისტურ-ისტორიოგრაფიული“ პროპაგანდა. ასპარეზზე გამოვიდნენ ისტორიული „მეცნიერების“ ახალი „კორიფეები“, რომლებიც თანამემამულეებს სთავაზობენ ჭეშ-

მარიტად ფანტასტიკურ აღმოჩენებს. ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც ცნობილი სეპარატისტის, „ერის მხსნელად“ მოვლენილი იგორ მარიხუბას (მარხოლიას) ბოლოდროინდელი პუბლიკაციები. ყოველივე ამის შემდეგ, განა უნდა გაგვიკვირდეს „დარიგებანი“ ვინმე ს. სმირისა, მისივე აღიარებით, „человека не ученого, не политика“, რომელიც აფხაზურ ოფიციალურ პრესაში (**„Республика Абхазия“**, №65, 2000წ. 17-18 ივნისი) ოპერატიულად გამოეხმაურა გაზეთ **„Свободная Грузия“**-ში (№122, 13 მაისი, 2000წ.) ჩვენს მიერ (აკადემიკოს მ. ლორთქიფანიძესთან ერთად) გამოქვეყნებულ სტატიას. სხვათა შორის, სწორედ ს. სმირის ზემოხსენებულმა პუბლიკაციამ, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა „ისტორიოგრაფიულ ბურანში“ ჰყავთ არძინბასა და მის გარემოცვას უბრალო ხალხი და როგორ აბრიყვებენ მათ ახალგამოგონილი ზღაპრებით, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა აქტიური ისტორიოგრაფიული კონტროლპაგანდის აუცილებლობაში. თითქმის სამნახევარი წლის მანძილზე ჩვენ „აფხაზეთის რადიოში“ მიგვყავდა (რუსულ ენაზე) ციკლი: „**А́хъА́ММА́Е́Е – Е́ОÕÍ ÕЕА́ А́А́ Е́А́ÍÀÍÀÃÒÍ ÀÁÍ - ÁÁ**“. რადიოში გადაცემული მასალების საფუძველზე მომზადდა საგაზეთო სტატიების სერია, რომელიც სისტემატურად იბეჭდება არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის“ პერიოდული ორგანოს – **„ÕÃÃ-ÍÉ ÁÃÃÃÈÉÓ“** ფურცლებზე (პარალელურად მიმდინარეობს აღნიშნული მასალების რუსული ვარიანტის პუბლიკაცია გაზეთ **„Свободная Грузия“**-შიც).

საგაზეთო პუბლიკაციებმა მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რისი დასტურია ათეულობით წერილი, რომელიც მიიღო **„ÕÃÃÍÉ ÁÃÃÃÈÉÓ“** რედაქციამ. წერილებში გამოთქმული იყო სურვილი, რომ გაზეთში გამოქვეყნებული მასალები გამოცემულიყო წიგნად. **„ÕÃÃÍÉ ÁÃÃÃÈÉÓ“** რედაქცია და „საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის“ ხელმძღვა-

ნელობა გამოეხმაურა მკითხველთა ამ სურვილს და მიზანშეწონილად მიიჩნია წიგნის სახითაც მიეწოდებინა მკითხველისათვის აფხაზეთის მართალი ისტორია. ამით ფართო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეცემა საშუალება, გაეცნოს და გაიაზროს ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების უტყუარი ისტორია.

წინამდებარე წიგნი არის მხოლოდ პირველი ნაკვეთი, რომელშიც გადმოცემულია აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან 1917 წლამდე (ეს ნაწილი უკვე დაიბეჭდა გაზეთში). უახლოეს მომავალში იგეგმება მეორე ნაკვეთის გამოცემაც. ამასთან, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილ ნაშრომს არა აქვს აფხაზეთის ისტორიული წარსულის სრულად და ამომწურავად გაშუქების პრეტენზია. ჩვენი მიზანი უფრო მოკრძალებულია – სათანადო საისტორიო წყაროებისა და არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული გააზრების საფუძველზე ვაჩვენოთ აფხაზეთის ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე უძველესი დროიდან XX ს. მიწურულამდე (პირველ წიგნში – 1917 წლამდე). მასში წინა პლანზეა წამოწეული და ყურადღება საგანგებოდაა გამახვილებული საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „სადავო“ საკითხებზე, რომელთა სპეკულირებასაც ეწევიან ჩვენი ოპონენტები; შესაძლებლობისამებრ, საკადრისი პასუხია გაცემული სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ ისტორიკოსთა თუ პოლიტიკოსთა მცდელობებზე, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, აფხაზეთი ისტორიულად ჩამოაშორონ ერთიან ქართულ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროს, რომლის ორგანულ ნაწილსაც ის წარმოადგენდა დასაბამიდან დღემდე.

მართალია, ამ უკანასკნელ ხანს ქართველმა მეცნიერებმა გამოსცეს არაერთი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი

მოცემული მიმართულებით*, მაგრამ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით არა გვაქვს ისეთი გამოცემა, რომელშიც თანმიმდევრულად იქნებოდა გაანალიზებული აფხაზეთის როგორც ძველი და შუა საუკუნეების, ისე ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიული წარსული მთლიანად და მოცემული იქნებოდა რეგიონის ისტორიის ერთიანი ხედვა თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიღწევების შუქზე**. წინამდებარე წიგნი სწორედ ამგვარი ნაშრომის შექმნის პირველი მოკრძალებული ცდაა. მართალია, არც ფორმით და ნაწილობრივ არც შინაარსით ჩვენი ნაშრომი არ პასუხობს სახელმძღვანელოსადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ის მაინც შეასრულებს ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქციას საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

* განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ: მ. ლორთქიფანიძის, ე. ხოშტარია-ბროსეს, ნ. ლომოურის, დ. მუსხელიშვილის, გ. წულაიას, ა. მენტეშაშვილის, გ. ჟორჟოლიანის, ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას, თ. მიბჩუანის, გ. გასვიანის, ბ. ხორავას და სხვ. პუბლიკაციები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ თვალსაზრისით, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ 1999 წელს რუსულ ენაზე გამოცემული კრებული „Разыскания по истории Абхазии/Грузия“, რომელშიც მეტნაკლები სისრულითაა გაშუქებული აწინდელი აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკვანძო პრობლემები.

** პირველი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი, რომელიც მოიცავდა აფხაზეთის ისტორიას მთლიანად, იყო 1960 და 1964 წლებში გამოცემული „Очерки истории Абхазской АССР“-ის ორტომეული. აფხაზეთის ისტორიის ზოგადი სურათი მოცემულია 1976წ. ზ. ანჩაბაძის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში: „Очерк этнической истории абхазского народа“, აგრეთვე ზ. ანჩაბაძის, გ. ძიძარიასა და ა. კუპრავას მიერ მომზადებულ აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა 1986 წელს. აფხაზეთის ისტორიის ამ ნაშრომებისაგან, რომელთა ობიექტურობაზე თავისთავად უაღრესად ნეგატიური (განსაკუთრებით XIX-XXსს. ისტორიის ასახვისას) გავლენა იქონია კომუნისტურ-ტოტალიტარულმა კონიუნქტურამ, სრულიად განსხვავებული ხედვაა მოცემული უკვე ვ. არძინბას სეპარატისტული რეჟიმის პირობებში (1991წ.) გამოქვეყნებულ „აფხაზეთის ისტორიის“ ე.წ. დამხმარე სახელმძღვანელოში.

დასასრულს, გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო წიგნის რედაქტორს, აკად. **ÒĪ ĒĪ ĬÄŌŌÄÄĒĒŒŒ**, რეცენზენტებს: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. **ÄĒŒŒĒĒ ÄĒÄŒŒÄĒÄŒŒ** და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ **ÄÄŒÄĒÄĒ äĪ ŌÄÄÄŒŒ**. მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ გამომცემლობის რედაქტორს ქ-ნ **ÄÄĒÄÄ ÄÄĒĒĒĒÄŒŒ**, თსუ სოხუმის ფილიალის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ქ-ნ **ÄĒÄĒÄÄ ÄĒÄĒÄĒÄŒŒ** და ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს დოც. **ÄĒÄÄĒÄĒÄĒÄŒŒ** წიგნის რედაქტირებაში გაწეული დახმარებისათვის.

თავი I

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უკველესი დროიდან კველი ჟელთაღრიცხვის I ათასწლეულამდე

აფხაზეთი, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონები, უძველესი დროიდან წარმოადგენდა პირველყოფილ ადამიანთა განსახლებისა და აქტიური საქმიანობის ზონას. აქ ადამიანთა ცხოვრების ნაკვალევი მოჩანს სულ ცოტა ნახევარი მილიონი წლის წინ – ქვედა პალეოლითის ხანაში. ჯერ კიდევ 1934-1936 წლებში აფხაზეთში მიაკვლიეს აშელის ეპოქის ადამიანთა სადგომებს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოყოფენ იაშთხვასა და ბირცხას¹. გარდა ამისა, აშელის ეპოქის ძეგლები აღმოჩენილია: კოლხიდაში (გაგრის ზონა), ანუხვაში, ეშერაში, აფიანჩაში, ღვადაში, ოტაფში, გალში, ჭუბურხინჯში² და ა.შ. აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველეს დროში პირველყოფილი სადგომების სიმრავლე განპირობებული იყო ამ მხარის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ამასთან, ნაპოვნ ძეგლთა გეოგრაფია აშკარად მიუთითებს იმაზეც, რომ უძველეს დროში ადამიანს ძირითადად ათვისებული ჰქონდა სანაპირო ზოლი³. ცნობილი ქართველი არქეოლოგის ნინო ბერძენიშვილის დაკვირვებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველყოფილ ადამიანთა უძველესი კერები განთავსებული იყო კავკასიის მთავარი ქედიდან გამომავალი სამხრეთის (ბზიფი-კოდორის) ბორცვებზე⁴. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლების ანალიზისას სპეციალისტები (ო. ჯაფარიძე და სხვ.) ხაზს უსვამენ ამ სადგომებში დაფიქსირებული ქვის ინვენტარის მსგავსებას ცენტრალური კოლხეთის, კერძოდ რიონ-ყვირილას აუზის ძეგ-

ლების ანალოგიურ მასალასთან, თუმცა, ამასთან აღნიშნავენ აგრეთვე გარკვეულ ერთიანობას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის – ყუბანისპირეთის ძეგლებთანაც⁵.

ზედა ანუ გვიანდელი პალეოლითის ხანაში (დაიწყო დაახლ. 35000 წლის წინ) აფხაზეთი, ისევე როგორც მთელი დასავლეთი საქართველო, რჩებოდა პირველყოფილ ადამიანთა აქტიური შრომითი საქმიანობის ზონად. აფხაზეთის ზედაპალეოლითური ძეგლებიდან სხვებზე უკეთ შესწავლილია სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი ძეგლები (ლექოპი, მიხაილოვის კარიერი), აგრეთვე ხუპინიფშახვა (ე.წ. „Холодный грот“-ი) წებელდასთან⁶. მკვლევართა (ნ. ბერძენიშვილი, ო. ჯაფარიძე) აზრით, ამ დროიდან შეიძლება მსჯელობა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გვიანპალეოლითური კულტურის ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს, ზოგიერთი ძეგლის (აფიანჩა, სვანთა სავანე და სხვ.) მასალების ანალიზის საფუძველზე ადასტურებენ გვიანპალეოლითური კულტურის ადგილობრივი მუსტიედან წარმომავლობას⁷. საერთოკავკასიური კულტურული ერთობა, შესაძლებელია, იყო საფუძველი გარკვეული ეთნოკულტურული და ენობრივი ერთობისა ანუ დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამ დროს ჩამოყალიბებას იწყებდა საერთოკავკასიური ეთნო-კულტურული ერთობა⁸.

მეზოლითის (შუა ქვის) ხანაში (დაახლ. 13-12 ათასი წლიდან ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულებამდე) მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს და პირველ რიგში მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის – თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის შემდგომი ათვისება. ამაზე მეტყველებენ ქვაპჭარის, აფიანჩის, იაშთხვას, „ხოლოდნი გროტ“-ის, ჯამპალის სადგომები⁹. მეზოლითის ეპოქიდან მეცნიერები კავკასიაში გამოყოფენ ძეგლების სამ განსხვავებულ ჯგუფს: ამიერკავკასიის, გუბის და ჩოხის. ამ პერიოდის ძეგლებში დაფიქსირებულ ლოკალურ თავისებურებებს კი უკავშირებენ საერთო-

კავკასიური ეთნოკულტურული ერთობის შესაძლო დაშლის დაწყებას¹⁰.

ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) ეპოქაში (დაახლ. ძვ.წ. VIII-VI-დან IV ათასწლეულამდე) პირველყოფილ ადამიანთა საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი გახდა. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ე.წ. „ნეოლითურ რევოლუციას“, რაც იმაში გამოიხატა, რომ ადამიანთა საზოგადოება ექსტენსიური (მომპოვებლობითი) მეურნეობიდან გადავიდა ინტენსიურ (წარმოებით) მეურნეობაზე. საფუძველი ჩაეყარა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც მთელ დანარჩენ დასავლეთ საქართველოში, ნეოლითური კულტურა იღებს სათავეს ადგილობრივი მეზოლითური კულტურიდან (ლ. ნებიერიძე, ო. ჯაფარიძე, კ. კალანდაძე).¹¹ ამასთან, შემჩნეულია გარკვეული მსგავსება აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ (აფიანჩა, „ხოლოდნი გროტ“-ი და ა.შ.) ქვის ინვენტარსა და სამხრეთ კოლხეთის ძეგლების ანალოგიურ მასალას შორის. ასეთივე სურათი გვხვდება გვიანნეოლითური ხანის აფხაზეთისა (გალი I, ღუმურიში, ჩხორთოლი) და ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის (ოდიში, ანასეული I, გურიანთა და სხვ.) მასალების შედარებისას (კ. კალანდაძე, ო. ჯაფარიძე).¹² იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე დიდი ნეოლითური დასახლების – კისტრიკის¹³ (გუდაუთის მახლობლად, სოფ. ბომბორასთან) ქვის მასალების შესახებაც, რომლებიც ასევე ამჟღავნებენ მსგავსებას კოლხეთის სხვა რეგიონების ნეოლითური ხანის ინვენტართან¹⁴. თუმცა, სპეციალისტები აღნიშნავენ ცალკეულ განსხვავებებსაც, კერძოდ, კერამიკული ნაწარმის შედარებისას: ცენტრალური კოლხეთის ნიმუშებისაგან განსხვავებით, კისტრიკში აღმოჩენილი კერამიკა თითქმის უორნამენტოა¹⁵. ცენტრალური კოლხეთის (რიონ-ყვირილას აუზის) კერამიკულ მასალასთან მეტ მსგავ-

სებას ამჟღავნებს ოქუმის გამოქვაბულში აღმოჩენილი კერამიკა, ამასთან, ოქუმის მასალა გარკვეულწილად ემსგავსება სოჭი-ადღერის რეგიონში დაფიქსირებულ ინვენტარსაც (გ. ფხაკაძე, ო. ჯაფარიძე).¹⁶

გვიან ნეოლითის ეპოქის მატერიალურ კულტურაში შემჩნეულ ლოკალურ თავისებურებებს უკავშირებენ კავკასიის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მიმდინარე დაშლის პროცესს. ამ პროცესის სურათის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია შესაბამისი ანთროპოლოგიური და ლინგვისტური მასალების არქონის გამო. მიუხედავად ამისა, მკვლევრები (ო. ჯაფარიძე) უშვებენ, რომ კავკასიის გვიან-ნეოლითურ კულტურაში შემჩნეული თავისებურებები შესაძლოა მიგვანიშნებდნენ საერთოკავკასიური ეთნო-ენობრივი ერთობის დაშლაზე¹⁷. აქედან გამომდინარე, გამოთქმულია მოსაზრება (ო. ჯაფარიძე), რომ ამ პერიოდში დაიწყო მონათესავე კავკასიურ ენათა ძირითადი ჯგუფების ფორმირება: აღმოსავლურ-კავკასიურის (ნახურ-დაღესტნური), დასავლურ-კავკასიურის (ადიღეურ-აფხაზური) და სამხრეთ-კავკასიურის (ქართველური).¹⁸

დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლეულიდან იწყება ლითონის ერა. როგორც ცნობილია, პირველი ლითონი, რომლის გამოყენებაც ადამიანმა ისწავლა, იყო თვითნაბადი სპილენძი. სპილენძის იარაღების გამოყენების პერიოდში ანუ ენეოლითის (სპილენძ-ქვის) ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიმჩნევა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ისევე, როგორც მთელ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, არსებობას განაგრძობდა ადგილობრივ ნეოლითურ ტრადიციებზე დაფუძნებული სამიწათმოქმედო კულტურა¹⁹. აქვე იმასაც უსვამენ ხაზს, რომ აღნიშნულ ხანაში კავკასიის ეს მხარე განვითარების დონით რამდენადმე ჩამორჩებოდა ამიერკავკასიის სხვა

რეგიონებს²⁰. საკმაოდ მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის თვალსაზრისით, მეცნიერთა ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ოჩამჩირის მახლობლად აღმოჩენილმა დასახლებამ, რომელსაც ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრით (ლ. სოლოვიოვი, მ. ტრაფში) ათარიღებენ²¹. აქ აღმოჩენილი ინვენტარი ამჟღავნებს მსგავსებას კოლხეთის დაბლობის ბორცვების ნასახლარებში, განსაკუთრებით დიხა-გუძუბას ქვედა ფენებში დაფიქსირებულ მასალასთან²². ანალოგიური სიტუაცია გვაქვს სოხუმის მახლობლად, გუმისთაში დაფიქსირებული ოჩამჩირის ტიპის ნამოსახლარის მასალების ანალიზისას, რომლებიც ასევე ამჟღავნებენ გარკვეულ მსგავსებას კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარ ბორცვებზე მოპოვებულ მასალასთან²³. იგივე ითქმის მაჭარის ნამოსახლარის მასალებზეც (ვ. ბჟანია).²⁴

ადრე ბრინჯაოს ხანიდან (დაახლ. ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებიდან) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ე.წ. „დოლმენური კულტურა“.²⁵ დოლმენები წარმოადგენენ მსხვილი ფილებისაგან აგებულ ოთხკუთხა ნაგებობას, რომელსაც სახურავად აქვს მეხუთე ფილა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დოლმენები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელდა ხმელთაშუაზღვისპირეთიდან²⁶, თუმცა არ გამოირიცხავენ მათ დასავლურ წარმომავლობასაც²⁷. აკად. ო. ჯაფარიძის აზრით, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დოლმენები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთიდან გავრცელდა²⁸. დოლმენების გაჩენას კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (დოლმენები არ გვხვდება სოფ. აზანთის – სოხუმის მახლობლად – სამხრეთით) ზოგიერთი მკვლევარი უკავშირებს გარკვეულ ეთნიკურ ცვლილებებს. ეს თვალსაზრისი ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა არქეოლოგმა ლ. სოლოვიოვმა, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მცირე აზიიდან ქასქების (ქაშქების) ტომების მოსვლა, რითაც მოხდა კოლხეთის

დაბლობზე მოსახლეობის შეცვლა ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე. დოლმენური კულტურის მატარებელმა ტომებმა, რომლებსაც ეკავათ ტერიტორია ენგურიდან ადლერამდე (ლ. სოლოვიოვის განმარტებით, ე.წ. „სამხრეთ დოლმენური კულტურის“ არეალი) მშვიდობიანად მიიღეს მოსული ქაშქები, რომელთა პროტოხეთურმა ენამ საბოლოოდ გაიმარჯვა კიდევ²⁹.

ლ. სოლოვიოვის თვალსაზრისი გაიზიარა ზ. ანჩაბაძემ, რომელმაც რუსი არქეოლოგის დასკვნის საფუძველზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მიიჩნია აფხაზთა ეთნოსის ჩამოყალიბების ადგილად. მისი აზრით, აფხაზთა ეთნოსის ფორმირება დაიწყო დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულიდან და მასში მონაწილეობა მიიღეს მცირე აზიიდან გადმოსახლებულმა „ქაშქა“ – „აბეშლას“ ტომებმა და მათმა მონათესავე დღევანდელი აფხაზეთის მაშინდელმა (ძვ.წ. III-II ათასწლეულების) ადგილობრივმა მოსახლეობამ³⁰. ფაქტობრივად ამავე თვალსაზრისს ავითარებდა შ. ინალ-იფაც³¹, თუმცა ეს უკანასკნელი იქითკენაც იხრებოდა, რომ აფხაზურ-ადიღეურ-ხათურ ტომებს უძველეს დროში ეკავათ მთელი ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილიდან დაწყებული მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთი მხარეებით დამთავრებული³².

ლ. სოლოვიოვის დებულებების საფუძველიანი კრიტიკა მოგვცა აკად. ო. ჯაფარიძემ, რომელმაც, მართალია, არ გამორიცხა „მოსახლეობის გარკვეული მასის გადანაცვლება“ სამხრეთიდან, მაგრამ იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამას არ უნდა მოეტანა არსებითი ხასიათის ეთნიკური ცვლილებები კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში³³. ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზეც, რომ დოლმენურ სამარხებში დაფიქსირებული ნივთიერი კულტურა უდავოდ ადგილობრივი წარმომავლობისაა; ეს კი იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ

მოცემულ პერიოდში ნამდვილად არ უნდა ჰქონოდა ადგილი რაიმე სერიოზულ ცვლილებებს თანამედროვე აფხაზეთის ეთნიკურ რუკაზე³⁴.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურას არ განუცდია რაიმე მკვეთრი ცვლილებები ადრე-ბრინჯაოს ხანაში, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ ადგილი არ ჰქონდა გარკვეულ ლოკალურ თავისებურებებს, რომლებიც, შესაძლოა, საფუძვლად დაედო ცალკეული ტომობრივი გაერთიანებების აღმოცენებას. ერთ-ერთ ასეთ ლოკალურ რეგიონად გამოყოფენ მდ. გუმისთის ჩრდილოეთ ტერიტორიას³⁵. სპეციალისტების აზრით, ეს რაიონი განიცდიდა ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული ე.წ. მაიკოპ-ნოვოსვობოდნენსკის კულტურის გარკვეულ გავლენას, მაგრამ ეს გავლენა არ იყო იმდენად არსებითი, რომ ამის გამო აღნიშნული რეგიონი მთლიანად გამოვთიშოთ დანარჩენი კოლხეთისაგან, რომელთანაც მდ. გუმისთის იქითა მხარეს აერთიანებს ლითონის იარაღებისა და კერამიკული ნაწარმის აბსოლუტური იდენტურობა³⁶. იმავე სურათს აფიქსირებენ არქეოლოგები შუა ბრინჯაოს ხანაშიც, როდესაც ასევე შეიმჩნევა განვითარების უწყვეტი გენეტიკური ხაზი კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით³⁷.

გვიან ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ერთიანი კულტურა, რომელიც მეცნიერებაში ე.წ. „კოლხური კულტურის“ სახელითაა ცნობილი³⁸. „კოლხური კულტურის“ ძეგლები მრავლადაა აღმოჩენილი აფხაზეთში: ეშერაში, მუგუძირხვაში, ბომბორაში, კულანურხვაში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ლიხნში, ლეჩკოპში და ა.შ. (ა. იესენი, მ. ტრაფში, ო. ჯაფარიძე).³⁹ უკანასკნელ პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა ფიჩორში ჩატარებულმა გათხრებმა (მ. ბარამიძე).⁴⁰ მკვლევრები „კოლხური კულტურის“ გავრ-

ცვლელის ხანაშიც (დაახლ. ძვ.წ. XIV-VIII სს.) აფიქსირებენ ცალკეულ ლოკალურ თავისებურებებს მდ. გუმისთის ჩრდილოეთით, რის გამოც ამ მხარეს გამოყოფენ როგორც „კოლხური კულტურის“ ლოკალურ რეგიონს. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ დამარხვის სპეციფიკური – ე.წ. „მეორადი დამარხვის“ წესის (თიხის ჭურჭელში) არსებობას აღნიშნულ რეგიონში (ბ. კუფტინი, რ. აბრამიშვილი, მ. ბარამიძე).⁴¹ შენიშნულია აგრეთვე ისიც, რომ გუმისთის იქითა მხარის მასალებში იგრძნობა ყუბანისპირეთის კულტურის გავლენა⁴². საგანგებოდ აღნიშნავენ იმასაც, რომ გუმისთის იქითა რეგიონი აქტიურად მონაწილეობდა „კოლხური კულტურის“ ისეთი გადამწყვეტი ატრიბუტის შექმნაში, როგორცაა კოლხური ცული; ეს უდავოდ მიგვანიშნებს, რომ მატერიალური კულტურის განვითარების ძირითადი ხაზი მაინც უცვლელი იყო და თანამედროვე აფხაზეთის ამ ნაწილშიც კი არ არის დაფიქსირებული ისეთი არსებითი რამ, რომელიც დამახასიათებელი არ იყოს დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც⁴³. ამით იმის თქმა გვინდა, რომ თუ ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე მართლაც ჰქონდა ადგილი სერიოზულ ეთნიკურ ცვლილებებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (რომ არაფერი ვთქვათ კოლხეთზე მთლიანად, როგორც ამას ფიქრობდა ი. ვორონოვი),⁴⁴ ეს უთუოდ ჰპოვებდა სათანადო ასახვას მატერიალურ კულტურაში. ასე რომ, სანამ არქეოლოგია არ მოიპოვებს რაიმე ხელმოსაკიდ მასალას, რომელიც ნათლად აჩვენებს გარკვეულ წყვეტას მატერიალური კულტურის განვითარების ზოგად ხაზებში მოცემულ პერიოდში, ყოველგვარი მსჯელობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი მკვეთრი ეთნიკური ცვლილებების შესახებ, მთლიანად საფუძველს მოკლებულია.

დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათის დადგენა ბრინჯაოს ხანაში, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვან-

წილადაა დაკავშირებული პალეოანთროპოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების შესწავლაზე. დღეისათვის ჩატარებული ანთროპოლოგიური კვლევების შედეგად საკმაოდ მაღალხარისხით შეიძლება იმის მტკიცება, რომ კავკასიის მოსახლეობის თანამედროვე ანთროპოლოგიური ტიპები ადგილობრივი წარმომავლობისაა⁴⁵, რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმ თვალსაზრისის სასარგებლოდ, რომ დასავლეთი კავკასია უძველესი დროიდან დასახლებული იყო საერთო-კავკასიური წარმოშობის მონათესავე ტომებით.

რამდენადმე უფრო რთულია კავკასიის ხალხების ეთნო-ენობრივი ერთობის პრობლემა. მეცნიერებაში დიდი ხნის მანძილზე ეჭვს არ იწვევდა კავკასიური ენების გენეტიკური ნათესაობა. ჯერ კიდევ XIX ს.-ში კავკასიური სამყაროს ცნობილმა მკვლევარმა პ. უსლარმა წამოაყენა თვალსაზრისი კავკასიურ ენათა ერთიანი ოჯახის შესახებ⁴⁶. ი. ჯავახიშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას და ასევე დაადასტურა მათი საერთო წარმომავლობა⁴⁷. თვალსაზრისი კავკასიურ ენათა გენეტიკური ნათესაობის შესახებ საკმაოდ პოპულარულია ენათმეცნიერულ ლიტერატურაში (ქ. ლომთათიძე, ე. ბოკარევი და სხვ.),⁴⁸ თუმცა არის განსხვავებული შეხედულებაც. მკვლევართა ერთი ნაწილი ამჟამად ფაქტობრივად უარყოფს ქართველური ენების გენეტიკურ ერთობას ჩრდილო კავკასიურ ენებთან (გ. მაჭავარიანი, ი. დიაკონოვი, თ. გამყრელიძე, ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი, ჰ. ფენრიხი).⁴⁹ ამასთან, სულ უფრო პოპულარული ხდება აზრი ჩრდილოკავკასიური ენების მცირე აზიის უძველეს ენებთან ნათესაობის შესახებ. კერძოდ, მეცნიერებაში უკანასკნელ დრომდე თითქმის უწყევტე მხარდობდა იყო აღიარებული აფხაზურ-ადიღურის გენეტიკური ნათესაობა ხათურ ენასთან (ა. მილიტარიოვი და ს. სტაროსტინი, ვ. ივანოვი).⁵⁰ ამასთან დაკავშირებით, საკუთრივ ლინგვისტური მასალის ანალიზის გარდა, საგან-

გებოდ ექცეოდა ყურადღება მცირე აზიის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგიდან დაფიქსირებული ეთნონიმ „ქასქის“ („ქაშქის“) მსგავსებას ადილ-ჩერქეზთა შუა საუკუნეებში გავრცელებულ სახელწოდებასთან: „კასახია“ – „კასახი“ (ბიზანტიელი ავტორების), „კაშაკ“, „კაშაკია“ (არაბული წყაროების), „კოსოგი“ (ძველი რუსული მატიანეების), „ქაშაგნი“ (ქართული მატიანეების) და ა.შ.⁵¹ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ხეთური ლურსმული წარწერების „ქასქებს“ („ქაშქებს“) მიიჩნევდნენ აფხაზურ-ადილეურ-ხათური მოდგმის ტომად. ამ თვალსაზრისს ერთგვარად ამაგრებდა აგრეთვე ძვ.წ. XII-XI სს. ლურსმულ წარწერებში დაფიქსირებული ერთ-ერთი ტომის – „აბეშლა“-ს სახელწოდება, რომელსაც, ერთი მხრივ, „ქასქას“ („ქაშქას“) სინონიმად მიიჩნევდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, აიგივებდნენ ეთნონიმ „აბსილთან“ („აბშილ“-„აფსუა“).⁵² ყოველივე ამის საფუძველზე კი გაჩნდა თვალსაზრისი აფხაზ-ადილთა წინაპრების თავდაპირველად მცირე აზიის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში განსახლების შესახებ, საიდანაც ისინი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, უნდა დაძრულიყვნენ ჩრდილოეთის მიმართულებით და განთავსებულიყვნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ს. სოლოვიოვი, ვ. არძინბა და ვ. ჩირიკბა).⁵³ მკვლევართა ერთი ნაწილის (ს. სოლოვიოვი, ზ. ანჩაბაძე) აზრით, ეს პროცესი მიმდინარეობდა ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში⁵⁴, სხვა შეხედულებით (შ. ინალ-იფა), გაცილებით უფრო ადრე – ძვ.წ. III ათასწლეულამდეც კი⁵⁵. უფრო მეტიც, როგორც უკვე აღინიშნა, უკანასკნელ ხანს ზოგიერთი აფხაზი მეცნიერი და ცალკეული რუსი მკვლევრებიც საერთოდ გამორიცხავენ რაიმე მიგრაციას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და აქტიურად ავითარებენ თვალსაზრისს ადილ-აფხაზთა პირველმოსახლეობის შესახებ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთელ პერიმეტრზე, დაწყებული

ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილიდან და დამთავრებული მცირე აზიის ცენტრალური და აღმოსავლეთი მხარეებით (შ. ინალ-იფა, ვ. არძინბა და ვ. ჩირიკბა, ი. ვორონოვი).⁵⁶ ქართველური ტომების (მეგრელ-ჭანების, სვანების) გამოჩენას კი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვარაუდობენ დაახლოებით ძვ.წ. XII-VIII სს.-ში, როდესაც მათ შეავიწროვეს და განდევნეს აფხაზ-ადიღეური ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში (ი. ვორონოვი).⁵⁷

მაგრამ ამ ბოლო დროს დასკვნა „ქასქ“-„აბეშლას“ ტომთა მაინცდამაინც პროტოხეთებთან (ხათებთან) ნათესაობის შესახებ, რომელსაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძირითადად ეფუძნებოდა ვარაუდი აფხაზ-ადიღთა და „ქასქ“-„აბეშლაელთა“ გენეტიკური ერთობისა, სერიოზულად გადაისინჯა. ძველი ხეთურ-ანატოლიური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევრის აკად. გ. გიორგაძის დაკვირვებით, სულაც არ არის აუცილებელი „ქასქებისა“ („ქაშქების“) და „აბეშლას“ ტომების ხათებთან ეთნიკური ნათესაობის უპირობოდ აღიარება და, რომ „ქასქები“ და „აბეშლას“ ტომები მეტ საერთოს პოულობენ კოლხურ-ქართველურ ტომებთან⁵⁸. აქედან გამომდინარე, მეცნიერი უარყოფს „ქასქ“-„აბეშლაელთა“ ნათესაობას ადიღეურ-აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან⁵⁹. ამასთან, გ. გიორგაძე აღიარებს ხათების ნათესაობას აფხაზ-ადიღებთან და თვლის, რომ ხათების პირვანდელი სამშობლო უნდა ვეძიოთ არა მცირე აზიაში, არამედ „на северо-западе Кавказа, откуда хатты должны были переселиться в направлении центральной Анатолии (точнее северной ее части)“.⁶⁰

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, მეცნიერებაში ცალსახად არ არის გარკვეული „ქასქ“-„აბეშლას“ ტომთა გენეტიკური ნათესაობა ხათურ-აფხაზურ-ადიღეურ სამყაროსთან, რაც იმთავითვე ეჭვის ქვეშ აყენებს აფხაზ-ადიღთა განსახლებას დასავლეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად

ამისა, ნამდვილად არ შეიძლება მთლიანად გამოირიცხოს აფხაზ-ადილთა ნაკვალევის არსებობა უძველეს დროში თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთით, რაზეც, ჩვენი აზრით, მიუთითებენ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში დაფიქსირებული ცალკეული ტოპონიმები, მაგრამ ეს, როგორც სავსებით მართებულად შენიშნავს აკად. გ. გიორგაძე, არ უნდა იყოს აფხაზ-ადილთა დასავლეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე განსახლების შედეგი. აღნიშნული ტოპონიმები მხოლოდ იმის „მაჩვენებელი უნდა იყოს... რომ ზოგჯერ მართლაც სახლდებოდნენ აფხაზ-ადილთა ცალკეული ჯგუფები მოცემულ რაიონებში, სადაც შემდგომ ითქვიფებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში ისე, რომ რჩებოდა მათი ტოპონიმები“.⁶¹ ამასთან იგულისხმება, რომ ეს ნაკვალევი შესაძლოა ეკუთვნოდეთ ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთის მიმართულებით დაძრულ აფხაზ-ადილთა მონათესავე ხათებს (გ. გიორგაძე).⁶²

ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ აკად. გ. გიორგაძის ამ თვალსაზრისს, თუმცა უფრო რეალურად მიგვაჩნია აფხაზურ-ადილურ-ხათურ ტომთა გადაადგილება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და არა პირიქით. ამასთან, სრულიად არ გვეჭკვება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველმოსახლეობა იმ ტომებისა, რომლებიც მრავალი ათასწლეულის მანძილზე (სულ ცოტა ნეოლითის ეპოქიდან მაინც) ქმნიდნენ ერთიან (დანარჩენ დასავლეთ საქართველოსთან) მატერიალურ კულტურას, რომლის შიგნითაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აფხაზეთის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით მდ. გუმისთის ჩრდილოეთით) ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან თავს იჩენს ცალკეული ლოკალური თავისებურებანი და რომლებიც უფრო შესამჩნევი ხდება „კოლხური კულტურის“ ეპოქაში. ეს ლოკალური თავისებურებები მართლაც არ არის გამორიცხული, დაკავშირებული ყოფილიყო აფხაზ-ადილთა პირველი ტალღის გამო-

ჩენასთან მოცემულ რეგიონში, რომლის ძირითად და, რაც მთავარია, პირვანდელ მოსახლეობას უდავოდ პროტოკოლ-ხური (ქართველური) ტომები წარმოადგენდნენ. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ აკად. ს. ჯანაშიას ავტორიტეტული აზ-რი, რომლის მიხედვითაც აფხაზ-ადილებს თანამედროვე აფ-ხაზეთის ტერიტორიაზე უსწრებდნენ მეგრულ-ჭანური და სვა-ნური ტომები⁶³.

იმ შემთხვევაში, როდესაც თანამედროვე ენათმეცნიერება ვერ იძლევა ცალსახა პასუხს კითხვაზე, თუ რა ენაზე მეტ-ყველებდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვ-რები ტომები უძველეს დროში და რომელ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ ისინი, ჩვენი აზრით, უთუოდ გამართლე-ბულია გადამწყვეტი როლის მინიჭება იმ უტყუარი ფაქტი-სათვის, როგორცაა არქეოლოგიურ ლიტერატურაში მიღე-ბული დასკვნა დასავლეთ კავკასიის მასშტაბით ერთიანი მა-ტერიალური კულტურის არსებობის შესახებ ქვის ხანის მთელ მანძილზე; ეს თითქოს უნდა ადასტურებდეს იმას, რომ და-სავლეთ კავკასიის ტერიტორია უძველესი დროიდან ეკავათ ეთ-ნიკურად მონათესავე, საერთოკავკასიური წარმოშობის ტო-მებს⁶⁴.

ამრიგად, მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენი მსჯელობა, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველყოფილობის ხა-ნაში – ქვედა პალეოლითიდან ნეოლითის ჩათვლით – თა-ნამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მუდმივად შედიოდა ერ-თიანი მატერიალური კულტურის გავრცელების არეალში, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ კავკასიას. ამ ერთიანი მატერიალური კულტურის შემქმნელებად ივარაუდება საერ-თოკავკასიური წარმოშობის მონათესავე ტომები. ბრინჯაოს ხანიდან (შესაძლოა, უფრო ადრიდანაც) უნდა დაწყებული-ყო ე.წ. პალეოკავკასიური ეთნიკური ერთობის დიფერენცია-ციის პროცესი, რამაც ასახვა ჰპოვა მატერიალურ კულტუ-რაში – გაჩნდა ცალკეული ლოკალური თავისებურებები ერ-

თიან მატერიალურ კულტურაში. ასეთმა თავისებურებებმა იჩინა თავი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, მდ. გუმისთის ჩრდილოეთით, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ამ მხარის ეთნიკური სიჭრელით. შესაძლოა აქ კოლხეთის დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებული მოსახლეობის გაჩენა. სავსებით დასაშვებია, იმ ტომებს შორის, რომლებიც ცხოვრობდნენ მოცემულ რეგიონში, ყოფილიყვნენ თანამედროვე აფხაზეთა წინაპრები. კოლხეთის დანარჩენი ტერიტორია კი დღევანდელი აფხაზეთის სხვა რეგიონების ჩათვლით უდავოდ ეკავათ ქართველურ ტომებს. ამავე დროს, არ შეიძლება გამოირიცხოს ცალკეულ ქართველურ ტომთა (მეგრელ-ჭანთა, სვანთა, შესაძლოა, მესხთაც) განსახლება თანამედროვე აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც (მდ. გუმისთის ჩრდილოეთით). ამ თვალსაზრისით ნამდვილად არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ მოგვიანებით, ძვ.წ. I ათასწლეულში ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა მონაცემები თითქმის დოკუმენტურად აფიქსირებენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე: კოლებს, კოლხებს, კორაქსებს, ჰენიოხებს, სანიგებს, სვანო-კოლხებს და ა.შ., რომლებიც, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ცალსახად ქართული წარმომავლობისაა.

თავი II

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ეთნო-პოლიტიკური რუკა კვ. I ათასწლეულიდან ახ.წ. VIII საუკუნემდე

ἸΘΑΪΕΪΪ-ἸΑΘΙΑΪΕΪΕ ἘΪ ἘἄἈἘἘΘ ἈἘΪἘἘΘΘἘ ὈΘἘἈ. უძველესი წერილობითი ინფორმაცია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მოსახლე ტომებზე ძველ ბერძნულ წყაროებში გვხვდება. პირველი ავტორი, რომელიც იძლევა აღნიშნული რეგიონის ეთნიკური შედგენილობის მეტ-ნაკლებად სრულ სურათს, არის ცნობილი ბერძენი ლოგოგრაფოსი ჰეკატაიოს მილეტელი (ძვ.წ. VI ს.), რომლის თხზულების („დედამიწის აღწერილობა“) ფრაგმენტები შემონახულია ახ.წ. VI ს. ავტორის სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონში „ეთნიკა“. ჰეკატაიოსის ცნობით, კოლხების ტომი, რომელსაც ეკავა კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთები და აგრეთვე მათგან დასავლეთით მცხოვრები კორაქსები – „კოლხური ტომები“ იყვნენ¹. ძვ.წ. IV ს. ავტორის ფსევდო სქილაკს კარიანდელის „პერიპლუს“-ის პირდაპირი მოწმობით კი, კორაქსებისა და კოლხების სამხრეთით, დიოსკურიიდან (დღევანდელი სოხუმი) მდ. აფსაროსამდე (მდ. ჭოროხი) მოცემულ პერიოდში საკუთრივ კოლხები ცხოვრობდნენ².

კოლხების ეთნიკური ვინაობის, კერძოდ, მათი ქართველური (მეგრულ-ჭანური) წარმომავლობის საკითხი დიდი ხანია გარკვეულია ისტორიოგრაფიაში, თუმცა ცალკეული აფხაზი მკვლევრები და მათი ჩრდილოელი „კოლეგა“-მფარველები (გ. ტურჩანინოვი, გ. ფიოდოროვი და სხვ.) ბოლო დრომდე ამაოდ ცდილობდნენ კოლხები აფხაზურ ტომებად მოენათლათ³. ამასთან, ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზულად არავის შეუტანია ეჭვი იმაში, რომ ეთნონიმმა „კოლხი“ თანდათანობით შეიძინა კრებითი მნიშვნელობა და მასში იგუ-

ლისხმებოდნენ როგორც ქართველური, ისე არაქართველური ტომებიც⁴. რაც შეეხება ეთნონიმ „კოლხის“ პირვანდელ მნიშვნელობას, ის სრულიად უდავოა: „კოლხები“ (ვიწრო მნიშვნელობით) არიან მოგვიანო პერიოდის ლაზებისა (მეგრულ-ჭანური ტომი) და ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ქართველურ ტომთა პირდაპირი წინაპრები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არავითარი საბაბი არა გვაქვს, დავეჭვდეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისის (მ. ინაძე, დ. მუსხელიშვილი და სხვ.)⁵ საფუძვლიანობაში, რომლის მიხედვითაც ძვ.წ. I ათასწლეულში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია – როგორც მთისწინა რეგიონი, ისე ზღვისპირა ზოლი – ეკავათ დასავლურ-ქართველურ ტომებს. ესენია: კოლები, კორაქსები, კოლხები და, შესაძლოა, „მოსხ“-მესხებიც. ეს უკანასკნელნი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს ძველი ისტორიის აღიარებული მკვლევრის მ. ინაძის ვარაუდით, უნდა გაჭრილიყვნენ (სამხრეთიდან) ჩრდილოეთ კოლხეთისაკენ და დაფუძნებულიყვნენ თანამედროვე აფხაზეთის მთისწინა და მთიან რაიონებში⁶. აღსანიშნავია, რომ ამ ვარაუდს არ იზიარებს მეორე თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი ნ. ლომოური, რომელიც გამორიცხავს „მოსხ“-მესხთა განსახლებას კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში⁷. ნ. ლომოური უარყოფს აგრეთვე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკური წყაროების „ჰენიოხების“ (გავრცელებული თვალსაზრისით, მათ ძვ.წ. V-II სს. ეკავათ ტერიტორია ბიჭვინთა-პიტიუნტიდან დაწყებული მდ. აქეუნტამდე – თანამედროვე მდ. შახეტუაფსეს მიდამოებში) მოსახლეობასაც⁸, რომელთაც მკვლევართა უმრავლესობა (ი. ორბელი, ნ. მარი, პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი, ბ. გიგინეიშვილი, მ. ინაძე, თ. მიბჩუანი, გ. გასვიანი და ა.შ.) ასევე ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებს⁹. აქვე არ შეიძ-

ლება არ აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა და სხვ.), რომლის მიხედვითაც ჰენიოხები (უნდა ითქვას, სრულიად უსაფუძვლოდ) ძველ აფხაზურ ტომებად არიან გამოცხადებული¹⁰. როგორც არ უნდა გადაწყდეს თანამედროვე ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, „მოსხ“-მესხთა, ხოლო, მეორე მხრივ, ჰენიოხთა განსახლების საკითხი, ერთი რამ ცხადია, აღნიშნული რეგიონის ეთნიკური იერ-სახე, ძველი ბერძნული წერილობითი ტრადიციის თანახმად, ძვ.წ. I ათასწლეულში, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც, აშკარად ქართველური იყო.

ახ.წ. I-III სს.-ში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ეთნიკურ რუკაზე სერიოზული ცვლილებები მოხდა. ამ დროიდან ძველი ბერძნული წერილობითი წყაროები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფიქსირებენ მანამდე უცნობ ტომებს. პირველ რიგში, ესაა სანიგთა ტომი, რომლის ყველაზე ადრინდელ მოხსენიებას ვხვდებით ძველ ბერძენ ავტორთან – მემნონთან (მისი მოღვაწეობის პერიოდად მიიჩნევენ დაახლ. ძვ.წ. II ს. 70-50-იან წლებს).¹¹ მკვლევართა უმრავლესობა (ი. ორბელი, ნ. მარი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი, მ. ინაძე, ნ. ლომოური, თ. მიბჩუანი, გ. გასვიანი და სხვ.) სანიგებს, რომელთა განსახლების არეალად ახ.წ. I-III სს. მოიაზრებენ ტერიტორიას ცხუმი-სებასტოპოლისიდან ჩრდილოეთით, დღევანდელი განთიადის სექტორამდე¹², ასევე მიაკუთვნებს ქართველურ ეთნიკურ სამყაროს¹³. თუმცა არის მათი ერთ-ერთ აფხაზურ-ადიღეურ (საძების) ტომად გამოცხადების მცდელობაც (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა და სხვ.),¹⁴ რაც მთლიანად საფუძველს მოკლებულია. გარდა იმისა, რომ, როგორც სავსებით მართებულად მიუთითებს ნ. ლომოური, ეთნონიმ „სანიგში“ „ადვილად გამოიყოფა ძირი სანი, რომელიც სრულიად კანონზომიერად ბერძნულად გადმოსცემს სახელწოდებას ჭანი“, რაც უდავოდ ამ ტომის მეგრულ-ჭანურ წარმომავლობაზე მეტყველებს¹⁵, მხედველო-

ბაშია მისაღები დიოსკურია-სებასტოპოლისის უძველესი ქართული სახელწოდება „ცხუმიც“, რომელსაც, როგორც ცნობილია, ახსნა მხოლოდ ქართულ ენობრივ სამყაროში (სვანურად „რცხილა“) ეძებნება. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისის, რომელიც ახ.წ. III. ავტორის ფლავიუს არიანეს თითქმის დოკუმენტური განმარტებით, სანიგთა განსახლების ფარგლებში იყო¹⁶, სვანური (შესაძლოა, მეგრული; შეად. მეგრული „ცხიმური“, ან „თხუმუ“) სახელწოდება შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ ახ.წ. II. წინარე ხანაში, როდესაც ძველი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის, ჩვენი აზრით, მეტად სანდო ცნობის თანახმად, დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებში ზემოთ კავკასიონის მწვერვალები ეპყრათ სვანებს¹⁷. ხოლო მეორე-არანაკლებ კომპეტენტური ბერძენი გეოგრაფოსის, კლავდიუს პტოლემეაიოსის (ახ.წ. III.) ცნობით, „კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვართან, დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ბზიფის (პტოლემეაიოსის კორაქსი) გასწვრივ“ უნდა ეცხოვრათ „სუანო-კოლხებს“,¹⁸ რომელთა სახელწოდებაც ნ. ლომოურის ავტორიტეტული დასკვნით, უდავოდ მეტყველებს „მათ შერეულ, სვანურ-კოლხურ“ წარმომავლობაზე¹⁹.

ახ.წ. I-IIIსს. წერილობით წყაროებში პირველად ჩნდება ცნობები „აფსილებსა“ (პლინიუსი, არიანე)²⁰ და „აბაზგებზე“ (არიანე),²¹ რომლებიც, მკვლევართა ვარაუდით, მოცემულ პერიოდში განსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ დაახლ. მდ. ღალიძგასა და მდ. კელასურს შორის ტერიტორიაზე²² (ამ ბოლო დროს განსხვავებული თვალსაზრისი განავითარა აკად. დ. მუსხელიშვილმა²³). მოგვიანებით, V-VI საუკუნეებისათვის შეიმჩნევა აფსილ-აბაზგთა გადაადგილება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, რასაც ძირითადად ლაზური ტომების მოწოლით ხსნიან (გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური და სხვ.).²⁴ ამ დროისათვის აღნიშნულ ტომებს უკვე ეკავათ ტერიტორია დაახლ. მდ. კოდორიდან მდ. ფსოუმდე,

თუმცა არ გამოორიცხავენ იმასაც, რომ აფსილთა ნაწილი შესაძლოა ჩარჩა მდ. კოდორის აღმოსავლეთითაც²⁵. ქ. ცხუმი VIII ს. დამდეგიდან მაინც უკვე ითვლებოდა არა სანიგთა, არამედ აფშილთა ქალაქად.

ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში არავითარ ეჭვს არ იწვევდა დასკვნა იმის შესახებ, რომ აფსილ-აფშილები და აბაზგ-აფხაზები თანამედროვე აფხაზთა წინაპრები იყვნენ. XX ს. 50-იანი წლებიდან ვითარება რამდენადმე შეიცვალა, როდესაც ცნობილი ქართველი მეცნიერი-ფილოლოგი პავლე ინგოროყვა შეეცადა გადაესინჯა ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული ეს თვალსაზრისი და გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების აბაზგ-აფსილები ქართველურ ტომებად გამოაცხადა²⁶. მაგრამ ქართულმა ისტორიოგრაფიამ და, პირველ რიგში, მისმა მაშინდელმა ლიდერმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა არ გაიზიარა პ. ინგოროყვას მტკიცებანი და აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხში ტრადიციულ თვალსაზრისზე დარჩა²⁷. ამავე დროს, პ. ინგოროყვას შეხედულებას კრიტიკულად შეხვდნენ აფხაზი მეცნიერებიც (ზ. ანჩაბაძე, ხ. ბლაჟუბა, მ. ტრაპში, შ. ინალ-იფა და სხვ.).²⁸ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული ისტორიოგრაფიის პოზიცია არაერთხელ დაფიქსირდა 50-80-იან წლებში გამოცემულ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სხვა განმაზოგადებელი ხასიათის გამოცემებში, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა გამოვყოთ: „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის (მთ. რედაქტორი აკად. ნ. ბერძენიშვილი); „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები“ (მთ. რედაქტორი გ. ძიძარია) და, რაც მთავარია, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“-ს რვატომეული (მთ. რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი), რომლებშიც არ გამხდარა სადავო აბაზგ-აფსილთა აფხაზურ-ადილეური ეთნიკური წარმომავლობა.

უკანასკნელ პერიოდში ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი დიდი მონდომებით ცდილობს პ. ინგოროყვას თვალსაზრისის რეანიმირებას, თუმცა ეს მცდელობა, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის დიდი ავტორიტეტისა, წარუმატებლად უნდა ჩაითვალოს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას ჯერჯერობით არ გააჩნია მყარი არგუმენტები აბაზგ-აფსილთა აფხაზურ-ადიღეური წარმომავლობის უარსაყოფად.

აბაზგ-აფსილთა ეთნიკური იდენტიფიკაციის საკითხზე მსჯელობისას საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ ეთნონიმების „აბაზგი“-„აფხაზი“-„აბაზა“-სა და „აფსილი“-„აფსარი“-„აფსუა“-ს ტერმინოლოგიური ურთიერთმიმართების პრობლემას. მეცნიერებაში (ქ. ლომთათიძე, ო. კახაძე, ე. ოსიძე, თ. გვანცელაძე და სხვ.²⁹) დიდი ხნის მანძილზე არავითარ ეჭვს არ იწვევდა ეთნონიმების „აბაზგი“, „აფხაზი“-სა და „აბაზა“-ს იდენტურობა. ამ უკანასკნელთან აკავშირებდნენ ეთნონიმ „აფსუა“-საც (თანამედროვე აფხაზთა თვითსახელწოდება), რომელსაც ფონეტიკურ კანონზომიერებათა შესაბამისად, ტერმინ „აბაზა“-დან წარმოებულად მიიჩნევენ³⁰. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს სერიოზული ეჭვი გამოითქვა ეთნონიმების „აბაზგი“-სა და „აბაზა“-ს იდენტურობის მიმართ. გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის აკად. თ. გამყრელიძის აზრით, „აბაზა“ და „აბაზგი“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფორმებია. ამასთან, ბერძნული ფორმა „აბაზგი“ წარმოებულია ქართული „აფხაზი“-საგან, რომელშიც მეცნიერი გულისხმობს არა აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომს, არამედ რომელიღაც ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს³¹.

პარალელურად, ამ ბოლო დროს, ასევე ეჭვქვეშ დადგა ეთნონიმების „აფსილი“, „აფსარი“-სა და „აფსუა“-ს იდენტურობის საკითხიც. აკად. დ. მუსხელიშვილის აზრით, „აფსილი“ არ უნდა იყოს „აფსუა“-ს ეკვივალენტი და მათში (ე. ი. „აფსილებში“) უნდა ვიგულისხმოთ არა აფსუა-აფხა-

ზები, არამედ ქართველური ტომები³². მაგრამ, ამავე დროს, მეცნიერი არ უარყოფს ეთნონიმების „აფსარი“-სა და „აფსუა“-„აბაზა“-ს იდენტურობას, რომელთაც აფხაზურ-ადიღეურ ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებს³³.

ადრეული შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (კოდორის ხეობაში, წებელდის ზემოთ) მოიხსენებიან მისიმიანები, რომელთაც სრულიად დამაჯერებლად მიიჩნევენ ქართველურ (სვანურ) ტომებად. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ბერძნული „მისიმიანი“ აშკარად წარმოადგება სვანთა თვითსახელწოდება „მუშვან“-ისაგან. რაც შეეხება ცალკეულ აფხაზ მკვლევართა მცდელობებს, მისიმიანები (ისევე, როგორც სანიგ-ჰენიოხები) მოწყვიტონ ქართულ ეთნიკურ სამყაროს და ისინიც აფხაზურ ტომებად გამოაცხადონ, მათ მეცნიერულ ლოგიკასთან არაფერი აქვთ საერთო და მთლიანად ნაციონალისტურ-სეპარატისტული კონიუნქტურითაა ნაკარნახევი.

ახ.წ. I ათასწლეულის დამდეგიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ვხვდებით ლაზებსაც, რომლებიც ძირითადად განსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ აფხაზეთის სამხრეთ რაიონებში, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ლაზები ნაწილობრივ თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილშიც ცხოვრობდნენ. ამასთან დაკავშირებით, მკვლევართა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ერთ-ერთ ძველ ბერძნულ წყაროში გვხვდება ტოპონიმი „ძველი ლაზიკა“, რომელსაც სპეციალისტები (დ. მუსხელიშვილი) თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ნეგოფსუხოს შესართავთან მოიაზრებენ³⁴.

ამრიგად, მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენი დაკვირვებები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (ანუ თანამედროვე აფხაზეთის) ეთნიკურ სიტუაციაზე ძვ.წ. I და ახ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის მანძილზე, შესაძლებელი ხდება საკმაოდ

მკაფიო სურათის წარმოდგენა. დაახლ. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან, როდიდანაც ხერხდება მოცემულ საკითხზე კონკრეტული წერილობითი ინფორმაციის მოძიება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორია ეკავათ მხოლოდ კოლხურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ქართველურ ტომებს: კოლებს, კორაქსებს, საკუთრივ კოლხებს, ჰენიოხებს, შესაძლოა, „მოსხ“-მესხებსაც. ამასთან, „კოლხებს“ კრებითი მნიშვნელობაც ჰქონდა და არაა გამორიცხული, რომ მათში ზოგიერთი არაქართველური (შესაძლოა, აფხაზურ-ადილეური) ტომიც იგულისხმებოდა. ახ.წ. I-II საუკუნეებიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან ახალი ტომები: სანიგები (ძვ.წ. II ს.-დან), აფსილები, აბაზგები, მოგვიანებით მისიმიანები. აღნიშნული ტომებიდან სანიგთა და მისიმიანთა, ისევე როგორც ლაზების, რომლებიც ამ დროს ასევე იყვნენ განსახლებულნი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, როგორც სამხრეთ, ისე, შესაძლოა, ჩრდილოეთ ნაწილშიც, ქართველური წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება აფსილ-აბაზგებს, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, რომელსაც ჩვენც მთლიანად ვუჭერთ მხარს, ისინი თანამედროვე აფხაზ-აფსუათა უშუალო წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „აფსილ-აბაზგებს“ თავდაპირველად (ახ.წ. I-II სს.) ეკავათ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (დაახლ. მდ. ლალიძგიდან მდ. კელასურამდე), რეგიონის ძირითად მოსახლეობას კი უდავოდ ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) ტომები: ლაზები, სანიგები და მისიმიანები შეადგენდნენ.

**UOÄÉËÏ -ÄÄÖÄËÄÈ ÈÏ ÈÄÄÈÉÓ ÐÏ ÈÉÖÈÉÖÖ-ÖÄÄÄÈÏBÉ-
xÏ ÄÄÖÈÄÉ ÉÄÖ-ÖÄÄÄ.** ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უძველესი დროიდან ქართული

(კოლხურ-ლაზური) სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაწილი იყო. პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები საქართველოს ტერიტორიაზე სულ ცოტა ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან მაინც ივარაუდება. სწორედ ამ ეპოქას განეკუთვნება უძველესი წერილობითი ინფორმაცია (ასურული ლურსმული ტექსტების ცნობები) დაიანისა (ურარტული წყაროების დიახნი) და კილხის (კულხას) გაერთიანებების შესახებ, რომელშიც თითქმის დოკუმენტურად აირეკლა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა. მკვლევრები სულ უფრო დამაჯერებლად საუბრობენ ამ პოლიტიკურ წარმონაქმნთა, განსაკუთრებით კი კულხა-კოლხას „სამეფოს“ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საკმაოდ მაღალ ხარისხზე, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ძვ.წ. VIII ს. ერთ-ერთ ურარტულ ლურსმულ წარწერასა და აგრეთვე ძველ ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში.

დაახლოებით ძვ.წ. VII-VI სს.-დან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი კოლხური გაერთიანების ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – კოლხეთის სამეფო, რომლის სათავეში, ძველი ბერძნული მონაცემებით, კოლხთა ლეგენდარული მეფის – აიეტის შთამომავლები იდგნენ. ამ სახელმწიფოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, მკვლევართა თითქმის ერთსულოვანი აზრით, სადღაც თანამედროვე ტუაფსეს მიდამოებშია საძიებელი (იქ, სადაც ივარაუდება გეოგრაფიული პუნქტის – „ძველი ლაზიკის“ არსებობა). ამდენად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შედიოდა კოლხეთის სამეფოს ფარგლებში და, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს აკად. დ. მუსხელიშვილი, ეთნიკურად და ტერიტორიულად კოლხური სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა³⁵. რაც შეეხება მოარულ აზრს იმის შესახებ, თითქოს ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე

უკვე არსებობდა საკუთრივ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ქადაგებენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები³⁶, ჭეშმარიტ მეცნიერებასთან ნამდვილად არაფერი აქვს საერთო და ის მთლიანად მათი ფანტაზიის ნაყოფია.

ძვ.წ. I საუკუნის დამდეგისათვის კოლხეთი უკვე არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ თავის დროზე კოლხთა მეფის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულმა სხვადასხვა ტომებმა ამ პერიოდში დროებით მოიპოვეს დამოუკიდებლობა³⁷. ამ დროს ისტორიული კოლხეთის ტერიტორია პონტოს მრისხანე მეფის მითრიდატე VI ევპატორის კონტროლქვეშ მოექცა, ხოლო ძვ.წ. 65 წლიდან აქ რომაელთა ჰეგემონობა დამყარდა. ახ.წ. I-III სს. კოლხეთის ტერიტორიაზე ოფიციალურად გაფორმდა რამდენიმე ეთნო-პოლიტიკური წარმონაქმნი: მაკრონებისა და ჰენიოხების, ლაზების, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების „სამეფოები“. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მოექცა ნაწილობრივ ლაზების „სამეფოს“ (დაახლ. მდ. ლალიძგამდე), ნაწილობრივ კი – აფსილებისა და აბაზგების „სამეფოთა“ (დაახლ. მდ. ლალიძგიდან მდ. კელასურამდე), აგრეთვე სანიგების „სამეფოს“ შემადგენლობაში. საკუთრივ ეს „სამეფო“ მოიცავდა ტერიტორიას დიოსკურია-სებასტოპოლისიდან, ანუ ცხუმი-სოხუმიდან ვიდრე სოჭი-ტუაფსეს რეგიონამდე³⁸. ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ლაზებისა და სანიგების, რომელთა ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) ეთნიკური წარმომავლობა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეჭვს არ იწვევს, სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს ეკავა. მოგვიანებით, VI საუკუნისათვის გაჩნდა კიდევ ერთი ქართული (სვანური) გაერთიანება – მისიმიანეთი, რომელსაც ეკავა კოდორის ხეობის ჩრდილოეთი სექტორი. საკუთრივ აფხაზურ ეთნოპოლიტიკურ გაერთიანებებად მხოლოდ აფსი-

ლებისა და აბაზგების „სამეფოები“ შეიძლება განვიხილოთ.

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული „სამეფოები“ წარმოადგენდნენ ადრეკლასობრივ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს, რომელთაც რომის იმპერიის მიერ დამტკიცებული ადგილობრივი დინასტიები („მეფეები“) მართავდნენ. დაახლოებით ახ.წ. IIIს.-დან რომის იმპერატორთა მხარდაჭერით თანდათანობით გაძლიერება დაიწყო ლაზების „სამეფომ“, რომელმაც IVს. მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთიც, მოიცვა და საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად იქცა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკური სამყარო ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ერთმნიშვნელოვნად განიხილავდა როგორც ძველი კოლხური სამეფოს სამართალმემკვიდრეს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კვლავ რჩებოდა ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად, თუმცა „აბაზგია“-„აფხაზეთის“ (ამ პერიოდში მოიცავდა მდ. გუმისთასა და ბზიფს შორის ტერიტორიას) მმართველები გარკვეული სუვერენიტეტით სარგებლობდნენ და ფაქტობრივად მხოლოდ ნომინალურად ცნობდნენ ლაზიკის მეფეთა უზენაესობას. რაც შეეხება „აფსილია“-„აფშილეთს“, „აბაზგია“-„აფხაზეთისაგან“ განსხვავებით, ის ადმინისტრაციულად უშუალოდ ლაზიკა-ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მას ლაზიკის სამეფო ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელე მართავდა. ცნობილია, რომ ერთ-ერთი ასეთი მოხელე თრდატი – „წარჩინებული ლაზი“, რომელიც VIIს. შუა ხანებში ლაზიკის მეფე გუბაზ II-ს მიერ იყო დანიშნული მეფისნაცვლად აფსილია-აფშილეთში, განუდგა ცენტრალურ ხელისუფლებას და სპარსელების მხარეს გადავიდა. მაგრამ გუბაზ II-მ, ბიზანტიელთა აქტიური მხარდაჭერით, შეძლო წესრიგის დამყარება განდგომილ მხარეში და აფსილ-აფშილები კვლავ „ლაზების ქვეშევრდომობაში“ მოექცნენ³⁹.

V-VI სს. ბიზანტიის იმპერია ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე შეეჩერებინა ლაზიკა-ეგრისის მეფეთა სწრაფვა სრული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად და ამ მიზნით აბაზგია-აფხაზეთის მმართველებს უპირისპირებდა ლაზიკის ცენტრალურ ხელისუფლებას. შედეგად, VI ს. I ნახევარში აბაზგია-აფხაზეთი ფაქტობრივად გამოყვანილი იქნა ლაზიკა-ეგრისის იურისდიქციიდან და უშუალოდ იმპერიის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა. შესაძლოა, ამ პერიოდში (VI ს. I ნახ.) ბიზანტიის ხელისუფლებამ აბაზგია-აფხაზეთი ლაზიკა-ეგრისს ეკლესიურადაც ჩამოაცილა და იქ ლაზიკის სამიტროპოლიტოსაგან დამოუკიდებელი ეპარქია შექმნა. ამ თვალსაზრისით უდავოდ იპყრობს ყურადღებას ბიზანტიელ ისტორიკოსთა მიერ საგანგებოდ შენიშნული ფაქტი სამისიონერო მოღვაწეობის განსაკუთრებული გააქტიურებისა აბაზგია-აფხაზეთში იმპერატორ იუსტინიანე I-ის მმართველობის პერიოდში (527-565 წწ.).⁴⁰ ამან და კონსტანტინოპოლის მიერ ლაზიკა-ეგრისში გატარებულმა გამოკვეთილმა იმპერიულმა პოლიტიკამ საზოგადოდ უკიდურესად გააღიზიანა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს მესვეურები, რომლებმაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მომძლავრებული ირანის მხარდაჭერით, მონღოლმეს ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევა. მაგრამ ბიზანტია-ირანის 20-წლიანმა „დიდმა ომიანობამ“ ეგრისში ლაზიკის სამეფოს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. ამ ომმა არათუ არ შეუწყო ხელი ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს პოლიტიკურ კონსოლიდაციას, არამედ, პირიქით, წელში გატეხა ქვეყანა და ახალი იმპულსი მისცა ლაზიკის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შემდგომ რღვევას.

VII ს. II ნახევარსა და VIII ს. I ნახევრის მანძილზე ბიზანტიის იმპერია სულ უფრო აძლიერებდა თავის ზეწოლას ლაზიკა-ეგრისის ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ყოველნაირად ცდილობდა, შეეზღუდა მისი გავლენა ადგილებზე. მიუხედავად ამისა, VIII ს. შუა ხანებში აფსილია-აფშილეთი

და მისიმიანეთი კვლავ რჩებოდა ლაზიკის ხელისუფლების უშუალო დაქვემდებარებაში. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ბიზანტიელი ავტორის – თეოდოსი განგრელის (VIII ს.) დოკუმენტური დამოწმებით, ლაზიკის მმართველის, რომელიც ამ დროს უკვე არა მეფის, არამედ პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს ატარებდა, ერთ-ერთი რეზიდენცია განთავსებული იყო თანამედროვე მოქვის (ოჩამჩირის რ-ნი) მიდამოებში⁴¹.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთ-მნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის – ე. ი. თანამედროვე აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე უძველესი დროიდან (ძვ.წ. I ათასწლეულიდან მაინც) VIII ს. ბოლომდე ზოგადად ქართული იყო და ეს მხარე, მიუხედავად შესაძლო ეთნიკურ-ტომობრივი სიჭრელისა, კოლხეთ-ლაზიკის ანუ ისტორიული ეგრისის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

თავი III

პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIIIს-ში და „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა

ÄÈÏÏ -ÐÏ ÈÉÔÈÉÖÒÉ ÓÉÔÖÄÝÈÀ ÆÄÓÄÈÄÈ ÓÄØÄÒÈÄÄ-ÈÏ ÛÉ „Ä×áÄÆÈÀ“ ÓÄÏÄ×Ï Ó ΒÄÒÏÏ ØÏÍÉÓ ΒÉÏ (VIIÓ. II ÍÄá-VIIIÓ.). VIს. 40-50-იან წლებში მიმდინარე ბიზანტია-ირანის ოცწლიანმა სამხედრო დაპირისპირებამ დასავლეთ საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, წელში გატეხა ეგრისის სამეფო, რომელმაც თანდათანობით დაკარგა კონტროლი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებზე. VIIს. მთელ მანძილზე ბიზანტიის იმპერია სულ უფრო აძლიერებდა თავის პოლიტიკურ ზეწოლას ეგრისის ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ამის დადასტურებად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ VIIს. შუა ხანებისათვის ლაზიკა-ეგრისში უკვე არ ჩანს სამეფო ხელისუფლება და სახელმწიფოს მართავს პატრიკიოზის ბიზანტიური ტიტულის მატარებელი ადგილობრივი დინასტი. ამ ფონზე გაძლიერებას იწყებს აბაზგია-აფხაზეთი, რომელიც, ფაქტობრივად, გამოსულია ლაზიკის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციიდან და უშუალოდ ექვემდებარება ბიზანტიის ხელისუფლებას. ყოველივე ამან, როგორც ჩანს, უკიდურესად გაამწვავა ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობა. კონფრონტაციამ განსაკუთრებული სიმწვავეით იჩინა თავი VIIIს. მიწურულიდან, როდესაც ეგრისის მმართველი სახლის მეთაური სერგი ბარნუკის ძე განუდგა (697წ.) იმპერიას და ქვეყანა არაბებს ჩააბარა¹. არაბებმა ფეხი მოიკიდეს არა მარტო ეგრისის ცენტრალურ ნაწილში, არამედ ქვეყნის განაპირა რეგიონებშიც შეაღწიეს. ცნობილია, რომ VIIIს. დამდეგს არაბული გარნიზონები განთავსებული იყო კოდორის ხეობის ციხეებში. არაბთა გავლენა გავრცელდა

აბაზგია-აფხაზეთზეც. ბიზანტიის იმპერია არ შეიძლებოდა არ შეეშფოთებინა დასავლეთ საქართველოს დაკარგვას და, როგორც ირკვევა, იმპერიის მესვეურებმა საგანგებო ზომები გაატარეს რეგიონში კონსტანტინოპოლის გავლენის აღსადგენად. სპეციალური მისიით დასავლეთ საქართველოში გამოგზავნილ იქნა ცნობილი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი, მომავალი იმპერატორი ლეონ ისავრიელი, რომელმაც „აფსილთა უპირველესის“ მარინოსის დახმარებით შეაღწია ჩრდილოეთ კავკასიაში, მოისყიდა ალან-ოსები და მათი მეშვეობით მოინდომა „ლაზებისა და აბაზგების დასჯა“.² ლეონ ისავრიელის ვოიაჟმა მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია. მან შეძლო აბაზგების დამორჩილება. სავარაუდოა, რომ ამ დროიდან (VIII ს. 10-იანი წლები) აფსილია-აფშილეთიც ჩამოსცილდა ლაზიკა-ეგრისს. ამით ბიზანტიის იმპერიამ მნიშვნელოვნად შეზღუდა არაბთა სახალიფოს გავლენა დასავლეთ საქართველოზე.

VIII ს. 20-30-იანი წლები აღინიშნა ბიზანტია-არაბების კონფრონტაციის შემდგომი ესკალაციით. ამ დაპირისპირებაში ბიზანტიის მთავარი მოკავშირე იყო ხაზართა ხაკანათი (ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება ქვემო ვოლგისპირეთში, რომელიც, ფაქტობრივად, მთლიანად აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიასაც). ამიერკავკასიაში ანტიარაბული ბლოკის მთავარ დასაყრდენად იქცა ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის სახლი. ქართლის ერისმთავრის (არაბული წყაროთი „მალიქი“-ის) უშუალო ინიციატივით 730 წლის ახლო ხანებში მოეწყო ხაზართა მასშტაბური ლაშქრობა ამიერკავკასიაში ხაკანის ვაჟის ბარჯიკის სარდლობით, რომელმაც არდებილთან გამანადგურებელი დარტყმა აგემა არაბთა მრისხანე სარდალს, ქართლის არაერთხელ დამლაშქრავს – ჯარაჰ იბნ-აბდალლაჰს (ეს უკანასკნელი დაიღუპა კიდეც ამ ბრძოლაში).³ ეს კამპანია, მკვლევართა სავსებით დასაბუთებული ვარაუდით, აშკარად შეთანხმებული იყო ბიზანტიის

ხელისუფლებასთან⁴. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ქართლის ერისმთავარი ამ შემთხვევაში უშუალოდ კონსტანტინოპოლის სანქციით მოქმედებდა. ქართლის ერისმთავრის ამ ღვაწლს უკვალოდ არ ჩაუვლია, ბიზანტიის იმპერიამ, რომელმაც ამ დროისათვის, როგორც ჩანს, მთლიანად აღიდგინა პოზიციები დასავლეთ საქართველოში, დაამხო „მოლაღატე“ ლაზიკის მმართველი სახლი და ქვეყანა სამართავად ქართლის ერისმთავარს გადასცა. ამის ერთგვარი დამოწმება უნდა იყოს ქართველი მემატიანის (ჯუანშერ ჯუანშერიანი) მიერ დაფიქსირებული დასავლეთ საქართველოში VIII ს. 30-იანი წლების შუა ხანებისათვის შექმნილი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა, რომლის მიხედვითაც ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში არ ჩანს ადგილობრივი დინასტი და ლაზიკა-ევრისი ქართლის ერისმთავრის სახელმწიფოს ნაწილად განიხილება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ აღნიშნულ მოვლენებზე თხრობისას მემატიანე პირველად ხმარობს სახელწოდებას „საქართველო“, რომლითაც აღნიშნავს ქართლის ერისმთავრის სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი „საბერძნეთთან“ (ე. ი. ბიზანტიის იმპერიასთან) მოცემულ პერიოდში გადიოდა მდ. კელასურზე და ამ „საბერძნეთის“ ნაწილი იყო აბაზგია-აფხაზეთი, რომელსაც მართავდა „ერისთავი კეისრისა“ ლეონ⁵.

VIII ს. I ნახევრის მოვლენების ამსახველ წყაროებში (კერძოდ, ბიზანტიელი ავტორის თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულებაში⁶) მოხსენიებულია „აფსილთა შორის უპირველესი“ – მარინოსი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, VIII ს. დამდეგს აქტიურად თანამშრომლობდა ბიზანტიის ემისარ ლეონ ისავრიელთან. სწორედ მისმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბიზანტიელი დიპლომატის მისიის წარმატება. მიაჩნიათ, რომ ამ დამსახურებისათვის მარინოსმა იმპერიის ხელისუფლებისაგან პატრიკიოზის ტიტუ-

ლი მიიღო⁷, რაც, თავის მხრივ, აფსილია-აფშილეთის ლაზიკა-ეგრისის იურისდიქციიდან ოფიციალურად გამოსვლის ერთგვარი გამოხატულება იყო. მოგვიანებით, 738-740 წლებში ბიზანტიური წყარო უკვე პატრიკიოზ მარინოსის ვაჟს – ევსტაფისაც ახსენებს, რომელიც არაბ სარდალს სულეიმან იბნ-ასამს დაუტყვევებია⁸. ამის შემდეგ აფსილია-აფშილეთი წყაროებიდან ქრება. ეს ფაქტი სავსებით არგუმენტირებულად მიჩნეულია იმის მანიშნებლად, რომ ამ ეთნო-პოლიტიკურმა გაერთიანებამ არსებობა შეწყვიტა და ის გაძლიერებულ აბაზგია-აფხაზეთს შეერწყა. ამავე დროს გამოითქვა მოსაზრება (ზ. ანჩაბაძე) იმის შესახებაც, რომ ამ პერიოდში დასრულდა აფსილ-აფშილების აბაზგ-აფხაზეთთან ინტეგრაციისა და ერთიანი აფხაზი ხალხის ფორმირების პროცესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სხვა ტომებმაც: სანიგებმა და მისიმიანებმა⁹.

ის, რომ VIII ს. შუა ხანებისათვის ადგილი ჰქონდა აფხაზეთში მოსახლე ტომთა გარკვეულ ეთნიკურ კონსოლიდაციას აბაზგ-აფხაზთა გარშემო, ეჭვს მართლაც არ უნდა იწვევდეს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ პროცესს ნამდვილად არ მოჰყოლია ერთიანი აფხაზი ფეოდალური ხალხის (ზ. ანჩაბაძის გამოთქმით, „анхазская феодалная народность“) ფორმირება თავისი გამოკვეთილი ეთნოკულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტით, რომლის ბაზაზე თითქოს შეიქმნა აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო – „აფხაზთა“ სამეფო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, პირველ რიგში, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის შრომებში მოცემულია ამ თვალსაზრისის საფუძვლიანი კრიტიკა და მეცნიერულად ახსნილია, თუ რატომ ვერ მოხერხდა VIII ს.-ში ერთიანი აფხაზი ხალხის ფორმირება¹⁰. უკანასკნელ ხანს ამ საკითხს სპეციალურად შეეხო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პრო-

ფესორი ნ. ლომოური, რომელმაც სრული მეცნიერული დამაჯერებლობით დაასაბუთა, რომ VIII-IXსს-ში არ იყო ობიექტური პირობები აფხაზური ტომების ერთიან აფხაზ ხალხად ჩამოყალიბებისათვის. უფრო მეტიც, ამ დროს მოხდა ამ ტომების ინტეგრაცია ერთიან ქართველ (ფეოდალურ) ხალხში¹¹. ეს რომ ნამდვილად ასე იყო და არა სხვანაირად, ამის აშკარა მაჩვენებელია სწორედ ე.წ. „აფხაზთა“ სამეფოს მთელი ისტორია, რომელიც, როგორც ცნობილია, იყო არა აფხაზური „ნაციონალური“ სახელმწიფოებრივი გაერთიანება, როგორც დღეს ეს წარმოუდგენიათ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევარებს, არამედ ქართული სახელმწიფო, რომელშიც ქართველებთან (მეგრელ-ჭანები, სვანები, ქართველები) ერთად, ბუნებრივია, აფხაზური ტომებიც ცხოვრობდნენ. სწორედ ამ „აფხაზთა“ სამეფოში, გამოჩენილი აფხაზი მეცნიერის ზურაბ ანჩაბაძის მოსწრებული თქმით, დაირწა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აკვანი.

VIII-Xსს.-ში ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების, მათ შორის „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორია ფუნდამენტალურადაა დამუშავებული ისტორიოგრაფიაში. ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ზ. ანჩაბაძის, მ. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილის და სხვა მკვლევართა შრომებში ძირფესვიანადაა გამოკვლეული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა კარდინალური საკითხი და დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების როლი და ადგილი საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. რასაკვირველია, ჩვენი ნაშრომის ხასიათი ნამდვილად არ იძლევა იმის საშუალებას, სრულად გავაშუქოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც ცნობილია „აფხაზთა“ სამეფოს სახელწოდებით, აფსუა-აფხაზთა ეროვნულ სახელ-

მწიფოდ და რატომ ვაცხადებთ მას ასე კატეგორიულად ქართულ სახელმწიფოდ. შევეცდებით მხოლოდ, მოკლედ წარმოვაჩინოთ ის პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ცალსახად და ზუსტად შეიძლება განვსაზღვროთ „აფხაზთა“ სამეფოს ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახე. მაგრამ, პირველ რიგში, შევეხოთ საერთო პოლიტიკურ ფონს, რომელიც წინ უძღოდა „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნას.

VIII ს. მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა. უძველესი ქართული სახელმწიფოების – კოლხეთი, ლაზიკა-ეგრისისა და ქართლი-იბერიის – ნანგრევებზე აღმოცენდნენ ცალკეული სამეფო-სამთავროები: კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, „აფხაზთა“ სამეფო. ცალკე ჩამოყალიბდა თბილისის საამირო. ეს ცვლილებები უმთავრესად საგარეო პოლიტიკური ფაქტორებით, კერძოდ, ამიერკავკასიაში ბიზანტია-არაბთა სახალიფოს დაპირისპირებით იყო განპირობებული. აპოგეას ამ კონფრონტაციამ VIII ს. 30-იან წლებში მიაღწია, როდესაც მთელი საქართველო მრისხანე არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამადის (მურვან „ყრუს“) დამანგრეველი ლაშქრობების არენად იქცა. ვინაიდან ამ მოვლენის შემდეგ არსებითად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა, რომელმაც ხელსაყრელი ფონი შექმნა აფხაზეთის ერისთავის შემდგომი პოლიტიკური აღზევებისათვის მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასზე შედარებით ვრცლად შეჩერება.

ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, ჯუანშერ ჯუანშერიანის მატეიანემ და „დავითისა და კონსტანტინეს წამებაში“ შემოგვინახეს დასავლეთ საქართველოში მურვან „ყრუს“ ლაშქრობის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამხედრო კამპანიის შესახებ არაფერს გვატყობინებენ არაბული წყაროები, რომლებიც საზოგადოდ კარგად იცნობენ მურვან იბნ-მუჰამადის მოღვაწეობას კავკასი-

აში, ქართველ მკვლევართა უმრავლესობას სავსებით საფუძვლიანად არ შეაქვს ეჭვი ქართული წყაროების მონაცემების სანდოობაში და აღიარებს მურვან „ყრუს“ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის რეალურობას. ამ ლაშქრობის დროს არაბმა სარდალმა, ჯუნშერ-ჯუანშერიანის ცნობით, „შევლო... კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა... შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა“,¹² რომელიც ამ დროს „აფხაზეთის ერისთავის“ ლეონის რეზიდენცია იყო და, რომელსაც თავი შეაფარეს ქართლიდან გამოქცეულმა ერისმთავრებმა მირმა და არჩილმა.

ანაკოფიის ციხის მისადგომებთან მოხდა შეტაკება მურვან „ყრუს“ 35-ათასიან ლაშქარსა და ქართლელთა და აფხაზეთა გაერთიანებულ მხედრობას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ ქართულ წყაროებში არ არის ერთიანი აზრი ანაკოფიის ბრძოლის შედეგზე, თუმცა ორივე წყარო აღნიშნავს, რომ მურვან „ყრუს“ ანაკოფია არ დაუკავებია, ხოლო მესამე წყარო – „არჩილის წამება“ – ცალსახად მხარს უჭერს ჯუანშერ ჯუანშერიანს და ასევე აფიქსირებს „დაცემასა (ე.ი. დამარცხებას – *A.D.*) მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა“.¹³ ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, მურვან „ყრუს“ ლაშქრობამ ვერ განამტკიცა არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში და მათ, როგორც ჩანს, მოუხდათ აქაურობის დატოვება. ანაკოფიის ბრძოლის პერიპეტეებთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ ფაქტზეც. არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართლელთა და აფხაზეთა გაერთიანებულ ლაშქარს (რომელშიც 2000 აფხაზი და მხოლოდ 1000 ქართლელი იყო) ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი სარდლობდნენ, „აფხაზეთის ერისთავი“ ლეონი კი, როგორც ჯუნშერ ჯუანშერიანი მიუთითებს, ამ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ანაკოფიაში და „შესრულ იყო ციხესა შინა სობლისასა, რო-

მელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“.¹⁴ სავარაუდოა, რომ ლეონის იქ ყოფნა საერთო სამხედრო გეგმის ნაწილი იყო. როგორც ჩანს, აფხაზეთის ერისთავს კავკასიონის გადმოსასვლელების დაცვა ჰქონდა დავალებული.

მურვან „ყრუს“ ლაშქარზე გამარჯვებას ქართული საისტორიო ტრადიცია, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ უკავშირებს გარკვეულ ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. ამ დროს ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის სახლი ოფიციალურად აღიარა საერთოქართული პოლიტიკური სამყაროს მეთაურად და ამის ნიშნად „წარმოსცა (ბიზანტიის კეისარმა – **A.D.**) ორი გვირგვინი... მირსა და არჩილს“¹⁵ და ისინი გაერთიანებული ქართლი-ეგრისის მეფეებად გამოაცხადა. „ერისთავს კეისრისა“ ლეონს კი იმპერატორმა აფხაზეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცა და ამასთან, უბრძანა მას, „კეთილად პატივს სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა. მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით“.¹⁶ ბიზანტიის იმპერატორის ეს ბრძანება გახდა საფუძველი ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ შემდგომი დაახლოებისა ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლთან, რომლის სათავეში ანაკოფიის ბრძოლაში დაჭრილი მირის გარდაცვალების შემდეგ მისი უმცროსი ძმა არჩილი მოექცა. ეს ალიანსი დინასტიური ქორწინებით დაგვირგვინდა. ლეონი დაქორწინდა მირის ერთ-ერთ ასულ გუარანდუხტზე და ამით ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მაგრამ აფხაზეთის ერისთავი უფრო შორს წავიდა, მან დიპლომატიურად უარი თქვა არჩილის მიერ საჩუქრად შემოთავაზებულ ტერიტორიულ შენაძენზე და თავი მის ვასალად გამოაცხადა („შემრთე მეცა მონათა შენთა თანა“). უფრო მეტიც, ლეონმა თავისი სამკვიდრებელიც (ე. ი. აფხაზეთი) არჩილს გადასცა („არა მინ-

და ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“). ამის სანაცვლოდ შორსმჭვრეტელმა „აფხაზეთის ერისთავმა“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპენსაცია მიიღო: მას გადაეცა „სამეფო გვირგვინი“, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა მის სიმამრს მირს გამოუგზავნა. ამით ლეონ ერისთავი ერთბაშად იქცა წამყვან პოლიტიკურ ფიგურად საერთოქართული მასშტაბით, ფაქტობრივად მეორე პირად სახელმწიფოში. ასე დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი აფხაზეთის ლიდერის პოლიტიკურ კარიერაში.

ამრიგად, VIII ს. 30-იანი წლებიდან საქართველოში იქმნება სრულიად ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამ დროიდან მაინც, მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, მდ. კელასურს იქითა მხარის – აფხაზეთის – ჩათვლით, იურიდიულად ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექცა, რომლის სათავეში ქართლის ერისმთავრის სახლი იდგა. „აფხაზეთის ერისთავი“ ლეონი ნებაყოფლობით შევიდა ამ საერთოქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროში თავისი სიმამრის – ქართლის „მეფის“ მირის პოლიტიკური მემკვიდრის სტატუსით. შემდგომ ლეონის სახლმა მოხერხებულად გამოიყენა რა თავისი ხელსაყრელი ლეგიტიმური მდგომარეობა, დაიწყო ბრძოლა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით თავისი ჰეგემონობის დასამყარებლად და სულ მალე მიაღწია კიდევ დასახულ მიზანს. VIII ს. 80-იანი წლებისათვის, იოვანე საბანისძის დოკუმენტური დამოწმებით, აფხაზეთის მთავარი (და არა ერისთავი) უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს სრულუფლებიანი ხელმწიფე იყო, ხოლო თვით ეს ქვეყანა (უწინდელი ეგრისი) საერთოდ „აფხაზეთად“ იწოდებოდა.

„Α×άΑΕÈÀ“ ΟΑÌÀ×Ì Ó ΒΑΘÌÌ ΘÌÌÀ ÆÀ ÌÉΘÉ ÆÈÌÌ -ÈΘÈ-
ΟΘÒΘÈÈ ÆÀ ΘÌ ÈÈΘÈÈΘÒ-ΘΑáΑÈÌΒÉ×Ì ΑΑΘÈÁÉ ÈΑΘ-ΘΑáÀ. VIII ს.
მიწურულს „აფხაზეთის ერისთავთა“ სახლის წარმომადგე-

ნელმა ლეონ II-მ, ლეონ I-ის ძმისწულმა, რომელიც ამავე დროს „ასულისწული იყო ხაზართა მეფისა“, ისარგებლა რა „ბერძენთა მოუძღვრებით“, განუდგა მათ (ეს მოხდა ხაზართა მხარდაჭერით) „და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“ და „სახელიდგა მეფე აფხაზთა“.¹⁷ ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ დასავლურქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, რომელიც მმართველი დინასტიის წარმომავლობის გამო „აფხაზთა“ („აფხაზეთის“) სამეფოს სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. პირველი, რაც ამ საკითხზე მსჯელობისას იქცევს მკვლევართა საგანგებო ყურადღებას, არის ის გარემოება, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია („მატიანე ქართლისაჲ“) ამ მოვლენას ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლი-ეგრისის „სამეფო“ (სტეფანოზ-არჩილის) სახლში შექმნილ დინასტიურ კრიზისს. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის ცნობით, ლეონ II-ის მიერ მეფის ტიტულის მიღება განაპირობა იმან, რომ იმ დროისათვის „მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულიყო ჯუანშერი. და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა“.¹⁸ სრულიად აშკარაა, რომ ამით ქართული მატიანე, რომელიც, სხვათა შორის, წარმოადგენს ამ მოვლენის ამსახველ ერთადერთ წერილობით წყაროს, თითქოს ცდილობს ხაზი გაუსვას ლეონ II-ის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური დინასტიის, გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლის კანონიერებას.

მაგრამ ეგრის-აფხაზეთის ახალი ლიდერის მიერ მეფის ტიტულის მიღება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ შინაპოლიტიკური აქტი, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობდა ქართლი-ეგრისის მმართველი საგვარეულოს შიგნით შექმნილი დინასტიურ-პოლიტიკური სიტუაციიდან. ეს, პირველ რიგში, და უმეტესწილადაც, ხელსაყრელმა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა. შემთხვევითი არ არის, რომ ლეონ II-ის მიერ საკუთარი პერსონის მეფედ

გამოცხადებას ქართველი მემკვიდრე ბიზანტიის იმპერატორთან ურთიერთობის გაწყვეტას და მისგან განდგომას უკავშირებს. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შუა საუკუნების ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს ზედმიწევნით ზუსტად ესმოდათ, რომ ამა თუ იმ ქართველი მოღვაწის მიერ მეფის ტიტულის მიღება განპირობებული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური სტატუსით და რომ საერთაშორისო კონიუნქტურა ყოველთვის არ აძლევდა მათ უფლებას, ეტარებინათ ეს ტიტული. ყველაზე მკაფიოდ ეს ასახულია ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში, რომელშიც ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ I-ის სტატუსი შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ჳადოდეს“.¹⁹ ე. ი. მეფის ტიტულის მიღება უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნის მიერ საგარეო პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას. სწორედ ამიტომ, რომ ლეონ II-მ მხოლოდ მას შემდეგ გამოაცხადა თავი მეფედ, როდესაც ხაზართა დახმარებით ის „გაადგა ბერძენთა“ და სუვერენულ დინასტიად იქცა.

ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ზუსტადაა გამორკვეული „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის საგარეო პოლიტიკური ფონი. აკად. სიმონ ჯანაშიას საკვებით არგუმენტირებული დავირვებით, ლეონ II-ის მიერ ბიზანტიის სუვერენიტეტზე უარის თქმა და მეფის ტიტულის მიღება დაემთხვა პოლიტიკურ კრიზისს იმპერიაში, რომელიც გამოწვეული იყო VIII ს. მიწურულს კონსტანტინოპოლში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებით. 797 წლის ახლო ხანებში შეთქმულების შედეგად ტახტიდან ჩამოაგდეს იმპერატორი კონსტანტინე VI – ხაზართა ხაკანის შვილიშვილი (თუ დისწული). აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ამ ფაქტს ნეგატიური გამოხმაურება უნდა მოჰყოლოდა ხაზარეთში²⁰. არაა გამორიცხული, რომ ხაზართა ხაკანმა სწორედ ამის გამო და-

უჭირა მხარი (თუ საერთოდ ინსპირირება არ მოახდინა) „აფხაზეთის ერისთავის“, ასევე თავისი შვილიშვილის (თუ დისწულის) და ამავე დროს ჩამოგდებული იმპერატორის ახლო ნათესავის – ლეონ II-ის ანტიბიზანტიურ დემარშს.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, იმის გამო, რომ ლეონ II-მ თავის თავს „აფხაზთა“ მეფე უწოდა, მისი სახელმწიფო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, განსაკუთრებით, მის ფარგლებს გარეთ, „აფხაზთა“ სამეფოს, ან უბრალოდ, „აფხაზეთის“ სახელით იყო ცნობილი. აქვე, საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ უცხოურ წყაროში (მაგ. X ს. სომეხი ისტორიკოსის იოვანე დრასხანაკერტცის თხზულებაში) „აფხაზთა“ მეფე „ეგრისის“ („ეგერთა“) მეფედაც მოიხსენიება²¹, რაც იმის მანიშნებელია, რომ მეზობელ ქვეყნებში იმ პერიოდში საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანას ეწოდა VIII ს. მიწურულიდან „აფხაზეთი“. საკუთრივ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ მოგვცა ზუსტი განმარტება, თუ როდის და რატომ ეწოდა ისტორიულ ეგრისს აფხაზეთი. აი, რას წერს ამის შესახებ შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნების გიგანტი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის კლასიკურ ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი, რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თუსთა ხუდა წილად ქუეყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ (ე. ი. სტეფანოზ-არჩილის სახლის – **A.D.**) გარდავლინებამდე. ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს... ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თუსსა, და მოიღო საერისთოსა თუსსა სახელი

ეგრისსა ზედა“.²² თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვახუშტი ბატონიშვილის ამ განმარტებიდან გამომდინარე, „აფხაზთა“ სამეფოს ხშირად „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოსაც უწოდებენ²³. ჩვენი აზრით, ეს მთლად გამართლებული არ არის, ვინაიდან გაუთვითცნობიერებელმა მკითხველმა იგი შეიძლება გაიაზროს არა როგორც „ეგრისი“=„აფხაზეთს“, ანუ ახალ ერთიან დასავლურქართულ სახელმწიფოს, არამედ ორი ქვეყნის („ეგრისი“+„აფხაზეთი“) შერწყმის შედეგად მიღებულ რაღაც ქართულ-აფხაზურ „ფედერაციულ“ გაერთიანებას.

ის ფაქტი, რომ ლეონ II-მ თავის თავს „აფხაზთა“ მეფე უწოდა, ხოლო აქედან გამომდინარე, მის სახელმწიფოსაც „აფხაზთა“ სამეფო ანუ „აფხაზეთი“ დაერქვა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „აფხაზეთის ერისთავმა“ მოახდინა ეგრისის ანექსია, შეუერთა ის თავის აფხაზეთს და შექმნა ახალი აფსუა-აფხაზთა ნაციონალური სახელმწიფო, რომელსაც თითქოს არაფერი არ აკავშირებდა ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, როგორც ეს წარმოუდგენიათ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევრებს²⁴.

თუ ე.წ. „აფხაზური“ დინასტია ისტორიული ლაზიკა-ეგრისის სამეფოში მართლაც მოვიდა, როგორც „გარეშე დამპყრობელი“, რომელმაც ძალით დაიკავა მეზობელი ქვეყნის ტერიტორია და იქაურ ქართულ მოსახლეობას თავს მოახვია მისთვის „უცხო“ აფხაზურ-აფსუური სახელმწიფოებრიობა, მაშინ სრულიად გაუგებარი რჩება, რატომ მიიღო შუა საუკუნეების ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცნობიერებამ „აგრესიის“ ეს ფაქტი ასე მშვიდად და უმტკივნეულოდ? ხომ საყოველთაოდ ცნობილია (ამისთვის ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ზედაპირული გაცნობაც კი კმარა), თუ როგორ მოწიწებასა და კეთილგანწყობას ამჟღავნებს ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის წარმომადგენლების მიმართ უკლებლივ ყველა ქართველი მწერალი და მემატია-

ნე, რომელსაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია „აფხაზ“ მეფეებთან. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ჩვენს მიერ უკვე ზემოთ ნახსენები „მატიანე ქართლისაჲ“-დ წოდებული ქრონიკა, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს ერთადერთ წერილობით წყაროს, რომელშიც გადმოცემულია „აფხაზთა“ სამეფოს მეტ-ნაკლებად სრული ისტორია. განა ვინმე შეიძლება დაეჭვდეს იმაში, რომ „მატიანე ქართლისაჲ“, გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი (XII ს. 70-იანი წლები) თხზულება, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ხაზს ვუსვამთ – ოაოეოეე (და არა აფსუურ-აფხაზური), კონიუნქტურის ამსახველი ნაწარმოებია, დაუშვებდა იმ „აფხაზ“ მეფეთა „ქებათა-ქებას“, რომლებიც ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსის (მ. გუნბა და სხვ.) სრულიად უსაფუძვლო მტკიცებით, თურმე კი არ აერთიანებდნენ საქართველოს, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, იპყრობდნენ მას.

ერთადერთი ახსნა ქართველ მწერალთა და მემატიანეთა ლოიალობისა და კეთილგანწყობისა „აფხაზი“ მეფეების ე.წ. „დამპყრობლური“ პოლიტიკისადმი შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რომ ისინი მათში „უცხოელ დამპყრობლებს“ კი არ ხედავდნენ, არამედ ისეთივე ქართველ ლიდერებს, როგორაც მიაჩნდათ, მაგალითად, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრიობა „აფხაზთა“ სამეფოს ცალსახად განიხილავდა, როგორც საერთო ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს ნაწილს, რომელშიც დაწინაურდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტია.

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი ლეონ II-ისა და მისი წინაპრების ეთნო-ტომობრივი წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით. თავის დროზე ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, მართალია, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პირველი „აფხაზი“ მეფე-

ები ბერძნულ სახელებს ატარებდნენ, მაგრამ მათი ეთნიკური წარმომავლობის საკითხი უპასუხოდ დატოვა²⁵. კაკასიის სიძველეთა ცნობილმა რუსმა მკვლევარმა პ. უვაროვამ კი ლეონ II-ის წინაპრები ერთმნიშვნელოვნად „ბერძენ არქონტებად“ გამოაცხადა²⁶. „ლეონიდების“ დინასტიის ბერძნულ წარმომავლობას აღიარებდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულიაც²⁷. განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გამოჩენილ რუს ელინისტს ვ. ლატიშევს, რომელიც „ლეონიდებს“ ბაგრატიონთა საგვარეულოს აკუთვნებდა²⁸. ქართველურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირებდა „ლეონიდებს“ პავლე ინგოროყვაც, რომელიც ლეონ II-ს ეგრისის მეფეთა მიერ აფხაზეთში დანიშნულ ლაზ მოხელეთა შთამომავლად მიიჩნევდა²⁹. მეცნიერთა ერთი ნაწილი (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა და სხვ.³⁰) კი დარწმუნებულია „ლეონიდების“ აფხაზურ (აფსუურ) წარმოშობაში. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია გამოკვეთილი პასუხი დასავლეთ საქართველოს „აფხაზ“ მეფეთა ეთნო-ტომობრივ წარმომავლობაზე, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამას აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ἈΕΙΥ ἈΟ ΟΙἸΑ ὙΙ ×ΕΕΕΥΑΙΑΙ „Α×ἀΑÆΕΑ“ ἸΑ×ἈΑἈΕ ἈΕΙἸ -ΟἸ ἸΙ ἈΟΕἈἈ (თუნდაც ისინი მართლაც იყვნენ აფხაზურ-აფსუური წარმოშობისა, რაც, ჩვენი აზრით, ნამდვილად არ არის გამორიცხული), ΕΟΕΙΕ ἘΑἈΕΟΕ ΘΙ ἘΕΟἸΕἸΟἸ ἈἈ ὉἈἈἸΒΕ×Ἰ ἈἈΟΕἈΕ ἸΙ ὙἈΒἈΙ ἈΕΕ ἈΟἸἸΕΥἈΙΑἸ ἈΙΑἈ ΒἈΟἸἸ ἈἈἈΙΑΙΑΙ ὉἈἈΟἸ -ΘἈἈΟἸ ἘἸἘἸΟἸἸ -ΘΙ ἘΕἸἸΕἸΟἸ ἈἈ ὉἈἈἸΒΕ×Ἰ ἈἈΟΕἈ ὉἈἸὙἈἸ Ὁ. ΕΟΕΙΕ ΘΙἸΕἈΙΑΙ ἈἈΟΕἈΙ ΘἈἈἸἸ ὉἈἈἸΒΕ×Ἰ Ὁ - „ὉἈἈἈἈἈἈἈἈἈἈ Ὁ“ - ἈἈ ἈἈἈ Ἀ×-ἀΑÆ-Α×ὉἈἈἈ ἸἈΥΕἸ ἸἈἸὉ ὉἈἈἈἈἈἈἈἈἈἈ ἈἈἈἈἈἈἈἈἈἈ - „Ἀ×ὉΙΕἸ“.

ის, რომ ლეონ II და მისი მემკვიდრენი აშენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ, და არა აფხაზურ (აფსუურ) სახელმწიფოს, ყველაზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა

„აფხაზ“ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ „ლეონიდები“, როგორც ცნობილია, აქტიურად შეუდგნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყვანისათვის ზრუნვას. სრულიად ნათელი იყო, რომ ბიზანტიის გავლენის სფეროდან საბოლოოდ გამოსვლა შეუძლებელი იქნებოდა მანამ, სანამ არ მოხდებოდა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო-იდეოლოგიური მარწუხებიდან თავის დაღწევა და ჭეშმარიტად ეროვნული-იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა. თუ „აფხაზ“ მეფეებს ჩაფიქრებული ჰქონდათ აფსუა-აფხაზთა ნაციონალური სახელმწიფოს აშენება, მაშინ ისინი უბრალოდ ვალდებულნი იყვნენ, ეზრუნათ საკუთრივ აფხაზური (აფსუური) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაზე, რაც, პირველ რიგში, სათანადო აფხაზური (აფსუური) წერილობითი ტრადიციისა და წიგნიერი კულტურის შექმნას გულისხმობდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამგვარი მიზანი „აფხაზ“ მეფეებს არ დაუსახავთ. მათ ბერძნულ-ბიზანტიურ იდეოლოგიას რატომღაც ქართული ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც ქართული ეკლესია განასახიერებდა, დაუპირისპირეს. აი, რატომ მიჰყვეს ხელი დიდ საეკლესიო აღმშენებლობას „აფხაზმა“ მეფეებმა დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რითაც რეგიონში ქართული წერილობითი კულტურისა და ქართული ქრისტიანული წიგნიერების ფართოდ დანერგვის პირობები შექმნეს. დასავლეთ საქართველოში, მათ შორის საკუთრივ აფხაზეთში, ამ პროცესს თან სდევდა ძველი ბერძნული ეპარქიების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული საეპისკოპოსო კათედრების დაფუძნება, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითება გვაქვს ქართულ მატრიანებსა და სხვა წერილობით ძეგლებში. სწორედ საეკლესიო სფეროში „აფხაზთა“ მეფეების ამგვარი მტკიცე ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი იყო ის, რომ

რომელთაგან, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი, საკუთრივ „აფხაზეთის საერისთავო“ (უკეთეს შემთხვევაში, მდ. გუმისთის ჩრდილოეთი ტერიტორია ნიკოფსიამდე) იყო დასახლებული აფხაზური ტომებით (თუმცა არაა გამორიცხული, აფხაზური ტომების ერთ ნაწილს ეცხოვრა ცხუმის საერისთავოს ფარგლებშიც). დანარჩენი შვიდი საერისთავოს (მათ შორის, ცხუმის საერისთავოს) მოსახლეობა უდავოდ მთლიანად ქართული იყო.

ქართული ეთნიკური ელემენტი, განსაკუთრებით მისი ქართიზირებული ნაწილი, რომელიც VIII ს. მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოში რიცხობრივად მნიშვნელოვნად მომრავლდა, გამოჩენილი აფხაზი მეცნიერის ზურაბ ანჩაბაძის სწორი დასკვნით, აღმოჩნდა ყველაზე განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და რაც მთავარია, კულტურული თვალსაზრისით³³. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ „აფხაზთა“ სამეფოს სახელმწიფო ენად სწორედ „ქართის“ ანუ ქართული ლიტერატურული ენა გადაიქცა; ამ დროისათვის მას ერთადერთს, სხვა ქართველურ ენებს შორის, გააჩნდა წერილობითი ტრადიცია და უკვე დიდი ხნის მანძილზე ასრულებდა სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის ფუნქციას აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურქართული („ქართის“) ელემენტის კულტურულ-პოლიტიკური წონის განუხრელი ზრდის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ „აფხაზთა“ მეფეებმა სატახტო ქალაქად არა ლაზიკა-ეგრისის მეფეთა ძველი რეზიდენცია – ციხე-გოჯი – არჩიეს, არამედ ქუთაისი, რომლის დაწინაურებას საისტორიო ტრადიცია ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლის საერისმთავრო სახლის (სტეფანოზ-არჩილის) დამკვიდრებას ამ ქალაქში VIII ს. 30-იან წლებში. ამასთან, ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „ლეონიდები“ თავიანთ თავს სტეფანოზ-არჩილის სახლის კანონიერ მემკ-

ვიდრეებად მოიაზრებდნენ. მართლაც, ძნელი არაა იმის მიხედვით, რომ ანაკოფიიდან – „აფხაზეთის ერისთავთა“ რეზიდენციიდან – მაიცლამაინც ქუთაისში ქართლი-ეგრისის „მეფეთა“ სატახტო ქალაქში გადასვლით „ლეონიდებმა“ ნამდვილად ხაზი გაუსვეს თავიანთ უშუალო ლეგიტიმურ კავშირს სტეფანოზ-არჩილის „სამეფო“ სახლთან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ცხადი ხდება, რომ „აფხაზეთა“ სამეფო იმთავითვე იყო ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც აღმოცენდა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ნანგრევებზე. ის წარმოადგენდა ძველი კოლხეთის და ლაზიკის სახელმწიფოთა პირდაპირ სამართალმემკვიდრეს. უფრო მეტიც, „აფხაზეთა“ სამეფოს წარმოქმნა თვისებრივად ახალი ეტაპი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ლაზიკა-ეგრისის სამეფოსაგან (რომ არაფერი ვთქვათ ძველ კოლხეთზე) განსხვავებით, რომლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესი შორს იყო დასრულებებისაგან (რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლაზიკა-ეგრისში სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა ბერძნული იყო), „აფხაზეთა“ სამეფო თავისი შინაარსით იყო ფაქტობრივად პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოში, ქართული ეროვნული ქრისტიანული იდეოლოგიით და ქართული სახელმწიფოებით. ქართული იყო „აფხაზეთა“ სამეფოს პოლიტიკური მიზანსწრაფვაც. ის განუხრელად იდგა საერთო-ქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე. სწორედ „აფხაზეთა“ მეფეების თავდაუზოგავმა ზრუნვამ, მიმართულმა თავიანთი სახელმწიფოს შემდგომი ტერიტორიული განვრცობისა და გაძლიერება-განმტკიცებისაკენ, შექმნა მყარი საფუძველი ქუთაისის ტახტის ეგიდით ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნისათვის XI ს. დამდეგს.

თავი IV

თანამედროვე აფხაზეთის როლი და ადგილი ერთიან ქართულ სახელმწიფოში (XI-XV სს.)

ΑΒΕΙΓΑΕΕ Α×άΑΕΕ XI-XII ΟΑΘΕΟΓΑΑΑΟΕ. X საუკუნის მიწურულისა და XI საუკუნის დამდეგისათვის დასრულდა ქართული მიწების გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი და წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომლის სათავეში აღმოჩნდა მეფე „აფხაზთა“ და „ქართუელთა“ ბაგრატ III ბაგრატიონი. საქართველოს გაერთიანება, პირველ რიგში, ნიშნავდა ორი სამეფო ტახტის – „აფხაზთა“ (დასავლურ-ქართული) და „ქართუელთა“* – შერწყმას, რაც ფაქტო განხორციელდა 1008წ. ბაგრატ III-ის მამის, მეფეთ-მეფე გურგენის სიკვდილის შემდეგ**. 1010-1011 წლებ-

* „ქართუელთა“ სამეფო, ანუ ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელიც წარმოიქმნა სამხრეთ საქართველოში, IX ს. დამდეგს ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონის ეგიდით, ფაქტობრივად გამოდიოდა ისტორიული ქართლის (იბერიის) სამეფოს ერთგვარი სამართალმემკვიდრის როლში, თუმცა საკუთრივ „ქართლი“ (უნდა ვიგულისხმეთ მხოლოდ შიდა ქართლი) ამ პერიოდში (X ს. II ნახევარი) არ შედიოდა სამხრეთქართული წარმონაქმნის შემადგენლობაში და წარმოადგენდა „აფხაზთა“ სამეფოს ნაწილს.

** ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი, თუ როდის მიიღო ბაგრატ III-მ ოფიციალურად „ქართუელთა მეფის“ ტიტული. მკვლევართა ერთი ნაწილი (ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავა, მ. ლორთქიფანიძე) თვლის, რომ ეს მოხდა დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ 1001წ. (ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. I. *ΑΥΓΙ ΟΑΑΕΑΕ ΑΑ ΟΑΓΑΘΑΕ ΟΑΘΑΘΕΑΑΕΙ* (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **Ι. ΣΙ ΟΕΑΘΑΕΕΤΑ**, თბ., 1980, გვ. 56; ქართული წარწერების კორპუსი, – *ΑΘΑΑΕΑΕ ΟΑΘΑΘΕΑΑΕΙ Ο ΒΑΘΒΑΘΑΑΕ*, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **Α. ΟΕΕΙ ΑΑΑΑΙ**, თბ., 1980, გვ. 52-53; **М. Д. Лордкипанидзе**. Возникновение новых феодальных государств, – *Очерки истории Грузии*, т. II, Тб., 1988, გვ. 338-339), მაგრამ ჩვენ უფრო რეალურად გვეჩვენება ამ მოვლენის დაკავში-

ში ბაგრატ III-ის ძალაუფლება გავრცელდა კახეთ-ჰერეთზე. დაახლოებით ამავე პერიოდში ბაგრატ III-მ თავის კონტროლს დაუქვემდებარა კლარჯეთის ურჩი ბაგრატიონების სამფლობელოებიც და ამით ფაქტობრივად დაასრულა ქართული მიწების გაერთიანება. ერთიანი სამეფოს გარეთ რჩებოდა მხოლოდ თბილისის საამიროს ტერიტორია და ე.წ. დავით კურაპალატის „მემკვიდრეობა“, რომელიც მითვისებული ჰქონდა სამხრეთ-ტაოელი მმართველის „კანონიერ“ მემკვიდრეს – ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს¹.

გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს პირველი მეფის ტიტულატურა იწყებოდა სიტყვებით: „მეფე აფხაზთა...“ ეს იყო გამოხატულება იმ ხელმძღვანელი როლისა, რომელიც ითამაშა „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) სამეფომ ქვეყნის გაერთიანების პროცესში. სწორედ ქუთაისის ტახტის ირგვლივ ხდებოდა ყველა ქართული მიწის შემოკრება და საერთოქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირება. და ეს სულაც არ იყო დაკავშირებული დინასტიის ცვლასთან. „აფხაზთა“ სამეფო თავიდანვე იყო **ΘΑΘΕΘΕΕ ΔΙ ΕΕΘΕΕΘΘ-ΘΑΑΑΕΙΒΕΧΙ ΑΑΘΕΑΕ ΒΑΘΙΙ ΙΑΘΙΕ, ΑΙ ΕΙ „ΑΧ-ΑΑΕ“ ΙΑΧΑΑΑΕ Α.Β. „ΕΑΙ ΙΕΑΑΑΕΘ“ ΑΕΙΑΘΘΕΕΑΙ (ΑΧΑΑΘΘ-აფსუური „ეროვნული ისტორიის“ ზოგიერთი თავგამოდებული ქომავის მტკიცების მიუხედავად) ΕΘΑΕΕΑΑ ΘΑΘΕΑΑΕΕ ΕΕΑΑΘΑΑΕ ΕΥΑΙΑΙ, ΘΙ ΑΙ ΘΥ ΑΑΘΘΑΘΕΙ ΙΕΑ ΑΕΙΑΘΘΕΕΘ ΒΑΘ-ΙΙ ΙΑΑΑΑΙΕΑΑΕ.** საკუთრივ ბაგრატ III-ის დასავლეთ საქართველოში გამეფება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს დინასტიის შეცვლად, რადგანაც **ΙΑΙ 978 ΒΑΕΘ ΑΑ-ΘΑΑΕΑΕ ΘΑΘΑΘΕΑΑΕΙ Θ ΘΑΑΘΕ ΑΑΕΕΑΑΑ ΑΘΑ ΘΙ ΑΙ ΘΥ ΑΑΑ-**

რება არა დავით კურაპალატის გარდაცვალებასთან, არამედ ბაგრატიონთა გვარის სხვა წარმომადგენლის – ბაგრატ II „რეგუენის“ – „ქართუელთა“ მეფის (958-994წწ.), ბაგრატ III-ის პაპის სიკვდილთან. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **А. ДАДАШВЕДЕ.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 75-82.

**Ὁ Αὐτοῦ Πά, Ἀδελφὰ Ὁ Ἄϊ Ὀύ „Ἐἰ Ἰέαῖα“ Ἀείαούέέό Ἐ-
ἴ Ἰέαῖα (Ἀἰέό ἄἈέέ) Βαῖ ἸἈἈἰἈἰἈ – შვილიშვილმა**
(ქალიშვილის ვაჟი) ყველაზე ძლევამოსილი „აფხაზთა“ მე-
ფის გიორგი II-ისა (922-957წწ.), რომელმაც, სხვათა შო-
რის, საერთოქართული მასშტაბით ჰეგემონობისათვის ბრძო-
ლაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

ბაგრატ III-ის ქუთაისში გამეფებით „აფხაზთა“ სამე-
ფოს არ განუცდია არანაირი ცვლილებები, როგორც ეთნო-
პოლიტიკური, ისე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თვალ-
საზრისით. ასე რომ, მოსაზრება „აფხაზთა“ სამეფოს თით-
ქოსდა გაუქმების (ბაგრატ III-ის – ბაგრატიონთა დინასტი-
ის წარმომადგენლის – გამეფების შედეგად) შესახებ, რო-
მელსაც ვხვდებით ცალკეულ ისტორიკოსთა (კ. კუდრიავ-
ცევი, ა. ფადეევი, ი. ვორონოვი, ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა
და სხვ.) შრომებში, საფუძველშივე მცდარია. სინამდვილეში
მოხდა „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრების შემდგომი გაფარ-
თობა. შემთხვევითი არ არის, რომ პრაქტიკულად ყველა
ქართველი მემატიანე („მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი,
სუმბატ დავითის ძე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი,
ლაშა-გიორგის დროის მემატიანე, თამარის ისტორიკოსე-
ბი)² XI-XII საუკუნეებში – ერთიანი ქართული მონარქიის
აყვავების ხანაში – ქვეყანას, ე. ი. მთლიანად საქართველოს,
ხშირ შემთხვევაში, მოიხსენიებს „აფხაზეთად“.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, მიუხედავად ზო-
გიერთი ვაი-ისტორიკოსის (ი. ვორონოვი) დიდი მცდელობი-
სა, იპოვოს აფხაზური (აფსუური) ეროვნული სახელმწიფოებ-
რიობის ელემენტები ერთგვარი ავტონომიის სახით საერთო-
ქართული სახელმწიფოს შიგნით XI-XII სს.-ში³, სულაც არ
წარმოადგენდა ერთიან ორგანიზმს არა თუ სახელმწიფოებ-
რივად, არამედ ადმინისტრაციულადაც. ის, როგორც უკვე
აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ლეონ II-ის – „აფხაზთა“ სამეფოს
დამაარსებლის – დროიდან (IX ს. დამდეგი) დაყოფილი იყო

ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებად – საერისთავო-ებად: ჩრდილოეთი ნაწილი აფხაზეთის საერისთავო, – და-ახლოებით ანაკოფიიდან (ახალი ათონი) ნიკოფსიამდე (თანამედროვე ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთით), ცხუმის საერისთავო (თანამედროვე გუდაუთის რ-ნის ნაწილი, დაახლოებით ანაკოფიამდე, სოხუმისა და გულრიფშის რ-ნები, ოჩამჩირის რ-ნის ნაწილი) და ბედიის საერისთავო (ოჩამჩირის რ-ნის ნაწილი და გალის რ-ნი).⁴

თავის დროზე, ზ. ანჩაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თამარ მეფის დროს მოხდა ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების შერწყმა, რაც, მეცნიერის აზრით, თითქოს ეთნიკურმა ფაქტორმა განაპირობა, კერძოდ იმან, რომ ორივე საერისთავოს ტერიტორიაზე სახლობდნენ ეთნიკურად ერთგვაროვანი აფხაზური (აფსუური) ტომები⁵. აღნიშნული თვალსაზრისი ემყარებოდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ცნობის არასწორ გააზრებას⁶. მაგრამ დღეს, თამარის მატეიანის მონაცემების უფრო სრული ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად მკვლევრებმა (გ. ცქიტიშვილი, ილ. ანთელავა და სხვ.⁷) სავსებით საფუძვლიანად დაასკვნეს, რომ არავითარი შერწყმა ორი საერისთავოსი – აფხაზეთისა და ცხუმის – მოცემულ პერიოდში არ მომხდარა. ამდენად, ზემოაღნიშნული საერისთავოების მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნების საკითხი უნდა მოიხსნას.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზებს არ შეეძლოთ საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებს გარეთ ცხოვრება, მათ შორის ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა რეგიონში. მაგრამ ის ფაქტი, რომ „აფხაზთა“ სამეფოში „ლეონიდების“ ხანაშიც (IX-Xსს.) და ბაგრატ III-ის მემკვიდრეების მმართველობის პერიოდშიც – ე. ი. გაერთიანებულ ქართულ სამეფოში – სახელწოდება „აფხაზეთი“ ერქვა კონკრეტულ ოლქს – თანამედროვე აფ-

ხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელშიც არ შედიოდა ცხუმის საერისთავოს ტერიტორია, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ძირითადად სწორედ აღნიშნულ (ე. ი. აფხაზეთის) საერისთავოში იყვნენ განსახლებულნი. იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური აფხაზები მართლაც სახლობდნენ ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზეც და ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას, მაშინ გაუგებარია, რატომ არ მოხდა ორი ეთნიკურად ერთგვაროვანი საერისთავოს ამგვარი შერწყმა თავიდანვე, ჯერ კიდევ ლეონ II-ის – „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის ხანაში, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, მიაწერს კიდევ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია (ვახუშტი ბატონიშვილი) ქვეყნის საერისთავოებად დაყოფას.

აფხაზეთის, ცხუმისა და ბედიის (ოდიშის) ერისთავთა სტატუსი არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა ერისთავების სტატუსისაგან. ისინი, როგორც მართებულად შენიშნა ზ. ანჩაბაძემ, დასავლეთ საქართველოს სხვა ერისთავების მსგავსად, იმყოფებოდნენ არა მეფის პირდაპირ დაქვემდებარებაში, არამედ ემორჩილებოდნენ უშუალოდ მსახურთუხუცესს, რომელიც ფაქტობრივად მთელ დასავლეთ საქართველოს განაგებდა⁸. ცნობილია, რომ საქართველოში XIII-ში დიდებულ აზნაურებს, რომელთაც მაღალი თანამდებობები ეკავათ სამეფო კარზე – ცენტრალურ ხელისუფლებაში, პარალელურად ქვეყნის ცალკეული დიდი რეგიონების მართვაც ევალებოდათ. ზოგიერთ ამ დიდებულს „მეფეთა ადგილზე მჯდომი“-ც ეწოდებოდა (მაგ. გუზან ტაოელი – „ტაოელ მეფეთა ადგილზე მჯდომი“, ზაქარია მხარგრძელი – „სომეხთა მეფეთა ადგილზე მჯდომი“). ასეთი დიდებულები უდავოდ უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ერისთავთ-ერისთავები⁹. დაახლოებით ამგვარივე უფლებებით სარგებლობდა დასავლეთ საქართველოს მიმართ XIII. მიწურულს მსახურთუხუცესი ვარდან დადიანიც, თუმცა მას არ გააჩნდა „მეფე-

თა ადგილზე მჯდომის“-ს სტატუსი¹⁰.

წყაროებში შემონახულია მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები აფხაზეთის, ცხუმისა და ბედიის ერისთავთა შესახებ. ვიცით მხოლოდ ის, რომ XIII ს. დამდეგისათვის აფხაზეთის საერისთავოს სათავეში ედგა შარვაშის-ძეთა წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი დოთალოდ შარვაშიძე. ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი ამ საგვარეულოს წარმომავლობის და მისი დაწინაურების დროის თაობაზე. მკვლევართა ერთი ნაწილის (მ. ბროსე, დ. გულია, ზ. ანჩაბაძე) აზრით, ისინი უნდა იყვნენ შთამომავლები შარვანშაჰთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლისა, რომელიც დავით აღმაშენებელმა აფხაზეთში გადაიყვანა ანისის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ¹¹. მაგრამ არსებობს მოსაზრება (ნ. ბერძენიშვილი) იმის შესახებაც, რომ შესაძლოა, შარვაშიძეთა წინაპრები აქტიურ როლს თამაშობდნენ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში ჯერ კიდევ XI ს. შუა ხანებში¹². კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲ“-დ წოდებულ ქრონიკაში მოხსენიებულია ვინმე ქუაბულელი ჭაჭას-ძე – ოთალო, რომელიც „მოაყენა (ბაგრატ IV-მ – **A.D.**) ანაკოფიას გარე... აფხაზეთისა ლაშქრითა“¹³. ამ შემთხვევაში ყურადღება მიექცა XII-XIII სს. მიჯნაზე მცხოვრები ერისთავ შარვაში-ძის სახელის – დ-ოთალო-დ – მსგავსებას ქუაბულელ ჭაჭას-ძის სახელთან – ოთალო, რის საფუძველზეც ზოგიერთი მკვლევარი (შ. ინალ-იფა) საერთოდ იხრება იმ აზრისაკენ, რომ „ჭაჭას-ძე“ არის საგვარეულო სახელის „ჩაჩას“ ქართული ფორმა¹⁴. ვთვლით რა დასაშვებად „ჭაჭას-ძე“ – „ჩაჩას“ შორის ურთიერთკავშირს (ნ. ბერძენიშვილი), ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება დავუკავშიროთ „ჭაჭას-ძე“ – „ჩაჩა“ „შარვაშიძეს“. როგორც სავსებით სწორად მიუთითა ზ. ანჩაბაძემ, აფხაზ თავად-აზნაურთა გვარების ქართული ფორმები უშუალოდ გამომდინარეობენ შესაბამისი აფხაზური გვარებიდან: მარშანია-ამარშანი, ინალიშვილი-ინალ-იფა, ანჩაბაძე-

აჩბა, ძიაფშიშვილი-ძიაფშიფა, მარლანია-მაანი და ა.შ. რაც შეეხება შარვაშიძეს, ის ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს. ამ გვარის აფხაზურ ფორმას (აჩაჩბა—ჩაჩბა) არაფერი აქვს საერთო მის ქართულ ფორმასთან — შარვაშიძე. ზ. ანჩაბაძის აზრით, შარვაშიძის ძველი ქართული ფორმა — „შარვაშა(ი)ს-ძე სიტყვასიტყვით ნიშნავს „ში(ა)რვანშაჰის შვილს“¹⁵

ისტორიოგრაფიაში სწორად არის აღნიშნული (შ. ინალიფა), რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში „Меньше всего походила на отдаленную провинциальную область“¹⁶ ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ XI-XII სს.-ში სწორედ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საერისთავოები წარმოადგენდნენ საქართველოს მეფეების დასაყრდენს ფეოდალური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემთხვევითი არ არის, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ თავის ერთ-ერთ (შესაძლოა, მთავარ) რეზიდენციად აქცია ბედია, სადაც ააშენა შესანიშნავი ტაძარი — თავისი საძვალე¹⁷. არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს აფხაზი ფეოდალების ანტისამთავრობო, მით უფრო სეპარატისტულ განწყობილებებს, რომლებიც თითქოს უკმაყოფილონი იყვნენ „აფხაზთა“ სამეფოს გაუქმებით, როგორც ამას მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი¹⁸. ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, 978 წ. „აფხაზთა“ სამეფოს არანაირი გაუქმება არ მომხდარა (არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აღნიშნული სამეფო, მისი წარმოქმნის დღიდანვე იყო არა საკუთრივ ეთნიკურ აფხაზთა „ნაციონალური“ სახელმწიფო, არამედ ἈΑΘΑΑἸ᾽ΟΘΘΑΘ᾽ΕΘ᾽ΕἸ ἸΙ ἸἸ᾽ΟἸ᾽ΕΘ᾽Ε ΒΑΘΙ᾽Ι-ἸΑΘΙ᾽ΙἸ), ამიტომ, საკითხის დაყენება ამ კუთხით საფუძველშივე მცდარია. მეორეც, პრაქტიკულად ყველა ანტისამთავრობო გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI-XII სს.-ში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მიზნად ისახავდა არა ამა თუ იმ ოლქის საქართველოს სახელ-

მწიფოსაგან ჩამოცილებას, არამედ ამა თუ იმ მონარქის ჩამოგდებას და სამეფო ტახტზე ამბოხებულთათვის სასურველი პრეტენდენტის დასმას.

როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, მოცემულ პერიოდში ფეოდალური ოპოზიციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამეფო კარზე თავისი გავლენის განმტკიცება, პოლიტიკური კურსის კონკრეტული მიმართულებით შეცვლა¹⁹. ასე იყო, კერძოდ, დემეტრე უფლისწულის მისივე ნახევარძმის – მეფე ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ გამოსვლისას. მართალია, ამ ამბების აღწერისას „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი აზნაური მხარს უჭერდა ანაკოფიაში გამაგრებულ აჯანყებულ უფლისწულს (XI ს. 30-იანი წლების დამდეგი),²⁰ მაგრამ აქ არ არის არავითარი მინიშნება, რომ ეს იყო ეთნიკურად აფხაზ ფეოდალთა სეპარატისტული გამოსვლა, როგორც ამას უშვებს ზოგიერთი მკვლევარი²¹. სავსებით ნათელია, რომ დემეტრე უფლისწულის მომხრეები იბრძოდნენ არა საქართველოს სახელმწიფოს რომელიმე ოლქის გამოყოფისათვის, არამედ თავისი პრეტენდენტის ქუთაისში გასამეფებლად. ე. ი. ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან, რომელშიც სულაც არ იყო აუცილებელი მხოლოდ აფხაზ (ეთნიკურად) აზნაურთა მონაწილეობა. უფრო მეტიც, როგორც შემდგომმა მოვლენებმა (XI ს. 40-იანი წლების) ცხადყო, დემეტრე უფლისწულს მისი გვირგვინოსანი ძმის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდა ფეოდალური ოპოზიცია, ძირითადად, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, მაშინ როდესაც ბაგრატ მეფე მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას დასავლეთ საქართველოში²², მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, რასაკვირველია, ანაკოფიის ციხის გამოკლებით, რომელიც ჯერ კიდევ XI ს. 30-იან წლებში გადასცა ბიზანტიას კონსტანტინოპოლში გაქცეულმა მეამბოხე უფლისწულმა. თუ გა-

ვითვალისწინებთ იმასაც, რომ XI ს. 40-იან წლებში ანაკოფიის ციხის განთავისუფლება ბაგრატ IV-მ დაავალა „აფხაზეთის ლაშქარს“, რომელსაც სათავეში ედგა ქუაბულელ ჭაჭას-ძე ოთალო – ალბათ აფხაზეთის საერისთავოს ხელმძღვანელი, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი (შ. ინალ-იფა) ლამის შარვაშისძეთა – მოგვიანებით სამთავროს მმართველი საგვარეულოს – მამამთავრად მიიჩნევს, მაშინ მტკიცება, აღნიშნულ პერიოდში აფხაზების რაიმე სეპარატისტული განწყობილებების შესახებ, აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

გაუმართლებელია სეპარატისტული განწყობილებების ძიება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დავით აღმაშენებლის ხანაშიც, როგორც ამას აკეთებს ზ. ანჩაბაძე²³. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არგუმენტად გამოვიყენოთ „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა“-ში დაფიქსირებული ცნობა იმ ზომების შესახებ, რომლებიც გაატარა დავით IV-მ „აფხაზეთს ბიჭვინთამდე“ თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად²⁴. და უკვე სავსებით გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზი დიდებულების მონაწილეობა აჯანყებაში, რომლის მიზანი იყო თამარ მეფის პირველი ქმრის – გიორგი რუსის აყვანა სამეფო ტახტზე²⁵, ამბობებულთა პარტიკულარული ტენდენციების გამოხატულებად, როგორც ამას მიიჩნევენ ზ. ანჩაბაძე და შ. ინალ-იფა²⁶. ამ შემთხვევაშიც ხომ აჯანყებულები ისწრაფოდნენ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, ე. ი. იბრძოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისათვის და არა მისგან გამოყოფისათვის.

ამრიგად, არა გვაქვს არავითარი საბაბი, რომ დავეჭვდეთ აფხაზთა ლოიალობაში ცენტრალური ხელისუფლების მიმართ XI-XIII სს-ში. პირიქით, ჩვენ ხელთ არსებული უკლებლივ ყველა მასალა ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ

ΑΕΙΕΘΕ Α×άΑΑΑΕ ΕΥΑΙΑΙ ΟΑΘΑΘΕΑΑΕΙ Ο ΙΑ×ΑΕΑ ΑΘΕ-ΑΘ-

ÈÉ ÚÁÀÈÀÄÄ ÀÒÈÁÒÈÈ ØÁÁÒÁÀÒÁÌ ÌÁÁÈ. აფხაზი დიდებულე-
 ბი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამეფო
 კარზე. ამას ნათლად მოწმობს „ისტორიანი და აზმანი შარა-
 ვანდედთან“-ს ტექსტში შემონახული აღწერა თამარ მეფის
 მმართველობის პერიოდში მაღალი რანგის უცხოელი სტუმ-
 რების მიღების ცერემონიალისა. ამგვარი მიღებების დროს
 აფხაზები, სვანებთან, მეგრელებთან და გურულებთან ერთად,
 იმყოფებოდნენ უშუალოდ სამეფო აპარტამენტების სიახლო-
 ვეს²⁷. მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე აფხაზეთის
 ტერიტორიაზე განლაგებული საერისთავოების, კერძოდ, ცხუ-
 მის საერისთავოს როლი. თვითონ ქალაქი ცხუმი – სოხუმი
 – კი მეფეთა ერთ-ერთ საზაფხულო რეზიდენციად იქცა. თა-
 მარის ისტორიკოსის ცნობით, „მეფე თამარ ზამთრის დურს
 იყვის და ზაფხულს კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარ-
 დავიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს“.²⁸ ყოველივე ეს უდა-
 ვოდ მოწმობს, რომ ცხუმი ნამდვილად იყო საქართველოს
 სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული და ად-
 მინისტრაციული ცენტრი.

საკუთრივ აფხაზები სისტემატურად ფიგურირებენ სა-
 ქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში
 მთელი XI-XIII სს. მანძილზე. ისინი, რასაკვირველია, აქტიურ
 მონაწილეობას იღებდნენ ყველა დიდ ბრძოლაში. არც ერთ
 წყაროში არ გვხვდება რაიმე მინიშნებაც კი, რომ ისინი რი-
 თიმე განსხვავდებოდნენ გაერთიანებული ქართული სამეფოს
 სხვა რეგიონების მკვიდრთაგან. აფხაზური ნაციონალ-სეპა-
 რატიზმის ზოგიერთ იდეოლოგთა მცდელობა, ეძიონ აფხაზურ-
 აფსუური ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ელემენტები
 ავტონომიური სამთავროს სახით XI-XIII სს-შიც კი – ერთი-
 ანი ფეოდალური მონარქიის აყვავების ხანაში, სრულიად აბ-
 სურდულია და სხვა არაფერია, თუ არა ქართველი და აფხაზი
 ხალხების ისტორიული წარსულის უხეში ფალსიფიკაცია.
XI-XIII სს-ში Ἀΰάάάίάέ Ἀ×άάάέó Ἀóάέέάóé Ἀάóí ίí ἰέá

ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდა ქართული მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებს. რეგიონის წერილობითი კულტურა ამ დროს მხოლოდ ქართული იყო. XI-XIII სს. ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა ლაპიდარული წარწერა შესრულებულია ქართულ ენაზე³¹.

XI-XIII სს. აფხაზეთის ისტორიის საკითხების განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ტერმინების „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ მნიშვნელობის საკითხს, რაც არც ისე იშვიათად სეპარატისტულად განწყობილ მოღვაწეთა მეცნიერულ-პოლიტიკური სპეკულაციის საგნადაა გადაქცეული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბაგრატ III-ის გამეფება აფხაზეთში – დასავლეთ საქართველოში და ქუთაისის ტახტის გარშემო დანარჩენი საქართველოს გაერთიანება, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-კულტურული შინაარსის შეცვლას. ამ აქტით მხოლოდ და მხოლოდ მოხდა „აფხაზთა“ სამეფოს ტერიტორიული გაფართოება. აი, რატომ ერქვა ამ დროიდან მოყოლებული „აფხაზეთი“ არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელ ქვეყანას.

საკუთრივ ქართული წყაროების გარდა, „აფხაზეთი“, ლამის როგორც გაერთიანებული ქართული სამეფოს სახელწოდება, ფიგურირებს იმ პერიოდის მეტ-ნაკლებად ცნობილ უცხოენოვან წყაროებში. ასე, მაგალითად: თითქმის ყველა ბიზანტიელი ავტორი (სკილიცა-კედრენე, მიხაილ ატალიატე, იოანე ზონარა, იოანე ცეცე და სხვ.), რომელიც მოგვითხრობს პოლიტიკურ მოვლენებზე ქართველი მეფეების მონაწილეობით, როგორც წესი, მათ მოიხსენიებს აბაზგიის მმართველებად („არქონტებად“), ხოლო ქვეყნის მოსახლეობას – „აბაზგებად“ და იშვიათად „იბერებად“.³²

„აფხაზეთად“ და „აფხაზებად“ მოიხსენიებენ საქართველოსა და საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობას არაბი ავტორები, რომლებიც მოგვითხრობენ XI-XIII სს. მოვლე-

ნებზე. ასე, მაგალითად, ცნობილი არაბი ავტორი იაკობ ანტი-ოქიელი (XI ს.) გიორგი I-ს უწოდებს „აფხაზთა მეფეს“ („მალქ ალ-აფხაზია“), ხოლო მის ქვეყანას – „აფხაზის ქვეყანას“ („ბილად ალ-აფხაზი“) ან „აფხაზის სამეფოს“ („მულქ ალ-აფხაზი“). აფხაზთა მეფის ტიტულითაა მოხსენიებული ბაგრატ IV-ც, ხოლო „აფხაზთა და ქურჯთა მეფედ“ – დავით IV, დემეტრე I და გიორგი III. სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის (XIII ს.) ცნობით, ალფ-არსლანი გამოეკიდა „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ IV-ს „ქურჯისტანში“ (საქართველო). „აფხაზთა მეფედა“ წოდებული დავით აღმაშენებლის შემკვიდრე დემეტრე I ცნობილი არაბი მოგზაურის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის (XII ს.) თხზულებაში. ზოგიერთი არაბი ავტორი უფრო გვიანდელი პერიოდის (მაგ. XIII ს.) ამბების გაშუქებისას კვლავინდებურად მთლიანად საქართველოს „აფხაზეთად“ მოიხსენიებს. ასე, მაგალითად: ჯალალ ედ-დინ ხორეზმ-შაჰის ბიოგრაფი ან-ნასავი აღმოსავლეთ საქართველოში ჯალალ ედ-დინის ლაშქრობის აღწერისას აღნიშნავს, რომ მან შეაღწია „აფხაზეთის მიწების სიღრმეში“. XIII ს. მეორე ნახევრის ავტორის – იაკუთისათვის „აფხაზთა“ ქვეყანა დასახლებულია „ქურჯებით“ (ქართველებით). იბნ ალ-ასირის თხზულებაში ცნობილი ქართველი მოღვაწე, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში მოხსენიებულია „აფხაზეთის მალქ-კარიტად“. იმად ად-დინ ალ-ისპაჰანის ცნობით, 1154 წ. სელჯუკი უფლისწული სულეიმან-შაჰი დაქორწინდა ქართველი მეფის („მალქ ალ-ქურჯ“) ასულზე, რომელიც იყო „აფხაზი ქალბატონი“ („ხათუნ ალ-აფხაზია“).³³

თითქმის ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით სპარსულ წერილობით ძეგლებშიც. XII-XIII სს. სპარსი ისტორიკოსის იბნ-ისფანდიარის თქმით, თამარი იყო „თბილისისა და აფხაზის ფადიშაჰი“.³⁴ თავის ერთ-ერთ ლექსში ცნობილ აზერბაიჯანელ პოეტ ხაკანის (XII ს.) აქვს შემდეგი სტრიქონი: „Стал я жителем Абхазии и заговорил по грузинский“.³⁵

მეორე ცნობილი პოეტის ფელეკი შირვანის მიერ დემეტრე I-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ოდაში კი დემეტრე მეფე გამოცხადებულია „აფხაზისა და შაქის შაჰინშაჰად, ჰორიზონტების მეფედ“.³⁶ სელჯუკი ქრონისტის იბნ-ბიბის თხზულებაში თამარ მეფე („თამარ ხანუმ“) მოხსენიებულია „მალქა გურჯ“-ად (ე. ი. ქართველ დედოფლად), რომელიც მართავდა „მამლაქათ – აბხაზს“ („აფხაზთა ქვეყანას“) და „დარ აღ-მულქ (დედაქალაქ) ტიფლისს“.³⁷

სომხურ წყაროებში, მართალია, არც ისე ხშირად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს მეფეები მოხსენიებულნი არიან „აფხაზთა“ მეფეებად. ასე უწოდებდნენ, მაგალითად, ბაგრატ III-ს XI ს. ისტორიკოსები სტეფანოს ტარონაცი და არისტაკეს ლასტივერტცი. ამ უკანასკნელის თხზულებაში გიორგი I მოხსენიებულია „აფხაზად“ და მისი ქვეყანაც „აფხაზეთად“, თუმცა სომეხი ისტორიკოსი თავისი შრომის სხვა ადგილას მას „ქართველ მთავარსაც“ უწოდებს. გიორგი I-ს „აფხაზთა“ მეფედ მოიხსენიებს ვარდან „დიდიც“ (XIII ს.).³⁸

XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ ერთი სახელწოდებით – „Обези“ (აფხაზეთი) იცნობენ ძველი რუსული მატრიანები და სხვა წერილობითი ძეგლები. ისტორიოგრაფიაში (ი. ცინცაძე, ზ. ანჩაბაძე, ნ. კოტლიარი, გ. წულაია, გ. პაიჭაძე, ზ. პაპასქირი და სხვ.³⁹) სავსებით ნათლად და არგუმენტირებულადაა ნაჩვენები სრული უსუსურობა და აბსურდულობა ზოგიერთი აფხაზმცოდნის (შ. ინალიფა, ა. პაპასქირი⁴⁰) მცდელობისა, ძველი რუსული მატრიანების „Обези“, „Обежанин“-ში იგულისხმონ „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ თანამედროვე გაგებით და ცალსახადაა ნაჩვენები, რომ ძველი რუსული წყაროების ყველა ცნობაში, რომლებშიც მოხსენიებულია „Обези“, საუბარია „აფხაზეთზე“ ფართო გაგებით, ე. ი. ერთიან ქართულ სახელმწიფოზე და ამ სახელმწიფოს მოსახლეობაზე.

ეს არის მხოლოდ არასრული სია იმ უცხოენოვანი წყაროებისა, რომლებშიც ტერმინ „აფხაზეთის“ ქვეშ იგულისხმება გაერთიანებული ქართული სამეფო მთლიანად და ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა. დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არ არსებობს XI-XII სს. მოვლენების ამსახველი არც ერთი წერილობითი წყარო, რომელშიც ტერმინებს „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ ექნებოდა სხვა მნიშვნელობა. ასე რომ, ზოგიერთი ისტორიკოსის – აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგის მიერ ატეხილი ისტერიკა ეთნიკურ აფხაზთა არარსებულ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმზე XI-XII სს-ში, მით უფრო საერთაშორისო არენაზე რაიმე დამოუკიდებელი როლის მქონე წარმონაქმნზე, აბსოლუტურად უსაფუძვლოა და თითიდანაა გამოწოვილი.

ΕΑΪΑΪΑΪΟΪ ΑΑ Α×άΑΑΑΕΕΕΘ ΘΑΘΕΘΪ ΘΕΑ XIII-XV ΘΑΘ-ΕΘΪΑΑΑΘΕ. XIII საუკუნეში ჯერ ხორეზმ-შაჰ ჯალალ ედლინის გამანადგურებელი შემოსევების, ხოლო შემდეგ მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად, არა მარტო მნიშვნელოვნად იქნა შერყეული ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, არამედ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობაში პირველი ბზარი გაჩნდა. როგორც ცნობილია, XIII ს. 40-იან წლებში მონღოლებმა საქართველო რვა დუმენად (სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი) დაჰყვეს. დასავლეთ საქართველოში ორი დუმენი იყო. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია შევიდა დუმენში, რომელსაც მართავდა ცოტნე დადიანი. რეგიონის მოსახლეობა, მათ შორის საკუთრივ ეთნიკური აფხაზები, ამ პერიოდში განაგრძობდნენ საერთოქართულ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას. ასე, მაგალითად: ჟამთააღმწერელის ცნობით, აფხაზები მონაწილეობდნენ ლაშა-გიორგის (1207-1222 წწ.) ცნობილ ლაშქრობაში განძაზე⁴¹. აქვე მოთხრობილია, რომ ლაშა-გიორგი „ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი“.⁴² აღნიშნული ცნობა ყურადღებას იპყრობს იმი-

თაც, რომ ჟამთააღმწერელი მიჯნავს ერთმანეთისაგან ცხუმს და აფხაზეთს. ესეც დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ XIIIს-ში ეს ოლქები არ წარმოადგენდა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულსაც კი, რომ არაფერი ვთქვათ სამთავროზე ლამის თანამედროვე ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში. თუ რამდენად ახლო და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლს აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან XII-XIIIსს-ში, ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თამარ მეფემ თავის ვაჟს და მემკვიდრეს მეორე სახელად დაარქვა „ლაშა“, რაც ძველი ქართველი მემკვიდრის (ან აშკარად ლაშა-გიორგის ეპოქის ახლო ხანებში მცხოვრები რედაქტორ-კომენტატორის) განმარტებით, „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა (აფსართა ენითა)“.⁴³

მეცნიერებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა „აფსარი“-„აფსილი“-„აფსუა“-ს, (ე. ი. თანამედროვე აფხაზის) იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა თვალსაზრისს (მ. ჯანაშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ხ. ბლაჟბა, ზ. ანჩაბაძე, გ. წულაია, თ. გვანცელაძე და სხვ.⁴⁴), რომლებიც დარწმუნებულნი არიან ასეთი იდენტიფიკაციის სისწორეში.

აფხაზები აქტიურობდნენ საერთო ქართულ არენაზე რუსუდანის მეფობის პერიოდშიც (1222-1245წწ.). ასე, მაგალითად: ჯალალ ედ-დინის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსუდანმა მოუწოდა „სპათა თუსთა, იმერთა და ამერთა.., ჰერკახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა.., აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა“.⁴⁵ აფხაზთა აქტიური მონაწილეობით მოხდა დავით რუსუდანის ძის ქუთაისში დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოცხადებაც. ჟამთააღმწერლისავე ცნობით, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში (კოხტასთავის შეთქმულება) სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ „უშორეს მყოფნი აფხაზნი“.⁴⁶ მოგვიანებით, დავით ნარინის აჯანყების მარცხისა და მისი დასავლეთ საქართვე-

ლოში გადასვლის შემდეგ: „აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე-ყვეს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე“.⁴⁷ ამ დროიდან ერთიანი ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად ორ სამეფოდ დაიშალა. აღმოსავლეთ საქართველოში ისევ მეფობდა დავითი – ლაშა-გიორგის ძე, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ლიხთ-იმერეთში – დავით ნარინმა (რუსუდანის ძე) ფაქტობრივად შექმნა დამოუკიდებელი სამეფო, რომელმაც იარსება XIVს. 20-იანი წლების ბოლომდე. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, რასაკვირველია, აღმოჩნდა დავით ნარინის სამფლობელოში. ამ ტერიტორიაზე მისი მოღვაწეობის შესახებ პირდაპირ მიუთითებს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ-ერთ ვერცხლის ხატზე გაკეთებული წარწერა⁴⁸, რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული რეგიონი შემოდინდა საერთო-ქართულ ქრისტიანულ სამყაროში.

ამ საკითხზე ყურადღებას საგანგებოდ იმიტომ ვამახვილებთ, რომ სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსები და ცალკეული რუსი მეცნიერები (მაგ. მ. სკრიპილი⁴⁹) ცდილობენ, გაავრცელონ აზრი აფხაზური ეროვნული საეკლესიო ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ისინი ახდენენ აპელირებას იმ ფაქტით, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში მოქმედებდა ე.წ. „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო, რომელიც სენსაციის მოყვარულთა ფანტასტიკური მონაჭორის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენდა არა აფხაზურ, არამედ წმინდა ქართულ საეკლესიო ორგანიზაციას*,

* ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუ როდის დაიწყო ფუნქციონირება ე.წ. „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსომ. მართალია, წყაროებში არ არის ზუსტი დამადასტურებელი ცნობები, მაგრამ ჰიპოთეტურად მაინც დასაშვებია დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბება კათალიკოსით სათავეში ჯერ კიდევ „აფხაზთა“ სამეფოში – „ლეონიდების“ მმართველობის ხანაში. ამას-

რაზეც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებენ როგორც ნარატიული წყაროები, ისე, რაც მთავარია, დოკუმენტური მასალები, პირველ რიგში, აფხაზეთის საკათალიკოსოს მოღვაწეობის ამსახველი ძეგლები: ე.წ. „აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი“ (ანუ „ბიჭვინთის იადგარი“)⁵⁰ და „აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი დავთარი“.⁵¹ ერთადერთი, რაც აკავშირებს „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან, არის ის, რომ კათალიკოსთა რეზიდენცია დიდი ხნის განმავლობაში (XVIII-ის ხოლო⁵², სხვა მოსაზრებით, XVIს. შუა ხანებამდე⁵³) იყო ბიჭვინთაში, ე. ი. აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობდნენ აფხაზური ტომები. ასე რომ, „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს ეროვნულ-კულტურული სახე არავითარ ეჭვს არ იწვევს:

თან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ დასავლურ-ქართული ეკლესია „ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისაგან გათავისუფლდა თხოვნით ბერძენთაგანვე, ვინაიდან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოსსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისასა და იმერეთისასა“ (ΘΑΘΕΕΕΘ ΥάΙ ΑΟΑΑΑ, ტ. IV, გვ. 746). XI-XIIIსს. „აფხაზ“ კათალიკოსებზე მცირე რამ არის ცნობილი და მხოლოდ XIIIს.-დან, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გამეფების შემდეგ, გამოდიან ისინი წინა პლანზე. აფხაზეთის საკათალიკოსოს, როგორც დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის, საბოლოო გაფორმება მოხდა XVს. II ნახევარში, როდესაც დასავლეთ საქართველოს ლიდერების – იმერეთის (შემდეგ კი ქართლ-იმერეთის) მეფის ბაგრატისა და „დიდ ერისთავთ-ერისთავის დადიან-გურიელ“ შამადავლეს ინიციატივითა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის უშუალო მონაწილეობით მოხდა მეუფე იოვაკიმეს ხელდასხმა „ლიხთამერისა და აფხაზეთის“ კათალიკოსად. ამასთან დაკავშირებით, შედგენილ იქნა სპეციალური დოკუმენტი – „მცნება სასჯულო“, რომელშიც, სხვათა შორის, მოცემული იყო „აფხაზეთის“ კათალიკოსის მოქმედების არეალი: იმერეთი, გურია, ოდიში, აფხაზეთი, სრულიად აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი. ამრიგად, ნათელია, რომ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაწესება XVს. II ნახევარში ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს მმართველების სეპარატისტული მისწრაფებების გამარჯვებას. მათ საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად დასჭირდათ „თავისი“, საერთოქართული ერთიანობის განმასახიერებელი მცხეთის საკათალიკოსოსაგან დამოუკიდებელი ეკლესია.

აღნიშნული ეკლესია მთლიანად ქართული იყო, ხოლო ის ფაქტი, რომ დასავლურქართული ეკლესიის ცენტრი იყო ბიჭვინთა, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ამ ხანაშიც (XIV-XVს. I ნახევარი მაინც) რჩებოდნენ ქართული ქრისტიანობის არეალში.

დავით ნარინის სიკვდილის შემდეგ (1293წ.) დასავლეთ საქართველო შინააშლილობამ მოიცვა, რითაც ისარგებლა ოდიშის ერისთავმა გიორგი დადიანმა, რომელმაც, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი... განიკვიდრა თვსად“.⁵⁴ აღნიშნულ ცნობას, ჩვენი აზრით, მეცნიერებაში არცთუ სწორი ინტერპრეტაცია ეძლევა. ზ. ანჩაბაძე, გამოდის რა არასწორი თეზისიდან, რომ ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები გაერთიანდნენ ერთიან ცხუმის საერისთავოში, რომელსაც შარვაშიძე ედგა სათავეში, აღნიშნავს, რომ ცხუმის ერისთავები იძულებულნი გახდნენ, შემოფარგლულიყვნენ ყოფილი აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიით. ე. ი. მეცნიერის აზრით, ცხუმის საერისთავოს ტერიტორია დადიანმა წაართვა შარვაშიძეს⁵⁵. მაგრამ ვახუშტის ცნობა აშკარად მოწმობს, რომ ამ მოვლენის წინა ხანებში არავითარი ერთიანი ცხუმ-აფხაზეთის საერისთავო არ არსებობდა. პირიქით, ვახუშტი ცხუმის საერისთავოს მთელ ტერიტორიას ანაკოფიითურთ (ამას იქით იწყებოდა აფხაზეთის საერისთავო) – ცალსახად მიიჩნევს „სრულიად ოდიშად“.⁵⁶

აღნიშნულ პერიოდში აშკარაა დასავლეთ საქართველოს ერისთავების სწრაფვა, კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი მემკვიდრეობითი უფლებები საერისთავოებზე, რასაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწევდნენ ლიხთ-იმერეთის მეფეები. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატია ყველანაირად ცდილობდა ქუთაისის ტახტის მოშლას. ამიტომ იყო, რომ ერისთავები გარკვეული ენთუზი-

აზმით შეხვდნენ ქუთაისში გიორგი V ბრწყინვალის მოსვლას და მის მიერ ბაგრატის – დავით ნარინის შვილიშვილის – ტახტიდან გადაყენებას. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ერისთავებს გულზე ეხატებოდათ თბილისის ხელისუფლება. ოდიშის ერისთავის მამია დადიანის, გურიელის, სვანეთის ერისთავისა და აფხაზეთის ერისთავ შარვაშიძის ენთუზიაზმი უდავოდ იძულებითი იყო. მათ არ გააჩნდათ საკმარისი ძალები საქართველოს მეფისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და ალბათ ამიტომაც იჩქარეს მასთან გამოცხადება და „ნიჭითა დიდითა დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გეორგიისა“⁵⁷ (ე. ი. საქართველოსი – **A.D.**). ამით, როგორც ჩანს, მათ შეძლეს თავიანთ საერისთავოებში მემკვიდრეობითი უფლებების შენარჩუნება⁵⁸. ამან საშუალება მისცა გიორგი ბრწყინვალეს, ძლევამოსილად განეგრძო გზა და ზედმეტი გართულებების გარეშე დაემყარებინა სრული კონტროლი მთელ დასავლეთ საქართველოზე. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, მეფე „შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა (საქმენი) მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თუსად“⁵⁹ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გიორგი V-მ რატომღაც საჭიროდ ჩათვალა (და ეს აშკარად ხაზგასმულია ვახუშტის ცნობაში) აფხაზეთის ციხე-სიმაგრეებზე უშუალოდ სამეფო კონტროლი დაემყარებინა („დაიპყრნა ციხენი თუსად“). ცხუმის საერისთავო კი ისევ გადაეცა ოდიშის ერისთავს – „ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო“.⁶⁰

XIV ს. 80-იანი წლების ბოლოს, ისარგებლეს რა თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით, დავით ნარინის შთამომავლებმა, კერძოდ, იმერეთის ერისთავმა ალექსანდრემ – გიორგი ბრწყინვალის მიერ ქუთაისის ტახტიდან გადაყენებული ბაგრატ მეფის ვაჟმა, სცადა იმერეთის სამეფო ტახტის აღდგენა; ამ მიზნით მან გადაწყვიტა დადიან-გურიელის, შარვაში-

ძისა და სუანთა მომხრობა, „არამედ არა ინებეს, რამეთუ ში-ში აქუნდათ ჯერეთ ბაგრატ მეფისა (ბაგრატ V – საქართველოს მეფე 1360-1393 წლებში – **A.D.**) და ეგნენ ერთგულებასა მისსა ზედა“.⁶¹ მიუხედავად ამისა, ალექსანდრემ, როგორც ჩანს, მაინც შეძლო თავი მეფედ გამოეცხადებინა (1387-1389წწ.), მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მემკვიდრემ იმერეთის ტახტზე – გიორგიმ ვერ შეძლეს მთავრების დამორჩილება. უფრო მეტიც, სრული კრახით დასრულდა იმერეთის მეფის ლაშქრობა ოდიშში 1392წ., სადაც „ეწყო“ მას დადიანი „აფხაზთა შეწევნითა“, სძლია მას და „მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი“.⁶² ამრიგად, მიუხედავად თემურ-ლენგის შემოსევებით გამოწვეული სირთულეებისა, ბაგრატ V-მ შეძლო ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და „ბაგრატ იყო მორჭმული სახელოვანი. ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი და ჰმონებდნენ პიტიახშნი ლორისა, კახეთისა, შარვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, **ΑχάΑΙΕ**, ჯიქნი, სუანნი, მთიულნი კავკასიანნი“.⁶³

ამრიგად, მთელი XIV საუკუნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ერისთავები, მათ შორის, აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე, სტაბილურად ცენტრალური ხელისუფლების ერთგულნი იყვნენ, რითაც მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნებას. ამავე დროს, ქუთაისის ტახტის საწინააღმდეგოდ და, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, ხდება ოდიშის მმართველების – დადიანების გაძლიერება, რომლებიც თანდათანობით დასავლეთ საქართველოს ფაქტობრივ ლიდერებად იქცნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი ამ პერიოდში მუდმივად ფლობდნენ ცხუმის საერისთავოს. აშკარაა მათი გავლენა აფხაზეთის ერისთავებზე – შარვაშიძეებზეც, რომლებიც, როგორც წესი, ყოველთვის მონაწილეობდნენ ოდიშის მთავრების სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში. უფრო მეტიც, ზოგიერთი უცხო-

ური წყაროს მონაცემებით, საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოც შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIV ს. არაბი ავტორის ალ-მუჰიბის (გარდ. 1384წ.) ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავით მეფე (იგულისხმება გაერთიანებული საქართველოს მეფე დავით IX – 1346-1360), რომელიც თბილისს განაგებს და ἈΑΑΕΙΔΑΙΕ (გიორგი II დადიანი – 1345-1384) – ἸΑ×Α, ὈΙ ἸΑΕΕΥ ἈΑΙΑΑΑΑΟ ὈΘαΘΙΘΑ ἈΑ ἈΑαΑΕΘ. ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“.⁶⁴ ანალოგიურ ცნობას ვხვდებით შიჰაბ ედ-დინ ალ-კალკაშანდის „ენციკლოპედიაშიც“. ის აღნიშნავს: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია... თბილისის გამგებელი... ἸΑΙ ὈΑ ὈΘαΘΙΕΘΑ ἈΑ Ἀ×-αΑΑΕΘ ἈΑΙΑΑΑΑΕΕ, ὈΙ ἸΑΕΘΑΥ ἈΒΙ ἈΑΑΙ ἈΑ ἈΑΑΕΑΙΕ... ყოველ მათგანს ეწოდება საქართველოს მეფე“.⁶⁵ ვენეციელი დიპლომატის – იოსაფატ ბარბაროს, რომელმაც იმოგზაურა აღმოსავლეთში XV ს. შუა ხანებში (1436-1451წწ.) თქმით, სამეგრელოს საზღვარი ვრცელდება ჩერქეზეთამდე⁶⁶, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელი აფხაზეთი ჩერქეზეთამდე, ოდიშის საზღვრებში იყო მოქცეული. ამას ადასტურებს ჯორჯო ინტერიანოც (XVI ს.). იგი საქართველოსა და ჩერქეზეთს შორის საზღვრად ასახელებს ანგაქსია-ს (Angaxia),⁶⁷ რომელიც, მკვლევართა აზრით, უნდა ვეძიოთ გაგრის ჩრდილოეთით – თანამედროვე ადღერის მიდამოებში⁶⁸.

ერთი სიტყვით, არსებობს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ოდიშის სამთავროს საზღვრები XIV-XV ს. I ნახევარში ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდებოდა არა მდ. ბზიფამდე, როგორც ამას თვლიდა ზ. ანჩაბაძე⁶⁹, არამედ მდ. ფსოუმდე⁷⁰. ეს კი იმას ნიშნავს, რომ Ἀ×αΑΑΕ-ΕΘ ὈΑΑΘΕΘΕΑΑΙ (რომ არაფერი ვთქვათ მთელ თანამედროვე აფხაზეთზე) ΒΑΘΙΙ ἈΑΑΑΙΑ ἈΘ ὈΑΕΙΑ ἈΑΙ ὈΕΕΑ-

დეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან. თუ შემდგომი მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ აფხაზეთის ერისთავი (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც) ცდილობს მიაღწიოს მხოლოდ ოდიშის მთავრის შუალედური ხელისუფლების ლიკვიდაციას, რათა უშუალოდ ცენტრის დაქვემდებარებაში აღმოჩნდეს. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1414წ., როდესაც „მამია დადიანმან... ინება დამორჩილება აფხაზთა“ და ამ მიზნით „შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა“ (სალაშქროდ) შარვაშიძის წინააღმდეგ, მას „ეწყო შარვაშიძე აფხაზით... მოსწყვდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია“.⁷⁵ შეიტყო რა აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, საქართველოს მეფე ალექსანდრე I (1412-1442წწ.) დაუყოვნებლივ ჩავიდა ოდიშში, სადაც მას დახვდა მამია დადიანის ვაჟი – ლიპარიტი, რომელმაც პატიება ითხოვა მამამისის მიერ აფხაზეთში ჩადენილის გამო. ე. ი. გამოდის, რომ მამია დადიანის მიერ აფხაზეთში მოწყობილი სადამსჯელო ექსპედიცია არ იყო სანქცირებული საქართველოს მეფის მიერ. შესაძლოა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე ეშინოდა კიდევ ოდიშის ლიდერთა ზედმეტად გაძლიერებისა და თვითონ იყო დაინტერესებული აფხაზეთის ერისთავის დადიანის ქვეშევრდომობიდან გამოყვანაში. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: ალექსანდრე I-მა შეძლო კონფლიქტის ჩაქრობა. მან შეიწყალა ლიპარიტ დადიანი და მასთან ერთად „წარვიდა აფხაზეთს“. აქ მეფეს „**Ἰ ἄἄἄἄ ὕαὸἄἄὑέρᾱ ἄ ἄἄἄἰ ὀὑέέᾱ ἄὀρᾱίἄἄἄἄ ἰέἄἄ, ἄέέἄὀὑᾱ θεὄἄἄἄἄ ἰᾱ×ἄἄἄἄ**“; განაგნა (ალექსანდრე I – **A.D.**) მუნებურნი და დაამშვიდნა იგინი და მოვიდა ქუთათისს“.⁷⁶

XVს. პირველი ნახევრის განმავლობაში შეიმჩნევა ოდიშის მთავრების შემდგომი გაძლიერება. ამ პერიოდში დადიანის ძალაუფლება პრაქტიკულად მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. იოსაფატ ბარბაროს მონაცემებით,

ზღვისპირა ზონაში ის ფლობდა სებასტოპოლისს (სოხუმი) და ვათს (ბათუმი).⁷⁷ XVს. შუა ხანებში ოდიშ-სამეგრელოს მმართველმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ის ხდება აქტიური წევრი ანტიოსმალური კოალიციისა, რომლის ორგანიზებასაც ცდილობდა გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466წწ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეფის მიერ რომში გაგზავნილ წერილში (1459წ.) ბედიანი (იგივე დადიანი) მოხსენიებულია სამეგრელოს მეფედ“ („Bandian rex Mingreliae“).⁷⁸ საინტერესოა, რომ რომში ჩასული ქართველი ელჩები ბედიანს იხსენიებდნენ „სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფედ“ („Bendas Mengrelia et Abasiae rex“).⁷⁹ ამავე კოალიციაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე „ანოკასიის მთავარი რაბია“, რომელიც ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა „ანაკოფიის მთავრად“.⁸⁰ ზ. ანჩაბაძის აზრით, რაბია იყო „აპოკაზიის“, ე. ი. აფხაზეთის მთავარი⁸¹. მაგრამ, უკანასკნელ ხანს ე. მამისთვალიშვილმა, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ საქართველოს მეფის წერილის ლათინურ ტექსტში ლაპარაკია არა „ანაკოფიაზე“ ან „აპოკაზიაზე“, არამედ სწორედ რომ „ანოკასიაზე“, რის ქვეშაც ის გულისხმობს ჯიქებით დასახლებულ ტერიტორიას, ხოლო რაბიას თვლის ჯიქეთის მთავრად⁸². აქედან და აგრეთვე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ დროს სწორედ ბედიანი ითვლებოდა „სამეგრელოსა და აფხაზეთის“ მეფედ, ე. მამისთვალიშვილი აკეთებს სავსებით ლოგიკურ დასკვნას, რომ ამ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთოდ არ არსებობდა ოდიშის პატრონისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული⁸³.

ბედიან-დადიანების უფლებები აფხაზეთზე ნათლად არის დაფიქსირებული გენუელთა კოლონიების მასალებში. როგორც ცნობილია, გენუელთა პირველი კოლონიები შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ XIIIს. II ნახევარში გაჩნდა. მალე მათ

ტანადან სებასტოპოლის-სოხუმამდე დააარსეს 39 დასახლება, აქედან 7 – საქართველოს სანაპიროზე. ყველა ეს დასახლება მდებარეობდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე: გაგრა (Cacary), სოფ. ალახადის მახლობლად (Santa-Sofia), ბიჭვინთაში (Pezonda), გუდაუთის რაიონში (Cavo di Buxo), ახალ ათონში (Nicoffa), სოხუმში (Sevastopoli) და მდ. ენგურის შესართავთან (Sant-Angelo).⁸⁴ ამ კოლონიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სებასტოპოლისი – სოხუმი, სადაც ჯერ კიდევ 1354 წლიდან იმყოფებოდა გენუის რესპუბლიკის კონსული⁸⁵. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გენუის რესპუბლიკის მთავრობა კონსულს სებასტოპოლის-სოხუმში ნიშნავდა ადგილობრივი მმართველის – ბედიანთან შეთანხმებით (კერძოდ, ამას მოწმობენ 1424წ. „გენუის ანალები“).⁸⁶ იოსაფატ ბარბარომ დააფიქსირა ბედიანის გარკვეული პრეტენზიები სებასტოპოლისის შემოსავლებზეც. სებასტოპოლის-სოხუმზე ოდიშის მთავრის რეალურ ძალაუფლებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გენუის ხელისუფალნი ყოველმხრივ ცდილობდნენ მისი კეთილგანწყობის მოპოვებას. მაგალითად, ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში კაფის კონსულის სახელზე მითითებული იყო: „Всего более достойно похвалы то, что вы стараетесь со всеми властями и народами того края жить в дружбе и избегать случаев столкновения. И подобным же образом довольны мы тем, что вы писали нам о надеждах на прочий мир с **Бендиано, князем Севастополиса**“.⁸⁷ აღნიშნული მითითება, როგორც ჩანს, იყო გენუის მთავრობის თავისებური რეაქცია კაფის კონსულის მოხსენებაზე (1465წ. 1 დეკემბერი), რომელშიც კონსული გამოხატავდა თავის კმაყოფილებას იმით, რომ „კარგად მოგვარდა საქმე სამეგრელოს მთავარ ბენდიანოსთან“.⁸⁸

თავის მხრივ, დადიანებიც ასევე დაინტერესებულნი იყვნენ გენუელ კოლონისტებთან მეგობრული ურთიერთობების

შენარჩუნებით და ხანდახან ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ რამდენადმე ელაქუცებოდნენ მათ. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობა აქვს ზემოხსენებულ „კათოლიკურ ეპისკოპოსს ქვემო იბერიისა“, რომელიც სოხუმში იჯდა – პიეტრო გერალდის. მისი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა (ამ დროს კი – XIV ს. I მესამედი – გერალდის ცნობით, სებასტოპოლის-სოხუმში ცხოვრობდნენ ქართველები, მაჰმადიანები და ებრაელები) აღწოთდა იმის გამო, რომ დადიანმა კათოლიკეებს გამოუყო ცალკე სასაფლაო. განრისხებულმა ხალხმა მოგლიჯა ლათინური სასაფლაოს ცენტრში აღმართული ჯვარი და საფლავის ქვები. ლათინებმა კვლავ აღმართეს ჯვარი და აღადგინეს საფლავის ქვები. მაშინ ადგილობრივმა „სქიზმატიკოსებმა (მართლმადიდებლები), მღვდლებმა და ხალხმა, სარკინოზებისა და ებრაელების დახმარებით, მიუტანეს მესამედ აღმართული ჯვრები და საფლავის ქვები სქიზმატიკოსების მთავარეპისკოპოსს“. პიეტრო გერალდი აღნიშნავს, რომ ქართველებს, მათი რჯულშემწყნარებლობიდან გამომდინარე, არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო, რომ მათ ჰქონოდათ საერთო სასაფლაო ლათინებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთ უარი თქვეს თავიანთი მკვდრების ქართველთა შორის დამარხვაზე⁸⁹. ფიქრობენ (ე. მამისთვალიშვილი), რომ ამ კონფლიქტს აღვივებდნენ სარკინოზები – მაჰმადიანები (რუმის სასულთნოდან გამოსული თურქ-სელჯუკები) და ებრაელები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ცხუმ-სებასტოპოლისიდან გენუელი კონკურენტების განდევნას⁹⁰.

კონსტანტინოპოლის დაცემამ (1453წ.) და თურქ-ოსმალების ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გააქტიურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც. უკვე 1454წ. თურქებმა მოაწყვეს პირველი სამხედრო ექსპედიცია სოხუმის რაიონში, გაძარცვეს ქალაქი და აფხაზეთის სანაპირო. მართალია,

საქართველოს მეფე გიორგი VIII თურქული დესანტის გადმოსხმის შესახებ ცნობის მიღებისთანავე გაემართა აფხაზეთს, მაგრამ ვერ დაეწია მოწინააღმდეგეს და მხოლოდ ის მოახერხა, რომ „მკუდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს“.⁹¹ როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგი VIII-მ 50-იანი წლების ბოლოს სცადა შეექმნა მძლავრი ანტიოსმალური კოალიცია აღმოსავლეთში და ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად მიეყენებინა გამანადგურებელი დარტყმა თურქ-ოსმალებისათვის. მაგრამ მისი ეს ინიციატივა ჩაიფუშა, რამაც მკვეთრი გავლენა იქონია საქართველოს შიგნით პოლიტიკურ სიტუაციაზე. XVს. 60-იან წლებში ქვეყანა მოიცვა მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა, რომლის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, ერთიანი სახელმწიფო დაიშალა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კვლავინდებურად სამეგრელოს მმართველი საგვარეულოს კონტროლს ექვემდებარებოდა, თუმცა სწორედ ამ დროიდან (XVს. შუახანები) შეიმჩნევა აფხაზ-ჯიქების ექსპანსიის დაწყება სოხუმ-სებასტოპოლისის მიმართულებით. სებასტოპოლის-სოხუმის კონსულის ჯერარდო პინელის ცნობით, 1455წ. 28 ივლისს ქალაქს მოულოდნელად დასხმიან თავს ავოგაზები. ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად აყრილა და გაქცეულა, რათა თავი გადაერჩინა, რადგან ავოგაზებს მათი დატყვევება ჰქონიათ განზრახული⁹². აღნიშნული ცნობის ანალიზის საფუძველზე ზ. ანჩაბაძე მივიდა დასკვნამდე, რომ ეს იყო ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის აჯანყება გენუელების წინააღმდეგ⁹³. მაგრამ, როგორც სწორად შენიშნა ე. მამისთვალიშვილმა, არც ერთ წყაროში არ არის დაფიქსირებული XIV-XVსს.-ში სოხუმში აფხაზური მოსახლეობა, ამიტომ საუბარი გენუელთა წინააღმდეგ აფხაზთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ ძალიან საეჭვოა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ავოგაზებს“ ჩავთვლით აფხაზებად და არა

ჯიქებად, – მიუთითებს ე. მამისთვალშივილი, – სოხუმზე თავდასხმის ხასიათი მაინც არ შეიცვლება⁹⁴. XVს. 60-იან წლებში აფხაზები კვლავინდებურად ჩართულნი არიან საერთო ქართულ პროცესებში. კერძოდ, ისინი „დადიან-გურიელ... და სუანნი“ მხარს უჭერენ ბაგრატ ბაგრატიონს, რომელმაც თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა და მაღლობის ნიშნად ბაგრატ მეფისაგან ჯილდოდ მიიღეს: „დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ“.⁹⁵ ჩვენ შემთხვევითად არ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან მოტანილი ამ ცნობის თანახმად, შარვაშიძემ, განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრებისაგან – დადიანი, გურიელი, გელოვანი, რომლებმაც განიმტკიცეს შესაბამისი რეგიონები: ოდიში, გურია, სუანეთი, – მიიღო არა აფხაზეთი, ასევე კონკრეტული რეგიონი, არამედ მხოლოდ ხელმძღვანელობა აფხაზებსა და ჯიქებზე. ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისა, **ΟΙ Ι ΕΑΙ ΑΙ ΑΑ ΟΙ ΑΑ Α×ΑΑΑΕΕΟ ΟΑΘΕΟΙ ΘΕΑ ΙΑΥΕΙ ΟΘΕΑΥ ΑΘ ΕΥΙ ΑΑΙΕΙΕΟΘΑΥΕΘΕΑΑ ΑΘΕΕΑΙΕ ΑΑ ΟΑΘΑΑΟΥΕΡΑΑΑΕ ΕΙ ΑΟΙ Ο, ΘΕΑΕΑΘ ΟΑΙΕΑΑΑΟΥΕ, ΘΥΑΑΙ ΑΙ ΑΙ ΙαΙ ΕΙ Α Α×ΑΑΑΕΕΟ ΟΑΑΘΕΟΕΑΑΙ Ο Ι×ΕΙ ΑΑΕΑΑΑ. ΑΟΑΑ ΕΘ ΕΟΑ, ΑΘΕΕ ΟΑΙ ΙΑΕΑΕΕΑ: ΑΑΑΘΟΥΕΟ, ΟΙ ΙΑΕΕΥ ΙΙ ΟΑΒΑΙ ΑΑ ΧVΙΙΙ ΘΟΥΕ, ΟΙ ΑΑΘΑΥ ΟΑΘΑΑΟΥΕΡΑΑΑΕ ΑΘΕΙΕΟΥΑΙΑΕΙ ΑΙΑΑ ΕΕΑΕΑΑΙ ΑΙΑΙ Α×ΑΑΑΕΕΟ ΙΙΑΘΕΑΑΕΑΑΑ (ΘΑΑΑΕΑ ΟΙ ΘΕΟ, ΙΕΘ ΑΥΑΑΑΙΑΕΘ ΟΑΕΑΘΑΑΟΥΕ), ΑΘΙ ΙΑΑ ΟΑΘΕΙ ΑΘΕΕ ΙΕΑΑΕ, ΟΙ Ι ΑΘ ΑΑΑΑΘΑΙΑ ΕΑΑΕΟΕ ΑΟΙ ΕΘ ΕΙ ΙΕΘΙΘΘΘΑ ΧVΘ-ΘΕ ΑΑ ΟΑΘΑΑΟΥΕΡΑΕΑ ΑΑΑΘΕΟ ΙΑΥΕΙΑΑΕΕ ΒΑΘΙΙ ΙΑΑΑΑΙΕΑΑΕ ΑΘ ΙΕΑΥΙΕΑ ΑΥΑΑΑΙΑΕΕ Α×ΑΑΑΕΕΟ Ι×ΕΙ ΑΑΕΑΑΑ.**

დასავლეთ საქართველოს მთავრების, პირველ რიგში, მათ შორის ყველაზე გავლენიანი დადიანების ლოიალობა ბაგრატ მეფისადმი, რაც ასე ნათლად გამომჟღავნდა როგორც XVს. 60-იან წლებში, ისე მოგვიანებითაც – იოვაკიმეს დასავლეთ საქართველოს – „აფხაზეთის“ – კათალი-

კოსად არჩევისას, დიდხანს არ გაგრძელებულა. შამადავლე დადიანის, დასავლეთ საქართველოში მცხეთის კათალიკოსისაგან დამოუკიდებელი იერარქის დაყენების ერთ-ერთი ინიციატორის, სიკვდილის შემდეგ ოდიშის მმართველი ხდება ვამეყ II დადიანი, რომელსაც არ მოეწონა ბაგრატი მეფის ასეთი გაძლიერება და ამიტომ „შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა იმერეთსა“.⁹⁶ მდგომარეობის გამოსწორება შეძლო ბაგრატის ვაჟმა – ალექსანდრემ (1484-1510წწ.), რომლის დროსაც დასრულდა იმერეთის სამეფოს, როგორც ცალკე პოლიტიკური წარმონაქმნის, საბოლოო გაფორმება, თუმცა ეს ერთბაშად არ მომხდარა. თავდაპირველად, როდესაც ალექსანდრემ მამის სიკვდილის შემდეგ სცადა იმერეთის ტახტზე დაჯდომა და „ამისთვის მოუწოდა დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს“, მათ უარი თქვეს და ამან განაპირობა დასავლეთ საქართველოში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენლის – კონსტანტინე II-ის (ქართლ-იმერეთის მეფე 1478-1484 წლებში, ქართლის მეფე 1484-1505 წლებში) გამარჯვება. მოგვიანებით (1484წ.) ალექსანდრე ბატონიშვილმა მაინც მოახერხა ქუთაისში დამკვიდრება. ის „დაეზავა დადიან-გურიელსა. ამით დაიმშვიდა იმერეთი და დაიპყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა, გარნა არა ეგოდენად, ვითარცა ენება“.⁹⁷

XVს. ბოლოსათვის, როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად. აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართლისა და კახეთის სამეფოები, დასავლეთ საქართველოში კი შეიქმნა იმერეთის სამეფო. ცალკე არსებობდნენ ოდიშის სამთავრო და სამცხე-საათაბაგო. რაც შეეხება აფხაზეთს, ის ფაქტობრივად ჯერ კიდევ რჩებოდა სამეგრელოს მმართველის გავლენის სფეროში, თუმცა უშუალოდ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში ტერიტორიულად შედიოდა მხო-

ლოდ „აფხაზეთის ზემოთი“, ხოლო „აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“.⁹⁸

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ირკვევა, XIII-XVსს-ში, მიუხედავად აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა დიდი სურვილისა, აწინდელი აფხაზეთის ტერიტორია სულაც არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, თუნდაც ავტონომიურ სამთავროს საქართველოს სამეფოში. მოცემულ პერიოდში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ადმინისტრაციულად შედიოდა ოდიშისა და ცხუმის საერისთავოებში, რომლებიც ძირითადად ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ცხუმში ყველა მონაცემებით იყო ქართული ქალაქი. ის წარმოადგენდა სამეგრელოს მთავრის რეზიდენციას, სადაც ეს უკანასკნელი ჭრიდა მონეტას. საკუთრივ აფხაზურ ტომებს, შესაძლოა, ეკავათ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავო, რომლის სამხრეთი საზღვარი ანაკოფიას (დღევანდელი ახალი ათონი) არ სცილდებოდა. აღნიშნული საერისთავო, რომელსაც შარვაშიძეთა საგვარეულო ედგა სათავეში, ასევე საერთოქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. XIII-XVსს. თითქმის მთელ მანძილზე შარვაშიძეები ინარჩუნებდნენ ლოიალობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში ისინი ავლენდნენ მეტ ერთგულებას თბილისის ხელისუფლებისადმი და წარმოადგენდნენ მის დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში.

თავი V

აწინდელი აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული იმერ-სახე XVI-XVII საუკუნეებში

ÀÈÌÌ -ÃÀÌÌ ÂÒÀ×ÉÒËË ÝÃËËËÃÃÃËË. გვიან შუა საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებულმა პროცესებმა ძირეულად შეცვალა რეგიონის ეთნოსოციალური და კულტურულ-ეკონომიკური იმერ-სახე. მოკლედ დროში აწინდელი აფხაზეთი, მაღალგანვითარებული ფეოდალური მხარიდან, სადაც აყვავებას განიცდიდა ქართული ქრისტიანული კულტურა და წიგნიერება, ერთბაშად გადაიქცა ჩამორჩენილ პროვინციად, პრიმიტიული პატრიარქალური წყობითა და რეანიმირებული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით. როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროები საკმაოდ ზუსტად აფიქსირებს იმდროინდელი აფხაზეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ყოფაში მომხდარ ამ ცვლილებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „მცნება სასჯულო“-ს – იოვაკიმეს „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად კურთხევასთან (1470-1474წწ.) დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტის – ხაზგასმა აფხაზეთა ქრისტიანობისაგან განდგომისა და „წარმართად მიქცევაზე“.¹ იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის, რომელიც გარკვეული პერიოდი (XVIII ს. შუა ხანები) ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში, დაკვირვებით, აფხაზეთი, ისევე, როგორც ალანები, ჩერქეზები, ჯიქები და ყარაჩაელები, „მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, თორემ არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით მათ ქრისტიანობა სრულებით არ ეტყობოდათ“.² მეორე მისიონერი ჯოვანი და ლუკა ასევე მიუთითებს, რომ „აფხაზეთს ცხოვ-

რების წესი ისეთივე აქვთ, როგორც ჩერქეზებს. დაწერილი კანონები მათ არა აქვთ, მათთვის უცნობია თვით დამწერლობის კულტურა, არ ასრულებენ არავითარ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები“.³ გიულდენშტედტის (XVIII ს. მიწურული) დაკვირვებითაც, ცხოვრების წესით აფხაზები სხვებზე მეტად ჰგვანან ჩერქეზებს⁴. აფხაზთა ყოფითი კულტურის მსგავსებაზე ჩერქეზებთან და სხვა ჩრდილო კავკასიურ მთიელ ტომებთან ამახვილებდა ყურადღებას ვახუშტი ბატონიშვილიც⁵.

ამ და სხვა მასალების კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ყოფაში მომხდარ ცვლილებებს ისტორიოგრაფიაში საკვებით დასაბუთებულად უკავშირებენ გვიან შუა საუკუნეებში მიმდინარე ეთნო-დემოგრაფიულ პროცესებს, კერძოდ, მონათესავე მთიელ ტომთა ახალი ტალღის გამოჩენას რეგიონში. განვითარების დაბალ სტადიაზე მყოფ მთიელთა ჩამოწოლა ბარში, როგორც ცნობილია, ადრეც ხდებოდა. უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ ეს პროცესი არც არასდროს შეწყვეტილა. მაგრამ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების და მკაცრი სახელმწიფო მართლწესრიგის პირობებში ქართული ფეოდალური საზოგადოება უმტკივნეულოდ ართმევდა თავს პირველყოფილობის შემოტევას. მთიელი ტომები, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, თანდათანობით ერწყმოდნენ საერთო-სახელმწიფოებრივ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას და იქცეოდნენ ქართული ფეოდალური საზოგადოების ორგანულ ნაწილად. სრულიად განსხვავებული ვითარება იქმნებოდა მაშინ, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახერხებდა სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ასეთ სიტუაციაში ხელისუფლების კონტროლიდან, პირველ რიგში, გამოდიოდა მთიანი რეგიონები, სადაც მაშინათვე იწყებდა გამოცოცხლებას პირველყოფილი, „ბარბაროსული“ ყოფის რე-

ციდივები.

მთიელ ტომთა გააქტიურება შესამჩნევი გახდა XIIIს.-ში, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო სერიოზულად დადგა „ოვსთა“ საფრთხის წინაშე. მაგრამ XIVს. I მესამედში გიორგი V ბრწყინვალემ შეძლო ოვსთა თარეშის ალაგმვა და შიდა ქართლში სახელწიფოებრივი წესრიგის აღდგენა. მთიელ ტომთა ახალი ტალღის მოწოლას ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჯიქ-აფხაზები, რომლებმაც თანდათანობით (XIVს. მიწურულიდან) ფეხი მოიკიდეს აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე. სამეგრელო-ოდიშის მმართველები, რომლებიც აკონტროლებდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, არაერთხელ გამხდარან იძულებულნი, მიეყენებინათ პრევენტიული ღარტყმები ჯიქ-აფხაზებისათვის და ამ გზით შეეჩერებინათ მათი შემოღწევა აწინდელი აფხაზეთის სიღრმეში. მაგრამ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ აფხაზეთის საერისთავოს მართვა, თავიანთ ბრძოლაში ოდიშის მთავართა წინააღმდეგ სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ ჯიქ-აფხაზებს და თვითონ გამოდიოდნენ მათი აფხაზეთში დაფუძნების ინიციატივით. ეს ახალმოსული ჯიქ-აფხაზები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებოდნენ აფხაზეთის საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობისაგან. თუ ადგილობრივი „აფხაზობა“ (არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ იყვნენ ისინი ეთნიკურად) წარმოადგენდა მაღალგანვითარებული ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილს, ზოგადქართული ქრისტიანული იდეოლოგიითა და წიგნიერი კულტურით, მოსული ჯიქ-აფხაზნი პირველყოფილი თემური წყობილების წიაღიდან გამოსული „ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელი დამანგრეველი ძალა იყო, რომელიც თავის გზაზე პირწმინდად ანადგურებდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ და სუ-

ლიერ ფასეულობებს.

სწორედ ადრინდელ და გვიანდელ აფხაზთა საზოგადოებრივ-კულტურული იერ-სახის ასეთმა მკვეთრმა განსხვავებამ აფიქრებინა პ. ინგოროყვას, რომ XVI-XVII სს. აფხაზები არ შეიძლება ყოფილიყვნენ ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფსილთა“ (ქართული წყაროების აფხაზთა) შთამომავლები, იმ აფხაზებისა, რომლებმაც წამყვანი როლი შეასრულეს ახალი დასავლურქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს ფორმირებაში და რომლის ჰეგემონობითაც აღმოცენდა ერთიანი ქართული სახელმწიფო. მეცნიერის აზრით, ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფსილ“- „აფხაზები“ ეთნიკური ქართველები იყვნენ, გვიანი შუა საუკუნეების აფხაზები კი – ადიღურ-აფხაზური ეთნიკური სამყაროს წარმომადგენლები, რომელთა ჩამოსახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI-XVII სს.-ში მოხდა⁶. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ პ. ინგოროყვას ეს თვალსაზრისი თავის დროზე არ მიიღო ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ქართული საისტორიო სკოლის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მკაფიოდ გამოხატა მისმა მაშინდელმა თავკაცმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომლის შეხედულებების ერთგვარი შეჯამება მოცემულია მისი თხზულებების მე-8 ტომში⁷. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი მკვლევრის მხრიდან ადგილი აქვს აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისის არასწორ ინტერპრეტაციას. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ნ. ბერძენიშვილი ადრეული შუა საუკუნეების აფხაზებს, პ. ინგოროყვას მსგავსად, ეთნიკურ ქართველებად თვლიდა⁸. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ნ. ბერძენიშვილის შრომები არ იძლევა არავითარ საბაბს ამგვარი დასკვნისათვის. მეცნიერს არსად და არასოდეს უთქვამს რაიმე ადრეული შუა საუკუნეების აფხაზთა ეთნიკურ ქართველობაზე. ის ყველგან ლაპარაკობდა

სხვა რომელიმე წყარო არ ამბობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას ადგილობრივ აფხაზებსა და მოსულ ჯიქ-აფხაზთა შორის ადგილი ნამდვილად არ ჰქონია, განსხვავებით ცხუმის საერისთავოს ტერიტორიისგან, რომელიც ჯიქ-აფხაზთა პერმანენტული რბევა-თარეშის ობიექტი გახდა. ყოველივე ეს და აგრეთვე ის ფაქტიც, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებიც ისტორიულად საერთოქართულ პოლიტიკურ ელიტაში შედიოდნენ, თვითონ ედგნენ სათავეში აფხაზთა ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, აშკარად მიუთითებს აფხაზეთის საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობისა (აფხაზების) და გვიან შუა საუკუნეებში მოწოლილ ჯიქ-აფხაზთა ეთნიკურ ნათესაობაზე.

ის, რომ გვიან შუა საუკუნეებში ნამდვილად ჰქონდა ადგილი მთიელ ტომთა ექსპანსიას ჩრდილოეთ კავკასიიდან აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, დასტურდება ადიღეელებში არსებული გადმოცემებით, რომლებიც თავის დროზე (XIX ს.-ში) ჩაიწერა ცნობილმა ადიღეელმა განმანათლებელმა შ. ნოგმოვმა. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემის თანახმად, ადიღეელთა წინამძღოლმა ინალმა (XV ს. დამდეგი) შეკრიბა თავისი თანატომელები და ანაპის მიდამოებიდან ჯერ ყაბარდოს მიმართულებით დაიძრა, ხოლო შემდეგ იქიდან აბაზა მთავრებთან აშე და შაშესთან ერთად აფხაზეთში გადმოვიდა. „აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ, – როგორც მიუთითებს შ. ნოგმოვი, – ძიბაზე (სპეციალისტების აზრით, მდ. ბზიფი) ყოფნისას, სადაც აწარმოებდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს აფხაზურ ტომებთან, ის (მას მერე, რაც მორჩა ყველა ამ საქმეს) გარდაიცვალა (1427წ.)... მისი გვამი დაფლეს აღნიშნულ მიწაზე და მისი საფლავი დღესაც ცნობილია ინალ-კუბას სახელით“ (აბაზურად „ინალის საფლავი“). გადმოცემის თანახმად, ინალის საფლავი – ინალ-კუბა მდებარეობს მაღალ მთაზე, სოფელ ფსხუს მიდამოებში¹².

მოგვიანებით ინალის საფლავი აფხაზებისა და აბაზებისათვის წმინდა ადგილად გადაიქცა, სადაც იმართებოდა ხალხმრავალი დღესასწაული¹³.

ისტორიოგრაფიაში პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევს, რომ აბაზა მთავრებში – აშე და შაშე-ში იგულისხმებიან აჩბებისა და ჩაჩბების აფხაზური თავადური საგვარეულოები¹⁴. მკვლევართა აზრით, ამ გადმოცემაში აირეკლა აბაზურ ტომთა, კერძოდ, მთიელ აბაზა-აშხართა, ფართომასშტაბიანი გადმოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე¹⁵. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან მონათესავე აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომების გადმოსახლებას აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში არ უარყოფენ თვით ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი აფხაზი მეცნიერებიც. ასე, მაგალითად, აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მამამთავარი შ. ინალ-იფა ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევდა, რომ ისტორიულ გადმოცემებში „часто рассказывается о том, как приходили в Абхазию один за другим целые роды или отдельные лица откуда-то с Севера из-за гор“.¹⁶ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ გადმოცემით აჩბების (ანჩაბაძეთა) საგვარეულო აფხაზეთში მართლაც ფსხუს მიდამოებიდან შემოვიდა. იმავე მონაცემების თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ფსხუს გზით არიან მოსულნი აგრეთვე ისეთი გვარები, როგორცაა: აშუბა, ადლეიბა, ინაფშბა და ა.შ.¹⁷

XVს. I ნახევარში, ცალკეული გართულებების მიუხედავად, ერთიანი ქართული სახელმწიფო ასე თუ ისე ართმევდა თავს ჯიქ-აფხაზთა ექსპანსიის შეჩერებას და ინარჩუნებდა კონტროლს აფხაზეთის საერისთავოზე, მაგრამ ოსმალეთის იმპერიის მიერ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროების დაკავებამ XVს. II ნახევარში სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც, როგორც ცნობილია, თავის უკანასკნელ დღეებს

ითვლიდა, უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უსაფრთხოება. სწორედ თურქ-ოსმალთა მიერ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რელიგიურ-იდეოლოგიური „ათვისების“ ფონზე, ჯიქ-აფხაზებმა გააძლიერეს ექსპანსია სამეგრელო-ოდის მიმართულებით, რომლის პირველი გამოვლინება იყო 1455 წელს ავოგაზების (აფხაზების) დამარბეველი თავდასხმა ცხუმი-სებასტოპოლისზე.

ΘΙ ΕΕΘΕΘΘΕ ΘΘΙ ΥΑΘΑΑΕ ΑΑΘΑΑΕΑΕ ΘΑΘΑΘΕΑΑΕΙ ΘΕ XVI-XVII ΘΑΘΕΘΙΑΑΑΘΕ ΑΑ ΑΒΕΙΙΑΑΕΕ Α×άΑΑΑΕΕ. XVს. მიწურულს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ერთი პერიოდი სამეგრელო-ოდის მთავრები კვლავ აკონტროლებდნენ აწინდელი აფხაზეთის დიდ ნაწილს და დროდადრო ცდილობდნენ პრევენტიული დარტყმების მიყენებას ჯიქ-აფხაზებისათვის. 1533წ. სამეგრელოს მთავარმა მამია III დადიანმა, რომელმაც თავისი მმართველობის პერიოდში (1512-1533წწ.) ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას რამდენიმე სოფელი აზნაურებითა და გლეხებით, მათ შორის უშუალოდ ბიჭვინთის მიდამოებში არსებული სოფლები: აითარნე, არუხა და რაბიწა, შესწირა¹⁸, გურიის მთავარ მამია I გურიელთან ერთად, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის უშუალო მხარდაჭერით, მოაწყო საზღვაო ექსპედიცია ჯიქეთში. ორდღიანი შეტაკება ჯიქების მიწა-წყალზე დადიანისა და გურიელის მარცხით დამთავრდა. ამ ბრძოლაში მამია დადიანი მოკლეს, ხოლო მამია გურიელი დაატყვევეს. მოგვიანებით ის „აფხაზეთის“ კათალიკოსმა მალაქია I-მა (აბაშიძემ) გამოისყიდა. ქართული წყაროს ცნობით, ამ ბრძოლაში საბედისწერო როლი შეასრულა ვინმე ცანდია ინალ-დიფამ (ინალ-დიფამ), რომელიც, როგორც ჩანს, სარდლობდა აფხაზთა ლაშქარს და რომელმაც გადამწყვეტ მომენტში უღალატა დადიანსა და გურიელს¹⁹.

მიუხედავად ამ დამარცხებისა, ოდიშის სამთავრომ მაინც შეინარჩუნა თანამედროვე აფხაზეთის დიდი ნაწილი.

ამას პირდაპირ ადასტურებს XVIს. 30-იანი წლების თურქი რეზიდენტის თითქმის დოკუმენტური ცნობა იმის შესახებ, რომ „გურიიდან სოხუმამდე არის დადიანის მიწა. სოხუმი ძველ დროში იყო ნავსადგური. აქ ზღვისაკენ ეშვება იალბუზის მთის ერთი განშტოება“.²⁰ მკვლევართა (თ. ბერაძე) აზრით, ამ „განშტოებაში“ იგულისხმება კავკასიონის მთავარი ქედიდან მომავალი მთის მასივი, რომელიც ზღვამდე ეშვება მდ. ფსირცხის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ²¹.

XVIს. აფხაზები არ იყვნენ გარიყულნი დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისგან. ასე მაგალითად, 1573 წელს ისინი ჯიქებთან და ჩერქეზებთან ერთად მონაწილეობდნენ ოდიშის სამთავროში ატეხილ შინაომში. ამ დროს მთავრის ტახტისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ძმები მამია და გიორგი დადიანები. მამიამ შეძლო გიორგის დამარცხება და ამ უკანასკნელმა აფხაზეთს შეაფარა თავი. გიორგი დადიანს მხარში ამოუდგნენ აფხაზები, ჯიქები და ჩერქეზები, მაგრამ მან ამჯერადაც მარცხი განიცადა²². ეს ფაქტი აშკარად მოწმობს იმას, რომ არა თუ შარვაშიძეები, თვით დადიანებიც კი არ თაკილობდნენ ჯიქ-აფხაზთა გამოყენებას თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

1578წ. დაიწყო ირან-ოსმალეთის ახალი ომი. ამ ომის მსვლელობაში თურქები გადმოსხდნენ სოხუმში და აქ სოხუმის საბეგლარბეგო შექმნეს²³. მაგრამ უკვე 1580 წელს ისინი იძულებულნი გახდნენ გაეუქმებინათ საბეგლარბეგო და სოხუმი დაეტოვებინათ. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის თ. ბერაძის აზრით, სწორედ ამ პერიოდში უნდა დაეკარგათ კონტროლი სოხუმზე სამეგრელოს მთავრებს²⁴. ამ დროიდან ქალაქს აფხაზები დაეპატრონნენ. ეს მათ მოახერხეს სოხუმის ბეგლარბეგის, წარმოშობით ჩერქეზი – ჰაიდარ-ფაშას აქტიური მხარდაჭერით. თ. ბერაძე იმასაც არ გამოორიცხავს, რომ ამ დროს შარვაშიძეები საერთოდ გამოვიდნენ დადია-

ნების სიუზერენიტეტიდან²⁵, თუმცა ეს თვალსაზრისი მეტ არგუმენტაციას საჭიროებს.

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი იმის შესახებ, თუ როდის დასრულდა სამეგრელო-ოდიშისაგან დამოუკიდებელი აფხაზეთის სამთავროს ფორმირების პროცესი. დიდ ხანს გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ეს მოხდა XVII ს. 10-იან წლებში (ირ. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე),²⁶ მაგრამ ამ ბოლო დროს ზოგიერთი მკვლევარი (დ. მუსხელიშვილი, ა. ტულუში) თვლის (და არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ლევან II დადიანის (1611-1657წწ.) მმართველობის პერიოდში აწინდელი აფხაზეთის უდიდესი ნაწილი კვლავინდებურად რჩებოდა სამეგრელოს სამთავროს ფარგლებში²⁷. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს მთავრის ერთ-ერთი რეზიდენცია განთავსებული იყო მერკულაში (თანამედროვე ოჩამჩირის რაიონში). სწორედ აქ მოაწერა ხელი 1615 წელს ლევან II დადიანმა სამშვიდობო ხელშეკრულებას ოსმალეთის იმპერიასთან²⁸. მოგვიანებით (1639წ.) მერკულას ახლოს, ქიაჩში, დაასაფლავეს ლევან დადიანის მეუღლე – ნესტან-დარეჯანი. ქელები სამეგრელოს დედოფლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კი გადაიხადეს კვიტოულის სასახლეში. აღსანიშნავია, რომ ამასთან დაკავშირებით სოფელ კვიტოულის მოსახლეობას დაუწესეს „ღალა“.²⁹ წყაროებში მოხსენიებულია ლევან II დადიანის კიდევ ერთი სასახლე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (მდ. ღალიძგის ნაპირას), რომელიც „აფხაზეთის“ კათალიკოსის მალაქია II გურიელის თხოვნით უბოძეს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას³⁰.

სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარი, იტალიელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას დოკუმენტური დამოწმებით, 1630 წელს ჯერ კიდევ მდ. აბსეზე (თანამედროვე მდ. ბესლეთი) გადიოდა³¹. ლევან II დადიანმა თავისი მმართველობის პირველ წლებში შეინარჩუნა კეთილმეზობლური ურთიერთობა შარვაშიძეთა საგვარეულოსთან, რომელიც დინასტიური ქორ-

წინებით განამტკიცა. მან ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის სეტემან შარვაშიძის (აღსანიშნავია, რომ სწორედ სეტემან შარვაშიძეა მოხსენიებული პირველად მთავრის სტატუსში³²) ასული დარეჯანი. ლევან დადიანი აქტიურად იყენებდა ჯიქ-აფხაზებს იმერეთის მეფის გიორგი III-ის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც სამეგრელოს მთავარმა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა იმერეთის მეფეს, ის გაეყარა აფხაზეთის მთავრის ასულს და აფხაზეთში გაილაშქრა. XVIII ს. 30-იან წლებში ლევან II დადიანმა ხელმეორედ გაილაშქრა აფხაზეთში და ამჯერად მდ. კაპოეტისწყლამდე (თანამედროვე ბზიფი) მიაღწია, სადაც დაამარცხა ჯიქთა და აფხაზთა გაერთიანებული ლაშქარი ვინმე მარშანიას სარდლობით³³. ისტორიოგრაფიაში საკლებით სამართლიანად არის მითითებული, რომ სამეგრელოს მთავრის ეს სამხედრო ექსპედიციები აფხაზეთის სიღრმეში იყო საპასუხო რეაქცია ჯიქ-აფხაზთა გამოხდომებზე³⁴.

მაგრამ ლევან II დადიანის მიერ გატარებული სამხედრო კონტროლები არ აღმოჩნდა საკმარისი „აფხაზთა მოწოლის“ შესაჩერებლად. ამიტომაც ოდიშის მთავარმა გადაწყვიტა მდ. კელასურის გაყოლებაზე აღემართა საფორტიფიკაციო ნაგებობები ე.წ. „კელასურის კედელი“ – „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“. ისტორიოგრაფიაში, მიუხედავად ცალკეულ აფხაზ მკვლევართა (მაგ. მ. გუნბა³⁵) უსუსური მცდელობისა, „კელასურის ზღუდე“, ანუ ე.წ. „აფხაზეთის დიდი კედელი“ ადრე აგებულად გამოაცხადონ, თითქმის საყოველთაოდ არის მიღებული, რომ ეს ნაგებობა სწორედ ლევან II დადიანის მიერაა აგებული. ამას პირდაპირ ადასტურებენ როგორც ქართველი ისტორიკოსები (ვახუშტი ბაგრატიონი, ნიკო დადიანი),³⁶ ისე XVIII ს. მისიონერები და მოგზაურები (არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი).³⁷ აღსანიშნავია ისიც, რომ „კელასურის კედელს“ ლევან დადიანის მიერ აგებულად მიიჩნევდა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთ-

თი იდეოლოგი ი. ვორონოვი³⁸.

XVIIს. შუა ხანებისათვის აფხაზებმა მოახერხეს კელასურის ზღუდის გადალახვა და სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრის მდ. კოდორზე გადმოტანა, თუმცა ზოგიერთი ტერიტორია კოდორის მარჯვენა სანაპიროზე (კერძოდ დრანდის მონასტერი, სოფ. ფშაფი და სხვ.) კვლავ ითვლებოდა ოდიშის მთავრის სამფლობელოდ. ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ, როგორც ცნობილია, სამეგრელოს სამთავრო მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა, რითაც ისარგებლეს შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლებმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის სამთავრო არასოდეს ყოფილა მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ჯერ კიდევ ზემოთ დასახელებული იტალიელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა, რომელმაც აფხაზეთი 1630 წელს მონახულა, მიუთითებდა, რომ აფხაზებს ორი მთავარი: კარაბეი და პუტო ჰყავდათ³⁹. მკვლევართა აზრით, კარაბეი ბზიფის აფხაზეთის მფლობელი იყო, ხოლო პუტო სოხუმში იჯდა⁴⁰. ქრისტოფორო კასტელის (იმოგზაურა აფხაზეთში XVIIს. შუა ხანებში) ცნობით კი, აფხაზეთში სამი მთავარი იყო, რომელთაგან უფროსად ითვლებოდა ბესლაცო შარაშია (შარვაშიძის მეგრული ფორმა). მისი რეზიდენცია ბიჭვინთის მიდამოებში იყო⁴¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIIს. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ოდიშის სამთავროში გამწვავდა ტახტისათვის ბრძოლა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვამეყ III დადიანი (1657-1661წწ.) და ლიპარიტ დადიანი. ამ ბრძოლაში ვამეყ დადიანს მხარს უჭერდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III. მათ მხარეზე გამოვიდნენ აფხაზებიც სოლომონ შარვაშიძის მეთაურობით. ამის შესახებ ცნობა მოგვეპოვება ბიჭვინთის სახარების მინაწერში, სადაც ვკითხულობთ: „ქ. პატიოსანო დიდო ბიჭვინთის მღთის მშობელო თქვენ შევაედრეთ და შეწევნითა თქვენითა მეფესა და დადიანს წინ გა-

ვიმარჯვებოთ გურიელსა და ლიპარი დადიაზელა და ამისთვის მოვაჭედინეთ ეს პატიოსანი სახარება... ჩუენ შარვაშიძემა სოლომონ და ძემან ჩუენმა აზრაყან თქვენდა სადიდებლად და ჩუენდა სადღეგრძელოდ და აზრაყანისა აღსაზრდელად და მას საუკუნოსა ჩუენისა სულის სახსრად და საოხად“.⁴² გარდა იმისა, რომ თავისთავად მინაწერი აშკარად მიუთითებს აფხაზ შარვაშიძეთა „ისტორიულ-კულტურულ“ ქართველობაზე ამ პერიოდში, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, თუ როგორი მოწიწებითაა მოხსენიებული მასში იმერეთის მეფე. მკვლევართა (ზ. ანჩაბაძე, ბ. ზორავა) სავსებით დასაბუთებული დასკვნით, ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ ამ პერიოდში აფხაზეთის მთავარი ერთმნიშვნელოვნად თვლიდა იმერეთის მეფეს „თავის ხელმწიფედ“.⁴³

ის, რომ აფხაზეთი ამ პერიოდში ქართული პოლიტიკური სამყაროს ორგანულ ნაწილად რჩებოდა, აშკარად დასტურდება XVIII ს. ქართველი პოეტის ფემანგი ხითარიშვილის პოემა „შაჰნავაზიანის“ მონაცემებითაც. კერძოდ, მასში აღწერილია, თუ როგორ ეახლა სოლომონ შარვაშიძე ქართლის მეფე ვახტანგ V-ს ზუგდიდში ⁴⁴. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ვამეყ III დადიანის ქუთაისის ტახტზე აღზევებით გაბრაზებულმა ქართლის მეფე ვახტანგ V-მ ილაშქრა იმერეთში, დაამარცხა ვამეყი და მის ნაცვლად სამეგრელოს მთავრის ტახტზე ლევან III დადიანი (ლევან II-ის ძმისწული – შამადავლე იოსების ძე) დასვა. მკვლევართა აზრით, სოლომონი ბესლაყო და სეტემან შარვაშიძეების ძმა იყო⁴⁵. მის შესახებ ინფორმაციას იძლევა აგრეთვე ლიხნის ტაძარში ნაპოვნი ვერცხლის ფეშხუმის წარწერა: „ქ. ეჰა, შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთ უწმინდესო, ადამიანთა მხსნელო, ლიხნისა ღვთის მშობელო. შემოგწირეთ ფეშხუმი ესე ვერცხლისა ჩვენ შარვაშიძემან სოლომონ ამ სოფელს სადღეგრძელოდ, გასამარჯვებლად და ცოდვილის სულის ჩემის სახსრად და საოხად, ძისა ჩემისა არზაყანისა აღსაზრდე-

ლად. ამინ“.⁴⁶ აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტ მომენტში სოლომონ შარვაშიძე არ გამოეხმაურა ოდიშის დედოფლის ელენე გურიელის თხოვნას, დახმარებოდა მას და ეს იმით ახსნა, რომ მეფეს „ვერ შეებრძოლებოდა“.⁴⁷ სავსებით სწორადაა შენიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ სოლომონ შარვაშიძის თვალში ვახტანგ V მხოლოდ ქართლის მეფედ არ მოიაზრებოდა⁴⁸. ის მისთვის სრულიად საქართველოს მეფეთა ადგილზე მჯდომი და, ამდენად, მისი სიუზერენი იყო. ამიტომაც ეახლა ის ვახტანგ მეფეს ზუგდიდში მუხლმოდრეკით:

„À×áÀĀĪÉ ÓÒÖĒĀĀ ĪĪĀĒĪĪĪ, ĪÓáĒÓ ĀáÓĀĀĒĒĪ ĪĀ×ĀÓĀ;
 †ĀĀÒĀÓ: „Ó×ĀĀĪĪ ĀĒĀĒĒĒ, ĀÓĀĪŪĪ ×Ī ĒØŌĀĪŌĀ ÓĀ×ĀÓĀ;
 ĀĪ ĪĒĀŌĀŸ ĒĀĀĪŌ ĀĪŌĀáŌŌĪ Ē, ĀĪĀ ÓĒŌáĒĒŌĀ ĪŪŌĀ×ĀÓĀ,
 ĀŌĒĀŌĒĒĒ ĀŌĒŪĪ Ó BŪĀĒĪĀĀ, ŌŌĀĀĀĒĒ ŌĒĒĀ×ĀÓĀ“.⁴⁹

ამრიგად, როგორც ფეშანგის პოემის ამ და სხვა ფრაგმენტებიდან ირკვევა, ვახტანგ V-მ აფხაზეთი დაუტოვა სამეგრელოს ახალ მთავარს და აფხაზებს უბრძანა მისდამი სრული მორჩილება. მაგრამ აფხაზეთში ყველა როდი იყო განწყობილი ლოიალურად ოდიშის მთავრისადმი. 1664-1666წწ. საქართველოში მამასთან – ანტიოქიის პატრიარქ მაკარისტან ერთად მყოფმა პავლე ალექსოელმა ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აფხაზანა (აფხაზეთი – ზ.პ.) ორი სახელმწიფოა; ერთი მათგანის მცხოვრებნი დადიანის ქვეშევრდომები, ქრისტიანებად იწოდებიან, თუმცა არ არიან მონათლულნი. ისინი ეთაყვანებიან წმინდა ხატებს და პატივს სცემენ ეკლესიებს. მოუნათლავენი კი იმიტომ არიან, რომ არ ჰყავთ მღვდელმთავარი და მღვდელმსახურნი. მეორე სახელმწიფოს მცხოვრებნი ურწმუნონი არიან. მათ მახლობლად ცხოვრობენ ალანები, აბაზგები, ზიხები, ჩერქეზები... ისინი სამეგრელოს დაუძინებელი მტრები არიან, იტაცებენ და ატყვევებენ მეგრელებს“.⁵⁰ იტალიელი მისიონერის მარი ძამპის (XVII ს. 70-იანი წლები) ცნობითაც, მეგრელები მუდმივად აფხაზთა თავდასხმების საფრთხის ქვეშ არიან⁵¹. აფხაზთა თავდასხმები განსაკუთ-

რებით გახშირდა XVIII. 60-იანი წლებიდან. არის ცნობები მათ მიერ ცაიშისა და წალენჯიხის ეკლესიების გაძარცვის შესახებ⁵². ფიქრობენ, რომ XVIII. 60-70-იან წლებში აფხაზთა „შემოტევა“ სათავეში ედგა სოუსტან (ბაგრატი) შარვაშიძე⁵³, რომელიც მოხსენიებულია ბიჭვინთის სახარების ერთ-ერთ მინაწერში. მასში ვკითხულობთ: „ქ. ... შენ ცათა სწორო ბიჭუტისა ღმთისმშობელო, ჩუენ შარვაშიძემან საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შესაწირავი – ერთი გოგო ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და სავარეხის აღსაზრდელათ... შენ დიდად შუენიერო და ცათა აღმატებულო, შენ ბიჭვიტის მღთის მშობელო, ჩუენ შენმან მონღობილმან და მოსავმან შარვაშიძემა საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შემოსაწირავი გაიჩინდი ხუცესი ჩანგელია, ამა სოფელსა ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯუებლად და ძისა ჩუენისა სავარეხისა აღსაზრდელად და მას საუკუნოს ჩუენის ცოდვილის სულის საცხოვნებლად და საოხად, ოდეს მოვიდეთ სუფევითა შენითა“.⁵⁴ საინტერესოა მეორე მინაწერიც: „ქ. ეჰ ცათა უმაღლისა და ქერაბინთ უჟესთესა ყულწმიდავ ბიჭვინთისავო ღმრთის მშობელო, შემოგწირეთ მცირე შემოსაწირავი ჩუენ ბაგრატმან შარვაშიძემან სუსტანმან ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად ჩუენი შვილის სავარეხისა ერთ დიდ გვამსწრეთ“.⁵⁵

სოუსტან (ბაგრატი) შარვაშიძის ძე სავარეხი ანუ სორეხ შარვაშიძე კიდევ უფრო შორს წავიდა. მან ისარგებლა ლევან III დადიანის გარდაცვალების (1681 წ.) შემდეგ ოდიშის სამთავროში ამტყდარი შინააშლილობით და სამეგრელოს მთავრის ტახტზე განაცხადა პრეტენზია. ის შეიჭრა სამეგრელოში და თავი მთავრად გამოაცხადა. ვარაუდობენ, რომ მას ამის გარკვეული ლეგიტიმური საფუძველი გააჩნდა. შეიძლება ის დედის ხაზით დადიანთა შთამომავალი იყო⁵⁶. მაგრამ სორეხ შარვაშიძემ ოდიშის მხოლოდ ერთ ნაწილზე (მდ. ენგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) შეძლო თავისი

ხელისუფლების გავრცელება. მთავრის ტახტი კი ოფიციალურად ლევან IV დადიანმა დაიკავა.

XVII ს. 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდნენ შარვაშიძეთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც. 1689 წ. აფხაზეთში სტუმრობდა ქართლის მეფე ვახტანგ V (შაჰნავაზის) ძე – არჩილი, რომელიც იმ პერიოდში ახორციელებდა იმერეთის ტახტის დაკავების მორიგ მცდელობას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მას „მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა პატივით, ვითარცა მეფე და იყოფებოდა (არჩილი – **A.D.**) ზუფუს ჟამრადენმე“.⁵⁷ მკვლევართა აზრით, ეს შარვაშიძე იყო ზეგნაყ შარვაშიძე, რომელმაც ღრობით მოახერხა თავისი ხელისუფლების განვრცობა სორეხ შარვაშიძის სამფლობელოებზეც. მაგრამ ზეგნაყ შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის სამთავრო საბოლოოდ დაიშალა სამ სამფლობელოდ. ჩრდილოეთი ნაწილი – ტერიტორია მდ. ბზიფსა და მდ. კოდორს შორის, მიიღო ზეგნაყ შარვაშიძის უფროსმა ძემ როსტომმა; მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის ტერიტორია, ანუ „შუა სოფელი“ (აფხაზურად „აბჟუა“) ერგო შუათანა ძეს – ჯიქეშიას, ხოლო ტერიტორია მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის განიკვიდრა უმცროსმა ძემ – ყვაპუმ, რომლის სიკვდილის შემდეგ ეს მხარე გადავიდა მისი ვაჟის მურზაყან შარვაშიძის მფლობელობაში⁵⁸. მისგან წამოვიდა კიდევ ამ რეგიონის ამჟამინდელი სახელწოდება – სამურზაყანო.

ამრიგად, XVIII ს. დამდეგისათვის აფხაზებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და მყარად მოიკიდეს ფეხი სამეგრელო-ოდის მთავრის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. ამ დროიდან სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარმა მდ. ენგურზე გადმოინაცვლა. ასე გაფორმდა აფხაზეთი თანამედროვე საზღვრებში.

თავი VI

აფხაზეთის სამთავრო XVIII-XIX საუკუნის დამდგმს

ἈΒΕΪἸἈἸἸ Ἀ×ἰἈἈἸἸἸ ἈἸἸἸ-ἸἸ ἸἸἈἸἸἸἸ ἈἸ ἸἸἸἸἸ-
ἸἸἸ-ἸἸ ἸἸἸἸἸἸἸ ἈἸἸἈἸἈἈἈἈ XVII-XVIII ἸἈἸἸἸἸἈἈἈἈἸἸ ἸἸἈ-
ἸἈἈ. XVII საუკუნის მიწურულისათვის, როდესაც აფხაზე-
თის სამთავროს საზღვარმა მდ. ენგურის ნაპირებამდე მიაღ-
წია, აფხაზებმა თანდათანობით ფეხი მოიკიდეს და იწყეს
დაფუძნება მდ. ღალიძგას სამხრეთითაც. ერთი გადმოცემის
თანახმად, რომელიც უდავოდ ისტორიული რეალობის ამსახ-
ველია, ყვაპუ შარვაშიძემ თავის სამფლობელოში (მდ. ღა-
ლიძგასა და მდ. ენგურს შორის ტერიტორია) ბზიფის აფ-
ხაზეთიდან ჩამოსახლა თავად-აზნაურთა რამდენიმე ოჯახი,
მათ შორის ანჩაბაძეთა, ემუხვართა, ინალ-იფა – ინალიშვი-
ლების, მარღანიების, ზვანბაიების, ლაკერბაიების, აქირთავები-
სა და სხვ.¹ თვით ყვაპუმ კი სათავე დაუდო სამურზაყა-
ნოელ შარვაშიძეთა შტოს. მის საგვარეულო მამულს წარ-
მოადგენდა: ბედია, ფახულანი (თანამედროვე წალენჯიხის რ-
ნში), ბარბალო (თანამედროვე კოკი – ზუგდიდის რ-ნში).²
სამურზაყანოში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თავადაზნაურთა
ოჯახებისა, ჩამოსახლდნენ აფხაზ გლეხთა ოჯახებიც³. ყო-
ველივე ამის შედეგად რამდენადმე შეიცვალა რეგიონის ეთ-
ნო-დემოგრაფიული იერ-სახე. მიუხედავად ამისა, ღალიძგა-
ენგურის შუამდინარეთის მოსახლეობა ძირითადად მაინც
ქართული (მეგრული) იყო. რაც შეეხება აწინდელი აფხაზე-
თის სხვა მხარეებს, განსაკუთრებით რეგიონს ცხუმი-სოხუმ-
სა და მდ. ღალიძგას შორის, აქაური მკვიდრი ქართული (ძი-
რითადად მეგრული) მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებუ-
ლი შეიქნა აყრილიყო და სამეგრელო-ოდშიის ცენტრალურ

რაიონებში გადასახლებულიყო, ნაწილი დაატყვევეს და მონებად გაყიდეს, ხოლო სხვები ბზიფის მხარეში გადაასახლეს. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ბზიფი-გუდაუთის რ-ნში ამჟამად მცხოვრებ აფხაზთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთაც ქართული (ძირითადად მეგრული) გვარები დღემდე შერჩათ, სწორედ იმ ქართველთა (მეგრელთა) შთამომავლები არიან, რომლებიც ძალით აყარეს თავიანთი სამკვიდრებელიდან და ჩაასახლეს ბზიფის აფხაზეთში (ამასთან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გუდაუთა-ბიჭვინთის ზონაში მანამდე საერთოდ არ ცხოვრობდნენ ქართველური ტომები). იგივე შეიძლება ითქვას ოჩამჩირე-ტყვარჩელის ზონაში მცხოვრები იმ აფხაზების მიმართაც, რომლებიც ასევე ატარებენ ქართულ (მეგრულ) გვარებს, თუმცა მათ შორის საკმაოდ ბევრი არიან ისეთებიც, რომლებმაც თავიანთი ქართული ფესვები „დაივიწყეს“ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ აფხაზეთში ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის პარპაშის (XXს. 20-30-იანი წლების I ნახევარი) პერიოდში, აგრეთვე 60-80-იან წლებში, როდესაც კვლავ იძალა მკვეთრად გამოხატულმა პროაფხაზურმა ნაციონალისტურ-სეპარატისტულმა კონიუნქტურამ.

XVIIIს. დამდეგისათვის აწინდელ აფხაზეთში მომხდარი ეთნო-დემოგრაფიული ცვლილებების შესახებ საკმაოდ მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის „აფხაზეთის“ კათოლიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის 1712 წლით დათარიღებული წყალობის სიგელი ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი, რომელშიც დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ ბიჭვინთის ეკლესიის კუთვნილ სოფ. ნაჟანევი – ნაჟანეულის (სავარაუდოდ, თანამედროვე გალის რაიონის სოფ. ოტობაიას მიდამოები⁴) ადრე (1621 წ.) მოსახლე 58 კომლიდან 1706 წლისათვის დარჩენილა მხოლოდ 7 კომლი. სხვები „აფხაზს აყვარა“. ეს „შვიდი მოსახლე კაცი“... კათალიკოსს გამოუხსნია „ენგურგადალმი ყველაი ფასით“ და ზოგი „ხი-

ბულას... ზოგი ხობს“ დაუსახლებია⁵.

იმავე გრიგოლ კათოლიკოსის ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრისადმი ბოძებულ ადრინდელ (1706 წლის) სიგელში ასევე დაფიქსირებულია, რომ მისი წინამორბედი „აფხაზეთის“ კათოლიკოსის დავით ნეფსადის (ნემსაძე) დროს (1673-1696წწ.) „...ნაჟანევს სოფელი საკათალიკოზო... აფხაზისგან აყრილიყო“.⁶ ამ პროცესს არა თუ ხელს არ უშლიდა ყვაპუ შარვაშიძე, არამედ პირიქით, ის თვითონ იყო გარეული ნაჟანეულის გლეხობის აყრასა და მონებად გაყიდვაში. ამაზე პირდაპირ მიუთითებენ 1706 და 1712წწ. ზემოთ ნახსენებ სიგელთა მონაცემები. კერძოდ, 1712 წლის სიგელში ნათქვამია, რომ „ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა, სამოცი მოსახლე კაცი, ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა“,⁷ ხოლო 1706 წლის სიგელის მიხედვით კი, ამ 60 მოსახლიდან მხოლოდ 6 დარჩენილა, დანარჩენი (54) კი „ყვაპ შარვაშიძეს... დაეყიდა“.⁸ აღსანიშნავია, რომ ყვაპუ შარვაშიძეს ერთგვარად სინდისი ქენჯნიდა და ყოველნაირად ცდილობდა დაემალა ჩადენილი დანაშაული. აი, რას წერს ყვაპუ შარვაშიძე გრიგოლ კათალიკოსისადმი მიცემულ ფიცის წიგნში: „ესე საფიცრის წიგნი მოგეცით ჩუენ შარვაშიძე ყვაპუმ და ჩუენმა შვილმან ავთანდილ თქუენ კათალიკოზს ბატონს გრიგოლს ასე და ამა პირსა ზელა რომე **ΝΑΙΕΑ ΑΕΕΑΘΑΑΕΕΑ ΘΘΑΥΑΙΑ ΑΙΙ ΒΥΑΑ** და საკათალიკოზო ნაჟანური და ხოირული კაცები ზოგიერთი ჩვენ მოვარჩინეთ“.⁹ ე. ი. საკათალიკოსო მამულებიდან ხალხის აყრას ყვაპუ შარვაშიძე „ჟამთა სიავით“ ხსნიდა. თუმცა უფრო ადრე „აფხაზეთის“ კათალიკოს დავით ნემსადისადმი მიცემულ ფიცის წიგნში ის იძულებული იყო ფაქტობრივად ელიარებინა მის მიერ გლეხების გაყიდვის ფაქტი. „ესე... მტკიცე, უტყუარი ფიცი, პირი და წიგნი, – აღნიშნავს ყვაპუ შარვაშიძე, – დაგიწერეთ და მოვართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან ყვაპუ და ჩემმან ძმამან ქერექიმ თქუენ ჩრდილო-

სა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს ასრე და ამ პირსა ზედან, რომელ ნაჟანეული და ხოირული კაცები, რომელიც ახლა იყოს, ის შეუცოდებლად და ΕΘΘΑΪΑΑ ΘΕΕΕΑΑΑΑΑ ΑΥΑΘΥ ΑΑΑΥΕΑΪ Ε“.10 ირკვევა აგრეთვე, რომ იმავე დავით კათალიკოსს სორეხ შარვაშიძისაგან გამოუხსნია და ნოჯიხურს დაუსახლება ბიბია ბოლქუაძე, რომელიც „აფხაზს ცოლ-შვილიანად წაეყვანა“.11

ამრიგად, აქ მოტანილი დოკუმენტური მასალები ნათლად მოწმობს, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები სულაც არ იდგნენ განზე იმ განუკითხაობისაგან, რაც სუფევდა აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოცემულ პერიოდში, რომლის შედეგად ფაქტობრივად მოხდა ერთგვარი ეთნოწმენდა მხარეში. მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ეთნო-პოლიტიკური ანტაგონიზმის ნიადაგზე და მით უფრო სრული უაზრობაა XVII-XVIIIსს. მიჯნის მოვლენებში დავინახოთ აფხაზი ხალხის გაცნობიერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველი (მეგრელი) „კოლონიზატორების“ წინააღმდეგ, როგორც ეს სურს წარმოაჩინოს აფხაზური სეპარატიზმის ზოგიერთ ჭკუანაღრძობ იდეოლოგს¹².

აფხაზეთის მთავართა – შარვაშიძეთა საგვარეულო, რომელიც სათავეში ედგა ჯიქ-აფხაზთა ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, კვლავინდებურად თვლიდა თავის თავს საერთოქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ნაწილად. ასევე განიხილავდა შარვაშიძეთა სახლს იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერებაც. ამაზე ნათლად მეტყველებს XVIIIს. ცნობილი ქართველი პოეტის ფეშანგი ხითარიშვილის „მაჰნავაზიანიდან“ ზემოთ მოტანილი ფრაგმენტები, რომლებშიც, როგორც დავინახეთ, ნაჩვენებია ის დიდი რიდი და მოკრძალება, რომელიც იგრძნობოდა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში აფხაზეთის მთავართა მხრიდან.

აფხაზეთის მთავრებმა, მართალია, რამდენადმე მიივიწყეს ქრისტიანული ცხოვრების წესი, მაგრამ ისინი მაინც თვლიდნენ „აფხაზეთის“ კათალიკოსებს თავიანთ სულიერ მამებად. ამიტომაც ისინი ცდილობდნენ გამოეჩინათ ერთგულება მათ მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზეთის“ კათალიკოსის რეზიდენცია ამ დროისათვის ბიჭვინთიდან გელათში იყო გადმოტანილი. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ყვაპუ შარვაშიძის მიერ „აფხაზეთის“ კათალიკოს დავით ნემსაძისადმი დაწერილი ფიცის წიგნის ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი: „დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან ყვაპუ და ჩემმან ძმამ ქერექიმ თქვენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოსსა დავითს...“ შემორჩენილია სხვა ფიცის წიგნებიც, მათ შორის ზემონახსენები „საფიცრის წიგნი“, რომელიც მიართვა ყვაპუ შარვაშიძემ და მისმა ვაჟმა ავთანდილმა „კათალიკოსს ბატონს გრიგოლს“ (გრიგოლ ლორთქიფანიძე – **A.D.**).

აწინდელი აფხაზეთი, მიუხედავად პირველყოფილობისკენ მობრუნებისა, რომელმაც ნამდვილად გამოიწვია რეგიონის საერთო-კულტურული დონის დაცემა, ამ პერიოდში მაინც რჩებოდა ქართული წერილობითი კულტურისა და წიგნიერების არეალში. ამის თავისებური მანიშნებელია თუნდაც ის „ფიცის წიგნები“ და აფხაზეთის მთავრის „კანცელარიიდან“ გამოსული სხვა ოფიციალური ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ქართულ ენაზე. ეს მასალები ერთმნიშვნელოვნად მოწმობს იმას, რომ ამ პერიოდში სახელმწიფო საქმის წარმოების ენა აფხაზეთში მხოლოდ ქართული იყო. XVIII ს. II ნახევარშიც კი, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ გააძლიერა ზეწოლა აფხაზეთზე და შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ცალკეული წარმომადგენლები აიძულა მიეღოთ ისლამი, აფხაზეთი არ იყო ამოვარდნილი საერთო-ქართული ენობრივ-კულტურული სივრციდან. არაა შემთხვევითი, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა უმ-

რავლესობა, მათ შორის ისინიც კი, ვინც იბულებით გაამაჰ-
მადიანეს, ქართული სამყაროსათვის ტრადიციულ სახელებს
ატარებდნენ (მხედველობაში გვყავს როსტომ, მანუჩარ და
ზურაბ შარვაშიძეები).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ნა-
თელი ხდება, რომ აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა მიერ
ორგანიზებული ჯიქ-აფხაზთა შემოჭრა და დაფუძნება ის-
ტორიული ოდიშის ტერიტორიებზე, მიუხედავად გარკვეული
თავისებურებებისა, მთლიანად ჯდება ფეოდალური შულ-
ლისა და შინაომის ფარგლებში. შარვაშიძეთა სახლის წარ-
მომადგენლები, აფართოებდნენ რა სამეგრელო-ოდიშის ტე-
რიტორიების ხარჯზე თავიანთ სამფლობელოებს, სულაც არ
ფიქრობდნენ შეექმნათ საერთო-ქართული სახელმწიფოებრივ-
პოლიტიკური სისტემიდან მოწყვეტილი რაღაც აფხაზურ-
აფსუური ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მა-
თი მთავარი მიზანი (ისევე, როგორც ოდიშელ დადიანთა და
გურიის მთავარ გურიელთა) იყო, დაწინაურებულიყვნენ სწო-
რედ რომ შიდაქართულ პოლიტიკურ არენაზე და დაეკავე-
ბინათ წამყვანი პოზიციები საერთოქართულ სახელმწიფოებ-
რივ-პოლიტიკურ სივრცეში, ანუ შარვაშიძეთა სახლს ვერ
წარმოედგინა თავისი თავი ქართული სახელმწიფოებრივი და
კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსაგან მოწყვეტით. პირი-
ქით, შარვაშიძეები ყოველნაირად ცდილობდნენ პირველივე
ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინათ როგორც დადიანთა
ადგილის, ისე თვით იმერეთის სამეფო ტახტის დასაკავებ-
ლად, რასაც თვალნათლივ ადასტურებს თუნდაც სორეხ
შარვაშიძის მიერ თავისი თავის ოდიშის მთავრად გამოცხა-
დების ჩვენს მიერ უკვე დაფიქსირებული ფაქტი.

ის, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები
სულაც არ აპირებდნენ ენგურზე შეჩერებას და სამეგრელოს
ცენტრალურ რაიონებში შეჭრასაც გეგმავდნენ, ჩანს ყვაპუ
შარვაშიძის ქმედებებიდან. მან გადმოლაზა მდ. ენგური, დაი-

კავა სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტი – რუხი და ის ფაქტობრივად თავის რეზიდენციად აქცია¹³. ცნობილია, რომ ყვაპუ შარვაშიძე სწორედ რუხში გარდაიცვალა 1704წ. საინტერესოა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით გელათიდან საგანგებოდ ჩამოვიდა „აფხაზეთის“ კათოლიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელმაც ჭირისუფლის ოჯახისაგან „ნიშანი“ (ანუ სპეციალური გადასახადი ეკლესიის სასარგებლოდ: გარდაცვლილის პირადი ნივთ-იარაღი, შეკაზმული ცხენი, ყმა-მამული) აიღო¹⁴.

**ΑΒΕΪΑΑΕΕ Α×ΑΑΑΕΕ ΑΑΘΑΑΕΑΕ ΟΑΘΑΘΕΑΑΕΙ Ο ΘΙ ΕΕ-
 ΟΕΕΘ ΘΟΙ ΥΑΘΑΑΥΕ XVIII ΟΑΘΕΘΙΑΥΕ.** XVIII საუკუნის დამდეგისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შარვაშიძეთა ძალაუფლება გავრცელდა მდ. ენგურამდე. აფხაზეთის სამთავრო სახლის ასეთი წარმატებული წინსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით უმთავრესად განაპირობა სამეგრელო-ოდიშში გამეფებულმა პოლიტიკურმა ქაოსმა, რაც გამოწვეული იყო XVIIIს. 60-იანი წლებიდან მიმდინარე პერმანენტული შინაომებით. მიუხედავად ამისა, დადიანთა სახლის წარმომადგენლები ეპიზოდურად მაინც ახერხებდნენ საპასუხო დარტყმების მიყენებას და შარვაშიძეთა აგრესიული მისწრაფებების მოთოკვას. ასე მაგალითად, 1702 წელს ოდიშის მთავარმა გიორგი დადიანმა – ლიპარტიანმა „აფხაზთა ზედა“ დახმარება სთხოვა იმერეთის მმართველს გიორგი აბაშიძეს, ვინაიდან, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, „მიეღოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყუეობითა“. იმავე ვახუშტის ცნობით, გიორგი აბაშიძე გამონმაურებია სამეგრელოს მთავრის თხოვნას, შემოუკრებია „სპანი იმერთა“ და გაულაშქრია აფხაზეთში, სადაც „ვერ წინალუდგა შარვაშიძე, მოსტყუენეს აფხაზეთი, აღილო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარტიანი და შარვაშიძე, გამოუხუნა ქუეყანა მიღებული და მძევალნი“¹⁵. მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი ყურადღებას ამახვილებს

აფხაზეთში „იმერთა“ ლაშქრობაზე და არაფერს ამბობს ამ კამპანიაში თვით გიორგი ლიპარტიანის მონაწილეობაზე, მაგრამ ცხადია, რომ ეს იყო იმერთა და ოდიშართა ერთობლივი ლაშქრობა. ამას ადასტურებს კიდევ ერთ-ერთი დოკუმენტური წყარო (ხობის გუჯრის მინაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „მერმე ლიპარტიანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზეთს ლაშქრად, და ჩვენ ზუგდიდამდის ვიახელით“¹⁶ მკვლევართა (თ. ბერაძე, ბ. ზორავა) ვარაუდით, ამ ლაშქრობის შედეგად სამეგრელოს სამთავრომ დაიბრუნა ლალიძგასა და ენგურს შორის ტერიტორია და ყვაპუ შარვაშიძემ ცნო დადიანთა სახლის უზენაესობა¹⁷. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ ნიშნავდა იმას, რომ ყვაპუ შარვაშიძის ძალაუფლება თავის საუფლისწულო მამულში (ლალიძგა-ენგურს შორის) რეალურად შეიზღუდა. და მაინც, დადიანთა სახლი არ თმობდა თავის იურიდიულ უფლებებს აფხაზეთზე. ეს ნათლად ჩანს ცაიშის გულანის მინაწერიდან, რომლის თანახმად 1709 წელს გამთავრებული კაცია I დადიანი გამოცხადებულია „ოდიშთა სვანთა და აფხაზეთთა“ მფლობელად¹⁸. თუმცა შარვაშიძეთა (ყვაპუ შარვაშიძის სახლის) დამოკიდებულება დადიანისადმი უდავოდ ნომინალური იყო. ფაქტობრივად კი ამ პერიოდში ყვაპუ შარვაშიძის ვაჟის – მურზაყანის ენერგიული აღმშენებლობითი საქმიანობის შედეგად ყვაპუს საუფლისწულო სამფლობელო, რომელსაც ამ დროიდან სამურზაყანო ეწოდა, არც დადიანებს და არც შარვაშიძეთა უფროსი შტოს წარმომადგენლებს არ ემორჩილებოდა.

XVIII ს. I მეოთხედში, მიუხედავად დადიანებსა და შარვაშიძეებს შორის არსებული წინააღმდეგობებისა, ოდიშ-აფხაზეთის მესვეურები დროდადრო მაინც ახერხებდნენ საერთო ენის გამონახვას და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლას. ასე იყო, მაგალითად, 1714 წელს, როდესაც აფხაზთა და მეგრელთა გახშირებულმა თავდასხმებმა აიძულა რუხის თურქული გარნიზონი, ციხე დაეცალა.

ამ პერიოდში აფხაზები კვლავინდებურად აქტიურად ერთვებოდნენ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. 1710 წელს სამეგრელოს მთავრის ტახტს დაეუფლა გიორგი IV დადიანი – ლიპარტიანი, რომელიც თავის დროზე – 1709 წელს ხელისუფლებას საკუთარმა შვილებმა – კაცია I-მა დადიანმა და ბეჟანმა ჩამოაცილეს. ოდიშიდან გაძევებული გიორგი დადიანი თავს აფხაზეთს აფარებდა, საიდანაც შემოვიდა კიდევ 1710 წელს ოდიშში და მთავრის ტახტი დაიკავა¹⁹. 1740 წელს აფხაზები ოდიშის მთავრის ოტია დადიანის ლაშქრის შემადგენლობაში იბრძოდნენ იმერეთში ალექსანდრე V-ის წინააღმდეგ, რომლის დროსაც ოდიშის მთავარმა ვარციხის სასახლე დაწვა და კინალამ მეფე და დედოფალი დაატყვევა²⁰.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ძლიერდება თურქ-ოსმალთა გავლენა აფხაზეთზე და ჯიქეთზე. სწორედ ამ დროიდან გაბატონდნენ ოსმალები აფხაზეთში. მთავრის ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა მანუჩარ შარვაშიძე, რომელიც უმცროს ძმებთან ზურაბთან და შირვანისთან ერთად ოსმალეთში წაიყვანეს²¹. შარვაშიძეებმა ხელისუფლების დაბრუნება მხოლოდ ისლამის მიღების გზით შეძლეს, თუმცა მანუჩარ შარვაშიძეს მაინც აეკრძალა აფხაზეთში დაბრუნება და ის ბათუმის ბეგობას დააჯერეს. შირვანიმ ფოთის ფაშობა მიიღო. აფხაზეთში მხოლოდ ზურაბ შარვაშიძე დაბრუნდა. ოფიციალურად ზურაბ შარვაშიძე დაინიშნა სოხუმის ბეგად, მაგრამ რეალურად ის მთავრის უფლებებში აღსდგა. ამის ერთგვარი დემონსტრირება მოახდინეს თვით აფხაზებმა, რომლებმაც დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს ზურაბ შარვაშიძე. ის ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში კვლავ მონათლეს და მთავრად აღიარეს²². ზურაბ შარვაშიძემ ტახტის მემკვიდრედ თავისი ძმისწული, მანუჩარ შარვაშიძის ვაჟი – ქელაიმ აჰმედ-ბეი (იგივე ქელემ-ბეი) გამოაცხადა. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად სტამბოლში თურქებს „მართლ-

მორწმუნე მაჰმადიანად“ ჰყავდათ აღზრდილი და მისი მთავრის მემკვიდრედ გამოცხადება აშკარად სულთნის ხელისუფლების მოთხოვნით გაკეთდა. აფხაზეთში აგრეთვე ზურაბ შარვაშიძის კიდევ ერთი ძმისწული, შირვანის ვაჟი ბექირბეი შარვაშიძეც დაბრუნდა, რომელსაც ბიძამისმა „შუა სოფელი“, ანუ აბჟუა უბოძა²³.

სამურზაყანო, აწინდელი აფხაზეთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, მეტად იყო ინტეგრირებული დასავლურ-ქართულ პოლიტიკურ სისტემაში და უფრო აქტიურად მონაწილეობდა ლიხსიქეთში მიმდინარე პროცესებში. 1757 წელს სამურზაყანოელმა აფხაზებმა ხუტუნია შარვაშიძის მეთაურობით გმირულად იომეს იმერეთის მეფის სოლომონ I ლაშქრის შემადგენლობაში ოსმალთა წინააღმდეგ ხრესილის ველზე გამართულ ბრძოლაში. განსაკუთრებული სიმამაცე გამოამჟღავნა თვით ხუტუნია შარვაშიძემ, რომელიც უშიშრად შეიჭრა თურქების ლაშქრის სიღრმეში, პირადად აკუწა 16 მომხდური და თვითონაც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე²⁴.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ლიდერთა ანტიოსმალური კონიუნქტურის ფერხულში იდგა სამურზაყანოს კიდევ ერთი მთავარი ლევან შარვაშიძე, რომელიც თავისი ლაშქრით მოვიდა ოდიშართა დასახმარებლად 1771 წელს, როდესაც დასავლეთ საქართველოს მესვეურნი რუსული საექსპედიციო კორპუსის (სარდალი გენერალი ა. სუხოტინი) დახმარებით შეეცადნენ ფოთის განთავისუფლებას. ქართველ მეფე-მთავართა ანტიოსმალურ კამპანიაში ჩაერთო ზურაბ შარვაშიძეც, რომელიც აუჯანყდა თურქებს და იმავე ლევან შარვაშიძის დახმარებით სოხუმის ციხე გაწმინდა მათგან, თუმცა მოგვიანებით, ზურაბ და ლევან შარვაშიძეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ამ უკანასკნელმა სოხუმის ციხე თურქებს მიჰყიდა²⁵.

პრორუსული ორიენტაციის გააქტიურებამ საქართვე-

ლოში, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს, აიძულა „ბრწყინვალე პორტა“, მიეღო კონტრზომები დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის გავლენის აღსადგენად. ამ მიზნით სულთნის ხელისუფლებამ მოახდინა სამხედრო დაპირისპირების ინსპირირება შარვაშიძეთა სახლსა და სამეგრელოს მთავარ კაცია II დადიანს შორის. „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შარვაშიძეები, ჯიქი, ალანი და ჩერქეზი, სხვანი კიდევ უცხო ჯარები“.²⁶ ოდიშის მთავრის დასახმარებლად იმერეთის მეფე სოლომონ I გამოეშურა. გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც გაიმართა რუხთან 1780 წელს, სოლომონ I-ისა და კაცია II დადიანის გამარჯვებით დასრულდა. მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს ზურაბ შარვაშიძის ერთგვარ პასიურობას ამ კამპანიისას. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ის ფაქტობრივად აიძულეს, გამოსულიყო სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ. ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ აფხაზეთა, ჯიქთა, ალანთა და ჩერქეზთა გაერთიანებულ ლაშქარს სარდლობდა არა ზურაბ შარვაშიძე, არამედ მისი ძმისწული ქელემ-ბეი. ვარაუდობენ, რომ ოსმალეთის ხელისუფლება უკვე ამ დროიდან ანიჭებდა უპირატესობას ქელემ-ბეი შარვაშიძეს²⁷.

რუხის ბრძოლაში განცდილმა მარცხმა, როგორც ჩანს, გაამწვავა ურთიერთობა ზურაბ შარვაშიძესა და მის ძმისწულს შორის. ამტყდარ შინაომში ზურაბ შარვაშიძის მხარე დაიკავა სამეგრელოს მთავარმა კაცია II დადიანმა, რომელმაც აფხაზეთის მთავარს დამხმარე რაზმი გაუგზავნა თავისი ძმის გიორგი დადიანის სარდლობით. სამეგრელოს მთავრის მიერ გაგზავნილი რაზმი ჩავიდა აფხაზეთს: „ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდეს და შემდგომად მიადგენენ ცხომის ციხეს“. როგორც აღნიშნავს ნიკო დადიანი, გიორგი დადიანმა „სიმხნე-მამაცობითა საქებელითა აიღო ციხე იგი (სოხუმის – *A.D.*)... და მოიქცა გამარჯვებული კვალად ოდიშად-

ვე“.²⁸ ამრიგად, ოდიშართა დახმარების წყალობით ზურაბ შარვაშიძემ ამჯერად მოახერხა სამთავრო ტახტის შენარჩუნება, მაგრამ მოგვიანებით, პროთურქულმა ძალებმა მაინც შეძლეს ზურაბ შარვაშიძის ჩამოგდება და აფხაზეთის მთავრის ტახტზე ქელემ-ბეი შარვაშიძის აყვანა²⁹.

XVIII ს. 80-90-იან წლებში შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები კვლავინდებურად იჩენდნენ ინტერესს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ სამურზაყანოს მთავრები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ნებისმიერი არეულობა ოდიშში და საბოლოოდ გამოსულიყვნენ დადიანთა სიუზერენიტეტიდან. ასე მაგალითად, 1788 წელს კაცია II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, სამურზაყანოელები გამოვიდნენ ახალი მთავრის გრიგოლ კაციას ძე დადიანის წინააღმდეგ. ისინი დაუკავშირდნენ იმერეთის მეფეს დავით გიორგის ძეს და შესთავაზეს, სამეგრელოს მთავრის ტახტზე გრიგოლის ნაცვლად მისი ძმა, ლევან შარვაშიძის სიძე – მანუჩარ დადიანი დაესვათ. ამასთან, ლევან შარვაშიძემ მზადყოფნა განაცხადა, ეცნო იმერეთის მეფის უზენაესობა. თავის მხრივ, დავით გიორგის ძემაც მოიწონა ლევან შარვაშიძის ინიციატივა, შეიჭრა ოდიშში და მთავრის ტახტზე მანუჩარ დადიანი დასვა³⁰. მაგრამ ლეჩხუმში განდევნილი გრიგოლ დადიანი ბედს არ შეურიგდა. მან შეძლო დავით გიორგის ძის წინააღმდეგ ფართო შეთქმულების მოწყობა. ის დაუკავშირდა დავით არჩილის ძეს, რომელიც ქუთაისის ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას (ამ დროს ის თავისი პაპის – ერეკლე II-ის კარზე აფარებდა თავს), მიათხოვა მას თავისი და მარიამი და ქართლ-კახეთის ჯარების დახმარებით 1789 წელს განდევნა დავით გიორგის ძე. ქუთაისის ტახტზე ავიდა დავით არჩილის ძე, რომელიც, როგორც ცნობილია, თავისი ბიძის სოლომონ I-ის პატივსაცემად სოლომონ II-დ იწოდა. გრიგოლ-

მა კი სამეგრელოს მთავრის ტახტი დაიბრუნა³¹. მისი პოზიციები კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც დაქორწინდა ერეკლე II-ის ვაჟის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ასულზე – ნინო ბაგრატიონზე. 1790, 1791 წლებით დათარიღებულ სიგელებში გრიგოლ დადიანი ოდიშთან ერთად მოხსენიებულია აფხაზეთის, სვანეთისა და თავკერის მფლობელად³². სწორია აზრი იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში აფხაზეთის ქვეშ სამურზაყანო იგულისხმება³³.

სამურზაყანოს ლოიალურობა დადიანის სახლისადმი ამ პერიოდში არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ როდესაც 1792 წელს გრიგოლი კვლავ ჩამოაგდეს ტახტიდან, მან თავი სამურზაყანოს შეაფარა. როგორც ამ მოვლენების თანამედროვე ნიკო დადიანი აღნიშნავს, „შეკრბენ სამურზაყანო აფხაზნი შესაწევნელად გრიგოლ დადიანისა, ვინაითგან იხილეს **Ἰ×Εἶ - ἈΑἶἶ ἸΑἶἶ** (ხაზგასმა ჩვენია – **A.D.**) განძებული უსამართლოდ“³⁴ ე. ი. სრულიად აშკარაა, რომ ამ დროს სამურზაყანოელი აფხაზები თავიანთ „მფლობელად“ გრიგოლ დადიანს მიიჩნევდნენ. გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების უკან მისი ყოფილი მოკავშირე და პარტნიორი სოლომონ II იდგა, რომელსაც არ მოსწონდა სამეგრელოს მთავრის „ზედმეტი დამოუკიდებლობა“. 1794 წელს სოლომონ II-ს დაუპირისპირდა დავით გიორგის ძე, რომლის დასახმარებლად იმერეთისკენ გაემურა გრიგოლ დადიანი „სამურზაყანოელი აფხაზების“ თანხლებით. დავით გიორგის ძისა და გრიგოლ დადიანის კოალიციას შეუერთდა აფხაზეთის მთავარი ქელემ-ბეი შარვაშიძეც, რომელიც თავისი ლაშქრით მოვიდა სამეგრელოში და დადგა ხიბულას (თანამედროვე ხობის რ-ნში). მაგრამ ქელემ-ბეი, მიხვდა, რომ დავით გიორგის ძეს გამარჯვების შანსი არა ჰქონდა, იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან კონფრონტაციას თავი შეგნებულად აარიდა და აფხაზეთში დაბრუნდა³⁵.

1798 წელს გრიგოლ დადიანმა მაინც შეძლო საერთო ენის გამონახვა სოლომონ II-სთან და ტახტი დაიბრუნა. თუმცა სრული თანხმობა სოლომონ მეფესა და გრიგოლ დადიანს შორის მაინც არ ჩამოვარდნილა. 1802 წელს სოლომონ II-მ გრიგოლ დადიანს ლეჩხუმში ჩამოართვა. სამეგრელოს მთავარმა კვლავ სთხოვა დახმარება ქელეშ-ბეი შარვაშიძეს, რომელსაც ნიკო დადიანის თქმით, მაშინ „ეპყრა ყოველი აფხაზეთი ვიდრე ლალიდგამდე და ἸΡΕΑΑΟΑΑΑΑΥΑ ἈΑΑΕΑΙΕΟ ΘΑΙΧΕΙ ἈΑΕΙ ΘΑΙΘΘΑΥΑΙ ἈΧΑΑΑΕΘ“³⁶ (ხაზგასმა ჩვენია – *A.D.*). აფხაზეთის მთავარმა დახმარების სანაცვლოდ მოითხოვა მძევლად ტახტის მემკვიდრე მცირეწლოვანი ლევან დადიანი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა გრიგოლის დასახმარებლად 20000-იანი ლაშქრით და სამი ზარბაზნით. აფხაზეთის მთავარი თავისი ლაშქრით აბედათში (თანამედროვე მარტვილის რ-ნი) დაბანაკდა. მაგრამ უკანასკნელ მომენტში ქელეშ-ბეი შარვაშიძე მოერიდა ურთიერთობის გამწვავებას იმერეთის მეფესთან და უბრძოლველად დატოვა სამეგრელო³⁷.

ამრიგად, მიუხედავად დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის უკიდურესად გამწვავებისა და აფხაზეთზე ოსმალეთის გავლენის გაძლიერებისა, როგორც დავინახეთ, აწინდელი აფხაზეთი სულაც არ იყო ამოვარდნილი საერთო-ქართული პოლიტიკური სამყაროდან და ის კვლავ რჩებოდა დასავლურქართული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სისტემის ნაწილად.

ἈΧΑΑΑΕΕ XIX ΘΑΘΕΘΙΕΘ ἈΑΙἈΑἈΘ. ἈΧΑΑΑΕΕΘ ΘΑΙΕΑἈΘΙ Ὁ ὙἈΘἈἸ ὈΘΘἈἸἸΘ ἸΘἈΘἸἸΘ ὙἈἈἈἈἸἸ ἈἈἸἸ. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე არსებითად შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება კავკასიაში. XVIIIს. II ნახევრიდან რუსეთის იმპერია თანდათანობით სულ უფრო აძლიერებდა თავის გავლენას სამხრეთის მიმართულებით და ყოველნაირად ცდილობდა ოსმალეთის განდევნას ჩრდილოეთ და დასავ-

ლეთ შავიზღვისპირეთიდან. ქართული პოლიტიკური ერთეულები, უპირველესად ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, ერთმორწმუნე რუსეთს თავიანთ მფარველად თვლიდნენ და ღიად უჭერდნენ მხარს რუსეთის იმპერიის ნებისმიერ გააქტიურებას ოსმალეთის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, 1768-1774წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს საქართველოს მაშინდელი ლიდერების, ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეების: ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ინიციატივით საქართველოში შემოვიდა რუსული საექსპედიციო კორპუსი და პირველად განხორციელდა რუსულ-ქართული ერთობლივი საომარი მოქმედებები თურქული საოკუპაციო ნაწილების წინააღმდეგ. აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლები უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ამ მოვლენებში. როგორც მიუთითებდა გამოჩენილი აფხაზი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გიორგი ძიძარია: „Прогрессивные элементы абхазской феодальной аристократии... поддерживали политику грузинских царей, направленную на союз с Россией“.³⁸ ამის ნათელი დადასტურება იყო ჩვენს მიერ უკვე მოყვანილი ფაქტი რუსულ-ქართული ნაწილების მიერ ორგანიზებულ ფოთის ციხის ალყაში სამურზაყანოს მთავარ ლევან შარვაშიძის მონაწილეობის შესახებ. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ოსმალეთის აგრესიის თავიდან აცილების მიზნით, 1770წ. ლევან შარვაშიძე აწარმოებდა მოლაპარაკებებს რუსული საექსპედიციო კორპუსის მეთაურთან გენერალ ტოტლებენტთან აფხაზეთის რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების თაობაზე. „Леван Шервашидзе, – აღნიშნავდა პროფ. გ. ძიძარია, – находившийся в общем лагере русских и грузинских войск под стенами Поти, действовал по примеру грузинских царей, которые в этот период... были в союзе с Россией“³⁹ (ხაზგასმა ჩვენია – **А.Д.**).

თავის მხრივ, ქართველი ლიდერებიც ცდილობდნენ და-

ენტერესებიანთ რუსული დიპლომატია აფხაზეთით. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით იმერეთის მეფე 1791 წელს რუსულ მხარეს: „Я ведая о склонности сего народа (იგულისხმებიან აფხაზები – **Æ.Ð.**) обнадееживаю, что они вскоре предадутся христианству и покровительству российскому“.⁴⁰

XIXს. დამდეგს, როგორც უკვე აღინიშნა, იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ ძლიერ შეავიწროვა ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი, რომელსაც თავის ბრძოლაში ქუთაისის ტახტის წინააღმდეგ არაერთხელ უთხოვია დახმარება აფხაზეთის მთავარ ქელემ-ბეი შარვაშიძისათვის. მაგრამ აფხაზეთის მთავრის მხარდაჭერა არ აღმოჩნდა საკმარისი დადიანისათვის და ის იძულებული შეიქნა შველა რუსებისთვის ეთხოვა. 1803 წლის 2 თებერვალს სოფ. ჭალადიდში გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთთან, რომლის თანახმადაც ცნო რუსეთის იმპერატორის უზენაესობა. ასე შემოდგა ფეხი რუსეთის იმპერიამ დასავლეთ საქართველოში. მალე, 1803 წლის ოქტომბერში გრიგოლ დადიანი უეცრად გარდაიცვალა და სამეგრელოს სამთავრო დროებით მთავრის გარეშე აღმოჩნდა, ვინაიდან დადიანთა ტახტის მემკვიდრე 12 წლის ლევანი ამ დროს მძევლად („ამანათად“) იმყოფებოდა ქელემ-ბეი შარვაშიძის კარზე. აფხაზეთის მთავარი ლევანის განთავისუფლებისათვის დიდ გამოსასყიდს ითხოვდა. შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია, რომელშიც ჩაერია კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი და საქართველოს მთავარმართებელი გენ. პავლე ციციანოვი. მან უბრძანა გენ. რიკგოფს, დაუყოვნებლივ დაძრულიყო თავისი ჯარით სოხუმისაკენ და გამოეხსნა ოდიშის ტახტის მემკვიდრე. ამან შეაშინა ქელემ-ბეი შარვაშიძე და მანაც უმაღლესად განთავისუფლა ლევან დადიანი. ამით დაძაბული სიტუაცია განიმუხტა⁴¹.

1805 წლის 9 ივლისს სოფ. ბანძაში ლევან დადიანი რუსეთის იმპერატორის ნებით დაამტკიცეს სამეგრელოს მთავ-

რად. ამ ცერემონიაში ოდიშის თავადაზნაურობასთან ერთად მონაწილეობდნენ სამურზაყანოს სამთავრო სახლის წარმომადგენლები ლევან და მანუჩარ შარვაშიძეებიც, რომლებმაც, ოფიციალურად დაადასტურეს რა, რომ ოდითგანვე იყვნენ „სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადის დადიანის“ კუთვნილება, ასევე დაიფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე⁴². ეს ნიშნავდა სამურზაყანოს, როგორც სამეგრელოს ნაწილის, შესვლას რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში.

ბანძაში გაფორმებული პოლიტიკური აქტი, ანუ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ სამურზაყანოს ცნობა დადიანთა სახლის სამფლობელოდ, დიდი დარტყმა იყო ქელეშ-ბეი შარვაშიძისათვის, მაგრამ აფხაზეთის მთავარმა ამჯერად სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და მოერიდა ურთიერთობების გამწვავებას სამეგრელოსთან. 1806 წლის 26 მაისს მან მეგობრული წერილი გაუგზავნა ნინო ბაგრატიონ-დადიანს, ლევან დადიანის დედას, რომელსაც შვილის სრულწლოვანებამდე რუსეთის იმპერატორის განკარგულებით, დაევალა სამთავროს მართვა-გამგეობა. თავის ეპისტოლეში „საქართველოს მეფის ასულ დედოფალ ნინოსადმი“ (ასე იხსენიებდა ქელეშ-ბეი შარვაშიძე ნინო ბაგრატიონ-დადიანს) აფხაზეთის მთავარი ოდიშის ფაქტობრივ მმართველს სწერდა: „ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელ საქმეშიდ არ შევიდე და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე“.⁴³ ე. ი. ქელეშ-ბეი შარვაშიძემ ფაქტობრივად ცნო სამურზაყანო ოდიშის სამფლობელოდ. უფრო მეტიც, ამ დროს მოხდა ორი სამთავრო სახლის შემდგომი დაახლოება, რის გამოხატულებად იქცა ახალი დინასტიური ქორწინება: ქელეშ-ბეი შარვაშიძის ერთ-ერთი ვაჟი საფარ-ბეი, რომელმაც ქრისტიანად მონათვლის შემდეგ მიიღო გიორგის სახელი, დაქორწინდა კაცია დადიანის ასულზე, გრიგოლ დადიანის დაზე – თამარზე.

ეჭვს გარეშეა, რომ ქელემ-ბეი შარვაშიძის ეს ნაბიჯი განხილულ უნდა იქნას, როგორც საშუალება აფხაზეთის ლიდერის დაახლოებისა რუსეთის ხელისუფლებასთან.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ქელემ-ბეი შარვაშიძე უფრო ადრეც ამჟღავნებდა რუსეთთან თანამშრომლობის სურვილს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1803 წელს ოდიშის მთავრის ელჩები ქაიხოსრო და როსტომ კვინიხიძეები გენ. პავლე ციციანოვს აუწყებდნენ აფხაზეთის მთავრის სურვილს, შესულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ⁴⁴. მაგრამ მაშინ რუსეთის ხელისუფლება მოერიდა „ბრწყინვალე პორტასთან“ ურთიერთობის გამწვავებას და თავი შეიკავა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აფხაზეთის ფორსირებულად შემოყვანისაგან.

1806 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ „აფხაზეთის საკითხი“ კვლავ გახდა აქტუალური რუსული დიპლომატიისათვის. პეტერბურგმა გადაწყვიტა, ემოქმედა სამეგრელოს მმართველის ნინო დადიანის მეშვეობით. ამ დროს გამწვავებული იყო ურთიერთობა სოხუმსა და სტამბოლს შორის, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ქელემ-ბეი შარვაშიძემ არ გადასცა ოსმალეთის ხელისუფლებას შერისხული თაიარ-ფაშა (ტრაპიზონის ფაშა).⁴⁵ აფხაზეთის მთავრის ურჩობამ სტამბოლის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია, შეიქმნა აფხაზეთში თურქთა შეჭრისა და ქელემ-ბეის სამაგალითოდ დასჯის რეალური საფრთხე. ამან დააშინა აფხაზეთის მთავარი, რომელიც, ერთ-ერთი თანამედროვის ცნობით, სულთნის ბრძანებებს ისედაც არ ასრულებდა და იძულებული გახდა, დახმარებისათვის რუსეთის ხელისუფლებისათვის მიემართა. მთავრის ინიციატივით მოწვეულ იქნა აფხაზთა სახალხო კრება, რომელზეც მოიწონეს ქელემ-ბეი შარვაშიძის გადაწყვეტილება, შესულიყო რუსეთის მფარველობაში⁴⁶.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის მთავარი მაინც ფრთხილობდა. ეს გამომჟღავნდა 1806 წლის მიწურულს, როდესაც

რუსეთის სარდლობამ ქელემ-ბეი შარვაშიძეს მოსთხოვა გამოსულიყო ჯარით და დაეკავებინა ფოთის ციხე, რომლის უფროსად სულთანს გამწესებული ჰყავდა ქელემ-ბეის ნათესავი ქუჩუკ-ბეი შარვაშიძე. მაგრამ აფხაზეთის მთავარმა თავი შეიკავა ამ დავალების შესრულებისაგან, თუმცა, ამასთან, მან რუსებს მაინც გაუწია გარკვეული სამსახური იმით, რომ არ მისცა თურქებს საშუალება აფხაზეთის ტერიტორიაზე დესანტის გადმოსხმისა და მისი პლაცდარმად გამოყენებისათვის დასავლეთ საქართველოში აქტიური საომარი მოქმედებების დასაწყებად⁴⁷.

„ბრწყინვალე პორტამ“ არ აპატია აფხაზეთის მთავარს ამგვარი ღალატი და მოაწყო შეთქმულება მის წინააღმდეგ. 1808 წლის 2 მაისს ქელემ-ბეი შარვაშიძე მოკლა საკუთარმა შვილმა ასლან-ბეიმ, რომელმაც დაიკავა სოხუმის ციხე და თავი მთავრად გამოაცხადა. ამან უკიდურესად გაამწვა სიტუაცია აფხაზეთში. ასლან-ბეის წინააღმდეგ გამოვიდა მისი ძმა საფარ-ბეი (გიორგი), რომელიც მამამისს სიცოცხლეში თავის მემკვიდრედ ჰყავდა გამოცხადებული. მაგრამ საფარ-ბეიმ თავისი ძალებით ვერ მოახერხა სოხუმის ციხის გათავისუფლება. ამან აიძულა ის სამეგრელოს მმართველ ნინო ბაგრატიონ-დადიანისათვის მიემართა თხოვნით, რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა რუსეთის იმპერატორთან აფხაზეთის რუსეთის მფარველობაში აყვანის თაობაზე. ამასთან, საფარ-ბეი (გიორგი) შარვაშიძე აშკარად აგრძნობინებდა ოდიშის ხელისუფალს, რომ ის არ განაცხადებდა პრეტენზიას სამურზაყანოზე. ამაზე ირიბად მიუთითებდა გიორგი შარვაშიძის მიერ ნინო დადიანისადმი გაგზავნილ წერილში მოცემული აფხაზეთის მთავრის ტიტულატურა: „მე მთავარი და მპყრობელი აფხაზთა ΟΥΕΪΑΑΑΪΑΘΕ ΑΑΑΕΕΑΑΕΟΑ ΑΑ ΙΑΪΕΑΕΑΘΑ ΑΘ×ΟΘΑ ΑΑ ΒΑΑΑΕΕΟΑ“⁴⁸ (ხაზგასმა ჩვენია – **A.D.**). ე. ი. გიორგი შარვაშიძე არ აცხადებდა თავს მთელი აფხაზეთის მფლობელად (რადაც ნამდვილად მიიჩნევდა თავს

რომელმაც თავის „ქართველთ ცხოვრებაში“ დაგვიტოვა აფხაზეთში ლაშქრობის დოკუმენტური აღწერა. აფხაზთა და მეგრელთა გაერთიანებულმა ძალებმა ვერ შეძლეს სოხუმის ციხის აღება. გადამწყვეტ მომენტში მამის მკვლელ ასლან-ბეის დახმარება აღმოუჩინა ფოთის ციხის კომენდანტმა ქუჩუკ-ბეი შარვაშიძემ და მთიდან ჩამოსულმა ჩერქეზთა 300-კაციანმა რაზმმა. მიუხედავად ამისა, სამეგრელოს ლაშქარმა მაინც მიაღწია გარკვეულ წარმატებას: „დავბძველეთ ყოველი აფხაზეთი, – წერს ნიკო დადიანი, – ჯიქეთის საზღვრიდან ვიდრე ლალიბგა-დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ-ბეგს და ესრეთ მშვიდობით წამოვედით ოდიშამდე“. ამასთან, ასლან-ბეი იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებინა ქელემ-ბეი შარვაშიძის ქვრივი რეზია მარშანია და მისი ვაჟი ბათალ-ბეი⁵⁰.

სოხუმის ციხის დაუფლების უშედეგო ცდამ დაარწმუნა გიორგი შარვაშიძე, რომ აუცილებელი იყო რუსეთის ხელისუფლებისადმი წარსადგენი „სათხოვარი პუნქტების“ დაუყოვნებლივი ხელმოწერა. ამავე ხანებში (1809 წლის ნოემბერში) რუსეთის რეგულარულმა ნაწილებმა გენ. დიმიტრი ორბელიანის სარდლობით ქუჩუკ-ბეი შარვაშიძეს ფოთის ციხე დაატოვებინეს. 1810 წლის 17 თებერვალს კი იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა გიორგი შარვაშიძის „სათხოვარი პუნქტები“ და სპეციალური სიგელით დაადასტურა აფხაზეთის სამთავრო სახლის მიღება „под верховным покровительством державою и защитою российской империи“.⁵¹ 1810 წლის 8 ივლისს სოხუმის მახლობლად გადმოსხდა სევასტოპოლიდან გამოსული რუსული დესანტი, რომელმაც გენ. ორბელიანის რეგულარულ ნაწილებთან ერთად 10 ივლისს გაათავისუფლა სოხუმის ციხე. 1810 წლის ოქტომბერში სოხუმში გენ. დიმიტრი ორბელიანმა გიორგი შარვაშიძეს გადასცა „высочайшая грамота“ და სამთავრო ხელისუფლების ნიშნები და ოფიციალურად გამოაცხადა ის

აფხაზეთის მთავრად⁵².

ამრიგად, 1810 წლიდან – აფხაზეთის სამთავრო სახლის რუსეთის იმპერიის მფარველობაში აყვანიდან, აფხაზეთი სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან: ქართლ-კახეთის სამეფოსთან, იმერეთის სამეფოსთან, სამეგრელოს სამთავროსთან ერთად კვლავ მოექცა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში. რუსეთის ხელისუფლება, აფხაზეთის რუსეთის იმპერიის ფარგლებში მიღებისას სრულიად ერთმნიშვნელოვნად განიხილავდა მას საერთოქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ნაწილად და ამით ასაბუთებდა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას. თავის მხრივ, მაშინდელი აფხაზეთის ლიდერებიც ღიად ახდენდნენ იმის დემონსტრირებას, რომ აფხაზეთი ნამდვილად იყო საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ნაწილი. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მთავართა მიმოწერა და მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლებასთან მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „სათხოვარი პუნქტების“ ორიგინალი, რომელსაც უგზავნიდა გიორგი შარვაშიძე რუსეთის იმპერატორს აფხაზეთის რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შეყვანის შესახებ და რომელსაც ხელს გიორგისთან ერთად აწერდნენ აფხაზეთის სხვა თავადები, დაწერილია ქართულ ენაზე. აღნიშნულ დოკუმენტს (ეტრატი, ზომით 50/70), რომელიც დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფ ნ. რუმიანცევის პირად საარქივო ფონდში, მიაკვლია და პირველად გამოაქვეყნა ს. ლეკიშვილმა⁵³. იმის გამო, რომ გიორგი შარვაშიძის „სათხოვარი პუნქტების“ შინაარსი მაინცდამაინც ცნობილი არ არის ფართო მკითხველისათვის, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მის გამოქვეყნებას სრულად ს. ლეკიშვილის პუბლიკაციის მიხედვით:

„ΟΑΥΟΟΟΑΟΕΟΑ ΙΙ ΙΑΟαΕΟ ΥΙ ΑΕΑΑ ΙΙ ΒΥΑΕΕΟΑΟΑ αΑΕΙΒΕ-
xΕΟΑ ΥΑΑΙΕΟΑ ΟΥΑΑΟΑΙ ΙΕΕΑΟΕ ΟΑΕαΙ ΑΑΕΕ ΑΑ ΙΕΥΑΙΑ ΕΑΑΕΟΑ
ΥΑΙΕΟΑ ΘΑΑΥΙΕΕΟΟΕ ΥΑΙΕΕ ΒΑΟΕΕΕΕΑ ΑΙΕΕ ΥΑΙΕΕΑ ΑΟΑΑΕΕΑ-
ΟΑΑ.

1. ΥαΟΕΕΑΟΕ ΙΑΙΕΑΕΑΟΑ ΑΑ ΙΔΥΟΙ ΑΑΕΕ ΑxαΑΑΕΕΟΑ ΕΑ-
ΑΕΕΑΑ ΟΕΙΑΕΟΕΕΑ ΥΑΙΕΕΑ ΥΑΑΑΕΟΑΑ ΑΑ ΥΑΙΙΑΑΕ ΙΙ ΙΑΑ ΑΑ
ΙΟΑαΟΟΑΑ ΑΕΕΑΟΥΑ ΥΙΑ Υ Α ΟΙΙ ΒΥΑΕΑΟΕΟΑ ΑΑ ΟΕΑΕΕΙΔΥΟΙ-
ΑΑΕΕΟΑ ΟΟΟΕΕΑΑ ΟΙ ΟΕΕΟ ΑΑ ΟαΑΑΕΑ ΙΔΥΟΙ ΑΕΕΟΑ ΕΙΔΑΟΑΟΙ-
ΟΕΟΑ ΑΕΑΘΟΑΙΑΟΑΟ ΔΑΑΕΑΟ ΡΕΟΑ ΑΑ ΑΑΟΑΕΑΑ ΟΑαΟΕΟΑ ΙΕΟΕΟΑ
ΙΕΙΥΑΑΑΕΕΟΑΑΙΕ ΑΕΕΑΟΥΑ ΟΑΟΒΙΟΙΙ ΙΕ ΥΙΑΙΕ ΙΕΟΙΕ.

2. ΥΑΕΑΟΕ ΑΙΕΑΟΕΑΑΙ ΒΑΟΕΕΕΕΑ ΑΙΕΕ ΑΑ ΙΕΑΟΥΑΙ ΥΑΙΟΑ
ΑΑ ΥΑΙΕΑΙΑ ΑxαΑΑΕΟΑ ΑΑ ΑxαΑΑΕΕΟ ΟΕΙΑ ΙΕΑΕΑΟΑΑ ΥΙΑΑ ΑΑ
ΙΙ ΙΑΑ ΟΑαΟΟΑ Υ Α ΟΙΙ ΒΥΑΕΑΟΕΟΑ ΑΙΟ ΟΕΑΕΕΙΔΥΟΙ ΑΑΕΑΟΕΟ,
Ο Α ΟΙ ΟΕΕΟΑ ΙΙ ΙΑΟαΕΟΑ ΑΑ ΑΑΟΑΕΑΑ ΟΑαΟΕΟ ΙΕΟΕΟΑ ΙΕΙΥΑΑΑ-
ΕΕΟΑΑΙΕ ΔΕΟΑΑΕΕΕΑΑΕ ΟΑΟΒΙΟΙΙ ΑΑΕΕΑ ΥΑΑΙΕΕΑ, ΟΙ ΙΑΕΕΥΑ
ΒΕΙΑΔΑΟΙΕ ΥΑΑΙΕ ΘΟΕΟΟΕΑΙΑΑ ΑΑΟΡΙΕΕΑΑΑ ΕΑΙΙ ΙΕΕΑ ΟαΟΕ-
ΟΑΕΑ.

3. ΕΙΑΑΙ Ο ΙΙ ΒΥΑΕΑΑΕΕ ΙΙ αΑΑΑ ΥΑΑΙΕ ΟΑαΕΑΟΑΑΕΟΑΑΑΙ
ΙΕΟΕΟ ΕΙΔΑΟΑΟΙ ΟΑΑΕΕΑ ΑΕΑΑΑΟΕΑΑΕΟ ΑΑ ΑΥΙΕΙΕΥΙΙ Ο ΙΑ ΙΕΥ-
ΙΕΕΑ ΑΕΕΑΟΥΑ ΟαΑΑΙΕ ΙΕΑΑΑΟΙΕ ΑΥΙΕΥΙΟΕΕ ΑΟΕΑΙ ΟΑΕΙΔΑΟΕ-
Ι ΟΑ ΟΑαΟΕΟΑΑΙΕ ΙΙ ΙΑΑ.

4. ΟΟΑΙΥΕΙ ΑΟΕΕΑ ΙΙ ΘΙΑΑΑΑΕΕΑ ΑΑ ΙΙ ΒΥΑΕΑΑΕΕΑ ΙΕΟΕΟ
ΕΙΔΑΟΑΟΙ ΟΑΑΕΟ ΑΕΑΑΑΟΕΑΑΕΟΑΕΑ ΑΑΟΑΙΙ ΙΥΑΟ ΙΑ ΙΑΙΕΑΕΑΟΑ-
ΙΑΕΟΑ ΥΑΙΕΟΑ ΑΑΙΑΙΟΕΕΥΑΑΑΕΕ ΑΑ ΑΑΙΑΑΑΕΙΑΑΑΕΕ ΑΟΑΙΑΟΑ,
ΟΑΕΑ ΑΕΥΙ ΙΑ ΙΕΑΑΟΑΑ ΑΑ ΑΑΙΑΑΑΕΑΑ ΘΑΑΥΙΕΟΑ ΥΑΙΕΟΑ ΑΑ
ΑΑΟΑΕΑΑ ΡΑ ΥΑΙΕ ΑΑ ΡΕΟ ΡΑΙΕ ΟΑΟΕΟΙΙ Α ΕΥΑΙΑΙ ΑΥΟαΙ ΥΑΕ
ΙΕΑΑΟΙ ΑΕΟΑΑΑΙ ΑΑ ΙΔΥΟΙ ΑΑΕΙΑΕΟΑ ΟΑΙΕΑΕΑΟΙ Ο ΟΑΙxΕΙΑΑ-
ΕΙΕΑ ΙΙ ΒΥΑΕΑΑΕΕ ΑΟΟΑΕ, ΟΙ ΙΑΕ Υ Α ΟΑαΟΕ ΟΑΕΙΔΑΟΕΙ
ΕΥΙ Ο ΑΑΑΙΕΑΟΑΑΕΕ ΑΑ ΡΕΕΑΟΑΑΕΕ αΑΕΙΒΕxΑΑ ΙΑΑΙ ΙΑΟΑ, ΑΑ-
ΟΑΕΑΑ, ΙΑΙΕΑΕΑΟΑΙ ΑΑ ΑΑ ΙΕΑΑΟΙ ΑΑ ΥΑΙΕ ΑΑΙ Ο ΟΟΑΙΥΕΙ ΑΟΕΕΑ
ΙΙ ΒΥΑΕΑΑΕΟΑ ΑΟΑΙΙ ΟΕΕΑ Υ Α ΟΙΙ ΒΥΑΕΑΟΕΟΑ αΑΕΙΒΕxΕΟΑ ΥΑΑ-
ΙΕΟΑ ΟΟΑΥΟΑΕΙ Α αΑΕΙΙ ΒΑΟΕΕΑ ΑΑ ΑΑΙΟΕΕΥΑΑΕΕ.

5. ΥΑΕΕΥΟΑΙ Ο ΘΑΑΥΑΙΑ ΥΑΙΕ ΙαΑΑΟΙ ΑΕΕΑ Υ Α ΟΙΙ ΒΥΑΕΑ-
ΟΕΟΑ ΑΑ ΟΕΑΕΕΙΔΥΟΙ ΑΑΕΑΟΕΟ αΑΕΙΒΕxΕΟΑ ΥΑΑΙΕΟΑ ΕΙΔΑΟΑΟΙ-
ΟΕΟΑΕΑ.

6. ΟΑαΕΑΟΑΑΕΟΑ ΑΑ ΕΑΥΕΙΙ ΥΑΑΟΑΑΕΟΑ ΑΑΙΙ ΟΕΑΕΕΙΔΥΟΙ-

AAEAOEOA aAEIBExEOA UAATEOA EIDAOAOI OEOA AAOEAAAE IA-
IIAO IA OAOAAAEIAA AA IIBUAEEAA OA EAE ABOIAA IAEAE-
OAOA AA IXEIAAEOA AXAAAEEOA OAEAEU AaIAA AAAO IAIAOA
UAI OA.

7. UIAEEEA AOEO IIAAEIAAEEA AEAOA OEOAEEEA BAA-
EAI AA AEBI AAA AA AEIAAAA AOEAOEAAA OA AA IIAAOA AA
UAAEAOE xEYEEA AA AUETHEEA OAOEOIEOA DEEOA AEAEEA
AA AAOIIAAE IIOUEE OAOAEAAEIOA ODEOAOO IIAOEAAAE-
OA AOEAOEAA AA OAOBIOII EA IIAEA AA UIAEA UAIEAEIA
AA IEAAOETAA aAOA ai IAEAEEOAEAO AEEAO EAE IEEDEAA OBE-
IAOAO AIEOA DI OOAIAI AEAIAIAI AA AAOAEA IAAIOA I-
O OI OA AA AAOYAEEOAOA OEAEO EDIAAEO OAAUAI OA UEIA UAI OA
OAI AAIEOA IABEEEOA AAOAII YAI EA OaAAAEOAAAI U A OIIB-
UAEAEO AA OEAEEIDUOI AAEOEOEOA aAEIBExEOA UAATEOA.

AO AEEAO OAAUAAOAI IEAAOEAA AA OIaOAAAEAOEOA AOE-
AOEAEEA IEAYA EAAOA UAI OAAUA OAAUAI OA UAI OA OAAOAA
OAOAEEO OAEIDAOI OAOA AUETHEEA AA xEYEEA AA OAOBIOII A-
AEEA AAOBAIEA OaOEEOA EA OI IAEOAYA aEEO AABA OE AOOAA

I EA AO E UA OAAUEPA AEI OAE
EAAA AE UA OAAUEPA EOEA

aEEO AABA OE AA AAIIBIAAE BA OEEOA AIAO EAAAIE
AXAAAEEOAIE:

IAOUI O EIAEEO UAEEE EAAAOOUA UA OAI AO AAOEAI,
EOEAxOO EAEOAAEA aEOO aAIAOEAE IOE: EAAA AE AAxEO
UAEEE EAAAI AA IAOUI O, EAAA AE UAAAEOa AI IAO,
EAI OOUA, UA OAI AO BA OAAEA IAOAaAA IAOUI O UA OAAI, AEIOAEA
AAAEI AAAAOOUA UA OAAI, AAEOa ABOOEAA EAEAxOO AA AEI
UA OAI AO, EAAA AE AI UAAAPa aOOOIEA, EAAA AE AI UAAAPa EAAAI
AAEAUEUA, IE OAI AE UA EAI AE UA OAAI OAEIAI, IAOUATEA
OI OOI I, aEOO, AANA I, EAAAI, aAIAOE E, AO EAI AAA, OI OOI I
BAEOA 1808 AA AE OOI O 12".⁵⁴

დოკუმენტს ახლავს ხელმოწერები ქართულად.
როგორც მკვლევრებმა გამოარკვიეს, „სათხოვარი პუნქ-
ტების“ ტექსტი თავდაპირველად შეუქმნიათ რუსეთის საგა-

რეო სამინისტროში, შემდეგ ის უთარგმნიათ ქართულად და როგორც Ἰ ΘΕΑΪΑΞΕ, გიორგი შარვაშიძის ხელმოწერითა და ბეჭდით, აგრეთვე აფხაზეთის თავადთა ხელმოწერებით დამოწმებული რუსული ტექსტის დართვით, წარუდგენიათ რუსეთის ხელისუფლებისათვის. „სათხოვარი პუნქტების“ მომზადებისა და წარდგენის ამ პროცედურაში, ცნობილი ქართველი მეცნიერის პროფ. გიორგი პაიჭაძის სავესებით არგუმენტირებული დასკვნით, უდავოდ იღო გარკვეული პოლიტიკური აზრი⁵⁵. ანუ თავისი დოკუმენტის, რომლის თანახმადაც, აფხაზეთი ოფიციალურად ამყარებდა ურთიერთობებს რუსეთის სახელმწიფოსთან, მაინცდამაინც ქართულ ენაზე გაფორმებით, აფხაზეთის მთავარი რუსულ მხარეს (და მთელ მსოფლიოს) ცალსახად უჩვენებდა, თუ რომელ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სამყაროს წარმოადგენდა აფხაზეთის სამთავრო საერთაშორისო ურთიერთობებში XIX ს. დამდეგს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის შემოერთებისას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება თვითონაც ყოველნაირად უკეთებდა რეკლამას ე.წ. „ისტორიულ გარემოებებს“ და ხაზგასმით აფიქსირებდა, რომ აფხაზეთი საერთო-ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორგანიზმის ნაწილს წარმოადგენდა. ამას ნათლად ადასტურებს გენ. პავლე ციციანოვის სანქტ-პეტერბურგში გრაფ ა. ვორონცოვისადმი 1803 წლის 27 ოქტომბრით დათარიღებული შეტყობინება: „Между тем, – წერდა საქართველოს მთავარმართებელი, – долгом почитаю коснуться здесь истории сего Келеш-бека (იგულისხმება ქელეშ-ბეი შარვაშიძე – *A.D.*) и его владения. В 15-ом веке, а именно до 1414 года от Рождества Христова, когда Иверия не была разделена, он Келеш-бек известен был по имени **Шарвашидзе: владение его составляло одну из провинции Иверии**“.⁵⁶

ქართულ ქრისტიანულ სამყაროს აკუთვნებდა აფხაზეთს

საქართველოს კიდევ ერთი მთავარმართებელი გენ. გულოვიჩი, რომელიც 1809 წელს გრაფ სალტიკოვს წერდა: „С давних времен владетельские князья Абхазии происходят из фамилии Шарвашидзе и предки их были христиане, но дед Сефер Али бека (იგულისხმება საფარბეი – გიორგი შარვაშიძე – **А.Д.**) **отложась от зависимости Имерети и поддавшись** Порте Оттоманской, принял вместе с ним и магометанский закон“.⁵⁷

თვით შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლებიც, როგორც წესი, ცდილობდნენ ყოველნაირად დაეფიქსირებინათ, რომ ისინი ისტორიულად საერთოქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდნენ და სხვადასხვა ფორმით ახერხებდნენ კიდევ ამის დემონსტრირებას. აი, რას წერდა მაგალითად, ამასთან დაკავშირებით გენ. პავლე ციციანოვს სამურზაყანოს მთავარი მანუჩარ შარვაშიძე: „ადრიდანვე უფლის დადიანის გრიგოლის დამორჩილებულ ვიყავ და ბრძანებითა მისითა პუნქტსა თქვენ მიერ წარმოგზავნილსა ხელი მოვაწერე... **ΑΕΙΤΑΑΑΙ ΘΑΑΥΑΙΑ ΥΑΑΙΕ ΕΥΙ ΕΑΑΙΙΕΕΑΑΘΕ ΑΑΑΕΑΙΕΟΑ ΕΑΘΡΙ ΑΕΑΘΑ ΑΥΕΕΕΙ ΑΕΟΑ ΝΑΙΝΙΑΑ ΑΑ ΑΟΑ ΑΘΑΕΙΑΑ ΟΧΕΑΑΑ, ΑΟΥΑ ΟΒΕΙΑΘΑΘ** და არცა ამას ჟამსა, არც პორტსა ათმანისა და არც ქელაშ-ბეგსა“.⁵⁸

ის, რომ შარვაშიძეთა საგვარეულო და არა მხოლოდ სამურზაყანოელთა შტო, არამედ აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები XIX ს. დამდეგს კვლავ რჩებოდნენ საერთოქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და ქართული წიგნიერების არეალში, ნათლად დასტურდება ქელეშბეი შარვაშიძის ხელწერილიდანაც, რომელიც მან მისცა თავის ახლო ნათესავს სოსრანბეგ შარვაშიძეს: „ესე ხელწერილს გაძლევ შენ, ჩემს ძმისწულს ბექირბექის შვილს სოსრანბეგს, ასე რომ მე და შენ შევგულძვირდით და ღენერალ-მაიორ რიქხოფს და ბატონ დედოფალს (იგულისხმება სა-

მეგრელოს დედოფალი ნინო ბაგრატიონი-დადიანი – **A.D.**) ეახელი; აწ ამათმან უგანათლებულესობამ ინება ჩვენი და შენი გარიგება და თავათ დედოფალი მობრძანდა და გაგვარიგეს, ასე რომ რაც მამა შენს ბეჭირბეგს ადგილ-მამული, ყმა და მოსამსახურე ჰყავდა, ან რაც ჰქონდა, სრულათ ოთხივე ძმებისათვის მოგვიცემია მამიშენისეული ადგილ-მამული; კიდევ როგორც რიგი არის ბატონყმობისა, ისე თავის ყმა იმსახურე და შენდა ნებად გყვანდეს, და ჩემგან არც სიკვდილით, არც დაჭერით, არც კაცის შეჩენილობით ფიქრი არ გქონდეს, თუ ცხადად შენგან ვნება არ გამოცხადდეს რა“.⁵⁹

ქელეშ-ბეი შარვაშიძის ეს ხელწერილი ინტერესს იწვევს სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის შედგენილია შუა საუკუნეების საქართველოში გამოძევათა დიპლომატიკური ნორმების მიხედვით. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ეს ხდება არა სამურზაყანოში, რომელიც მეტად იყო ინტეგრირებული დანარჩენ საქართველოსთან, არამედ ე.წ. „უშინაგანეს“ აფხაზეთში, იმ მთავრის კარზე, რომელიც ითვლებოდა „მართლმორწმუნე მუსლიმად“. აი, ეს აფხაზეთიც ცხოვრობდა იმ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის („რიგი ბატონყმობისა“) პირობებში, რომელიც საყოველთაო იყო მთელი საქართველოსათვის. ყოველივე ეს აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მიუხედავად გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ერთგვარი „გაბარბაროსებისა“, რაც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, გამოწვეული იყო მონათესავე მთიელ ტომთა ახალი ტალღის ჩამოწოლით, ეს რეგიონი მაინც ქართული ფეოდალური სამყაროს ნაწილად მოიაზრებოდა, ხოლო სამთავროს ოფიციალურ ენად კვლავ ქართული რჩებოდა.

თაზი VII

აფხაზეთის სამთავრო XIX საუკუნის I ნახევარში

Ἀναμνηστικὸν ὅτι ἐπὶ τῷ ὄντι ἔλαττο-θὶ ἐέθη-θὶ ἰαῖ - ἰαῖ ἰαῖ XIX ὀαῖ-ἰαῖ 10-20-ἰαῖ βῆ-ἰαῖ. XIX საუკუნის დამდეგს აფხაზეთის სამთავრო, როგორც უკვე აღინიშნა, მთლიანობაში საერთოქართული ფეოდალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და აქ ძირითადად ისეთივე ფეოდალურ-ბატონყმური წეს-წყობილება იყო, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში. მაგრამ ამასთან აფხაზეთის სოციალურ ცხოვრებას ახასიათებდა რიგი თავისებურებებიც, რომლებიც რეგიონის მოსახლეობის პირველყოფილი თემური წყობილებისაკენ ერთგვარი მობრუნების შედეგი იყო. თავის მხრივ, ეს გამოწვეული იყო მონათესავე მთიელ ტომთა ახალი ტალღის მოწოლით, რომელსაც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ადგილი ჰქონდა გვიან შუა საუკუნეებში. ამ მხრივ საგანგებო ყურადღება ექცევა პირველყოფილობის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის არსებობას, როგორც იყო თემი (აფხაზურად – „აქითა“) და მის განსაკუთრებულ როლს აფხაზებში. „აქითა“ რამდენადმე განსხვავდებოდა საქართველოს სხვა მხარეებში არსებული სასოფლო თემებისაგან. მას განიხილავენ როგორც ერთგვარ შუალედურ რგოლს ფეოდალურ ერთეულსა და ჩვეულებრივ სასოფლო თემს შორის. „აქითას“ ფაქტობრივად ეფუძნებოდა აფხაზთა საზოგადოებრივი წყობილება; ამასთან ის ერთგვარად ადმინისტრაციულ ერთეულსაც წარმოადგენდა, რომელიც რამდენადმე ქართულ „სათავადოსაც“ მოჰგავდა. აფხაზეთი „აქითებად“ იყო დაყოფილი. მასში შედიოდნენ როგორც პრივილეგირებული ფენები:

თავადები (აფხაზურად – „ათაუად“) და აზნაურები (აფხაზურად „ამსთა“), ისე თავისუფალი („ანჰაიუ“) და დამოკიდებული გლეხები: „აჰუიუ“ (სამურზაყანოში – „დოლმახორე“), „ამაცურაზკუ“, „ახაშვალა“. ფეოდალურ წოდებებსა და გლეხობას შორის შუალედური მდგომარეობა ეკავა „შინაყმათა“ (აფხაზურად – „აშინაყუმა“) კატეგორიას.

„აქითა“-ს სათავეში თავადი ედგა და მას აფხაზურად „ახილაფშუ“-ს (პატრონი, მფარველი) უწოდებდნენ, „აქითა“-ს წევრებს კი „ხიფში“ (ე. ი. ისინი, ვისაც მფარველობა სჭირდებოდა) ერქვათ. „აქითა“ ადათობრივ სამართალზე აგებული ნახევრად დამოუკიდებელი ერთეული იყო და ის სერიოზულად ზღუდავდა როგორც თავადების, ისე მთავართა (აფხაზები მთავარს „აჰ“-ს უწოდებდნენ) ხელისუფლებას. მთავართა ხელისუფლება არც სხვა მხრივ იყო ერთპიროვნული, მასზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდნენ ე.წ. სახალხო კრებები – ყრილობები. ფაქტობრივად ნომინალური იყო მთავართა ხელისუფლება შარვაშიძეთა გვერდითი შტოს წარმომადგენლებისა და სხვა თავადური საგვარეულოების მიმართ. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, იყო მკაცრად ჩამოყალიბებული ფეოდალური იერარქია. თავადებს, როგორც წესი, ჰყავდათ თავიანთი აზნაურები. აფხაზებში ასეთი გამოთქმაც კი არსებობდა: „თავადი, რომელსაც არ ჰყავს ამსთა (ე. ი. აზნაური – **A.D.**), არ არის თავადი“.¹

აფხაზეთის ფეოდალური საზოგადოების სოციალურ აღნაგობაზე მსჯელობისას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ ცალკეულ წოდებათა აფხაზური სახელწოდებები უშუალოდ ქართული სოციალური ტერმინოლოგიიდან მომდინარეობენ. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ცნება: „ათაუად“, ანუ ქართული „თავადი“. ცნობილია, რომ თავადობა, როგორც ფეოდალური არისტოკრატის უმაღლესი ფენა, გაჩნდა გვიან შუა საუკუნეებში, ადრე

კი ფეოდალთა კლასის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი „აზნაურობა“ იყო. ეს ტერმინი ოფიციალურ წიგნიერ დონეზე გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. მაგრამ, ამასთან, ცალკეულ კუთხეებში იმთავითვე არსებობდა პრივილეგირებული ფენის („აზნაურობის“) აღმნიშვნელი ადგილობრივი სახელწოდებებიც. მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში, მეგრული „ჟინოსქუა“ და აფხაზური „აამსთა“. მეგრულსა და აფხაზურში აზნაურთა ფენის ადგილობრივი სახელწოდებების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ეს ცნებები გაჩნდა ადრეულ შუა საუკუნეებში, როდესაც დასავლეთ საქართველო – ეგრისი, აფხაზეთი – ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული საერთოქართულ ფეოდალურ სტრუქტურაში. XV საუკუნისათვის კი, როდესაც ძირითადად გაფორმდა „სათავადლოთა“ სისტემა, ამერ-იმერი, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ჩათვლით, კარგა ხანია ერთიან ფეოდალურ სამყაროს წარმოადგენდა და, ამდენად, არ იყო არავითარი აუცილებლობა ახალი სოციალური ფენისათვის – თავადობისათვის მოქცეხნათ ადგილობრივი სახელწოდება. ამიტომაც, მეგრულშიც და აფხაზურშიც უცვლელად შევიდა სოციალური ტერმინი – „თავადი“ (აფხაზურად „ათაუად“). ამასთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებასაც, რომ ამა თუ იმ პირის თავადის რანგში აყვანა მხოლოდ და მხოლოდ სამეფო ხელისუფლების პრეროგატივა იყო და შესაბამისად სამეფო სიგელით ფორმდებოდა. აქედან გამომდინარე, აფხაზი თავადები, ბუნებრივია, თავიანთ თავს საერთო-ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ. ამ თვალსაზრისით უაღრესად ნიშანდობლივია ალექსანდრე შარვაშიძის ცნობილი გამონათქვამი: „Я не абхазский, а грузинский князь“.²

მაგრამ დავუბრუნდეთ XIX საუკუნის დამდეგის პოლიტიკურ მოვლენებს. აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის მფარველობაში აყვანამ, რომელიც ფაქტობრივად სამხედრო

აგრესიისა და მხარის ოკუპაციის გზით მოხდა (სწორედ ასე აღიქვა ეს აფხაზთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა), სერიოზული პოლიტიკური გართულებები გამოიწვია. სამთავრო ტახტისათვის ბრძოლაში დამარცხებული ასლან-ბეი შარვაშიძე ყოველნაირად ცდილობდა ხელისუფლების დაბრუნებას. აღსანიშნავია, რომ მის ამ მისწრაფებას საკმაოდ აქტიურად უჭერდნენ მხარს პროთურქულად განწყობილი აფხაზი ფეოდალები და აგრეთვე აფხაზური მოსახლეობის ფართო ფენებიც. თავის მხრივ „ბრწყინვალე პორტაც“ უცერემონიოდ ერეოდა აფხაზეთის საქმეებში და ცდილობდა რუსეთის გამოძევებას რეგიონიდან. 1813 წლის მიწურულს ოსმალეთმა ჯარიც კი შეიყვანა აფხაზეთში, მაგრამ მთავარმა გიორგი შარვაშიძემ, სამეგრელოსა და გურიის მთავართა დახმარებით, შეძლო თურქთა მოგერიება. მიუხედავად ამ წარმატებისა, გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც, სხვათა შორის, თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მხედრული სიქველისათვის რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის წოდება მიიღო³, მაინც ვერ შეძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება. ამ შემთხვევაში არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობდა გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის საზოგადოებრივი წყობილების ის სპეციფიკა, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი და რომელიც ფაქტობრივად გამორიცხავდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობას. გიორგი შარვაშიძის ხელისუფლება მთლიანად რუსულ ხიშტებსა და სამეგრელოს სამთავრო სახლის მხარდაჭერას ეფუძნებოდა.

XIX საუკუნის 10-20-იან წლებში მიმდინარეობდა თითქმის პერმანენტული ბრძოლა გიორგი შარვაშიძის კურსის მომხრეებსა და ასლან-ბეი შარვაშიძის მხარდამჭერ პროთურქულ წრეებს შორის. 1821 წელს, გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთი მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა, რომელიც საკმაოდ მასშტაბურ ანტირუსულ ამბოხებაში გადაიზარდა. სამთავრო ტახტი უნდა დაე-

კავებიანა გიორგის უფროს ვაჟს დიმიტრი (ომარ-ბეი) შარვაშიძეს, რომელიც იმ პერიოდში სანქტ-პეტერბურგში, პაჟთა კორპუსში სწავლობდა. აფხაზ თავადთა ერთმა ნაწილმა ისარგებლა ტახტის მემკვიდრის აფხაზეთში არყოფნით და მთავრად გიორგის ძმის ჰასან-ბეი შარვაშიძის გამოცხადება მოინდომა. მაგრამ მათი ამ გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა სამეგრელოს მთავარი ლევან V დადიანი, რომელმაც კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელს, გენ. ა. ველიამინოვს შთააგონა ხელისუფლება გიორგი შარვაშიძის ქვრივისათვის, თამარ დადიანისათვის (ის, როგორც ცნობილია, ლევან დადიანის მამიდა იყო) გადაეცა. მართლაც, გენ. ველიამინოვის ბრძანებით, ჰასან-ბეი შარვაშიძე დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს⁴.

ეს ფაქტი აფხაზეთში შეფასდა როგორც რუსეთის სამხედრო ხელისუფლების გამომწვევი თვითნებური ქმედება და მას ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის მწვავე პროტესტი მოჰყვა. დაიწყო ძლიერი ანტირუსული აჯანყება, რომლის სათავეში ასლან-ბეი შარვაშიძე აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში გენ. გორჩაკოვის საექსპედიციო კორპუსი გადაისროლა, რომელმაც სისხლში ჩაახშო აფხაზეთა ეს გამოსვლა. ამ ექსპედიციის მონაწილის, სამეგრელოს სამთავროს დიდმოხელის, ცნობილი ისტორიკოსის ნიკო დადიანის ცნობით, რუსეთის რეგულარულმა ნაწილებმა მთლიანად გადაწვეს და იავარჰყვეს სოხუმი და მისი ახლომდებარე სოფლები, მათ შორის აფხაზეთის მთავართა სასახლეც⁵. გენ. გორჩაკოვის – რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ჭეშმარიტი სატრაპთაგანის ამ სისხლიან აქციებს სამართლიანად მიეცა მკაცრი და პირუთვნელი შეფასება გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, პროფ. გიორგი ძიძარიას შრომებში⁶.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ხიშტების წყალობით დიმიტრი შარვაშიძემ შეძლო მთავრის ტახტის დაკავება, აფხაზეთში სიწყნარემ მაინც ვერ დაისადგურა. აფხაზები

ახალ მთავარს ვერ პატიობდნენ იმას, რომ ის, როგორც ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. ფადეევი აღნიშნავდა: „ПОЯВИЛСЯ НА РОДИНЕ ВМЕСТЕ С КАРАТЕЛЬНЫМ ОТРЯДОМ“.⁷ ამიტომ დიმიტრი შარვაშიძის მთავრობა უდღეური გამოდგა. ხელისუფლებაში მოსვლის პირველსავე წელს, 1822 წლის ოქტომბერში ის შეთქმულებმა მოწამლეს⁸. დიმიტრი შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ სამთავრო ტახტი მისმა უმცროსმა ძმამ, თერთმეტი წლის მიხეილ (ჰამუტბეი) შარვაშიძემ დაიკავა. მაგრამ კრიზისი ამით არ ამოწურულა. პროტურქულად განწყობილი ძალები კვლავ აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის ჯარებს.

სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა 1824 წელს, როდესაც კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის გენ. ალექსეი ერმოლოვის თქმით, „ПЛАМЯ БУНТА ВСПЫХНУЛО ВДРУГ ПО ВСЕЙ АБХАЗИИ“.⁹ ამბოხებული აფხაზები ცალკეულ შემთხვევებში სერიოზულ დარტყმებს აყენებდნენ რუსეთის არმიის რეგულარულ ნაწილებს. ასე მაგალითად, რუსეთის მიერ სოფ. აკაფას გადაწვის საპასუხოდ, ამავე სოფლის მაცხოვრებლებმა გაანადგურეს რუსთა რაზმი და მოკლეს რაზმის უფროსი პოლკოვნიკი მიხინი. აკაფელ გლეხთა ამ წარმატებამ ბიძგი მისცა ახალ მასშტაბურ ანტირუსულ აჯანყებას მთელ აფხაზეთში. ერთ-ერთი თანამედროვის ცნობით, „Выступление абхазов никогда еще не начиналось с таким единодушием как ныне“.¹⁰

აჯანყებული აფხაზების დასახმარებლად მოვიდნენ საძებრისა და უბიხების მოძმე ტომები. ამბოხებულებმა იერიში მიიტანეს ლიხნსა და სოხუმზე. აფხაზეთში კვლავ გაიგზავნა გენ. მ. გორჩაკოვის რაზმი. რუსეთის რეგულარული ნაწილების გვერდით (სულ 2000-მდე ჯარისკაცი) იბრძოდა სამეგრელოს მთავრის 1300-კაციანი მხედრობა¹¹. ოდიშის მთავრის ასეთი აქტიურობა გამოწვეული იყო იმით, რომ დადიანთა სახლს არ სურდა აფხაზეთის მთავრის ტახტზე ოს-

მაღეთის აგენტის ასლან-ბეი შარვაშიძის მოსვლა და ყოველნაირად ცდილობდა, ხელისუფლება გიორგი შარვაშიძის შტოს წარმომადგენლებს შენარჩუნებოდა. დადიანთა მხრიდან ეს იყო მორიგი გამოვლინება ზრუნვისა გიორგი შარვაშიძის შვილებზე. ცნობილია, რომ ადრე დიმიტრი შარვაშიძე ფაქტობრივად დადიანთა კარზე სამეგრელოს დედოფლის ნინო ბაგრატიონი-დადიანის უშუალო მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა. საინტერესოა, რომ სწორედ ნინო ბაგრატიონ-დადიანმა წაიყვანა დიმიტრი სანქტ-პეტერბურგს და იქ პაჟთა კორპუსში მიაბარა¹².

რუსულმა რეგულარულმა ნაწილებმა და სამეგრელოს ლაშქარმა რის ვაი-ვაგლახით გაიკაფეს გზა აფხაზეთის სიღრმეში. ისინი ყველგან აწყდებოდნენ აჯანყებულ აფხაზთა მედგარ წინააღმდეგობას. გენ. მ. გორჩაკოვმა, რომელსაც ა. ერმოლოვისაგან მიღებული ჰქონდა მითითება, აფხაზეთში ემოქმედა „огнем и мечем.., щадя лишь дом владельца“, ¹³ დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო აფხაზთა აჯანყების ჩახშობა. ასლან-ბეი შარვაშიძე ოსმალეთში გაიქცა, თუმცა ვერც მიხეილ შარვაშიძემ მოახერხა ერთბაშად ტახტზე განმტკიცება და ის იძულებული შეიქნა, რამდენიმე წლით აფხაზეთი დაეტოვებინა.

Α×άΑΑΕΕÓ ΟΑΙΕΑΟΙ ΧΙΧ ΟΑΘΕΘΓΕÓ 30-ΕΑΓ ΒΕΪΑΟΥΕ.

1824 წლის აფხაზეთის აჯანყების მასშტაბებმა შეაშფოთა რუსეთის ხელისუფლება და მას ურჩი აფხაზებისა და სხვა მთიელ ტომთა მიმართ უფრო მკაცრი ზომების გატარებისკენ უბიძგა. რუსული ადმინისტრაცია წარმატებით შეუდგა კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდალ გრაფ ი. პასკევიჩისადმი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ გაგზავნილ რესკრიპტში მოცემული დავალების აღსრულებას. იმპერატორის დავალების დედაარსი შემდეგში მდგომარეობდა: „Усмирение навсегда горских народов или истребление непокорных“.¹⁴ კავკასიის რისხვა გენ. ალექსეი ერმოლოვი ასევე

მოუწოდებდა თავის ქვეშევრდომებს, გამოეჩინათ სისასტიკე კავკასიის ხალხების, კერძოდ, აფხაზთა მიმართ, რომელთაც ის „ველურ მტაცებლებს“ („дикие хищники“) უწოდებდა. გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოს გიორგი ძიძარიას, რომელმაც კაპიტალურად გამოიკვლია რუსეთის იმპერიის პოლიტიკა კავკასიაში, თავის ფუნდამენტურ ნაშრომში მაჰაჯირობის შესახებ მოჰყავს მასალა, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ განახორციელა გენ. ზასსმა „движение для истребления абхазского аула Гурмая, лежащего у вершин Ходза“.¹⁵

მიუხედავად იმპერიის ადმინისტრაციის დიდი მონღომებისა, აფხაზეთში მიხეილ შერვაშიძის მმართველობის დამყარება ძლიერ გაჭირდა. 1830 წელს მთავრის მორჩილებაზე უარი განაცხადა სოფელ მერხეულის 4 ათასმა შეიარაღებულმა გლეხმა¹⁶.

ურჩი მთიელი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე სრული სახელმწიფო კონტროლის დამყარების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა კავკასიაში გასატარებელი ღონისძიებების მთელი პაკეტი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ე.წ. „აფხაზეთის ექსპედიციას“ („Абхазская экспедиция“), რომლის მიზანი იყო აფხაზეთის სანაპიროს დაკავება და სოხუმსა და ანაპას შორის პირდაპირი სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა¹⁷. 1830-1831 წლებში ეს ჩანაფიქრი მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა – გაყვანილ იქნა გზა სოხუმსა და გაგრას შორის. ამ საქმეში რუსეთის ხელისუფლებას დიდი დახმარება გაუწია მიხეილ შარვაშიძემ. მიუხედავად ამ დახმარებისა, რუსები მაინც ვერ გასცდნენ გაგრას. ჩრდილოეთის მიმართულებით მათი წინსვლა შეჩერებული იქნა აფხაზთა და უბიხთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგად. მეფის ადმინისტრაციამ მხოლოდ 1837-1839 წლებში მოახერხა გაგრასა და ანაპას შორის გამაგრებების მშენებლობის დასრულება და „შავიზღვისპირა სანაპირო ხაზის“ („Черно-

морская береговая линия“) მთლიანი სისტემის შექმნა, რომელიც იწყებოდა მდ. ყუბანის შესართავიდან და მთავრდებოდა მდ. სუფსის შესართავთან არსებულ წმ. ნიკოლოზის (შეკვეთილი) საგუშაგოსთან¹⁸.

„შავიზღვისპირა სანაპირო ხაზის“ შექმნით, შეიძლება ითქვას, დასრულდა რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის შემომტკიცების პროცესი, თუმცა ამ პროცესს ახლდა სამხედრო გართულებებიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხედრო ექსპედიცია წებელდის მიმართულებით, რომელიც განხორციელდა 1837 წელს თვით კავკასიის ჯარების მთავარსარდლისა და საქართველოს მთავარმართებლის ბარონ გ. როზენის სარდლობით. როგორც მიუთითებს პროფ. გ. ძიძარია, რუსული რეგულარული ნაწილები წებელდის დალაშქრისას მოქმედებდნენ განსაკუთრებული სისასტიკით, არტილერიის ცეცხლით ანადგურებდნენ სოფლებს და ამით კიდევ უფრო აღვივებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სიძულვილს მომხვედურთადმი. აფხაზი მეცნიერის თქმით, წებელდის მცხოვრებნი ჭეშმარიტად გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსულ ჯარებს¹⁹. წებელდის მფლობელი თავადი მარშანიები, რომლებიც ამ დროს ფაქტობრივად სათავეში ედგნენ ანტირუსულ ფრონტს აფხაზეთში, ბოლოს და ბოლოს იძულებულნი გახდნენ, შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და დაეფიცათ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

მაგრამ 1840 წელს აფხაზეთში კვლავ იფეთქა ძლიერმა ანტირუსულმა აჯანყებამ, რომელმაც მთლიანად აფხაზეთის სანაპირო მოიცვა. მოვლენების ეპიცენტრად კვლავ წებელდის მხარე იქცა, სადაც რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში დალის მფლობელი შაბათ მარშანია და მისი ძმა ეშსოუ ჩაუდგნენ. რუსეთის სარდლობამ კავკასიაში მოამზადა ახალი ექსპედიცია დალის ხეობის მიმართულებით საომარი მოქმედებების ჩასატარებლად. ამ

ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს მარშანების საგვარეულოს ცალკეულმა წარმომადგენლებმა, აგრეთვე სხვა აფხაზ-მა თავადებმაც აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის მეთაურობით. შედეგად, წებელდაში კვლავ აღსდგა სახელმწიფო წესრიგი²⁰. 1840 წლის ნოემბერ-დეკემბერში კი რუსულმა რეგულარულმა ნაწილებმა განავითარეს მძლავრი შეტევა დალის ხეობის სიღრმეში. ამ ახალი ექსპედიციის სარდალი იყო პოლკოვნიკი ნ. მურავიოვი, რომელსაც მაშინ „შავიზღვისპირა სანაპირო ხაზის“ მე-3 განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა. რუსების ამ „ლაშქრობაში“ მონაწილეობდა არაერთი აფხაზი ფეოდალი. ადგილობრივი მოსახლეობა თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის რეგულარულ ნაწილებს. როგორც მიუთითებდა თავის „პატაკში“ ნ. მურავიოვი, „жители, отступая, сами жгли свои жилища.., а что оставалось несожженным, уничтожалось войсками, движение которых сопровождалось совершенным истреблением всех жилищ и имущества“.²¹

ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსის პროფ. გიორგი ძიძარას შრომებში, XIX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგის ანტირუსული გამოსვლები აფხაზეთში სავსებით სამართლიანადაა განხილული იმ პერიოდში საქართველოს სხვა რეგიონებში განვითარებულ მოვლენებთან კავშირში. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, აქცენტი კეთდება გურიის 1841 წლის აჯანყებაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზურმა მოსახლეობამ ფაქტობრივად ბოიკოტი გამოუცხადა მიხეილ შარვაშიძის მოწოდებას და ხელი შეუშალა მას, შეეგროვებინა მოხალისეები, რომელთაც რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით მონაწილეობა უნდა მიეღოთ გურიის აჯანყების ჩახშობაში. თავის მხრივ, რუსეთის ჯარების სარდლობა შიშობდა, აჯანყება გურიის ფარგლებს არ გასცდენოდა და კმაყოფილებას ვერ ძალავდა, რომ

შესაძლებელი გახდა აჯანყების ლოკალიზება²².

მაგრამ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აფხაზები ცდილობდნენ აქტიურად ჩართულიყვნენ საქართველოს სხვა რაიონებში მიმდინარე ანტირუსულ გამოსვლებში. მაგალითად, ცნობილია, რომ 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების დროს, რომელმაც სამეგრელო-გურიაც მოიცვა, კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას სერიოზულად აშფოთებდა აფხაზების ჩართვა აჯანყებაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იმ პერიოდში აფხაზეთში მყოფი ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის პოლ გიბალის ცნობა იმის შესახებ, რომ სოხუმსა და მის შემოგარენში ჩატარებულა რვა სახალხო კრება („სეიმი“), რომელზედაც განუხილავთ საკითხი იმერეთსა და სამეგრელოში მიმდინარე არეულობების შესახებ. ეს კრებები მიზნად ისახავდა ხალხის აზრის გაგებას, საჭირო იყო თუ არა აჯანყებულებთან შეერთება. გიბალის განმარტებით, სეიმის მონაწილეთა უმრავლესობა თურმე ომის მომხრე ყოფილა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ აფხაზეთისთვის თავი შეუფარებია გიორგი დადიანს, ოდიშის მთავრის ლევან V დადიანის უმცროს ძმას²³, რომელიც 1819-1820 წლების აჯანყების დროს მეთაურობდა „ანტირუსულ ფრონტს“ სამეგრელოში.

ცნობილია XIX საუკუნის I მესამედში საქართველოში მიმდინარე ანტირუსული აქციებისადმი აფხაზთა სოლიდარობის სხვა ფაქტებიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აფხაზეთის მთავრის, მიხეილ შარვაშიძის უმცროსი ძმის – კონსტანტინე შარვაშიძის მონაწილეობა 1832 წლის ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულებაში. ის ჯერ კიდევ სანქტ-პეტერბურგში ყოფნის დროს დაახლოვებია ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებს, რომელთა შორის მომავალი შეთქმულების ხელმძღვანელები – ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები ყოფილან. პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ კონს-

ტანტინე შარვაშიძეს სამხედრო სამსახური დაუწყია თბილისში განთავსებულ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიკოსის გ. პოტოს თქმით, „В числе заговорщиков оказался один из нижегородских офицеров... князь Константин Шарвашидзе. Передавали шепотом, что арестован и князь Александр Гарсеванович Чавчавадзе, как один из вождей готовившегося восстания... Слухи подтвердились. Чавчавадзе и Шарвашидзе были действительно арестованы“.²⁴

და მაინც, ანტირუსულ განწყობილებებზე მსჯელობისას, როგორც საქართველოში მთლიანად, ისე საკუთრივ აფხაზეთში, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავისი არსით ანტირუსული გამოსვლები, რომელთაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში, პრინციპულად განსხვავდებოდა დანარჩენ საქართველოში მიმდინარე აქციებისაგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველო, როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანა, სულაც არ იყო ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის მოწინააღმდეგე. პირიქით, ცნობილია, რომ ქართველი მეფეები თავიანთ პერმანენტულ ბრძოლაში მაქსიმალური სამყაროს წინააღმდეგ ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე და ქვეყნის მომავალს სწორედ რუსეთს უკავშირებდნენ. პრინციპში ეს განწყობა გადმოჰყვა XIX ს. I მესამედის ქართულ პოლიტიკურ ელიტასაც, რომლის იდეალს 1783 წლის ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობების აღდგენა წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა გარკვეულწილად შეზღუდული სახით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, უკლებლივ ყველა ანტირუსული გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის I მესამედში, მიზნად ისახავდა არა სრულ მოწყვეტას რუსეთისაგან, არამედ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერთ-

გვარი ავტონომიის სახით.

აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა სახლი, როგორც ეს ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო, მთლიანობაში მხარს უჭერდა ქართველ ლიდერთა პრორუსულ ორიენტაციას. მაგრამ აფხაზეთში, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, საკმაოდ ძლიერი იყო ანტირუსული განწყობილებები, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდა „ბრწყინვალე პორტა“. ოსმალთა პოლიტიკურ და, რაც მთავარია, რელიგიურ-იდეოლოგიურ გავლენას აფხაზეთზე ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა გვიან შუა საუკუნეებში მომხდარმა ეთნო-დემოგრაფიულმა ცვლილებებმა, რომელიც განიცადა რეგიონმა მონათესავე ჯიქ-აფხაზთა მთიელი ტომების ახალი ტალღის მოწოლის შედეგად. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ამ ტომებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ოდესღაც განვითარებული ქრისტიანული მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული იერ-სახე. იძალა წარმართობამ და, რაც მთავარია, აფხაზური მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილმა ნაწილმა მიიღო ისლამი, რითაც ის თანდათანობით მოექცა ოსმალეთის პოლიტიკის ფარვატერში. აქედან გამომდინარე, აფხაზთა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ატარებდა მკვეთრად გამოხატულ ანტაგონისტურ ხასიათს. მეტიც, აფხაზთა ბრძოლა გახდა შემადგენელი ნაწილი ე.წ. „საღვთო ომისა“ („ჰაზავათი“), რომელსაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობა იმამ შამილის მეთაურობით. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელ მთიელთა ეს თავგანწირული ბრძოლა ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ ნამდვილად ატარებდა განმათავისუფლებელ ხასიათს, ის მთლიანად ეხმიანებოდა ოსმალეთის იმპერიულ მისწრაფებებს, რომელთა მთავარი მიზანი რუსეთის იმპერიის კავკასიიდან გამოძევება და ამ რეგიონზე დაკარგული პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლის აღდგენა იყო. რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში აფხაზეთს იმთავითვე ექცეოდა

საგანგებო ყურადღება. ორივე მხარე მას განიხილავდა, როგორც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პლაცდარმს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გაბატონებისათვის. ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა აფხაზეთის სტრატეგიული ფუნქციის შეფასება, რომელიც ეკუთვნის კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ცნობილ მოღვაწეს, გენ. პეტრე უსლარს: „В общей системе Кавказской военной политики, – წერდა ის, – Абхазия играет весьма важную роль. Страна эта вместе с Цебелдой на большом протяжении границ своих соприкасается с землями непокорных черкесов, врезываясь в наименее доступные части Кавказа. Абхазия должна служить оплотом для западной части Закавказья и проводником нашего влияния а Черкесию“.²⁵

აფხაზეთის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა 1834 წელს დაწყებული კავკასიის ომის შემდეგ. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა რუსეთის ხელისუფლება, დაეჩქარებინა აფხაზეთის საბოლოო დაპყრობა, რაც განხორციელდა კიდევ 1837 და 1840 წლების სამხედრო ექსპედიციების შედეგად. რუსეთის სახელმწიფო კონტროლის დამყარება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე რუსული ნაწილების მიერ გარეგნულად, რასაკვირველია, გამოიყურებოდა როგორც დაუმორჩილებელი რაიონების აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების ქვეშ შემოყვანისაკენ მიმართული ღონისძიება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მიხეილ შარვაშიძის მმართველობის დასასრულის დასაწყისი იყო. ამიტომაც ამ დროიდან აფხაზეთის მთავარს სულ უფრო ნაკლებად სჯეროდა რუსეთის ხელისუფლების კეთილი ზრახვებისა.

„ΟΑΙΘΘΑΥΑΙΪ Ο ΘΑΕΕ΄αΕ“ ΑΑ ΘΘΕΕΑΘΕΪ ΑΑΑΕΘ ΑΑΪΒ-
 ΑΑΑΑΑ Α×αΑΑΕΕΕΘ ΘΑΪΕΑΑΘΪ αΑΕΕΘΘ×ΕΑΑΑΘΑ ΑΑ ΕΑΑΕΑΘΕ-
 ΕΘ ΘΘΘΘΕ ΑΑΪΕΪΕΘΘΑΥΕΑΘ ΨΪ ΘΕΘ. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგიდან, მას მერე, რაც მიხეილ შარვაშიძე რეალურად დაეუფლა სამთავრო ტახტს და თანდათანობით გა-

ნიმტკიცა თავისი პოზიციები, აფხაზეთის ახალმა მთავარმა გადადგა კონკრეტული ნაბიჯები სამურზაყანოს შემოსამტკიცებლად. სამურზაყანო ყოველთვის წარმოადგენდა აფხაზეთისა და ოდიშის მთავართა ცილობის საგანს. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი რჩებოდა შარვაშიძეთა საგვარეულოს ყვაპუს შტოს წარმომადგენელთა უშუალო მფლობელობაში, ის უმთავრესად მაინც სამეგრელოს მთავარ დადიანთა „ქვეყნის“ ნაწილად განიხილებოდა. აფხაზეთის მთავრები არაერთხელ ცდილან სამურზაყანოს გამოყვანას ოდიშის სამთავრო სახლის სიუზერენიტეტიდან და თავიანთი მფლობელობის აღდგენას ამ მხარეში. ყველაზე დიდ წარმატებებს ამ მიმართულებით მიაღწია ქელემ-ბეი შარვაშიძემ, რომელმაც განავრცო თავისი ხელისუფლება ენგურამდე. უფრო მეტიც, XIX საუკუნის დამდეგს, ერთი პერიოდი, მან ენგურის მარცხენა სანაპიროზე არსებული მნიშვნელოვანი პუნქტი – ანაკლია დაიკავა და ის თავის ერთ-ერთ რეზიდენციად გადააქცია²⁶.

ქელემ-ბეი შარვაშიძის ამ სწრაფვას უპირისპირდებოდნენ სამურზაყანოს მფლობელი შარვაშიძეები, რომლებიც ამ დროს მთლიანად ორიენტირებულნი იყვნენ დადიანთა სახლზე. თავის მხრივ, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ერთ-მნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი დადიანებს და სამურზაყანო იმთავითვე სამეგრელოს სამთავროს სამფლობელოდ აღიარა. სწორედ ამის გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ 1805 წელს რუსეთმა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამურზაყანო მიიღო იმპერიის მფარველობაში როგორც სამეგრელოს სამთავროს ნაწილი.

მოგვიანებით, დადიანთა სახლმა ისარგებლა ერთი მხრივ, რუსეთის მხარდაჭერით, ხოლო, მეორე მხრივ, სამურზაყანოელ შარვაშიძეთა შორის ამტყდარი შუღლით და კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გავლენა სამურზაყანოზე. 1810 წელს სამეგრელოს მმართველმა ნინო ბაგრატიონმა-დადიანმა სა-

მურზაყანო სამოურავოდ გამოაცხადა და მოურავად (მემკვიდრეობის უფლებით) მანუჩარ შარვაშიძე (დადიანების სიძე, ლევან V დადიანის დის ქმარი) დანიშნა²⁷. 1813 წელს მანუჩარ შარვაშიძე მოკლეს. სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა ეს სიტუაცია გამოიყენა თავისი პოზიციების გასამყარებლად. მან მანუჩარ შარვაშიძის მკვლელს, ხუტუნია შარვაშიძეს, რომელმაც წებელდას შეაფარა თავი, წაართვა ბედიის ციხე და მამამისს – ლევანს – მხოლოდ სოფელი ფახულანი დაუბრუნა „გამოსაზრდელად“. მოგვიანებით ლევან დადიანმა შეიწყნარა ხუტუნია შარვაშიძე და მას ბედიის ნახევარი დაუბრუნა, ფახულანი კი თავის დას – მანუჩარ შარვაშიძის ქვრივს გადასცა²⁸. ამავე დროს სამეგრელოს მთავარმა, როგორც უახლოესმა ნათესავმა, მანუჩარ შარვაშიძის შვილების – ალექსანდრეს და დიმიტრის ბიძამ, ოფიციალურად იტვირთა მათი მეურვეობა²⁹. გარდა ამისა, 1815 წელს ლევან V დადიანმა, „სამურზაყანოს აფხაზეთისა მთავარმა“, გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალა სამურზაყანოში ქურდობა, ავაზაკობა, ტყვის სყიდვა. მასში ნაბრძანები იყო აგრეთვე „ონრებისა მის მომსვრელისა სენისა და სიყმილისა მიერ გარდმოცვივნულნი იმერელნი და ოდიშარნი“ გლეხების მობრუნება ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სამურზაყანოს თავადაზნაურობამ ოფიციალურად ხელმოწერილი ფიცით აღუთქვა მთავარს ბრძანების შესრულება. უფრო მეტიც, ლევან V დადიანის ხელისუფლება სცნეს წებელდის თემის ბატონებმა – მისოსტ, სარალაფუ და ზერეფხუ მარშანიებმა, რომლებმაც შეჰფიცეს სამეგრელოს მთავარს: „ვიყვნეთვე კეთილთა მეზობლობითა სამთავროსა თქვენისა სამურზაყანოდ წოდებულს აფხაზეთსა ნაწილსა თანა და ოდიშისა და მასთა მცხოვრებთა“.³⁰ ამ ღონისძიებებით ლევან V დადიანმა ფაქტობრივად თავისი უშუალო მმართველობა დაამყარა სამურზაყანოზე.

მართალია, სამეგრელოს მთავრის მიერ სრული კონტროლის დამყარება არ შეიძლებოდა მოსწონებოდა აფხაზეთის მთავარს გიორგი შარვაშიძეს, მაგრამ მას რაიმე კონტროლების მიღება ამ ეტაპზე არ შეეძლო. გიორგი შარვაშიძეს კარგად ესმოდა, რომ კონფრონტაცია ოდიშის მთავართან მისთვის დამლუპველი იყო, ვინაიდან მისი ყოფნა მთავრის ტახტზე მთლიანად დადიანთა სახლის მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც ის იძულებული იყო ბედს შერიგებოდა და 1818 წელს ოფიციალურად ეცნო სამურზაყანო სამეგრელოს მთავრის მფლობელობაში³¹.

სამურზაყანოზე ფიქრი თავიდან არც მიხეილ შარვაშიძეს დაუწყია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგამდე მას ამის თავი არ ჰქონდა. 1824-1827 წლებში ის არა თუ არ მართავდა რეალურად აფხაზეთს, არამედ არც კი იმყოფებოდა იქ. როგორც ირკვევა, ამ პერიოდში მიხეილ შარვაშიძე ცხოვრობდა ხან სამეგრელოში, ხან იმერეთში, ხან კიდეც თბილისში³². აფხაზეთში დაბრუნებისა და მთავრის ტახტზე მეტ-ნაკლები მომარების შემდეგ მიხეილ შარვაშიძე, როგორც ჩანს, შეუდგა მზადებას სამურზაყანოზე იერიშის მისატანად. თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით მან განსაკუთრებით გააქტიურა მას შემდეგ, რაც 1832 წელს ლევან V დადიანმა გზიდან ჩამოიცილა მანუჩარ შარვაშიძის შვილები, რომელთა მეურვის სტატუსითაც მართავდა ის სამურზაყანოს და მხარეს სრულად დაეპატრონა³³. მიხეილ შარვაშიძემ 1834 წელს მიიტაცა სოფელი ილორი და სოფლის მოსახლეობას სრული მორჩილება მოსთხოვა. მაგრამ საქმეში ჩაერია საქართველოს მთავარმართებელი ბარონი როზენი, რომელმაც მკაცრად გააფრთხილა აფხაზეთის მთავარი და დაუყოვნებლივ მოსთხოვა ამ თვითნებობის აღკვეთა. „Командующий отрядом, расположенным в Самурзаканском округе, – წერდა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მეთაური მიხეილ შარ-

ვაშიძეს, — доносит, что В. Св. присваивая сел. Илори, вытребовал от жителей... присягу на верность их вам и взяли от них аманатов. Таковое действие В. Св. служит к умножению происходящих в Абхазии беспорядков, и не могу я не удивляться, что вы решились на таковое самоуправство в чужом владении; ибо известно правительству, что живою границею между Мингрелией и Абхазией служит р. Галидзга. А как сел. Илори находится на левом берегу оной, то не может принадлежать к Абхазии“. წერილის ბოლოს ბარონი როზენი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სოფელ ილორის მცხოვრებნი „**принадлежать владельцу Мингрелии**“.³⁴

უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ შარვაშიძის ქმედებანი ადრეც იწვევდა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მეთაურის სერიოზულ გაღიზიანებას. მაგრამ ეს ძირითადად უკავშირდებოდა აფხაზეთის მთავრის თავაშვებულ ცხოვრებას. კერძოდ, ბარონმა როზენმა ვერ დამალა აღშფოთება იმის გამო, რომ მიხეილ შარვაშიძემ, რომელსაც უკვე ჰყავდა მეუღლე, მოინდომა ექორწინა სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის ასულ ნინოზე. „Предложение, вами сделанное владельцу Мингрелии, — წერდა როზენი 1833 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულ წერილში, — есть уже преступление, исполнение коего, каким образом оно не случилось-бы, возбудит мысль, что вы не христианин, а следовательно и на благонамеренность вашу полагаться нельзя ни в коем случае... Не лишите себя покровительства могущественной России, займитесь устройством Абхазии, упрочьте ее благосостояние своим благоразумием... **Я требую от вас скорого на сие ответа и решительно уведомляю, что правительство запрещает вам и мыслить о столь погубном для вас деле, по примеру своему вредному для самих ваших подвластных, которые и без того вам в полной мере не повинуются, а при таком бого-**

противном поступке и вовсе повиноваться не будут“.³⁵

ოდნავ მოგვიანებით, 1834 წლის 6 აპრილს, ბარონი როზენი უკვე აფრთხილებდა მიხეილ შარვაშიძეს: „Что с вами будет, если Российская держава, доставившая в Абхазии дому вашему первенство и всеми средствами поддерживающая вас, откажется от оказываемого вам покровительства, без которого вы и существовать не можете? Вспомните и то, что дарованное дому вашему первенство было следствием принятия покойным отцом вашим кн. Георгием христианской веры и вступления его в брак с княгиней, родной теткой владетеля Мингрелии; с христианской-же верою он принял обет оставить **горския богомерзкия обычаи**“.³⁶

მთავარმართებლის წერილის ტონმა და მასში მოცემულმა მუქარამ დააშინა აფხაზეთის მთავარი და მან ხელი აიღო თავის განზრახვაზე. მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ – 1936 წელს – მიხეილ შარვაშიძემ ახალი ავანტიურისტული ნაბიჯი გადადგა: მან მიატოვა თავისი მეორე ცოლი* – სამეგრელოს თავადის ნიკო დადიანის ასული მარიამი და მალულად იქორწინა სამეგრელოს დიდვეზირის ნიკო დადიანის ვაჟის, გიორგი დადიანის ასულ ცუცაზე (იგივე ალექსანდრა). ამ ფაქტმა უკვე საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან ბარონი როზენი და მან იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე ფაქტობრივად მიხეილ შარვაშიძის მთავრის ტახტიდან დაუყოვნებლივ გადაყენების საკითხი დააყენა. „После противозаконной женитьбы кн. Михаила Шарвашидзе, – მოახსენებდა ბარონი როზენი სანქტ-პეტერბურგში გრაფ ჩერნიშოვს, – беспорядки стали приметно умножаться в Абхазии и между жителями **Самурзаканского**

* მიხეილ შარვაშიძის პირველი მეუღლე იყო „ჩერქეზი ქალი“, ქრისტიანად მონათლული, რომელიც იზრდებოდა მიხეილის დედის – თამარ დადიანის მეურვეობის ქვეშ. აფხაზეთის მთავარი გასცილდა მას და სამშობლოში გაისტუმრა.

округа, принадлежащего владельцу Мингрелии, которых тайно поощряли к тому злонамеренные абхазцы. Беспорядки съе, по донесению местного начальства, происходят не только от преднамеренного бездействия владельца Абхазии, но даже от тайного будто-бы поощрения им подвластных своим к возмущению против Русского правительства“.³⁷

როგორც ვხედავთ, კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირდაპირ აღანაშაულებდა აფხაზეთის მთავარს ღალატში და ანტირუსული გამოსვლების ორგანიზებაში. სწორედ ამის გამო, მან უბრძანა იმერეთის მმართველს გენ. მ. ახლესტიშევს, „употребить всевозможные меры к открытию замыслов владельца“ და თუ ის დარწმუნდებოდა „в неблагонамеренности изменнических предприятиях его против правительства, то чтобы старался арестовать его и отправить в Тифлис“. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში გენ. მ. ახლესტიშევს უფლება ეძლეოდა, „употребить для усмирения абхазов 2,5 баталена пехоты“.³⁸

ასეთი ღაპირისპირების ფონზე აფხაზეთის მთავარმა კიდევ უფრო გამომწვევი ნაბიჯები გადადგა სამურზაყანოს დასაუფლებლად. 1836 წლის შემოდგომაზე საქართველოს მთავარმართველ ბარონ როზენისთვის ცნობილი გამხდარა, რომ მიხეილ შარვაშიძის მოწვევით, „прибыли к р. Бзиб несколько сот человек непокорных Джигетов, для того чтобы будто-бы вместе с Абхазцами сделать набег на **Самурзакан** или **другие места Мингрелии**, и что брат владельца кн. Александр Шарвашидзе поехал в Цебельду для сбора там людей, а также, что сам кн. Михаил отправился для переговоров с Джигетами“.³⁹ მთავარმართველი აცნობებდა სანქტ-პეტერბურგს, რომ თუ მიხეილ შარვაშიძე „не переменит своего поведения и будет увлекаться ложными своими понятиями то пребывание его (ე. ი. მიხეილ შარვაშიძის — **А.Д.**) в Абхазии будет вредным“, რის გამოც

ის ითხოვდა „უმაღლეს ნებართვას“ „на удаление его из Абхазии при первом явном с его стороны неприязненным покушении“.⁴⁰ უნდა აღინიშნოს, რომ სანქტ-პეტერბურგში თბილისიდან წამოსული შეტყობინებები არ დარჩენილა სათანადო რეაგირების გარეშე და გრაფმა ჩერნიშოვმა იმპერატორის სახელით ფაქტობრივად მისცა თანხმობა საქართველოს მთავარმართებელს გაეტარებინა რადიკალური ღონისძიებები აფხაზეთის მთავრის მიმართ. მაგრამ იმ ეტაპზე იმპერიის ხელისუფლებამ მაინც შეიკავა თავი ამგვარი ქმედებებისაგან. თავის მხრივ, აფხაზეთის მთავარიც დარწმუნდა, რომ მას რუსებთან კონფრონტაცია ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანდა და მათთან ურთიერთობის გამოსწორებას შეუდგა.

ἸΕἈΑἸἘ ὙΑΘἈΑὔΕΡἈ ἈἈ ΕἈἈἸΑΘἸἸἸ ὉἸἸἸἸἸἸ ἈἈἸἸἸἸἸἸ- ὉἈὔἸἈ ΧΙΧ ὉἈἸἸἸἸἸἸ 40-ἸἈἸ ΒἸἸἈἈὔἸ. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გამწვავდა ურთიერთობა აფხაზეთის მთავარსა და კავკასიის რუსულ ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ბარონ როზენს შორის, რაც უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ სამურზაყანოს მფლობელობის ირგვლივ არსებულ „მეგრულ-აფხაზურ“ დაპირისპირებაში რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად დადიანთა სახლს უჭერდა მხარს. მართალია, აფხაზეთის მთავარი არ მშვიდდებოდა და ცალკეულ შემთხვევებში დგამდა კიდევ კონკრეტულ ნაბიჯებს ამ მხარის დასაუფლებლად, მაგრამ 30-იანი წლების II ნახევრიდან მან რამდენადმე მაინც შეიცვალა პოზიცია და რუსეთის ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობის გზას დაადგა.

პირველად ეს მკაფიოდ გამომჟღავნდა ჯერ კიდევ 1835 წელს, როდესაც მიხეილ შარვაშიძემ თავისი შეიარაღებული რაზმებით მონაწილეობა მიიღო თავისუფლებისმოყვარე მოძმე ჩრდილო-კავკასიური ტომების წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილ სამხედრო ექსპედიციაში. „აფხაზეთის მთავარმა, – მოახსენებდა საქართველოს

მთავარმართებელი გენ. გოლოვინი სანქტ-პეტერბურგში გრაფ ჩერნიშოვს, – с подвластными ему абхазцами да азови-დან გამოსული სამხედრო ხომალდების მხარდაჭერით, მოაწ-ყო ექსპედიცია против Черкес, обитавших между укреп-лениями св. Духа и фортом Александрия... В наказание за делаемые ими на Абхазию набеги... абхазцы сожгли два аула.., взяли пленных и поживились добычею“. მიხეილ შარვაშიძის ეს აქცია, რუსეთის მაღალი სახელისუფლებო წრეების შეფასებით, მეტად სასარგებლო იყო. ამიტომაც გენ. გოლოვინმა გასცა განკარგულება გენერალ-ლეიტენანტ ნ. რაევსკის, „разрешать владельцу Абхазии делать подоб-ные мероприятия“. ⁴¹

კიდევ უფრო მეტი მონღომება გამოიჩინა მიხეილ შარ-ვაშიძემ 1841 წელს ჯიქთა და უბიხთა ანტირუსული აჯან-ყების ჩახშობისას, როდესაც ის გამოვიდა აფხაზეთიდან „на 11-ти галерах“ 500 აფხაზი მილიციელის თანხლებით. უფ-რო მეტიც, რუსეთის სარდლობის გადაწყვეტილებით, „ГЕН-Т кн. М. Шарвашидзе принял начальство над всеми мили-циями“. ⁴²

ამ და რუსეთის არმიის რეგულარულ ნაწილებთან ერ-თად იმპერიასთან საღვთო ომში ჩართულ მოძმე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების წინააღმდეგ მიხეილ შარვაშიძის გა-მოსვლის სხვა ფაქტების მიუხედავად, აფხაზეთის მთავრის ურთიერთობა კავკასიის რუსულ ადმინისტრაციასთან მაინც საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იყო.

1840 წელს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ჩამო-ართვა სამეგრელოს მთავარს სამურზაყანო და იქ ცალკე ადმინისტრაციული ერთეული – საბოქაულო შექმნა, რითაც საბოლოოდ დაასამარა მიხეილ შარვაშიძის ოცნება, მიეღო ეს მხარე თავის მფლობელობაში. რუსეთის ხელისუფლების ეს ნაბიჯი აფხაზეთის მთავრისთვის გამომწვევი იყო იმითაც, რომ ერთი წლით ადრე, 1839 წელს, მიხეილ შარვაშიძემ

ოფიციალურად მიმართა იმპერიის ხელისუფლებას თხოვნით, გადმოეცათ მისთვის სამურზაყანოს ოლქი⁴³. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდებოდა აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე მიხეილ შარვაშიძის მმართველობის შემდგომი განმტკიცების ფონზე, კერძოდ, ამ პერიოდში, როგორც უკვე აღინიშნა, მოხდა დალისა და წებელდის ურჩი რაიონების დამორჩილება და იქ მთავრის ხელისუფლების დამყარება. ეს კი განხორციელდა უშუალოდ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მიერ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციების შედეგად. ამ მხრივ მკვლევრები (განსაკუთრებით აფხაზი ისტორიკოსი ს. ლაკობა) საგანგებოდ მიუთითებენ გენ. რაევსკის გადამწყვეტ როლზე. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, სწორედ გენ. ნ. რაევსკიმ გახადა მიხეილ შარვაშიძე „действительным владельцем Абхазии“.⁴⁴

1844 წელს, რუსეთის სამხედრო მინისტრის თანხმობით, მიხეილ შარვაშიძემ მიიღო განუსაზღვრელი უფლება, გაესახლებინა მისთვის მიუღებელი პირები აფხაზეთიდან რუსეთში დროებით ან მუდმივად. პირველ რიგში, ეს ვრცელდებოდა მთავრის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე. და მაინც, მიხეილ შარვაშიძე ვერ ფარავდა თავის უკმაყოფილებას რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების გამო. პირველ რიგში, მას აღიზიანებდა „სამურზაყანოს საკითხში“ იმპერიის მიერ გამოჩენილი „ვერაგობა“. 1847 წელს მიხეილ შარვაშიძემ იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე ოფიციალურად დასვა მისი მთავრის ტახტიდან გადადგომის საკითხი. მას სურდა აფხაზეთის საერთოდ დატოვება და იმერეთში დასახლება, სადაც მისთვის უნდა გადაეცათ 1500 გლეხი კარ-მიდამოთი, რომლებიც განთავისუფლებულნი იქნებოდნენ სამთავრობო გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან. მაგრამ კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა დიპლომატიურად უარი თქვა მიხეილ შარვაშიძის თხოვნის დაკმაყოფილებაზე და

მოუწოდა მას, განეგრძო „ღვთით მონიჭებული მოვალეობის“ შესრულება. „Подумайте, – წერდა ვორონცოვი მიხეილ შარვაშიძეს, – какое впечатление произведет на подвластных вам и соседнее с оным население такое отречение от сана, который вы получили и должны передать по наследству. Подумайте.., что память ваша будет ненавистна потомкам, которых вы лишите достоинства их без необходимости, без достаточного к тому повода“.⁴⁵

სრულიად აშკარაა, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ამ ეტაპზე არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას. ეს გამოწვეული იყო იმ დროისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციით, კერძოდ კი იმით, რომ 1845-1846 წლებში შამილმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს დაღესტანსა და ჩეჩნეთში და გადავიდა შეტევაზე ყაბარდოში. ამას მოჰყვა ანტირუსული პროპაგანდის გაძლიერება დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ჯიქთა და საძების ტომებში. ამ ანტირუსული კამპანიის სულისჩამდგმელი იყო შამილის ცნობილი თანამებრძოლი მუჰამედ-ემინი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ემსოუ მარშანასთან, რომელიც ხელმძღვანელობდა წებელდისა და დალის მოსახლეობის ანტირუსულ გამოსვლებს აფხაზეთში⁴⁶. ასეთ ვითარებაში რუსეთის ხელისუფლება იძულებული იყო, მოფერებოდა მიხეილ შარვაშიძეს, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომებში და არ გაერთულებინა მასთან ურთიერთობა.

თაზი VIII

აფხაზეთის სამთავრო 1853-1864 წლებში

1853-1856 წლები ოსმალეთ-რუსეთის ომის წინა პერიოდს განეკუთვნება. XIX საუკუნის 50-იანი წლებისათვის გამოიკვეთა ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხის“ მორიგი გამწვავების რეალური კონტურები, რაც 1853 წლის შემოდგომაზე რუსეთ-თურქეთის ახალ, ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ეს ომი, რომლის საბოლოო შედეგზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ინგლისის, საფრანგეთისა და სარდინიის სამეფოს ჩართვამ, ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ომის ბედი სწორედ ყირიმის ნახევარკუნძულზე განვითარებულმა მოვლენებმა გადაწყვიტა. მაგრამ რუსეთ-თურქეთის სამხედრო დაპირისპირების არენად იმთავითვე იქცა ამიერკავკასიაც, კერძოდ, დასავლეთ საქართველო. ჯერ კიდევ 1853 წლის 15 ოქტომბერს ოსმალებმა შეუტიეს რუსეთის რეგულარულ ნაწილებს წმ. ნიკოლოზის (შეკვეთილის) საგუმბაგოსთან და იერიშით აიღეს ის. 30 ოქტომბერს კი თურქთა შეიარაღებულმა ძალებმა ალი-ფაშას სარდლობით ოზურგეთიც დაიკავეს. 1854 წლის მაისში ოსმალებმა ახალი კამპანია წამოიწყეს დასავლეთ საქართველოში – მათ სამხედრო დესანტი გადასხეს ყულევში, ანაკლიასა და სოხუმში. მაგრამ თურქები დასავლეთ საქართველოში იმთავითვე წააწყდნენ მედგარ წინააღმდეგობას რუსული რეგულარული ნაწილებისა და ქართული მილიციის მხრიდან. ქართულ მილიციას შეადგენდნენ გურიის – 14, სამეგრელოს-სამურზაყანოს – 12 და იმერელთა რამდენიმე რაზმი. რუსულ-ქართულმა ნაწილებმა, გენ. ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით, პირველ დიდ წარმატებას ჯერ კიდევ 1853 წლის 14 ნოემბერს მიაღწიეს, როდესაც სერიოზული დარტ-

ყმა მიაყენეს ალი-ფაშას ჯარებს. 1854 წლის 27 მაისს კი ლანჩხუთთან თურქებმა ახალი მარცხი იგემეს. ოსმალთა ნაწილების განადგურებით დასრულდა აგრეთვე ბრძოლა ჩოლოქთან 4 ივნისს¹.

ომის დაწყების პირველ ეტაპზევე თურქები გამოჩნდნენ აფხაზეთის სანაპიროზეც, სადაც ისინი ასევე წააწყდნენ წინააღმდეგობას. როგორც აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, 1853 წლის 7 ნოემბერს რუსულ სამხედრო გემ „ფლორასა“ და სამ თურქულ ხომალდს შორის მომხდარი შეტაკებისას „жители Бзибского округа немедленно собрались по приказанию ее светлости княгини Александры“ (იგულისხმება მიხეილ შარვაშიძის მეუღლე ალექსანდრა დადიანი-შარვაშიძე – **А.Д.**) და ხელი შეუშალეს თურქებს „сделать высадку войск“.² მაგრამ ეს იყო თითქმის ერთადერთი შემთხვევა თურქებისათვის აფხაზეთში წინააღმდეგობის გაწევისა. შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ აფხაზეთი ფაქტობრივად გადაიქცა მთავარ პლაცდარმად სამეგრელო-იმერეთის მიმართულებით ოსმალთა შეტევის განსახორციელებლად. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ რუსეთის სამხედრო სარდლობამ, თითქოსდა ახალი ფრონტის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად ჩათვალა რუსული რეგულარული ნაწილების გამოყვანა აფხაზეთიდან, რაც სისრულეში მოიყვანა კიდეც 1854 წლის გაზაფხულზე. ამ „ოპერაციის“ წარმატებით შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანა მიხეილ შარვაშიძემ, რომელმაც თვითონაც დატოვა აფხაზეთი და ოჯახთან ერთად თავისი სიმამრის, გიორგი დადიანის მამულს – ჭკადუაშს (დღ. ზუგდიდის რაიონი) შეაფარა თავი. დროდადრო ის ცხოვრობდა კურზუშიც³ (მარტვილის რ-ნი).

ამ პერიოდში მიხეილ შარვაშიძე ფიქრობდა, რომ რუ-

სეთის სარდლობა „გურიის რაზმის“ უფროსად დანიშნავდა და სწორედ ის უხელმძღვანელებდა სამხედრო მოქმედებებს დასავლეთ საქართველოში. მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მესვეურები და, პირველ რიგში, მეფისნაცვალ ნ. მურავიოვი აფხაზეთის მთავარს ეჭვის თვალთ უყურებდნენ. „Он много возомнил о себе после вывода наших гарнизонов из Абхазии, – წერდა კავკასიის მეფისნაცვალ სამხედრო მინისტრ ვ. დოლგორუკოვს 1855 წლის 4 აგვისტოს, – и мне стало известно, что ему весьма хотелось быть начальником Гурийского отряда, но сего никак нельзя было допустить как по незнанию его обхождения с войском, так и по неопытности в военном деле“. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნ. მურავიოვი საერთოდ არ იყო მაღალი წარმოდგენის მიხეილ შარვაშიძეზე და „всегда находил в нем человека несерьезного“.⁴

კრიტიკულად იყო განწყობილი მიხეილ შარვაშიძის პიროვნებისადმი ვასილ ბებუთოვიც, ფაქტობრივად მეორე პირი კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში. აი, როგორ ახასიათებს ის აფხაზეთის მთავარს: „Самолюбие составляет отличительную черту характера князя Михаила Шарвашидзе. Он всегда высказывал желание иметь более значения, чем имел по званию владетеля, и по мере своего возвышения возрастали и надежды его: сначала получить место начальника 3-го отделения Черноморской береговой линии, а потом и начальника всей линии. По выводе наших войск из Абхазии он желал быть начальником Гурийского отряда, чтобы абхазцы видели его на пределах своих могуществе. Обманутый в своих ожиданиях он страдал от незначительности своего положения в виду враждебного ему мингрельского дома и подвластных ему абхазцев... По вражде с мингрельским домом невозможно было назначить его начальником войск, расположенных в

Мингрелии, а это было только одно назначение, которым бы удовлетворилось его самолюбие“.⁵

როგორც უკვე აღინიშნა, სამეგრელოს სამთავრო სახლსა და მიხეილ შარვაშიძეს შორის ნამდვილად ჰქონდა ადგილი სერიოზულ დაპირისპირებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა სამურზაყანოს მფლობელობის საკითხს. მაგრამ როგორც ირკვევა, მიხეილ შარვაშიძის გაღიზიანება მხოლოდ ამით არ ყოფილა გამოწვეული. რუსული ადმინისტრაციის ცნობილი მოხელის, კონსტანტინე ბოროზდინის ცნობით, მთავარს არ უყვარდა ოდიშის სამთავრო სახლის წარმომადგენლები (განსაკუთრებით დავით დადიანი) რუსეთის იმპერიისადმი მათი მკვეთრად გამოხატული ერთგულების გამო⁶. უნდობლობამ და მტრობამ სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავრო სახლებს შორის პიკს მიაღწია მას შემდეგ, რაც მიხეილ შარვაშიძე სამეგრელოში გადმოვიდა და თავის სიმამრს – გიორგი დადიანს შეეკედლა. ეს უკანასკნელი კი თავის ძმებთან ერთად აქტიურად გამოდიოდა სამეგრელოს დედოფლის – ეკატერინე დადიანის მმართველობის წინააღმდეგ.

ეკატერინე დადიანს აფრთხობდა გიორგი დადიანისა და დევნილი მთავრის შესაძლო გაერთიანება მმართველი სახლის წინააღმდეგ, ამიტომაც, ის ყოველნაირად ცდილობდა, აფხაზეთის მთავრისათვის ჩირქი მოეცხო რუსული ადმინისტრაციის თვალში და კატეგორიულად ითხოვდა მიხეილ შარვაშიძის გაძევებას სამეგრელოდან. აი, რას წერდა ეკატერინე დადიანი ამასთან დაკავშირებით გენ. რეადს 1854 წლის 8 ნოემბერს: „Когда неприятель вступил в Редут-Кале (ყულევი – **A.D.**) на землю нашу, я не предалась ни бегству, ни отчаянию, а почерпнув силы в высших убеждениях, пересилив боязнь женскую и притаив тревоги сердца материнского, Я высказала народу своему непоколебимую решимость разделить его опасности, его лишения

и, защищая родную землю, остаться на ней, если допустит всевышний, жертвой заветного долга“. და ეს იმ დროს, როდესაც, როგორც აღნიშნავს ეკატერინე დადიანი: „В Мингрелии, наполненной приготовлениями к войне, где все люди отборные сторожат границу, где каждому простолюдину указано место, на котором он должен отразить врага или умереть... Один человек с несколькими приверженцами, как бы потешаясь ее тревогами и опасениями, ведет жизнь беспечную и неприличную своему положению... Это владетель Абхазии, давнишний враг Мингрельского владетельского дома“.⁷

ეკატერინე დადიანის პროტესტი კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ ყურად იღო და ფაქტობრივად მოსთხოვა მიხეილ შარვაშიძეს სამეგრელოს დაუყოვნებლივ დატოვება და საცხოვრებლად ან ქუთაისში, ან კიდევ თბილისში გადასვლა. შეურაცხყოფილმა თავადმა ვერ აიტანა ასეთი ზეწოლა და 1855 წლის მაისში მოულოდნელად აფხაზეთში დაბრუნდა. აი, როგორ ხსნის ამ გადაწყვეტილებას მიხეილ შარვაშიძე ზემოთ ნახსენებ ვასილ ბებუთოვისადმი გაგზავნილ წერილში: „კაცი ვითარცა უქმი, მე ყოვლად დაიმედებული თავის თვისსა ზედა, რომელ არა ვარ გამოუსადეგ და უქმი, ვარჩიე უსაქმოდ ყოფნასა, შემოსვლა ისევ ჩემივე სამთავროში... და დაცვა მათი მყუდროებასა შინა და უკეთუ მომცემდა შემთხვევა, აქედანაცა აღმომეჩინა სარგებლობა ჩემის ხელმწიფე იმპერატორისა“.⁸

და მაინც, რამდენად გულწრფელი იყო მიხეილ შარვაშიძე, როდესაც თავის ამ ნაბიჯს რუსეთის ხელისუფლებისათვის სამსახურის გაწევის სურვილით ხსნიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთნიშნად პასუხის გაცემა ამ კითხვაზე არცთუ ისე ადვილია. თავის დროზე პროფ. გიორგი ძიძარია, არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე, ყოველნაირად ცდილობდა, მიეჩქმალა აფხაზეთის მთავრის ანტირუსული ქმედე-

ბები. შედეგად, იქმნებოდა ისეთი სურათი, თითქოს 1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს აფხაზეთი, ისევე როგორც სამეგრელო და გურია, ცალსახად იდგა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში. ამის დასტურად გ. ძიძარას მოჰყავდა აფხაზთა მხრიდან თურქებისათვის პასიური წინააღმდეგობის გაწევის თითო-ოროლა ფაქტი. მაგალითად, მეცნიერი ფართო რეკლამას უწევდა ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ მოთავსებულ კორესპონდენციას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აფხაზები ზიზღით უყურებდნენ თურქებს და არათუ არ ეხმარებოდნენ მათ, არამედ პირიქით, ხელს უშლიდნენ, ანგრევდნენ ხიდებს და მწყობრიდან გამოჰყავდათ გზები. აფხაზეთის მოსახლეობის ზედა ფენა, – მიუთითებდა კორესპონდენციის ავტორი, – არ მალავს რუსეთისადმი თანაგრძნობას და დიდი შიშით მოელის თურქების შემოსევას. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ერთ-ერთი თურქი ოფიცრის პატაკში დაფიქსირებულ ფაქტს იმის შესახებაც, რომ „აფხაზეთში ნაკლებად თანაუგრძნობდნენ თურქებს“. და ბოლოს, გ. ძიძარია განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას აფხაზეთის ფეოდალური არისტოკრატის ცალკეული წარმომადგენლების, რუსეთის არმიის ოფიცრების: პოლკოვნიკ დიმიტრი შარვაშიძის, პრაპორშჩიკ სამსონ შარვაშიძის, პოდპორუჩიკ ზურაბ ანჩაბაძის, აგრეთვე ცნობილი აფხაზი განმანათლებლის, პოდპოლკოვნიკ სოლომონ ზვანბას მიერ თურქებთან ომში გამოჩენილ მხედრულ სიმამაცეზე. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ენგურის ნაპირას 1855 წლის 25 ოქტომბერს⁹.

ეს და ზოგიერთი სხვა ფაქტი ნამდვილად მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთში მართლაც ყველა არ იყო ომში თურქეთის გამარჯვების მოსურნე, მაგრამ ყოველივე ეს არ გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ აფხაზები უკლებლივ „с ненавистью встретили оккупантов“ და რომ „все стремления англо-турецкой агентуры восстановить абхаз-

ский народ против России оказались тщетными“, როგორც ამას ასკვნის პროფ. გ. ძიძარია. უფრო მეტიც, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აფხაზეთი, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან (სამეგრელო, გურია, იმერეთი) განსხვავებით, აშკარად ამოვარდნილი იყო საერთო ანტიოსმალური ფრონტიდან და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთის ჯარების მიერ გამოყენებული იყო პლაცდარმად დასავლეთ საქართველოს სიღრმეში შესაჭრელად. 1854 წლის მაისიდან აფხაზეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, და არა „некоторая часть туркофильский настроенных крупных феодалов“,¹⁰ როგორც ამას მიუთითებდა გ. ძიძარია, აშკარად გადავიდა თურქების მხარეს. სხვათა შორის, ამას აღიარებდა თვით მიხეილ შარვაშიძეც იმავე ვ. ბებუთოვისადმი 1855 წლის 7 ივნისს გაგზავნილ წერილში. ის წერდა, რომ სამეგრელოდან აფხაზეთში მობრუნებულმა იხილა ქვეყანა ესე „черкезами вместе, расположенными в пользу турок“.¹¹

1854 წლის მაისიდან, როგორც უკვე აღვნიშნა, თურქებმა ფაქტობრივად დაიწყეს აფხაზეთის ოკუპაცია. მუსტაფა-ფაშა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ოსმალურ ადმინისტრაციას სოხუმში, იმთავითვე შეუდგა აფხაზეთის სამთავრო სახლის ცალკეულ წარმომადგენელთა გადაბირებას და ამას საკმაოდ წარმატებითაც ახერხებდა. კერძოდ, ოსმალებმა თანამშრომლობაზე დაითანხმეს მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ძმა – ალექსანდრე შარვაშიძე, რომელსაც ოსმალების ხელისუფლებამ ფაშის ტიტული უბოძა და აფხაზეთის მართვა დაავალა. რაც შეეხება თვით მიხეილ შარვაშიძეს, მან თავიდანვე ორჭოფული პოზიცია დაიკავა. მართალია, მას არ გამოუთქვამს ოსმალებთან თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ არც მათ წინააღმდეგ აქტიურად გამოსვლა უცდია. პირიქით, მიხეილ შარვაშიძემ დატოვა აფხაზეთი და სამეგრელოში გაიხიზნა, სადაც საკმაოდ უდარდელ ცხოვრებას ეწეოდა.

არადა მას, როგორც რუსეთის არმიის მაღალჩინოსან ოფიცერს, გენერალ-ლეიტენანტს, რომელიც ასევე ატარებდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტის წოდებასაც, პირველ რიგში ევალებოდა ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგომა. ამის ნაცვლად, როგორც თანამედროვეები აღნიშნავენ, მიხეილ შარვაშიძეს საეჭვო კონტაქტებიც კი ჰქონია თავის ხალხთან აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ მთავრის ამგვარ კონტაქტებს ერთგვარი ეჭვები აღუძრავს თვით მისი მეუღლისათვის – ალექსანდრა (ცუცა) დადიანი-შარვაშიძისთვისაც. ამის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას აწვდიდა რუსეთის სამხედრო მინისტრს ვ. დოლგორუკოვს კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გენერალი ვასილი ბებუთოვი 1855 წლის 12 ივლისით დათარიღებულ წერილში: „Она (იგულისხმება ალექსანდრა დადიანი-შარვაშიძე) начала подозревать мужа своего в намерении изменить правительству еще с осени 1953 года. Доверяясь тогда брату владельца, гвардии полковнику Дмитрию Шарвашидзе, она поручила ему передать вице-адмиралу Серебрякову, находившемуся в то время в Сухуме, что ей известны тайные совещания владельца в Очамчирах с какими-то подозрительными турками“.¹²

აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ქმრისაგან განსხვავებით, ალექსანდრა დადიანი-შარვაშიძეს გააჩნდა სრულიად გამოკვეთილი პრომთავრობული პოზიცია, ამასთან, მას ჰქონდა ურყევი ავტორიტეტი თავის ქვეშევრდომებში. აი, როგორ შეფასებას აძლევდა მის მოღვაწეობას გენერალი მ. კოცებუ კავკასიის მეფისნაცვლის ნ. მურავიოვისადმი გაგზავნილ წერილში: „Кн. Александра, женщина около 30 лет, отличается преданностью правительству, умом, благородными правилами и красотой. Она пользовалась неограниченной привязанностью абхазцев и живя прежде

большей частью в Соуксу (ლიხნი – ზ.პ.), управляла всегда во время отсутствия мужа своего Бзыбским округом с таким искусством, что управление ее жители предпочитали управлению владетеля“. სხვათა შორის, იგივე მ. კოცე-ბუ საჭიროდ თვლიდა, ხაზი გაესვა, რომ „В фамилии кн. Шарвашидзе употребительный письменный язык грузинский“.¹³

1855 წლის მაისში, როდესაც თითქოს გამოიკვეთა ომში ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების საბოლოო გამარჯვების კონტურები, მიხეილ შარვაშიძემ დატოვა სამეგრელო და აფხაზეთში დაბრუნდა, სადაც დაუკავშირდა მუსტაფა-ფაშას. აფხაზეთის მთავრის ეს ნაბიჯი, მისივე აღიარებით, თითქოს შეთანხმებული იყო კავკასიის რუსულ ადმინისტრაციასთან, თუმცა მოგვიანებით კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი, მეფისნაცვალი ნ. მურავიოვი უარყოფდა მიხეილ შარვაშიძისათვის თურქეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში დაბრუნების თაობაზე ზეპირი თანხმობის მიცემის ფაქტს¹⁴, რაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. აღსანიშნავია, რომ არსებობს სანდო ცნობები (სხვადასხვა ინფორმატორების მიერ მიწოდებული) მიხეილ შარვაშიძის მცდელობების შესახებ, გამოენახა საერთო ენა ოსმალეთთან.

ამ ცნობების მიხედვით: „Владелец Абхазии потребовал от турецкого правительства: 1. Все права и преимущества, которые предоставлены были деду его Келишбею, находившемуся в зависимости от Порты; 2. Главного начальства над всеми войсками расположенными в Абхазии“; და 3. „Обещания, что все области, которые оружием или переговорами успеет он присоединит к Абхазии, останутся на всегда в потомственном его владении на тех же основаниях верховной власти, как и сама Абхазия“.¹⁵

ამ მასალებიდან ირკვევა, რომ თავის მხრივ მუსტაფა-ფაშასაც მიულოცავს მიხეილ შარვაშიძისათვის „с наименова-

нием владетеля не только Абхазии, но и Самурзакани и всей Цебелды и обещал ему ходатайствовать пред Султаном сделать его наместником всей Кутаисской Губернии“.¹⁶

ამასთან, ნამდვილად არ შეიძლება იმის ხელაღებით მტკიცება, რომ მიხეილ შარვაშიძემ დაიკავა აშკარად გამოხატული პროთურქული პოზიცია. სხვათა შორის, ამას აღიარებენ მისი ოპონენტებიც კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობიდან. აი, რას წერდა მაგალითად იგივე გენერალი ნ. მურავიოვი მიხეილ შარვაშიძის ქმედებების შესახებ თავდაცვის მინისტრს ვ. დოლგორუკოვს: „В действиях владетеля Абхазии я вижу двуличное поведение против нас и турок, происходящее от волнующих его сомнениях: за кем из воюющих держав останется Абхазия. Он не имеет искренней привязанности ни к одной стороне, но желает сохранить свое владение и считает себя в праве держать род нейтралитета, забывая свое высокое звание генерал-адъютанта е.и.вел.“¹⁷ კავკასიის მეფისნაცვალ ამაგვარ შეფასებას იძლეოდა „გურიის რაზმის“ მეთაურის გენერალ ივანე მუხრან-ბატონის 1855 წლის 20 ივნისით დათარიღებული პატაკის საფუძველზე. ამ პატაკის მიხედვით მიხეილ შარვაშიძეს განუცხადებია მუსტაფა-ფაშასთვის, რომ სურს დარჩეს აფხაზეთში, მაგრამ დაიკავებს ნეიტრალიტეტს მანამ, სანამ არ მოხდება მოკავშირეთა ჯარების დესანტის გადმოსხმა აფხაზეთში და არ დაიწყება კავკასიელ მთიელთა საერთო შეტევითი მოქმედებები. მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდებოდა აფხაზეთის მთავარი რუსეთის მტრებს და „поручался... головой, что в случае такового наступления, неприятель (е. и. русეთის მოწინააღმდეგე – **А.Д.**) нигде не встретит никакого сопротивления“.¹⁸

მართალია, არ შეიძლება მთლიანად ვენდოთ აფხაზეთის მთავრის აშკარა მოწინააღმდეგეთა, რომელთა შორის ერთ-

ერთი პირველი იყო გენ. ი. მუხრან-ბატონიცი (ეს უკანასკნელი მიხეილ შარვაშიძეში ხედავდა მეტოქეს „გურიის რაზმის“ მეთაურის თანამდებობაზე), მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს, მაგრამ არც მათი გაუთვალისწინებლობაა გამართლებული. მით უფრო, რომ ეს ინფორმაციები ხშირ შემთხვევაში მიღებული იყო უშუალოდ აფხაზეთის მთავართან დაახლოებული პირებისაგან, რომლებიც მიხეილ შარვაშიძის საქმიანობის თვითმხილველნი იყვნენ. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა მაგალითად გრიგოლ შარვაშიძე, რომელმაც მიატოვა მიხეილი სამეგრელოზე ომერ-ფაშას ჯარების შეტევის წინ.

ის, რომ აფხაზეთის მთავარი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ შევიდა კონტაქტში ოსმალთა სარდლობასთან, პირადად ომერ-ფაშასთან და ნამდვილად აწარმოებდა მოლაპარაკებებს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამას აღიარებდა თვით მიხეილ შარვაშიძეც, თავის კონფიდენციალურ წერილში (22 იანვარი, 1856წ.) ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ ნახსენებ ვასილი ბებუთოვისადმი, რომელიც, სხვათა შორის, დაწერილია ქართულ ენაზე; „მოვიდა რა ომერ-ფაშა სოხუმს... წინადამიდვა – უკეთუ არა ვარ წინააღმდეგი მათის მპყრობელობისა, მაშ შეუერთდე მას ჩემის და მთიელის ლაშქრითა და იგი მომიტანს ფირმანს, დამტკიცებულსა სოიუზნი დერჟავებისაგან, მას შინა, რომელ რაოდენს ადგილებსაც ომერ-ფაშა დაიპყრობს ჩემის თანაშემწეობითა ვიდრე საქართველომდე (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო – **A.D.**), იქმნების ჩემს გამგებლობაში. მე გარდაწყვეტილად გამოუცხადე, რომელ ალება საჭურველისა პირისპირ იმ მხედრობისა, რომლისაგან მე სიყრმიდანვე აღზრდილ და დაცულ ვარ, არ ძალმიძს“.¹⁹

ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი იყო მიხეილ შარვაშიძე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, არც თურქული მხარე ენდობოდა ბოლომდე აფხაზეთის მთავარს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1855 წლის 19 სექტემბერს, როდესაც სოხუმში გემით მოსულ

ოსმალეთის ჯარის სარდალ ომერ-ფაშას ნავსადგურზე შეეგება მიხეილ შარვაშიძე. აი, როგორ აღწერს ამ მოვლენას თავისი აგენტურის ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით გენერალი ნ. კოლიუბაკინი ვასილი ბებუთოვისადმი გაგზავნილ წერილში: „19 числа по утра Омер-паша прибыл в Сухум на параходе. У пристани ждал владетель Абхазии... Он хотел поклониться по обычаю турецкому... но Омер остановил его, пожал ему руку и сказал по русский: „Здравствуй Михаил“... „Возвращаясь с осмотра войск, – აგრძელებს შემდგომ ნ. კოლიუბაკინი, – генералиссимус (იგულისხმება ომერ-ფაშა – *A.D.*) увидел стоявшего перед домом своим владетеля... сказал несколько слов как прежде – по русский. Никто не понял этих слов, но в народе идет толк, что он предложил или дал ему свободу воротиться к русским“.²⁰

ამით ომერ-ფაშა აშკარად მიანიშნებდა აფხაზეთის მთავარს, რომ დადგა არჩევანის დრო და თუ ის აპირებდა თურქებთან თანამშრომლობას, საჭირო იყო ამის ღიად დაფიქსირება. არაა გარკვეული, თუ რამდენად მიაღწია დასახულ მიზანს თურქთა მთავარსარდალმა. მკვლევართა განკარგულებაში არსებული მასალები მეტყველებს მიხეილ შარვაშიძის დიდ სიფრთხილეზე. გარეგნულად ის განზე იდგა და რუსეთ-თურქეთის სამხედრო კონფრონტაციაში მონაწილეობას არ იღებდა. უფრო მეტიც, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ მიხეილ შარვაშიძეს არ შეუწყვეტია ფარული კონტაქტები რუსეთის სარდლობასთან და ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა რუსული მხარისათვის თავისი ერთგულება. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც მისი წერილი, დაწერილი ქართულ ენაზე, გენერალ ვ. ბებუთოვისადმი: „თქვენო ბრწყინვალებაჲ, კნიაზო ვასილ იოსიძეჲ! ამას წინათ მოგართვით მოკლედ რაოდენნიმე ამბავნი; შემდგომ მისა, მესამე დღეს, გეახელ ბზუფუს, სადაცა

ჯიქისა და ჩერგეზის ჯარი მომავალნი სოხუმს, შემხუნენ, ზოგნი გზაზედ და ზოგნი ჩემსა (შინ გამოძიარეს ჩემდა სანახავად). რაც შესაძლო იყო ჩემგან, ვიმეცადინე, რათა უთანხმოება შემომეტანა მუშირისა და მათ შორის; ხსენებულნი ჯარები წავიდნენ სოხუმს მოსალოდებლად მუშირისა, რომელიც იყო წარსული ანაფამდის, სადაც შეჰკრიბა პირუელ ჯიქეთი, უბიხი, შაფსული და აბაზახლები. გამოუცხადა, რომა აბაზახლები წარსულიყვნენ ყარაჩისკენ და სხუებს ერთობით ჩუენკენ და მასთან დიდი პოლიტიკითა და საჩუქრათ მიიღო ყუელანი, – და ერთპირად გამოუცხადეს თანხმობა მისის ბრძანებისა. მოხარული მუშირი და მობრუნებული მოვიდა სოხუმს. მეორეს დღეს მიიღო თავ-თავი კაცები ხალისად, რადგან მისი ბრძანება მსწრაფლ აღასრულეს, შემდგომ მუსაიფისა გავიდნენ და მოციქული გამოუგზავნეს, რომა ამ დროს ჯარიანობა არ შაუძლიანთ: ერთი მიზეზი, რომ სიცხეებმა მოაწია და დახაშმავსთ, მეორე მეტისმეტი შორეა თავიანთის სამშობლო ქუეყნიდან, რომ მკუდარისა და დაჭრილის წაღება არ შაუძლიანთ. ამ მიზეზებით ვერ წავალთო. გაიკვირვა მუშირმან მათი ლაპარაკი და უთხრა, რომ აგრე უცებ რამ გამოგცუალათ, გაურის (გიაურის – **A.D.**) ფული თუ არ მიიღეთო, ანუ თუ გაური არა ხართ, უნდა წამოხვიდეთო. ეს სიტყუები იმჯავრეს და იმათი ბაირალები ააგლიჯეს და წავიდნენ. და სხუანი შორებულნი მცხოვრებნი მათნი, რომელიც მოდიოდნენ, გზიდან დაბრუნდნენ, რადგან ესენი შაიყარნენ გზაზედ. სარჯელი ჩემი უქმათ არ დარჩენილა. აწი იმედი მაქუს აღვასრულო სურვილი ნამესტნიკისა, რომელიც ამას წინათ წაიყვანეს მილიციები მობრუნდებიან; გავათავებ მოქმედებასა ჩემსა და მოგახსენებთ წერილით. იმედი მაქუს, რომა გურიის ოტრიადისაგან ფარულ იქნება მოწერილობა ჩემი, სანამ გავათავებდე საქმესა, – ვგიებ მარად თქუენი ბრწყინვალეების მორჩილი მოსამსახურე მიხაილ შარვაშიძე 16 ივნისს 1855 წელსა, ს. სოუქსუ“.²¹

მიხეილ შარვაშიძის ეს წერილი მრავალმხრივიაა საინტერესო. ამ წერილისა და აფხაზეთის მთავრის სამდივან-მწიგნობროს მიერ მომზადებულ სხვა ქართული დოკუმენტების ფილოლოგიური შესწავლის საფუძველზე, თავის დროზე აკად. ს. ჯანაშია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთის სამთავრო კარის კანცელარია მართლწერის გარკვეულ სისტემას მისდევდა; ეს სისტემა გამომდინარეობდა შესაბამისი ლიტერატურულ-გრამატიკულ-ორთოგრაფიული მოძღვრებიდან, რომელიც ეყრდობოდა ანტონ კათალიკოზის დიდ ავტორიტეტს. მეცნიერის აზრით, აფხაზეთის „სამთავროს კანცელარიის ქართული საბუთების ...სტილი და მართლწერა ანტონისეულია და მისი გავლენა ნაწილობრივ თვით მიხეილ შარვაშიძესაც ეტყობა... ამ სკოლის გავლენას... გარკვეულად ემორჩილება გიორგი შარვაშიძეც“.²²

მაგრამ მივუბრუნდეთ ძირითად საკითხს: ზემოთ მოყვანილ წერილში მიხეილ შარვაშიძე ცდილობს მაქსიმალურად წარმოაჩინოს თავისი ღვაწლი საიმპერატორო ტახტის წინაშე. ეს არაა ერთეული შემთხვევა. შემონახულია მიხეილ შარვაშიძის სხვა წერილებიც, რომლებშიც ასევე გამახვილებულია ყურადღება მისი მხრიდან რუსეთის სახელმწიფო ინტერესების სასიკეთოდ გადადგმულ ნაბიჯებზე.

მიხეილ შარვაშიძე თავისი დამსახურების შესახებ რუსეთის საიმპერატორო ტახტისადმი უფრო კონკრეტულად წერდა 1855წ. 1 ოქტომბერს დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ დაავალა აფხაზეთის მთავრის „ღალატის“ გარემოებების გამოძიება. მიხეილ შარვაშიძე ამ წერილში, რომელიც ასევე ქართულადაა დაწერილი, ხაზს უსვამდა იმას, თუ როგორ ჩაშალა თურქთა გეგმები: „ათას ხუთასი რეკრუტი უნდა გამოეყვანათ აფხაზეთში და წებელს, რომელნიც იყო გამოყვანილი ასოცამდე; მეორე ჩერქეზის ჯარი სოხუმიდან მე დავაბრუნე.., ჩვენი მილიცია, რომელიც ბათუმსა და ქობულეთს იყო დავაბრუნეთ. ჩერქე-

ზის რეკრუტი კი არა მილიციაც ვერ იშოვეს. ამ დრომდის სამურზაყანოს აგრე დარჩენა ვის უნდა უმაღლონ? ...ამდენი ქრისტიანი აფხაზი და სამურზაყანო გადარჩა გაუთათრებელი და რეკრუტად თათარში წაუყვანელი“.²³

თავის მეორე წერილში გენერალ ვ. ბებუთოვისადმი (1855წ. 17 დეკემბერი) მიხეილ შარვაშიძე ასევე აღნიშნავს: „– შემიძლია, რომე ყოველთვის ვნება მივცე უსჯულოს მით, რომა არსით მათ მთიელნი და ჩერქეზნი შემწეთ არ ვაშონინოთო, არას საჭირობის დროსა და ამასთანაც დავიფარო მათგან აფხაზეთი და მინგრელია“.²⁴ შემორჩენილია აგრეთვე მიხეილ შარვაშიძის კიდევ ერთი ქართულად დაწერილი ბარათი, გაგზავნილი რუსეთის ჯარების სარდლობისადმი (არა უგვიანეს 1856 წლის 1 იანვრისა) გალიდან, რომელშიც მოცემულია კონკრეტული ინფორმაცია აფხაზეთსა და სამეგრელოში თურქთა ნაწილების განთავსების შესახებ: „სოხუმის მცველნი – ექვსი ბათალიონ, ოჩამჩირეს ოთხი ბათალიონ და რვა ზარბაზანი, გუდავის ხევის პირზედ – ერთი ბათალიონ და ორი ზარბაზანი, ზუგდიდს – ხუთი ბათალიონი ქვეით და სამასი ცხენოსანი და ყულევს მათი გლავნი შთაბი გადმოიყვანეს სოხუმიდან და თვით ომერ-ფაშა მანდ არის გარნიზონიანათ – ვკონებ რვა ბათალიონის მეტი არ იყოს. მათი მოქმედება ჩვენთვის ფარული არის. ამჟამად მეტს ვერას გწერთ. ამ წიგნის მომტანის მეტათ სხვის ხელით წიგნი არ მოიწერთ“.²⁵

მიხეილ შარვაშიძის მტკიცებით, ის ცალკეულ რჩევებს აძლევდა „გურიის რაზმის“ მეთაურს გენ. ივანე მუხრანბატონს, თუ სად და როგორ ეწარმოებინა საომარი მოქმედებები თურქების წინააღმდეგ. „ვურჩიე (ი. მუხრანბატონს – **A.D.**), – წერდა მიხეილ შარვაშიძე გენ. ვ. ბებუთოვს, – იგინი დახვდენე მტერსა არა ენგურზედა, არამედ ხოფის წყლის გაღმა, სიმაგრესა და სიწროეში და მცხოვრებნიცა ენგურსა და ხოფის წყლის შუა გარდაიყვანონ მათ კერძო (რადგან

ვიცოდი ჩვენი ქვეყნების ხალხის ამბავი – რაკი ცოლშვილში მტერი შეუვიდოდათ, თვითცა შეუერთდებოდნენ მათ)“.²⁶

აფხაზეთის მთავრის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან რუსეთის ხელისუფლებისადმი მისი ერთგულების დამადასტურებელი აქ მოტანილი ცალკეული ფაქტების მიუხედავად, არ შეიძლება ერთნიშნად იმის მტკიცება, რომ მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთში მობრუნებისას მხოლოდ რუსეთის ინტერესების დაცვის სურვილი ამოძრავებდა. პირველ რიგში, მიხეილ შარვაშიძის ქმედებები მიზნად ისახავდა მისი ძალაუფლების აღდგენა-განმტკიცებას და არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთში. ყველა პირობა არსებობს, ვამტკიცოთ, რომ მიხეილ შარვაშიძემ მარჯვედ გამოიყენა ოსმალეთის ჯარების მიერ აფხაზეთის ოკუპაცია და მოინდომა სამურზაყანოს შემომტკიცება. ამასთან, ის არა თუ არ უარყოფდა იმას, რომ სამურზაყანო მას ომერ-ფაშას შუამდგომლობის საფუძველზე თურქეთის სულთანმა უწყალობა, არამედ თავის ამ ნაბიჯსაც კი რუსეთის იმპერატორისათვის სამსახურის გაწევის სურვილით ხსნიდა: „განკარგულების ყოფა მე ვიწყე სამურზაყანოზედ, – წერდა მიხეილ შარვაშიძე გენ. ვ. ბებუთოვს, – არა მის გამო, რომელ ფირმანი მაქვს, არამედ მისთვის, რათა, ვითარცა საკუთრება ჩემის ხელმწიფისა, არ იქნეს განბნეულ და მით არ ისარგებლოს მტერმან და, ვითარცა უპატრონო, არ შეიყვანოს თვის განკარგულებაში და არ შეიერთოს ძალისა თვისისა თანა“.²⁷ ერთი სიტყვით, თურქების მიერ აფხაზეთის ოკუპაციით ისარგებლა მიხეილ შარვაშიძემ და თავისი დიდი ხნის ოცნება აისრულა – სამურზაყანო შემოიერთა.

მაგრამ აფხაზეთის მთავარმა მაინც ვერ დაარწმუნა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მესვეურები, რომლებიც თურქებთან გადამწყვეტი შეტაკების წინ სამეგრელოდან აფხაზეთში მიხეილ შარვაშიძის რუსების დაუკითხავად „გაქცევას“ ღალატად აღიქვამდნენ. ამიტომაც, რუსეთის ხელის-

უფლებამ გადაწყვიტა, გამოეძია მიხეილ შარვაშიძის საქმიანობა ომის წლებში. ეს მისია, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ხელისუფლებამ ცნობილ ქართველ მოღვაწეს, დიმიტრი ყიფიანს დააკისრა, რომელმაც სათანადო სამუშაოს შესრულების შემდეგ წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი. მასში დ. ყიფიანი ყოველნაირად შეეცადა, ხელი დაეფარებინა აფხაზეთის მთავრისათვის და მოეხსნა მისთვის სახელმწიფო ლალატის ბრალდება. დიმიტრი ყიფიანის – ქართული თავადაზნაურული არისტოკრატის ერთ-ერთი ლიდერის, დიდი პატრიოტის მცდელობა, როგორმე ეხსნა პოლიტიკური კარიერა თავისი თანამოძმის, შარვაშიძეთა ბრწყინვალე საგვარეულოს წარმომადგენლისა, რომელიც პატრიოტულად განწყობილი ქართული ფეოდალური არისტოკრატის თვალში ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელ ფორპოსტად მოიაზრებოდა, ხელისუფლების მხრიდან შეუმჩნეველი არ დარჩა. აი, რას წერდა დ. ყიფიანის მიერ ჩატარებული გამომძიების შესახებ გენ. ნ. მურავიოვი გენ. ვ. ბებუთოვს 1855 წლის 29 ოქტომბერს: „Я нахожу, что последние (იგულისხმება ნ. კოლიუბაკინის წერილები, რომლებშიც მოცემული იყო მიხეილ შარვაშიძის ქმედებების მკაცრი კრიტიკა – **Æ.D.**) выразительнее и имеют более определенности. Изыскания Кипиани имеют скорее вид оправдания Шервашидзе, нежели расследования“.²⁸

კავკასიის რუსული ადმინისტრაციისათვის სრულიად ნათელი იყო, რომ მიხეილ შარვაშიძეს, რომელსაც დ. ყიფიანის ცნობით, თანამედროვეები ცარიზმის ერთ-ერთი სატრაპთაგანის, გენ. ა. ერმოლოვის „აღზრდილად“ თვლიდნენ, „არასოდეს ყვარებია რუსები“. ამასთან, რუსეთის ხელისუფლებისათვის ისიც ცნობილი იყო, რომ აფხაზეთის მთავარს „არც თურქები უყვარდა“. ამიტომაც ადანაშაულებდა ნ. მურავიოვი მიხეილ შარვაშიძეს „ორმხრივ თვალთმაქცობაში“. მისი თქმით, „Ничто ни может оправдать поступков его...

Чем бы Шарвашидзе играл роль изменника в двух сторонах, не правильнее ли было стать в ряды войск своего государя и сражаться против врагов его?“²⁹

მიხეილ შარვაშიძის „ღალატი“ რუსული ადმინისტრაციის თვალში უფრო შესამჩნევი გახდა სამეგრელოს მმართველის ეკატერინე დადიანის მოღვაწეობის ფონზე, რომელიც აფხაზეთის მთავრისაგან განსხვავებით, სათავეში ჩაუდგა ჭეშმარიტად სახალხო აჯანყებას სამეგრელოს სამთავროში შეჭრილი თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ. აი, რას წერდა ამის შესახებ რუსული ადმინისტრაციის ცნობილი მოხელე კ. ბოროზდინი: „В критические моменты... владелица Мегрелии Екатерина Дадиани, женщина большого ума и силы духа.., во главе мингрельской милиции участвовала в нескольких партизанских действиях против турок. В бурке и башлыке... верхом на лошади, она была под выстрелами неприятельскими и познакомилась с жужжанием пуль“.³⁰

მიხეილ შარვაშიძის „ღვაწლი“ რუსეთის ხელისუფლების წინაშე არანაკლებ ფერმკრთალდებოდა აფხაზეთის სამთავრო სახლის მეორე წარმომადგენლის, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის – დიმიტრი გიორგი ძე შარვაშიძის მოღვაწეობის ფონზე. ამ უკანასკნელმა ჯერ იყო და დიდი მხედრული სიმამაცე გამოიჩინა 1855 წლის 25 ოქტომბერს ენგურთან გამართულ სისხლისმღვრელ შეტაკებაში, ხოლო შემდეგ გრიგოლ დადიანთან ერთად ხელმძღვანელობდა სამეგრელოს მოსახლეობის საყოველთაო წინააღმდეგობას. ის, რომ მიხეილ შარვაშიძის ქმედებები ძირეულად განსხვავდებოდა დიმიტრი შარვაშიძის მიერ დაკავებული პოზიციისაგან, ყველაზე მკაფიოდ ჩანს ამ უკანასკნელის საპასუხო წერილიდან ომერ-ფაშასადმი, რომელმაც მას თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. „Мои понятия об обязанностях абхазца и цели вашего вторжения, – წერდა ის ოსმალთა მხედართმთავარს, – совершенно противны вашему взгляду на сей предмет.

Я недоступен заразе, вызываемой дурными примерами... Всегда и везде позорен побег и уклонение от своих знамен“.³¹ ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ისიც, რომ თვით მიხეილ შარვაშიძეც ცდილობდა გადმოებირებინა დიმიტრი შარვაშიძე და ამ მიზნით გამოეყენებინა თავისი მეუღლის – ალექსანდრა შარვაშიძის შუამავლობა. ჯერ კიდევ 1855წ. სექტემბერში ამის შესახებ ცნობილი გამხდარა ზემოთ ნახსენები ნ. კოლიუბაკინისათვის. მისი თქმით, მთავრის მეუღლე, რომელმაც შეიცვალა „образ мыслей“.., წერდა დიმიტრი შარვაშიძეს, „не отдаляться от владетеля, от родственников и соображать поведение свое с переменой обстоятельств“.³² ე. ი. გამოდის, რომ აფხაზეთის მთავრის მეუღლე, რომლის რუსეთის ტახტისადმი ერთგულება ადრე არავითარ ეჭვს არ იწვევდა, ამჯერად, მთლიანად მოექცა ქმრის გავლენის ქვეშ. იგი ფაქტობრივად მოუწოდებდა დიმიტრი შარვაშიძეს, გაეთვალისწინებინა ახალი სამხედრო-პოლიტიკური კონიუნქტურა, მიეტოვებინა რუსეთის სამსახური და დაბრუნებულიყო მთავართან.

ამრიგად, როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, რუსეთის ხელისუფლებას საკმარისზე მეტი საბაბი ჰქონდა დაედანაშაულებინა აფხაზეთის მთავარი სახელმწიფო ღალატში. კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამაც არ დააყოვნა და გადაჭრით დააყენა მიხეილ შარვაშიძის სამთავრო ტახტიდან გადაყენების საკითხი უმაღლესი ხელისუფლების წინაშე. მაგრამ, როგორც ირკვევა, ხელისუფლება მაინც მოერიდა აფხაზეთის მთავრის მიმართ რეპრესიების გატარებას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ყირიმის ომის შედეგების შემაჯამებელი პარიზის საზავო ხელშეკრულების მუხლმა „О даровании прощения виновным в каком-либо в продолжении военных действия соучастии с неприятелем“. რუსეთის მთავრობას, რომელმაც ომში კატასტროფული მარცხი იწვნია, არ შეეძლო დაეშვა ქვეყნის შემდგომი იზოლაცია

ცია საერთაშორისო არენაზე, რასაც უდავოდ გამოიწვევდა პარიზის საზავო ხელშეკრულების დარღვევა. აქედან გამომდინარე, იმპერიის ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, ეპატიებინა აფხაზეთის მთავრისათვის „ჩადენილი დანაშაული“ „во избежание могущих возникнуть в последствии со стороны иностранных держав притязаний“ და „მართლმსაჯულების ამოქმედება“ გადაედო „до другого, более благоприятного времени“.³³

ΕΛΛΕΛΟΕΕΟ ΙΙΕΟ ΑΛΟΟΘΕΑΑΑ ΑΑ Α×ΑΛΛΕΕΕΟ ΟΑΙΕΑΑ-ΟΙ Ο ΑΛΟΘΙΑΑΑ. აფხაზეთის მთავრის – მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობას ყირიმის ომის პერიოდში, როგორც უკვე აღინიშნა, კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ სახელმწიფო ღალატის შეფასება მისცა, მაგრამ რეპრესიების გატარებას მის მიმართ იმჟამად იმპერიის ხელისუფლება მოერიდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც რუსეთის იმპერატორმა თავი შეიკავა მიხეილ შარვაშიძის დასჯისაგან ომის დამთავრებისთანავე, გარდა საერთაშორისო კონიუნქტურისა, იყო ის, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა საომარი კამპანია ჩრდილოეთ კავკასიაში. სწორედ კავკასიის ომი აიძულებდა რუსეთის ხელისუფლებას, გამოეჩინა სიფრთხილე აფხაზეთში და არ გამოეწვია იქ სიტუაციის გამწვავება. რუსეთის მაღალი რანგის სახელმწიფო და სამხედრო მოხელეებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული აფხაზეთის ფაქტორი კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგობის დაძლევის პროცესში. ამ თვალსაზრისით ისინი საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას აფხაზეთის გეოგრაფიულ მდებარეობასა და სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. აი, რას წერდა ამის შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დ. სვიატოპოლკ-მირსკი: „По географическому положению своему и некоторым особенностям своего внутреннего устройства Абхазия имела весьма большое значение во все время Кавказской войны“. მისი თქმით, აფხაზეთზე, „составлявшую узкую

полосу между морем и неприступными горами“, გადიოდა ერთადერთი გზა „для вторжения некоторых горских племен Западного Кавказа в пределы христианского народонаселения долин Ингура и Риони. При непокорности Абхазии военная граница наша отодвинулась бы до Ингура и понадобилось бы немало средств для устройства на этой реке военно-кордонной линии, нападобие других военных линии на Кавказе. Покорность Абхазии, – განაგრძობდა დ. სვიატოპოლკ-მირსკი, – избавила нас... от военной границы в этой части Кавказа и... сберегла наши силы и издержки“.³⁴

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლება ანგარიშს უწევდა თვით მიხეილ შარვაშიძის დიდ პიროვნულ ავტორიტეტს დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომებში, კერძოდ, საძებში, ჯიქებში, უბიხებში, შაფსულებსა და აბაძეხებში. „Владелец Абхазии, – წერდა აფხაზეთში განთავსებული რუსული რეგულარული ნაწილების სარდალი, მომავალში იმპერიის მასშტაბით თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-მაიორი მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი 1858 წლის 3 ოქტომბერს, – воспитанник УБЫХОВ (ცნობილია, რომ მიხეილ შარვაშიძის აღმზრდელი იყო უბიხთა წინამძღოლი დაგუმოყვა ბარზეგი, პიროვნება, რომელსაც ინგლისელთა რეზიდენტმა „ჩერქეზების ვაშინგტონი“ უწოდა³⁵) пользуется в этом племени популярностью и влиянием совершенно исключительным. Что он у УБЫХОВ сильнее Магомет-Амина и прочих проповедников, в том нет сомнения, и при искреннем желании его, дело совершенного подчинения власти Джигетов, УБЫХОВ, Ахчи-Псхувцев и Псхувцев – потребовало-бы никак не более 3-х лет времени“.³⁶

მაგრამ მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ აფხაზეთის მთავარი ყოველთვის არ ერთვებოდა ენთუზიაზმით მთიელთა დამორჩილების საქმეში. იგივე გენ. მ. ლო-

რის-მელიქოვი ამასთან დაკავშირებით წერდა: „Главнейшей помехою для нас к примирению с Убыхами всегда служила политика и непонятное убеждение, существующее в фамилии князей Шарвашидзе: все они без изъятия, уверены в том, что непосредственно вслед за подчинением России земель, окружавших Абхазию, значение их и почет, коим пользуются от нашего правительства, должны будут прекратиться... Стремление же последнего (იგულისხმება მიხეილ შარვაშიძე – **А.Д.**) заключается лишь в том, чтобы держать горцев в отношении к правительству нашему... в двусмысленном положении и стараться, чтобы всякое начинание наше, предпринятое без посредничества его, окончилось безуспешно“.³⁷

მიხეილ შარვაშიძე არათუ არ ეხმარებოდა აქტიურად რუსეთის ხელისუფლებას კავკასიელ მთიელთა დამორჩილებაში, არამედ პირიქით, როგორც აფხაზი მკვლევარი ს. ლაკობა აღნიშნავს, „всячески поощрял борьбу убыхов с царскими войсками“. უფრო მეტიც, მას, იმავე ს. ლაკობას მტკიცებით, შემოუღია „обязательный для всех в Абхазии продовольственный налог в помощь убыхам“.³⁸

მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლება იძულებული იყო, მოეთმინა მიხეილ შარვაშიძის ყოფნა აფხაზეთის სათავეში, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ რუსეთი, როგორც ამას მოგვიანებით (1864წ. მარტი) აღნიშნავდა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე თავის მოხსენებით ბარათში: „О положении в Абхазии“, ამ დროს აწარმოებდა ომს „на всем пространстве от Каспийского моря до Черного моря“ და ამიტომაც არ შეეძლო „в то время отделить достаточных средств для того, чтобы взять эту страну (იგულისხმება აფხაზეთი – **А.Д.**) в полное подчинение“.³⁹

ვითარება პრინციპულად შეიცვალა რუსეთის არმიის

რეგულარული ნაწილების მიერ აულ გუნების აღებისა და შამილის დატყვევების (1859წ.) შემდეგ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის იმ მთიანი რეგიონების საბოლოო დამორჩილებისა, რომლებზედაც ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა ხელისუფლების კონტროლი. 1859 წელს გენ. მ. ლორის-მელიქოვის საექსპედიციო რაზმმა დაიწყო მიუვალი კუთხის – ფსხუს იერიში, რომელიც მომდევნო, 1860 წელს დაასრულა გენ. ყორღანოვმა⁴⁰. მაგრამ, როგორც ირკვევა, მთიელ აფხაზობას ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია წინააღმდეგობა. ამას ადასტურებს ს. ლაკობას მიერ მოტანილი მასალა 1862 წლის „აფხაზთა დებუტაციის“ ლონდონში ვიზიტის შესახებ, რომლის დროსაც აფხაზებს განუცხადებიათ, რომ სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ერთადერთ ტომს, ვინც კავკასიაში რუსეთს უწევდა „могущественное сопротивление“-ს.⁴¹ როგორც ჩანს, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. 1864 წლის მაისში, თანამედროვე კრასნაია პოლიანას (აღრინდელი კბაადა) მიდამოებში რუსებმა ამოწყვიტეს ფსხუსა და აიბგას აფხაზური თემების მოსახლეობა და მათი სისხლით მორწყულ მინდორზე მოწყობილი გამარჯვების აღლუმით საზეიმოდ გამოაცხადეს კავკასიის ომის დასრულება⁴².

კავკასიის დამორჩილების შემდეგ დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი. კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოამზადა მოხსენებითი ბარათი: „Записка о положении в Абхазии“, რომელშიც დასაბუთებული იყო აფხაზეთში სამთავრო ხელისუფლების გაუქმების აუცილებლობა. მეფისნაცვლის აღიარებით, როდესაც კავკასიის ომი მიმდინარეობდა, „мы могли, хотя сами обманывая себя, говорить, что без пособия власти владетеля не имели бы сил держать Абхазию в повиновении и угрождать себя от Убыхов; мы представляли Абхазию краем, прикрывающим

другие наши земли... Но теперь уже этого оправдания не существует“. სხვაგან (თავის პირად წერილში იმპერატორ ალექსანდრე II-ისადმი, 1864წ. 23 მარტი) კავკასიის მეფის-ნაცვალი ასევე აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებელ არსებობას აზრი ჰქონდა მანამ, სანამ შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი ბოლომდე არ იყო შემოერთებული, „но теперь... существовавшие обстоятельства совершенно изменились“. ⁴³

ასე მომზადდა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების ოფიციალური დასაბუთება. პირველი ნაბიჯები აფხაზეთში სამთავრო ხელისუფლების გაუქმებისა და რეგიონში უშუალოდ რუსული მმართველობის შემოღების გზაზე რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ 30-იან წლებში გადადგა. 1837 წელს, მას მერე, რაც წებელდის მხარე მოექცა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის კონტროლქვეშ, აქ შეიქმნა პირველი რუსული ადმინისტრაციული ერთეული – წებელდის საბოქაულო. 1839 წელს შავიზღვისპირეთში გამაგრებების აშენებისა და შავი ზღვის სანაპირო ხაზის („Черноморская береговая линия“) – მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. სუფსის შესართავამდე, წმინდა ნიკოლოზის (შეკვეთილის) საგუმბოგომდე, შექმნის შემდეგ კი საჭირო გახდა აფხაზეთისა და წებელდის, „с войсками там расположенными“, გენ. რაევსკისადმი დაქვემდებარება (ამ უკანასკნელს დავალებული ჰქონდა „на восточном берегу Черного моря, от устья Кубани до Мингрелии“ განლაგებული გამაგრებების საერთო ხელმძღვანელობა). ამის აუცილებლობა, როგორც მოახსენებდა კავკასიის მთავარმართებელი გენ ე. გოლოვინი სანკტ-პეტერბურგში გრაფ ჩერნიშოვს (1839წ. 21 მარტს), ნაკარნახევი იყო იმით, რომ „начальство одними только прибрежными укреплениями в этом угле, без влияния на внутреннее его управление и на жителей, встретит неминуемые затруднения от столкновения двух различных влас-

тей“.⁴⁴ ე. ი. რუსეთის მთავრობას უკვე მაშინ მიაჩნდა ზედმეტად მთავრის ხელისუფლება აფხაზეთში და ის ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა, აფხაზეთის სამთავრო ტახტის გავლენა. იმავე პერიოდში პირველად დაისვა აგრეთვე აფხაზეთისა და წებელდის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის საკითხიც. გენ. ე. გოლოვინის განმარტებით, „отделение Абхазии и Цебельды от Имеретии не представляет особенно важных неудобств“.⁴⁵

აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე 1840 წელს გაჩნდა უკვე მეორე რუსული ადმინისტრაციული ერთეული – სამურზაყანოს საბოქაულო, იმ სამურზაყანოსი, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ჩამოერთვა დადიანთა სახლს. კავკასიის ომის დასრულების შემდეგ კი რუსეთის მთავრობამ უშუალოდ შარვაშიძეთა სახლს შეუტია. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია შარვაშიძეთა ტახტის მოშლისას არც კი მაღავდა თავის მტაცებლურ მიზნებს და სამთავროს გაუქმებას, ყოველგვარი მორიდების გარეშე, მხარის კოლონიზაციას უკავშირებდა. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებდა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე თავის ზემოთ მითითებულ მოხსენებით ბარათში: „О положении в Абхазии“: „В виду близкого осуществления высочайше одобренных предложениях о заселении казачьими станицами Восточного берега Черного моря от устья Кубани до р. Бзыби, представляется необходимость решить вопрос о будущем положении владетеля Абхазского: должна ли Абхазия оставаться в настоящем ее положении, т.е. под безотчетным управлением князя Михаила Шарвашидзе, или же в ней должно быть введено управление, устроенное на других началах?“ აქვე მეფისნაცვალ მთავრობას სთავაზობდა: „1) Владетеля и наследника его склонить отказаться от права владетеля. 2) Назначить владетелю и наследникам его содержание, их обеспечивающее. 3) Из Абхазии образовать военный округ, который с Цебелдой подчинить особому

военному начальнику на правах начальников отделов в областях, с подчинением Кутаисскому генерал-губернатору“. და ბოლოს, „Если количество свободных земель дозволить – то водворить вдоль берега до устья Ингури Казачьи поселения, которые вместе с поселениями по р. Бзыби, могли бы составить Абхазское Казачье войско под управлением начальника Абхазского военного отдела“.⁴⁶

აფხაზეთის კოლონიზაციის გეგმების შემუშავებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, თავადი დ. სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც სრულიად უცერემონიოდ სთავაზობდა ხელისუფლებას რუსული დასახლებების შესაქმნელად საჭირო მიწების გამოთავისუფლებას აფხაზეთა თურქეთში გასახლების გზით. „Если часть абхазцев, – წერდა ის (1864წ. 27 ივნისი), – **возымет намерение удалиться в Турцию то полагаю, что этому препятствовать не следует...** Приобрет частные имения владельца, весьма обширные и значительные, мы бы могли сейчас приступить к колонизации предполагаемого Абхазского Казачьего Войска“. იგივე რუსი მოხელე უფრო ადრე 1864 წლის 6 ივნისს ასევე აყენებდა რუსების ჩასახლების საკითხს ბზიფის ხეობის გასწვრივ. „Владея пустыми пространствами по обоим берегам Бзыби, – წერდა დ. სვიატოპოლკ-მირსკი, – **можно будет положить там начало русского народонаселения Абхазии**“.⁴⁷

რუს მოხელეთა მიერ წარმოდგენილი სქემებიდან სრულიად აშკარად ჩანს, თუ რას უმზადებდა იმპერიის ხელისუფლება აფხაზეთს და რისთვის სჭირდებოდა მას შარვაშიძეთა სამთავრო ტახტის გაუქმება.

მიხეილ შარვაშიძემ, იგრძნო თავისი მმართველობის დასასრულის მოახლოება და თვითონ შეეცადა დაესწრო მოვლენებისათვის. მან და 1863 წლის ოქტომბერში სამთავრო ხელისუფლების განანგრძლივების მიზნით ტახტზე თავ-

ვისი ვაჟისა და მემკვიდრის – გიორგი შარვაშიძის დასმა მოინდომა. ამასთან დაკავშირებით სათანადო თხოვნით მიმართა კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსს, გაეთავისუფლებინა გიორგი სამხედრო სამსახურიდან (ეს უკანასკნელი მაშინ კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტი იყო). მიხეილ შარვაშიძე თავის ამ გადაწყვეტილებას ხსნიდა იმით, რომ ის ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებდა აფხაზეთის მართვას და ამიტომ სურდა ხელისუფლება თავისი ვაჟისთვის გადაეცა⁴⁸. კავკასიის რუსულმა მმართველობამ მთავრის ეს ინიციატივა გამოიყენა როგორც საბაბი და იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე საერთოდ სამთავროს გაუქმების საკითხი დააყენა. ამით განაწყენებულმა მთავარმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად უარი თქვა რუსეთის ხელისუფლების მიერ მისთვის მინიჭებულ პატივზე და მოიხსნა გენერალ-ლეიტენანტისა და გენერალ-ადიუტანტის უფლებამოსილებანი, რითაც ფაქტობრივად, თავისი თავი რუსეთის იურისდიქციიდან გამოიყვანა. მაგრამ ამჯერად იმპერიის ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებდა. 1864 წლის 24 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა აფხაზეთის მთავარს ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც, შეახსენებდა რა, თუ როგორ ითხოვდა იგი არაერთგზის ნებართვას, დაეტოვებინა სამთავრო ტახტი, აცნობებდა იმპერატორის გადაწყვეტილებას ამ თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით მიხეილ შარვაშიძე და მისი შთამომავლობა სამუდამოდ კარგავდა აფხაზეთის მართვის უფლებას და იქ მყარდებოდა რუსული მმართველობა⁴⁹.

რუსეთის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მიხეილ შარვაშიძემ გარეგნულად მშვიდად მიიღო. აფხაზეთის მთავარი, როგორც აღნიშნავდა ქუთაისის გენერალ-გუბრნატორი გენ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც პირადად ეახლა მას ტყვარჩელში, სადაც მიხეილ შარვაშიძე იმყოფებოდა სამ-

კურნალოდ, არათუ წინ არ აღუდგა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარებას, არამედ „по первому требованию... созвал абхазцев для объявления им высочайшей воли“.⁵⁰ ერთადერთი, რასაც მოითხოვდა მიხეილ შარვაშიძე, იყო ის, რომ მისთვის ნება დაერთოთ, ეცხოვრა აფხაზეთში. იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებას არ მისცემდნენ, ის ითხოვდა მამულს იმერეთში და ცხოვრების უფლებას ზამთრობით ქუთაისში, ხოლო ზაფხულობით რაჭაში. და თუ ამაზეც ეტყოდნენ უარს, მაშინ მთავარი ითხოვდა, მიეცათ მისთვის იერუსალიმში გამგზავრების ნებართვა, სადაც, მისი სიტყვებით, ის დაელოდებოდა სიკვდილს „უფლის საფლავთან“. „წინააღმდეგ შემთხვევაში, – უთვლიდა მიხეილ შარვაშიძე ხელისუფლებას, – შეგიძლიათ წამათრიოთ აქიდან ძალით, დაემთელმა ქვეყანამ ნახოს თქვენი უსამართლობა და სისასტიკე“.⁵¹

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მიხეილ შარვაშიძემ გადადგა წინდაუხედავი ნაბიჯი. მან მიმართა თურქეთის მთავრობას თხოვნით, გამოეგზავნათ მისთვის გემი, რომლითაც ის ჩავიდოდა კონსტანტინოპოლში. მაგრამ ეს ცნობილი გახდა ხელისუფლებისათვის. 1864 წლის 5 ნოემბერს მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და სამხედრო ხომალდით ჩაიყვანეს ნოვოროსიისკში. იქიდან მიხეილ შარვაშიძე გადაიყვანეს სტავროპოლში, ხოლო მოგვიანებით 1865 წლის 25 ივნისს ვორონეჟში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1866 წლის 16 აპრილს. მიხეილ შარვაშიძის ნეშტი ჩამოასვენეს სამშობლოში და დიდი პატივით დაასაფლავეს მოქვის ტაძარში⁵².

ასე დასრულდა ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი დინასტიის, შარვაშიძეთა ძირძველი საგვარეულოს კოლორიტული წარმომადგენლისა, რომელიც თითქმის 40 წლის მანძილზე განაგებდა აფხაზეთის სამთავროს. და მაინც, როგორი შეფასება შეიძლება მიეცეს მიხეილ შარვაშიძეს, ამ მართლაც არაორდინარულ პიროვნებას. თანამედროვენი, როგორც უკვე ნაწილობრივ აღინიშნა,

სხვადასხვანაირად აფასებდნენ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ქმედებებს. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ რა მის ცალკეულ დამსახურებებს რუსეთის მთავრობის წინაშე, მთლიანობაში მაინც დიდ უნდობლობას ამჟღავნებდნენ და ხანდახან მოღალატედაც კი თვლიდნენ მას. მიხეილ შარვაშიძის ნეგატიური პორტრეტის, განსაკუთრებით ყირიმის ომის პერიოდში, შექმნაში არც თუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა დადიანთა სამთავრო სახლმა (უპირველესად ეკატერინე დადიანმა) და თვით შარვაშიძეთა საგვარეულოს ცალკეულმა წარმომადგენლებმა. მაგრამ ქართული ფეოდალური არისტოკრატის ელიტარულ ნაწილში იყვნენ ისინიც, ვინც ყოველნაირად ცდილობდა მიხეილ შარვაშიძის გამართლებას. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა მიხეილ შარვაშიძის პოლიტიკური კარიერის გადასარჩენად.

რუსული ისტორიოგრაფია მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობის შეფასებისას ძირითადად ოფიციალური კონიუნქტურით ხელმძღვანელობდა, რაც დღემდე უცვლელი რჩება. ამის მაგალითია 1998 წელს ჟურნალ „Вопросы истории“-ს (№11-12) ფურცლებზე დაბეჭდილი ვინმე დ. დანილოვის სტატია, რომელშიც საგანგებოააა ხაზგასმული, რომ მიხეილ შარვაშიძე „преспокойно промышлял турецкой контрабандой и имел тайные связи с горскими племенами“.⁵³

პირველი მეცნიერი, რომელიც შეეცადა რუსეთის ხელისუფლებისაგან შერისხული მთავრის რეაბილიტაციას, იყო აკად. სიმონ ჯანაშია, რომელმაც თავის ბრწყინვალე ნარკვევში გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (ისევე, როგორც თავის დროზე დიმიტრი ყიფიანმა) მოიყვანა აფხაზეთის მთავრის ქმედებების გამამართლებელი არგუმენტები და მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთში შექმნილი ვითარებისათვის რუსეთის კოლონიალურ ხელისუფ-

ლებას დააკისრა. ანალოგიურად უდგებოდა მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობის შეფასების საკითხს ცნობილი ქართველი მეცნიერი შალვა ჩხეტია, რომელმაც სკრუპულოზურად შეისწავლა XIXს. 50-იანი წლების მოვლენების ამსახველი მასალები. მაგრამ მიხეილ შარვაშიძის ყველაზე გამოკვეთილ დამცველად მაინც გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, პროფ. გიორგი ძიძარია მოგვევლინა. თავის ფუნდამენტურ შრომებში XIXს. აფხაზეთის ისტორიის პრობლემებზე, მან მოგვცა კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საკმაოდ მკაცრი კრიტიკა და ამ ფონზე შეაფასა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მოღვაწეობა. მეცნიერის აზრით, მიხეილ შარვაშიძე თითქმის ყოველთვის მოქმედებდა რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ და არა მის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისს ავითარებენ ს. ლაკობა და სხვა აფხაზი, ასევე ქართველი ისტორიკოსებიც, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარი ნ. თაკალანძე, რომელმაც მიხეილ შარვაშიძის ცხოვრებას და მოღვაწეობას სპეციალური მონოგრაფია (საკანდიდატო დისერტაცია) მიუძღვნა⁵⁴.

მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების ვერაგობისა და ზემოთ დასახელებულ მკვლევართა მიერ მოტანილი სხვა არგუმენტებისა, ჩვენ მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობაში მხოლოდ პოზიტიური მხარეების საგულდაგულოდ ძებნა. ჩვენი აზრით, მიხეილ შარვაშიძე იყო უაღრესად რთული პიროვნება, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლების შენარჩუნებას. სწორედ ეს მისწრაფება უბიძგებდა მას ხან ერთ მხარეს გადახრილიყო, ხან კი – მეორეს. ერთი მხრივ, იგი აქტიურად თანამშრომლობდა რუსულ ადმინისტრაციასთან და ეხმარებოდა მას მოძმე მთიელი ტომების წინააღმდეგობის დაძლევისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის დამყარება-განმტკიცებაში, მეორე მხრივ, პირიქით, ღიად თუ ფარულად უჭერდა მხარს თავის კავ-

კასიელ თანამოძმეთა (რომელთა ერთ-ერთი ბელადი უბიხთა წინამძღოლი დაგომუყვა ბარზეგი – მისი აღმზრდელი იყო) „საღვთო ომს“ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ მიხეილ შარვაშიძე ნამდვილად ეწეოდა ორმაგ თამაშს ყირიმის ომის პერიოდში და არცთუ იშვიათად ღიად თანამშრომლობდა ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმთან. უფრო მეტიც, ის სულაც არ იყო წინააღმდეგი, თურქთა მხარდაჭერით დაუფლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს და გამხდარიყო „ბრწყინვალე პორტას“ მთავარი დასაყრდენი დასავლეთ კავკასიაში. თურქეთთან მიხეილ შარვაშიძეს აკავშირებდა მერკანტილური ინტერესებიც. ის მართლაც ეწეოდა კონტრაბანდას და საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც გააჩნდა ამ საქმიანობიდან. ამის დამადასტურებელი ფაქტები თავის დროზე მოიძია გ. ძიძარიამ. კერძოდ, თავის ნაშრომში მაჰაჯირობის შესახებ მას მოჰყავს ცნობილი მოგზაურის ფრ. დიუბუა დე მონპერეს შემდეგი კომენტარი: „Торг (рабами) прекратился бы совершенно, если бы Михаил-бей и Гасан-бей не были сами его первыми зачинщиками“.⁵⁵

მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობაზე მსჯელობისას, არ შეიძლება არ შევეხოთ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის კულტურულ-პოლიტიკურ იერ-სახეს ამ პერიოდში. ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ, რომ მიუხედავად განვითარებული ფეოდალური მხარის – აფხაზეთის – ერთგვარი „გაბარბაროსებისა“, ერთი მხრივ, მოძმე ჯიქ-აფხაზთა მთიელი ტომების ახალი ტალღის მოწოლის და აქ ქრისტიანობის საფუძვლების მორყევისა, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთის იდეოლოგიური ექსპანსიის შედეგად, აფხაზეთი გვიან შუა საუკუნეებში ძირითადად მაინც რჩებოდა საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ორგანულ ნაწილად. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, რომელიც ხშირად „ველურ“ არაქრისტიანულ ჩვევებს ავლენდა, მმართველობის ხანაში ამ

მხრივ ვითარება პრინციპულად არ შეცვლილა. შარვაშიძეთა სახლი ამ პერიოდშიც ერთმნიშვნელოვნად აკუთვნებდა თავის თავს საერთოქართულ ქრისტიანულ სამყაროს და მოქცეული იყო ქართული წიგნიერების არეალში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირებიც კი აღიარებდნენ, რომ „в фамилии князей Шарвашидзе употребительный письменный язык грузинский“. ის, რომ ქართული წიგნიერება იყო მშობლიური მიხეილ შარვაშიძისათვის, დასტურდება მისი ოფიციალური და არა-ოფიციალური მიმოწერით. ზემოთ ჩვენ გვქონდა საშუალება, ნაწილობრივ გავცნობოდით აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ამჯერად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ აფხაზეთის მთავრის კიდევ ერთი (კონფიდენციალური) წერილი, გაგზავნილი ჭკადუაშში მყოფი მეუღლისადმი: „საყვარელო ალექსანდრა! გრიგოლ შარვაშიძე და ქირთ ტაგუ გამომიგზავნია ვითომც შენი და ბავშვების წამოსაყვანად აქეთ, და არამც არ დაუჯერო იმათ და არ წამოხვიდე. ეს არავინ გაიგოს. რამდონიც ხანს შეგეძლოს(!) შეიქციე, და მამა შენი როცა მოვა, თვითონ მიხვდება. ეს წიგნი უჩვენე და რავარც სჯობდეს, იქს. გიორგი შენთან მოაყვანინე. ლეჩხუმს არ წაიყვანონ. ბაბუშია ჩქოტუებს გამოატანე. გულნაკლულად არიან, გაზრდილი წაგვართვიო. მე მალე ვერ მოვალ, მაგრამე (!) ჩემთვის ნუ სწუხარ (!), პატარა გიორგი შეგიქცევს. შენი მიხაილ შარვაშიძე, 18 მაისს 1855 წელსა: ოჩამჩირით“. გარედან წერილს აწერია: „აფხაზეთის მთავრინა ალექსანდრა გიორგის ასულსა, ჭკადუაშს, საკუთარს ხელს“.⁵⁶

საერთო-ქართულ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის გამოხატულება იყო ისიც, რომ აფხაზური თავადაზნაურული ელიტის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებდა ქართულ სახელებს. უფრო მეტიც, ქართული სახელები გვხვდება საძ-უბიხთა შორისაც. ასე მაგა-

ლითად, XIXს. I ნახევარში აღნიშნულ ტომთა ლიდერები იყვნენ **Ἐἰῆῆἰ Ἰἰἰἰἰἰ** (ცანბა) და უბიხების თავადი **Ἐἰἰἰἰ** ხამიში. არცთუ იშვიათად რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში აფხაზ აზნაურთა მიმართ აფხაზური „ამსთას“ ნაცვლად ნახმარია ქართული „აზნაური“. და ბოლოს, ყველაზე მკაფიო დადასტურება იმისა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახელი რჩებოდა საერთო-ქართული ქრისტიანულ-კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს განუყოფელ ნაწილად, არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე და მისი ძე გიორგი დაასაფლავეს მოქვის ტაძარში და მათ საფლავებს ამშვენებს ძველი ქართული ასომთავრული წარწერა.

სრულიად ნათელ და ერთმნიშვნელოვან წარმოდგენას, თუ როგორ ესმოდათ ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობა თვით აფხაზებს, იძლევა აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურთა ე.წ. „მოხსენებითი ბარათი“, რომელიც მათ 1870 წ. მიართვეს გენერალ-ადიუტანტ, თავად დ. სვიატოპოლკ-მირსკის, მაღალი ჩინის მოხელეს კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში (Председатель Тифлисского комитета по сословно-поземельным делам). ამ დოკუმენტის, ერთგვარი თხოვნა-პეტიციის, რომელსაც ხელს აწერდნენ მთელ აფხაზეთში ცნობილი პიროვნებები, თავადები: ბათა ემუნვარი, მისოუსტ მარშანია, ტიტუ მარლანია, კონსტანტინე ინალ-იფა, შექმნის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო აფხაზეთის თავადაზნაურობის სურვილით, გაეტარებინათ საგლეხო რეფორმა აფხაზეთში იმ სახით, როგორც ეს განხორციელდა საქართველოს სხვა რეგიონებში. საკითხის ასე დასმის მთავარ არგუმენტად პეტიციის ავტორებს მოჰყავდათ ის გარემოება, რომ *„Изддревне Абхазия составляла часть бывшего Грузинского царства. Последняя династия Грузинских царей – есть династия Абхазская. Древний Пицундский храм был в течение нескольких веков престольным храмом Ка-*

толикосов Абхазских и Грузинских... Народ Абхазский и Самурзаканский почти до последнего времени имел с Грузией (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო – А.Д.), Мингрелией и Имеретией одну религию, одни обычаи, одни законы. Если вера христианская, под влиянием мусульманского ига и разных неурядиц в Абхазии значительно ослабла, то несомненные следы ее сохранились в жизни Абхазского народа... Из целого ряда Абхазских владетелей, отделившихся от Грузии после разделения последней на уделы, только двое: Зураб-бей и Келеш-Ахмет бей исповедовали мусульманскую религию... Все же остальные владетели Абхазии были христиане. Цари Грузинские никогда не исключали Абхазию из большой грузинской семьи и как до разделения царства так и после существования своего титуловались царями Грузинскими, до самого последнего времени Карталинскими, Абхазскими, Имеретинскими и Кахетинскими. Когда грузинский царь Вахтанг VI, – აღნიშნულია აფხაზ თავადთა პეტიციადი, – в начале прошедшего столетия (г. о. XVIII. – А.Д.) принимая издание законов, вызывал из всех провинции бывшего Грузинского Царства депутатов для содействия ему в этом труде, то между ними были и депутаты от Абхазского народа, который до последнего времени сохранил у себя древнейшие, грузинские обычаи. Не менее важными свидетелями, принадлежности Абхазии к Грузии, – ხაზს უსვამენ პეტიციის ავტორები, – могут служить кроме христианских храмов, развалины разных светских и военных построек. Так известные башни над ущельем Псыраста, сооружены, по преданию, славной грузинской Царицей Тамарой; Каменная стена в Келассауре поставлена Вамекем Дадианом... Большая часть местностей носит грузинские названия; Большая часть жителей признает свое мингрельское происхождение и сохранили свои грузинские и мингрельские фамилии... Из все-

გო выше изложенного, — მიუთითებენ აფხაზი თავადები, — легко будет усмотреть, что в Абхазии не могло быть другого гражданского устройства, кроме того, которое всегда существовало в остальном христианском Закавказьи. По этому и права наши сословные и поземельные были те же, что и в Грузии, Мингрелии, Имеретии и Гурии, с самыми незначительными особенностями, обуславливавшиеся местными, чисто экономическими условиями и не превышавшими тех различий, какие существовали перед остальными областями Грузии, например между Карталинией и Имеретией. Различие это может касаться только некоторых частных, но нисколько не нарушает в общем полного сходства Абхазии со всеми областями, входившими в состав владений Грузинских Царей... Во главе всего Абхазского народа стоял владетель Абхазии из фамилии старинного грузинского рода Шарвашидзе. Владетель как и все Грузинские Мтавари, сделавшиеся после разделения Царства самостоятельными, соединял в своих руках верховную, политическую и гражданскую власть над всем Абхазским народом“.⁵⁷

აი, როგორ ჰქონდათ აფხაზი თავად-აზნაურების ღირსეულ წარმომადგენლებს ძვალ-რბილში გამჯდარი (XIX საუკუნის 60-იან წლებშიც კი) ქართულ-აფხაზური ისტორიული და კულტურულ-პოლიტიკური ერთობის შეგრძნება. აი, როგორ ესმოდათ მათ ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ვებაში მონაწილეობა მიიღეს მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, თავადმა დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ და დ. სტაროსელსკიმ. მოახსენებდა რა მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე იმპერატორ ალექსანდრე II-ს, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ საჭირო იყო ემოქმედათ „осмотрительно, но... решительно, чтобы окончательно очистить все Черноморское побережье... Дело окончательного покорения восточного берега Черного моря, – აღნიშნავდა მეფისნაცვალი, – наиболее зависит от быстроты выселения туземцев на указанные им места или в Турцию“.³

1864 წლის სექტემბერში შეიქმნა სპეციალური კომისია „აფხაზეთის მმართველობის დებულების“ („Положение об управлении Абхазией“) შესამუშავებლად, ხოლო 1865 წელს აფხაზეთში გენ. პონსეს მეთაურობით გაიგზავნა კომისია, რომელსაც დაევალა მიხეილ შარვაშიძის მამულების აღწერა და აფხაზეთის საერთო-ეკონომიკური მდგომარეობის გარკვევა საგლეხო რეფორმის გატარების წინ. 1866 წელს კავკასიის რუსული ადმინისტრაცია უკვე შეუდგა უშუალოდ მზადებას საგლეხო რეფორმის გასატარებლად აფხაზეთში და ამ მიზნით იქ გააგზავნა ახალი კომისია, თავად ბარატოვის (ცნობილი ქართველი ისტორიკოსი სულხან ბარატოვი, იგივე ბარათაშვილი), კაპიტან-ლეიტენანტ ყორღანოვის და მოხელე ჩერეპოვის შემადგენლობით. ამ უკანასკნელს დაევალა ცნობების შეკრება ბზიფის „ოკრუგში“. მაგრამ კომისიის მუშაობამ, განსაკუთრებით კი ჩერეპოვის მოუფიქრებელმა და თავხედურმა ქმედებებმა ბზიფის „ოკრუგის“ გლეხობის მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია. გლეხებს რამდენადმე აშინებდათ რეფორმა, ვინაიდან მათ გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გატარდა საგლეხო რეფორმა საქართველოს სხვა რე-

გიონებში (აღმოსავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში). განსაკუთრებით აღელვებდათ ხმები იმ მიწების აუცილებელი გამოსყიდვის შესახებ, რომლებიც მათ თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ. ამ ხმებმა, აგრეთვე რუს მოხელეთა განუკითხობამ, გლეხები უკიდურესად გაანაწყენა და მათ უარი თქვეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. პასუხად სოხუმის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კონიარი, მიხეილ შარვაშიძის ვაჟის – გიორგისა და ძმის – ალექსანდრეს თანხლებით, 1866 წლის 25 ივლისს ჩავიდა სოფელ ლიხნში, სადაც აფხაზობა შეკრებილი იყო სახალხო თავყრილობაზე. კონიარმა ულტიმატუმი წაუყენა შეკრებილ ხალხს და შეკრების ინიციატორთა გაცემა მოითხოვა. ამან ისედაც აღგზნებული აფხაზები მოთმინებიდან გამოიყვანა და მათ ცეცხლი გაუხსნეს კონიარსა და მის ამაღას. მიხეილ შარვაშიძის ვაჟი გიორგი, რომელიც მაშინ 18-20 წლისა იყო, ამაოდ ცდილობდა შეეჩერებინა თავისი თანამემამულენი. ხალხმა მას არ დაუჯერა, შეიჭრა მთავრის სახალხეში, რომელსაც კონიარმა და მისმა გარემოცვამ თავი შეაფარა და სოხუმის ოლქის უფროსი და მისი მხლებლები სიცოცხლეს გამოასალმა. ასე დაიწყო ლიხნის ამბოხი, რომელიც მალე აფხაზეთის სხვა რაიონებსაც მოედო და ფართო მასშტაბის ანტირუსულ გამოსვლაში გადაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების უშუალო საბაბი იყო აფხაზ გლეხთა უარყოფითი დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი, მათი ეს გამოსვლა იმთავითვე გასცდა ჩვეულებრივი სოციალური ამბოხის ფარგლებს და რუსეთის იმპერიის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო აჯანყების ხასიათი მიიღო. სავსებით სწორია ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი სტ. ლაკობა, როდესაც წერს, რომ „Абхазское (Лыхненское) восстание 1866 года... носило ярко выраженный, антиколониальный национально-освободительный характер“.⁴ აჯანყებულებმა გიორგი შარ-

ვაშიძე აფხაზეთის ახალ მთავრად გამოაცხადეს და მოს-
თხოვეს, გაძლოლოდა მათ ბრძოლას რუსული ხელისუფ-
ლების წინააღმდეგ. გიორგი შარვაშიძე ფაქტობრივად ერთ-
გვარი მძევლის როლში აღმოჩნდა. ის კვლავ ცდილობდა
შეეჩერებინა აჯანყებულები. მაგრამ მის რეპლიკას – „Мы
не в силах бороться с русскими“, ხალხის ხმამაღალი შე-
ძახილი მოჰყვა: „Нас много“.⁵ „ეხლა შენ ჩვენი მთავარი
ხარ, საითაც წახვალ, წამოგყვებით; საცა შენ, ჩვენც იქ
უნდა დავიღუპოთ“, – ეუბნებოდნენ ამბოხებული აფხაზები
ახალგაზრდა მთავარს⁶ და ისიც იძულებული შეიქნა, მათ
სურვილს დაჰყოლოდა. გიორგი შარვაშიძე კარგად გრძნობ-
და თავისი მდგომარეობის ტრაგიკულობას და ღიად გამო-
ხატავდა წუხილს შექმნილი სიტუაციის გამო. აი, რა უთქ-
ვამს მას გადამწყვეტი ბრძოლის წინ თავისი ბიძა ალექსან-
დრესათვის: „Меня поставили в такое положение, что не
могу явиться к русским, которые меня вскормили и вос-
питали, предпочитаю себе смерть“.⁷

ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო აჯანყების
ჩასახშობად. სოხუმში გადასროლილ იქნა დამატებითი სამ-
ხედრო ძალები პირადად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის
დ. სვიტოპოლკ-მირსკის სარდლობით. აჯანყება ჩაახშვეს,
მისი მეთაურები და წამომწყებნი კი სასტიკად დასაჯეს.
სოხუმში ადგილი ჰქონდა აჯანყების აქტიურ მონაწილეთა
საჯარო დახვრეტასაც კი. ბევრი გადაასახლეს ციმბირსა
და რუსეთის სხვა რეგიონებში. გადაასახლეს თვით გიორგი
შარვაშიძეც, რომელიც გაგზავნილ იქნა სამხედრო სამსახუ-
რის გასაგრძელებლად ორენბურგის სამხედრო „ოკრუგში“.⁸

მაგრამ რეპრესიები აფხაზი ხალხის მიმართ ამით არ
შემოფარგლულა. რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად
ცდილობდა წაეხალისებინა აფხაზთა მუჰაჯირობა თურქეთ-
ში. მკვლევართა (გ. ძიძარია, სტ. ლაკობა და სხვ.) გამოან-
გარიშებით, ამ დროს აფხაზეთი დატოვა და თურქეთში

ჰპოვა თავშესაფარი 20 ათასამდე ადამიანმა. როგორც სავსებით მოსწრებულად შენიშნა ზემო ხსენებულმა აფხაზმა მკვლევარმა სტ. ლაკობამ, რუსეთს აფხაზეთი სჭირდებოდა „нез авхазов-бунтовщиков“, ამიტომაც სწორედ რუსეთის ხელისუფლებამ მოახდინა ურჩ აფხაზთა თურქეთში გადასახლების ინსპირირება. იმავე ს. ლაკობას მტკიცებით, აფხაზთა მუჰაჯირობას ბიძგი მისცა 1866 წლის სექტემბერში, კავკასიის მეფისნაცვლისა და სამხედრო მინისტრის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ 1000 აფხაზური ოჯახის აფხაზეთიდან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლების შესახებ. ხალხმა რუსეთში ძალით გასახლებას თურქეთში წასვლა არჩია⁹. მაგრამ არ შეიძლება ხელალებით იმის თქმაც, რომ აფხაზთა მუჰაჯირობა მხოლოდ რუსეთის იმპერიის ვერაგული პოლიტიკის შედეგი იყო. აფხაზი ხალხის ამ ტრაგედიაში გარკვეული ბრალი მიუძღვით იმდროინდელი „აფხაზური წინააღმდეგობის“ ლიდერებსაც, რომლებიც აჰყვნენ ოსმალეთის იმპერიის პროპაგანდას და უბიძგეს ხალხს, მიეღო ეს საბედისწერო გადაწყვეტილება.

1877B. ΑxάΜΕÈÀ ÀαΑΊΥÁÁÁ ÕÕÖÄÈÉÓ ÈÌÐÄÕÉÉÓ ÈÌ È'Ì - ÌÉÕÕÉ ÕÄÑÈÌÉÓ ΒΕΊΑΑΥÌÁÁÁ. 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება უფრო მშვიდად შეუდგა საგლეხო რეფორმის გატარებას აფხაზეთში. 1870 წლის 8 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა „Положение о прекращении личной зависимости и о поземельном устройстве населения в Сухумском отделе“, რომლის ოფიციალური გამოცხადება მთავრობამ რუსეთში ბატონყმობის გაუქმების 10 წლისთავს (1871 წლის 19 თებერვალს) დაამთხვია. მაგრამ რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა ვერც გლეხოება და ვერც თავად-აზნაურობა, მით უფრო, რომ ის დროში გაჭიანურდა და რეფორმის ცალკეული პუნქტები საერთოდ შეუსრულებელი დარჩა. ამ გარემოებამ, აგრეთვე კოლონიური რეჟიმის შემდგომმა გამკაცრებამ, კვლავ გამო-

იწვია აფხაზთა უკმაყოფილება.

სიტუაციას ამწვაკებდა ისიც, რომ პროთურქული ძალები აფხაზურ მოსახლეობაში მუდმივად აღვივებდნენ ანტირუსულ განწყობილებას. განსაკუთრებით გააქტიურდნენ რევანშისტულად განწყობილი მუჰაჯირები, რომლებმაც რუსეთ-თურქეთის ახალი ომის წინ დაიწყეს მზადება მორიგი ანტირუსული გამოსვლისათვის აფხაზეთში.

ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ამომწურავადაა გაშუქებული აფხაზთა 1877 წლის აჯანყების პერიპეტები. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსები მთლიანად მოქცეულნი იყვნენ ოფიციალური კონიუნქტურის გავლენის ქვეშ და 1877 წლის აჯანყებას განიხილავდნენ როგორც აფხაზთა მორიგ ღალატს იმპერიის წინაშე. სრულიად განსხვავებულ შეფასებას აძლევდნენ აფხაზთა ამბოხს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში ცალსახად რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ. ყველაზე გამოკვეთილად ეს ტენდენცია შეიმჩნევა ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი წერეთლის მიერ გაზეთ „Голос“-ში (15 აგვისტო, 1877 წელი) გამოქვეყნებულ სტატიაში. მისი მტკიცებით, აფხაზებს არ შეეძლოთ არ აჯანყებულიყვნენ, ვინაიდან მათ წაართვეს საუკეთესო მიწები. ამიტომაც ისინი: „оскорбленные и обиженные, давно уже точили ножи и, конечно взялись за оружие при первом удобном случае. С какой стати положат они теперь“.¹⁰ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში (შ. მეგრელიძე) აფხაზთა 1877 წლის აჯანყება ასევე მიჩნეულია „продолжением освободительной борьбы абхазского народа против России“.¹¹

აფხაზი ისტორიკოსები, და განსაკუთრებით პროფ. გიორგი ძიძარია, რომელმაც აფხაზთა მუჰაჯირობის პრობლე-

მას მიუძღვნა ფუნდამენტალური ნაშრომი, ყოველმხრივ ცდილობენ ერთგვარად მიჩქმალონ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აფხაზური მოსახლეობის გამოსვლის საერთო-საყოველთაო ხასიათი და აქცენტს აკეთებენ თურქთა შემოსევაზე. სინამდვილეში კი მკვლევართათვის ჯერჯერობით ცნობილი მასალები სრულიადაც არ ადასტურებენ იმას, რომ ოსმალეთის ხელისუფლება თავისი ძალებით ცდილობდა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლას აფხაზეთში. პირიქით, „ბრწყინვალე პორტა“ ამ შემთხვევაში მთლიანად ადგილობრივი „აფხაზური ფრონტის“ იმედზე იყო. ერთადერთი, რაც ოსმალეთის ხელისუფლებამ გააკეთა, იყო ის, რომ ხელმძღვანელი როლი აფხაზეთში დაწყებულ ანტირუსულ გამოსვლაში დააკისრა მუჰაჯირ-აფხაზებს.

სწორედ აფხაზი-მუჰაჯირები შეადგენდნენ ძირითად ბირთვს 1877 წლის 29 აპრილს გუდაუთის მახლობლად გადასხმული პირველი დესანტისა (სულ 1500-მდე მეომარი), რომელსაც მეთაურობდა მაჰმედ მარლანია, მუჰაჯირი, თურქეთის არმიის პოლკოვნიკი. დესანტი უმაღლეს დაუკავშირდა ადგილობრივ მოსახლეობას. გადაწყვეტილება რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების დაწყების შესახებ მიღებულ იქნა „გავლენიანი აფხაზის“ ხერიპს მარშანას სახლში გამართულ თათბირზე¹².

აფხაზეთში განთავსებული რუსეთის რეგულარული ნაწილები, კერძოდ კი ე.წ. „სოხუმის რაზმი“, რომელიც, როგორც აღნიშნულია ოფიციალურ დოკუმენტში, „предназначался... для отражения мелких неприятельских десантов имевших целью грабеж прибрежных пунктов или **возбуждение против нас мало преданных нам (იგულისხმება რუსული მმართველობა – *А.Д. абхазцев***“,¹³ სრულიად მოუძნადებელი აღმოჩნდა ფართო მასშტაბის ანტირუსული გამოსვლის მოსაგერიებლად. რუსეთის ხელისუფლებას „ულალატა“ ე.წ. „აფხაზურმა მილიციამაც“, რომელმაც

ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „გაქცეულ ყაჩაღს“ – უზბეგ მარშანას. ამ უკანასკნელმა 30 მუჰაჯირისაგან შემდგარი რაზმით შეუტია ბიჭვინთის საგუშაგო პოსტს და ყოველგვარი გართულების გარეშე დაიკავა ის¹⁴. „ბიჭვინთის რაზმის“ მეთაურმა მაიორმა გაევსკიმ, მიიჩნია რა უპერსპექტივოდ ბრძოლა „с высадившимся десантом и с **возмущившимся населением**“, უბრძოლველად დატოვა მისთვის ჩაბარებული უბანი და სოხუმისაკენ დაიხია. გაქცეულ რუსულ ნაწილს უკან დაედევნენ აფხაზები, რომლებიც ოფიციალური ცნობების თანახმად, „ворвались в Ново-Афонский монастырь и предали его разграблению“.¹⁵

გუდაუთის უბანზე დატრიალებულმა მოვლენებმა აიძულა „სოხუმის განყოფილების“ უფროსი გენერალი კრავჩენკო, გაემაგრებინა დაცვის ხაზი მდ. გუმისთის გასწვრივ, „чтобы предотвратить распространение мятежа по Гумистинскому участку... и прикрыть Сухум от прорыва к нему **возмущившихся абхазов**“.¹⁶ ამ ამოცანის შესასრულებლად მან კავალერიისტთა რაზმის მეთაურს პოლკოვნიკ გრიგოლ შარვაშიძეს უბრძანა, დაეკავებინა მდ. გუმისთის „მარცხენა ნაპირი“ და არ დაეშვა აფხაზების წინსვლა სოხუმისაკენ. მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. აჯანყება რუსების წინააღმდეგ სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებდა. იმავე გრიგოლ შარვაშიძის ცნობით, „один из влиятельных махаджиров, Камбулат Маргани (მარღანია – **А.Д.**) ...советовал абхазцам перейти на сторону турков“. აფხაზები თავიდან თითქოს თავს იკავებდნენ რუსების წინააღმდეგ ღია გამოსვლისაგან, თუმცა მოგვიანებით კამბულატ მარღანიამ მაინც შეძლო გუდაუთის „ოკრუგის“ მოსახლეობის გადმობირება და 2 მაისს ღამით „**абхазцы ...массою ворвались в город (ე.ი. სოხუმში – **А.Д.**), зажгли его с разных сторон и предали грабежу**“.¹⁷

აჯანყებას მიემხრო გუმისთის უბნის მოსახლეობაც.

სოხუმის ალების შემდეგ „ТОЛПЫ АБХАЗЦЕВ“ დაიდრნენ მდ. მაჭარის მიმართულებით. სოხუმის განყოფილების უფროსმა გენ. კრავჩენკომ იგრძნო რა, რომ „дело идет уже не о защите края... но о спасении, **при народном возмании**, христианского населения Цебельды“, გასცა ბრძანება, დაეხიათ უკან, მაჭარის ხეობისაკენ¹⁸.

ასეთ ვითარებაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა 1877 წელს ოჩამჩირესთან ახალი დესანტის – „500 человек частью старых абхазцев, частью возмутьившихся абхазцев Пицундского округа“ – გადმოსხმამ¹⁹. მაგრამ ხმებმა რუსების დასახმარებლად დამატებითი ნაწილების მოსვლის შესახებ დააფრთხო ისინი და „высадившиеся абхазцы“ დასჯერდნენ იმას, რომ „სრულიად გადასწვეს“ („сожгли до тла“) ოჩამჩირე²⁰.

ოჩამჩირის „ოკრუგის“ აფხაზური მოსახლეობა, დამკვირვებლების აზრით, რუსების მიმართ „хотя и не выражало... открытой вражды“, მაგრამ „было взволновано и... ожидало только решительных действия турок в пределах округа“, რათა შეერთებოდა აჯანყებულებს²¹. გაჩნდა სამურზაყანოს განდგომის საშიშროებაც, თუმცა ეს შიში გადაჭარბებული აღმოჩნდა. სამურზაყანოს მოსახლეობა არათუ არ უჭერდა მხარს აჯანყებას, არამედ, პირიქით, რამდენადმე უფრთხოდა კიდევ აჯანყებულთა გამოჩენას. ამას მოწმობს თუნდაც ბედიის თემის მოსახლეობის საქციელი, რომელიც „под впечатлением первого страха перед неприятелем, начало бежать к Ингуру“.²² უფრო მეტიც, სამურზაყანოელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზთა ამბოხის ჩახშობაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღნიშნავდნენ „სამურზაყანოელთა ასეულის“, რომელსაც ბათა ემუხვარი მეთაურობდა, დამსახურებას. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, რომელშიც რუსულ რეგულარულ ნაწილებს გრიგოლ შარვაშიძე სარდლობდა, სწორედ ბათა ემუხვარის ასეულმა

დაამარცხა ამბოხებულთა რაზმი და შეიპყრო ანტირუსული აჯანყების ერთ-ერთი ბელადი ხერიპს მარშანია²³. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა აფხაზ აზნაურთა, კერძოდ, ალმასხიდ და ჩაგუ მარშანიების რაზმებიც. დიდი გავლენა ოჩამჩირის „ოკრუგის“ აფხაზური მოსახლეობის პოზიციაზე მოახდინა გრიგოლ შარვაშიძემ. ამ თვალსაზრისით გარკვეული როლი შეასრულეს აგრეთვე თავადებმა შემათ და მურზაყან ანჩაბაძეებმაც.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზური ფეოდალური ელიტის ერთი ნაწილი (ძირითადად აბჟუადან და სამურზაყანოდან) არ მოექცა თურქეთის ისლამისტური აგიტაციის გავლენის ქვეშ და თავისი ქართველი თანამოძმეების მსგავსად, რომლებიც რუსეთის დროშის ქვეშ ეწეოდნენ ჭეშმარიტად სამამულო ომს საუკუნო მტრის – ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ძირძველი ქართული მიწა-წყლის გასათავისუფლებლად, რუსეთის ტახტის ერთგულება შეინარჩუნა.

1877 წლის ივლისიდან, როდესაც რუსეთის სარდლობამ გაატარა დამატებითი ღონისძიებები „აფხაზეთის ფრონტის“ გასამაგრებლად, ძალთა თანაფარდობა ძირეულად შეიცვალა. რუსეთის ნაწილების მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა ე.წ. „ენგურის რაზმი“, რომელსაც გენერალ-მაიორი ალხაზოვი (იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილი) სარდლობდა. ამ რაზმმა აჯანყებულებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეუტია. სოჭის მხრიდან აფხაზეთში შემოვიდა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის შენაერთი, მარუხის უღელტეხილიდან კი გენერალ-მაიორ ბაბიჩის რაზმი. 1877 წლის 10 აგვისტოს რუსებმა აიღეს ლიხნი და გუდაუთა, 20 აგვისტოს კი გენ. ალხაზოვმა სოხუმი დაიკავა. გადამწყვეტი ბრძოლის წინ რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ აფხაზური მოსახლეობის ნაწილი გონს მოეგებოდა და სამთავრობო ჯარების მხარეზე გადავიდოდა.

ამ მხრივ საინტერესოა გენ. დ. სვიტოპოლკ-მირსკის ინსტრუქცია მიცემული „ენგურის რაზმის“ მეთაურის გენ. ალხაზოვისადმი: „**Вероломство абхазцев, – წერდა ის, – заслуживает по всей справедливости, самого строгого наказания, размеры которого будет зависит от Высочайшей воли Государя Императора, но несчастный народ этот может еще облегчить свою участь и заслужить некоторое снисхождение, обратившись против турок и содействуя нашим войскам для их изгнания из Сухума**“.²⁴

ცოტა უფრო ადრე ოჩამჩირის „ოკრუგის“ აფხაზობას მიმართა თვით გენერალმა ალხაზიშვილმა და მოუწოდა მათ კეთილგონიერებისაკენ. ამ მოწოდებებმა მართლაც იქონია გავლენა ოჩამჩირის ოკრუგის აფხაზებზე. გუდაუთის „ოკრუგშიც“ ჰქონდა ადგილი ცალკეული აფხაზური სოფლების მხრიდან რუსებისადმი ლოიალური დამოკიდებულების ფაქტებს²⁵, თუმცა, როგორც ჩანს, ეს მაინც იძულებითი ხასიათის იყო. მთლიანობაში აფხაზობა მაინც ეურჩებოდა ხელისუფლებას. ასე მაგალითად, ოპერატიული მონაცემების მიხედვით 9 აგვისტოს ღამეს აფხაზებმა დაიკავეს ბიჭვინთა, სადაც „разграбили старинный храм, угоняли скот, . . . уводили жителей в Гудауты, с намерением отправить их к берегам Анатолии“.²⁶

საომარი მოქმედებების შედეგად ძლიერ დაზარალდა ქ. სოხუმი. „Оставаться в Сухуме, – კკითხულობთ ოფიციალურ ცნობაში, – нашим войскам было бесполезно и невозможно: города уже не существовало, окрестное население поголовно ушло в Турцию“.²⁷

1877 წლის აჯანყება იყო აფხაზთა ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოსვლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და ბუნებრივია, ის არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დაუსჯელი. „**выступление абхазского населения на стороне Турции, – წერს აფხაზი ისტორიკოსი სტ. ლაკობა, – пов-**

лекло за собой более сильные чем в 1866 году политические репрессии. За участие в этом восстании почти все население Гудаутского и Кодорского участков было объявлено „виновным“.²⁸ აფხაზობის „დამნაშავე მოსახლეობად“ გამოცხადების იდეა ჯერ კიდევ 1877 წელს წამოაყენა სოხუმის განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა პ. არაკინმა, რომელიც თავის წინადადებას ასაბუთებდა იმით, რომ „определить степень причастности к мятежу каждой общины и отдельных лиц путем расследования потребует слишком много времени“.²⁹ 1880 წლის 31 მაისს გამოქვეყნდა ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანება, რომელშიც აფხაზობა უკვე ოფიციალურად გამოცხადდა „დამნაშავე მოსახლეობად“ („виновное население“).³⁰

რუსეთის ხელისუფლება შეუდგა აჯანყების აქტიურ მონაწილეთა გასახლებას რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში. მაგრამ დაპატიმრებები და დასჯა არ იყო რუსული ადმინისტრაციის თვითმიზანი. ხელისუფლება უდავოდ აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ აჯანყების ხელმძღვანელებს ნებაყოფლობით დაეტოვებინა აფხაზეთი. აი, რას წერდა ამის შესახებ გენ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი: „Выдачи зачинщиков не требовать, такая мера могла бы только затруднить изъявления покорности массою населения. Небольшая беда, если наиболее виновные из абхазцев удалятся из края вместе с турками“.³¹ ერთი შეხედვით რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს იმპერიის მმართველ წრეებს მაინცდამაინც არ აინტერესებდათ ყველა აფხაზის მიერ („туземцы“) აფხაზეთის დატოვება. უფრო მეტიც, ცნობილია არაერთი ფაქტი, როდესაც ხელისუფლება ცდილობს აფხაზური მოსახლეობის გადმობირებას და ამ მიზნით იყენებს რუსული ადმინისტრაციის ცალკეულ წარმომადგენელთა ავტორიტეტს აფხაზებში. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პოლკოვნიკ დიმიტრი ჭავჭავაძის

საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტი. კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის თანაშემწის განმარტებით, თავადი დიმიტრი ჭავჭავაძე, რომელიც „управлял Пицундским округом... имеет там много связей и может быть... полезен... Никто более его не способен... склонить туземцев на нашу сторону“.³² როგორც ირკვევა, დიმიტრი ჭავჭავაძეს ამ მხრივ თავი გამოუჩენია ჯერ კიდევ 1866 წლის აჯანყების შემდეგ, რის შესახებაც წერდა კიდევ გაზეთი „დროება“: „ამ საგანზე ძლიერი ქება გვესმის აფხაზებისგანაც და სხვა გარეშე პირთაგანაც ბზუფუს მაზრის უფროსზედ თ. დიმიტრი ჭავჭავაძეზედ. მან გააგებინაო ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და მამობრივი მზრუნველობით აუხსნა მათი ახლანდელი და შემდგომი მდგომარეობა, რომ რუსეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნა სჯობიაო ოსმალეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნას. მთელი ბზუფუს მაზრა დარჩაო გადაუსახლებელი გარდა ერთი სოფლისა,.. ასე ამბობენ აფხაზები, ხალხი მას უმაღლის“.³³

და მაინც, 1877 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ნაკლებად ცდილობდა გამოეჩინა მზრუნველობა აფხაზ ხალხზე და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამჯერად საბოლოოდ მოეცილებინა თავიდან ურჩი აფხაზობა. მთავრობას უკვე არაფერი უშლიდა ხელს, სისრულეში მოეყვანა დ. სვიტოპოლკ-მირსკის მიერ ჯერ კიდევ 1877 წელს შემოთავაზებული აფხაზების თურქეთში გადასახლების გეგმა. „Одно только есть радикальное средство для устранения всякой для нас опасности со стороны Сухумского отряда, – წერდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი არქიტექტორი, – это переселение в Турцию жителей Абхазии... Если решится на такую меру, то всякие другие соображения сделаются излишними, и вопрос закончиться на всегда“.³⁴

მართლაც, რუსეთის ხელისუფლება, როგორც სავსე-

ბით მართებულად მიუთითებდა პროფ. გიორგი ძიძარია, „продолжая политику очищения Абхазии от местного населения, не только не препятствовало, а наоборот, поощряло и способствовало насильственному выводу абхазских крестьян... Поощряя махаджирство и принуждая к нему, – ასკვნიდა გ. ძიძარია, – правительство стремилось к освобождению земель Абхазии в целях развития широкой колонизации края, а так же из военно-стратегических соображений“.³⁵ აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობამ აფხაზებს აუკრძალა ზღვის სანაპირო ზოლში დასახლება.

ამრიგად, 1877 წლის აჯანყება და მუჰაჯირობა, რომელიც ამ აჯანყებას მოჰყვა, მრავალტანჯული აფხაზი ხალხის მორიგ დიდ ტრაგედიად იქცა. ამის შედეგად აფხაზური მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტმა დატოვა მშობლიური კუთხე და უცხოეთში გადაიხვეწა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი ხალხის ამ უდიდეს ტრაგედიაში გარკვეული წვლილი ნამდვილად „აფხაზთა წინააღმდეგობის“ მაშინდელ ლიდერებსაც მიუძღვით, სრულიად უდავოა, რომ მისი მთავარი ავტორი და შემოქმედი მაინც რუსეთის იმპერიის ხელისუფლება იყო.

თავი X

აფხაზთა მუჰაჯირობა და ეთნო-დემოგრაფიული სიტუაციის აფხაზეთში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში

À×áÀÆÈÀ ÌÖäÀãÉÒÌ ÀÀ ÆÀ ØÀÒÈÖÈÉ ÓÀÆÌ ÀÀÃÌ ÀÀÓÈÌ -
ÀÀ. 1877 წლის აფხაზთა აჯანყების ტრაგიკული შედეგი, როგორც უკვე აღინიშნა, იყო მუსლიმური აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება თურქეთში, რომელიც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი. აფხაზი ხალხის ეს დიდი ტრაგედია გულთან ახლოს მიიტანეს მოწინავე ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, სერგი მესხმა, გიორგი წერეთელმა, იონა მეუნარგიამ და სხვებმა. ქართველი მოღვაწეები ერთმნიშვნელოვნად ადანაშაულებდნენ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ამ უდიდეს ტრაგედიაში. ილია ჭავჭავაძის თქმით, ხალხი ამგვარ ნაბიჯს დგამს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აყენებენ გამოუვალ მდგომარეობაში და ფაქტობრივად ერთადერთ არჩევანს უტოვებენ: ან სიკვდილი საკუთარ ქვეყანაში, ან კიდევ სიცოცხლე უცხოეთში¹. საგანგებო წერილი აფხაზთა მუჰაჯირობის საკითხს მიუძღვნა ცნობილმა პუბლიცისტმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა სერგი მესხმა. ის მწარედ განიცდიდა აფხაზთა ამ უმძიმეს ხვედრს და აღნიშნავდა, რომ ხალხი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს სამშობლო, იძულებული შეიქნა გადახვეწილიყო უცხოეთში. ს. მესხის აზრით, მათ არ ჰქონდათ სათანადოდ გაცნობიერებული, თუ რას სჩადიოდნენ მაშინ, როდესაც სტოვებდნენ აფხაზეთს და ოსმალეთში ეძებდნენ თავშესაფარს. ს. მესხს თავის პუბლიკაცი-

აში მოჰყავდა ღავით მაჭავარიანის მიერ აღწერილი ფაქტი, რომელშიც მოთხრობილი იყო, თუ როგორი გულისტკივილით ეთხოვებოდა აფხაზთა დიდი ნაწილი მშობლიურ კუთხეს. ს. მესხი მოუწოდებდა ხელისუფლებას, გამოეჩინა სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა და მიეცა საშუალება ყველა აფხაზისათვის, დაბრუნებულიყო მშობლიურ კუთხეში².

აფხაზთა მუჰაჯირობის საკითხს გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც თბილისში გამოძავალი რუსულენოვანი გაზეთის „Тифлисский вестник“-ის სექტემბერ-ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი: „Кем заселить Абхазию“. ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის, თუ როგორ განიცდის ი. გოგებაშვილი აფხაზეთის დაცლას მოსახლეობისაგან: „Нынешняя война (იგულისხმება 1877-1878წწ. რუსეთ-თურქეთის ომი – **А.Д.**), – წერს ის, – между другими многочисленными последствиями, повлекла за собою и тот результат, что один из замечательных уголков нашей окраины вдруг сделался совершенно безлюдным, будучи покинут почти всеми своими жителями. Мы говорим об Абхазии и ее жителях, оставивших свою родину и переселившихся в Турцию. **Переселение это, без всякого сомнения, не временное, а безвозвратное. Абхазия никогда больше не увидит своих сынов**“.³

აფხაზ-მუჰაჯირთა ტრაგიკულ ხვედრზე მეტად გულისამაჩუყებელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ (№199, 1880წ.) ცნობილმა ქართველმა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ – იონა მეუნარგიამ, რომელიც სვამდა რიტორიკულ კითხვას იმის შესახებ, ასეთი რა ცოდვა ჩაიდინა აფხაზმა ხალხმა, რომ უღვთოდ გასწირეს. აფხაზთა ოსმალეთში ნაძალადევად გადასახლებას ეხმაურებოდა გიორგი წერეთელი, რომელიც გაზეთ „დროებაში“ (1878წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში გამოთქვამდა წუხილს იმის გამო,

რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ დატოვა აფხაზეთი⁴. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა გ. წერეთლის პუბლიკაცია სანქტ-პეტერბურგში გამოძვალ გაზეთ „Голос“-ის ფურცლებზე (1877წ. 25 ოქტომბერი), რომელშიც ის აცხადებდა: „Можно ли называть местность эту по прежнему Абхазией, когда абхазцев в ней уже нет“.

ქართული საზოგადოებრიობა ყოველნაირად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა დიდ გასაჭირში მყოფ მუჰაჯირ-აფხაზებს და დახმარების ხელი გაეწვდინა მათთვის. ქართული მოსახლეობის მხრიდან ამგვარი სოლიდარობის არაერთი საინტერესო ფაქტი მოჰყავს გაზეთ „დროების“ ბათუმელ კორესპონდენტს დავით წერეთელს⁵.

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც გაამახვილა ყურადღება ქართული საზოგადოებრიობის გულწრფელ, ძმურ დამოკიდებულებაზე აფხაზი ხალხისადმი მუჰაჯირობის პერიოდში, იყო გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი ძიძარია, რომელმაც თავის შრომებში მოიყვანა არაერთი ფაქტი (მათ შორის ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული) ქართულ-აფხაზური ძმობისა და მეგობრობისა. სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ცალკეულმა იდეოლოგებმა „დავიწყებას მისცეს“ ყოველივე ეს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი ცდილობს აფხაზთა მუჰაჯირობაში ბრალი საერთოდ ქართველებს დასდოს.

Α×άΑΑΕΕÓ ΑΕΪΪ -ΑΪΪ ΑΟΑ×ΕΘΕΕ ΟΕΘΘΑΥΕΑ ΧΙΧÓ. 70-80-ΕΑΪ ΒΕΑΑΟΕ. სეპარატისტულად განწყობილ ისტორიკოს-პოლიტიკოსთა მხრიდან განსაკუთრებით აქტიურად მიდის სპეკულირება აფხაზეთში მუჰაჯირობის შემდგომ შექმნილი ეთნო-დემოგრაფიული სიტუაციით, რომელსაც იყენებენ ანტიქართული ისტერიის გასაღვივებლად. კერძოდ, ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი, აგრეთვე ინტელიგენციის წარმომადგენელი, ყოველნაირად ცდილობს, შთააგონოს თავიანთ თანა-

მემამულეებს აზრი იმის შესახებ, თითქოს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო მხოლოდ აფხაზ-აფსუებით და რომ ქართველები აქ დამკვიდრდნენ მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების, ანუ მუჰაჯირობის შემდეგ. უკანასკნელ პერიოდში ამ მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურდა ჩვენს პუბლიკაციებში არაერთგზის ნახსენები თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსი, სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი მებაირახტრე, სტანისლავ ლაკობა, რომელმაც 1993 წელს გაგრანში გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით „Столетняя война Грузии против Абхазии“. მასში ავტორი სპეციალურად იხილავს იაკობ გოგებაშვილის ზემოთ ხსენებულ საგაზეთო პუბლიკაციას: „Кем заселить Абхазию“ და მიიჩნევს მას პირველ საპროგრამო ნაშრომად, რომელშიც მოცემულია ქართველ-მეგრელებით აფხაზეთის კოლონიზაციის დასაბუთება. მისი მტკიცებით, აღნიშნული პუბლიკაციის გამოსვლით იწყება ე.წ. „ასწლოვანი ომი“ ქართველებისა აფხაზების წინააღმდეგ. ამ და ზოგიერთ სხვა პუბლიკაციაში სტ. ლაკობა სტატისტიკურ მონაცემთა ტენდენციური შერჩევისა და ანალიზის გზით გამიზნულად აყალბებს ისტორიულ რეალობას და შეჰყავს საზოგადოებრიობა შეცდომაში.

ს. ლაკობას ამ პუბლიკაციას ოპერატიულად გამოეხმაურნენ ქართველი მკვლევრები (ს. ლეკიშვილი, ა. თოთაძე და სხვ.), რომლებმაც იმავე სტატისტიკურ მონაცემთა, აგრეთვე სხვა დოკუმენტური მასალის (მათ რატომღაც გვერდი აუარა აფხაზმა მკვლევარმა) ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მკაფიოდ აჩვენეს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის I ნახევრის აფხაზეთის ს. ლაკობას მიერ დახატული ეთნო-დემოგრაფიული სურათის სრული აბსურდულობა. უკანასკნელ წლებში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ზოგიერთი მანამდე უცნობი დოკუმენტური მასალა, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება

ქართველთა (ძირითადად მეგრელთა) მოსახლეობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდე არა მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში, არამედ მდინარე გუმისთის ჩრდილოეთითაც, გუდაუთისა და ბიჭვინთის მიდამოებში. პირველ რიგში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროფესორ გერონტი გასვიანის მიერ ამ ბოლო დროს გამოვლენილი აფხაზეთის ზოგიერთი თემის მცხოვრებთა სია, რომლებიც მონათლნენ XIX საუკუნის 30-იან წლებში. ამ სიაში ფიგურირებენ ისეთი ტრადიციული აფხაზური სოფლების, როგორცაა ლიხნი და ღურიფში (გუდაუთის რაიონი), აგრეთვე კვიტოულის, ტამიშის, კინდლის, ფოქვეშის, თხინას, მოქვის (ოჩამჩირის რაიონი) მცხოვრებნი. აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილი თემების ქრისტიან-მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ (მეგრულ) გვარებს ატარებდნენ და მხოლოდ ზოგიერთის გვარია აფხაზური წარმომავლობის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლიხნის თემის მონაცემები, რომელთა მიხედვით ლიხნიში მცხოვრები 214 ქრისტიანიდან 167, ანუ 78%, ქართულ (მეგრულ) გვარს ატარებდა და მხოლოდ 47 მცხოვრები (22%) – აფხაზურს⁶. დაახლოებით ასეთივე შეფარდება იყო სხვა თემებში.

რასაკვირველია, შეიძლება შემოგვედავონ, რომ ესაა სია მხოლოდ ქრისტიანებისა, ამ თემებში კი ცხოვრობდნენ მაჰმადიანებიც. დიახ, ამ სოფლებში ბუნებრივია, იყო მაჰმადიანი მოსახლეობაც და არავის მოუვა აზრად, უარყოს ეს ფაქტი. მაგრამ თურმე აქაურ მაჰმადიანთა შორის არცთუ ცოტანი ყოფილან ისინი, ვინც ქართულ (მეგრულ) გვარებს ატარებდნენ. და ეს არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში (სოხუმის მიდამოებში, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში), არამედ გუდაუთა-ბიჭვინთის ზონაში. ამას ადასტურებს 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ (1867წ.) ოსმალეთში გადასახლებულთა ოფი-

ციალური სია, რომელიც შედგენილია რუსული ადმინისტრაციის მიერ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიაში (ეს დოკუმენტი, როგორც ჩანს, ცნობილი იყო პროფ. გ. ძიძარასთვის, მაგრამ, რატომღაც, მან არ ისურვა მისი გამომხეურება) მოხვდა მხოლოდ ის ხალხი, ვინც დატოვა აფხაზეთი და წავიდა მუჰაჯირობაში. აქედან, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ქართული გვარის მატარებელი უკლებლივ ყველა მცხოვრები არ წასულა აფხაზეთიდან, ბევრი მათგანი ალბათ არ აპყვა ისლამისტურ პროპაგანდას და დარჩა მშობლიურ კუთხეში. ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ საერთოდ მუჰაჯირთა რიცხვი უკეთეს შემთხვევაში აღწევდა მხოლოდ 30 ათას კაცს (ქართულ მკვლევართა გამოთვლით სულაც 15-20 ათასს, რომელთა ნაწილი უკან დაბრუნდა).

მუჰაჯირთა ამ სიაში გვხვდება ისეთი ქართული (ძირითადად მეგრული) გვარები, როგორცაა: გოგუა, ჭკადუა, კუტალია, გვარამია, ლაგვილავა, პაპავა, ხორავა, გაბელია, ფაჩულია, მაღანია, ჭოლოკუა, გუნია, გინდია, კიკნაძე და ა.შ. (ეს მასალა მოიძია და მოგვაწოდა დოც. **ААНАІ аі ОА-ААІ**, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ – **Æ.Ð.**). არანაკლებ მრავლისმეტყველია ამ თვალსაზრისით რუსული ადმინისტრაციის კიდევ ერთი ოფიციალური ცნობა ბზიფის „ოკრუგში“ მცხოვრებ იმ აზნაურთა შესახებ, რომლებმაც ხელისუფლების მტკიცებით, 1877 წელს „ულალატეს ტახტსა და სამშობლოს“. ამ დოკუმენტში აფხაზ აზნაურებთან: სოლომონ ლაკერბაიასთან, კონსტანტინე მარღანიასთან, ჰასან ლაკერბაიასთან ერთად დასახელებულნი არიან: დავით თოფურია, კონსტანტინე კოპეშავიძე, ჰალილ ფილია, მამსირ ბაგათელია, ჰასან ფილია, ლუკა გეგენავა, რომელთა ქართულ (მეგრულ) წარმომავლობაში ძნელია ეჭვი შეგვეპაროს (მასალა მოგვაწოდა დოც. **რამაზ ჭანტურიამ**, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ პირებს, რასაკვირველია, გენეტიკურად არაფერი აკავშირებდათ აფხაზურ (აფსუურ) ეთნიკურ სამყაროსთან, თუმცა არც იმის მტკიცებაა გამართლებული, რომ ამ დროისათვის მათ თითქოს ჰქონდათ შენარჩუნებული ქართული ეთნოკულტურული მენტალიტეტი (როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი ქართველი მკვლევარი). აქ დასახლებულ პირთა (მუჰაჯირთა) დიდი უმრავლესობა, რასაკვირველია, ამ დროისათვის კარგა ხნის გააფხაზებული, უფრო მეტიც, გამაჰმადიანებულიც კი იყო (წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არ წავიდოდნენ მუჰაჯირობაში). სწორედ ამ ტიპის აფხაზთა – უწინდელ ქართველ-მეგრელთა, აგრეთვე სამურზაყანოელთა (რომელთაც ასევე ყოვლად უსაფუძვლოდ მიაკუთვნებენ ეთნიკურ აფხაზობას) ხარჯზე წარმოუდგენიათ ს. ლაკობას და მის თანამოაზრეებს 1877 წლამდელი აფხაზეთი ეთნიკურად ერთფეროვან, მხოლოდ აფხაზებით დასახლებულ მხარედ, სადაც პრაქტიკულად არ იყო ქართული მოსახლეობა.

**ὈὈἈἘἘὸ ἘἰθἈὸἘἘὸ ὈἈἘἰ Ἐἰ ἸἘἈἸἘἰ ἸἈἘἘἘἈ ἸὸἈἈ-
ἈἘὸἰ ἈἘὸ ὙἈἰἈἈἰ Ἰ ἸἈὸἘἰ ἈἸἘ.** 1877-1878 წლების ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება შეუდგა მუჰაჯირობაში წასულ აფხაზთა მიწებზე რუსი კოლონისტების ჩასახლებას. ეს იყო იმპერიის დიდი გეგმის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა მხარეში ე.წ. „რუსული მოქალაქეობის“ დამკვიდრებას. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელების მთავარი პირობა კი, როგორც აღნიშნავდა კავკასიაში რუსული იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გერშელმანი, სწორედ აფხაზეთის მხოლოდ და მხოლოდ „რუსული მოსახლეობით“ კოლონიზაცია იყო⁷. აფხაზეთის რუსიფიკაციის გზაზე ხელისუფლებას ხელს მხოლოდ აქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა უშლიდა.

ეს იყო პერიოდი, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ფონზე ქართველთა (მათ შორის აფხაზეთის მკვიდრთა) საერთო ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს. ამის გამო კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა ცალკეული ქართული კუთხეების ერთიან ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბება. ამიტომაც ცარიზმი გამალებით შეუდგა ცნობილი იმპერიული ფორმულის „დაყავი და იბატონეს“-ს რეალიზაციას საქართველოში.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი „სამუშაო“ ჩატარდა მეგრელთა „ეროვნული“ თვითშეგნების გამოსაღვიძებლად. მეგრულ მოსახლეობას ყოველნაირად უნერგავდნენ აზრს, რომ ისინი ქართველები არ არიან. სწორედ ამ ვერაგული პოლიტიკის ნაწილი იყო ე.წ. „სამურზაყანოელთა“ გამოცხადება არაქართველებად და მათი აფხაზი ეთნოსისადმი მიკუთვნების მცდელობა. ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს ზემოთ ნახსენები ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გერშელმანის კანცელარიიდან გამოძავალი ოფიციალური დოკუმენტებიდან. ასე, მაგალითად, თავის მოხსენებით ბარათში (1900 წ. 2 სექტემბერი) გენერალი გერშელმანი, აღნიშნავს რა სოხუმის „ოკრუგის“ (ანუ თანამედროვე აფხაზეთის) მოსახლეობის ეთნიკურ სიჭრელეს, წერს: „В общей массе... в 96 377 душ обоего пола, **преобладающий элемент составляют абхазцы, а именно 71%, причисляя к ним и самурзаканцев (абхазцев 33,5%, самурзаканцев 37,5%)**“.⁸ სხვა დოკუმენტში იგივე გენ. გერშელმანი იძლევა ცნობას სოხუმის „ოკრუგის“ მოსახლეობის შესახებ 1900 წლის იანვრისათვის. მისი მონაცემებით (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მთლიანობაში ისინი ნდობას იმსახურებენ), „В Сухумском округе... числилось 103 262 души

обоего пола, из коих 36 352 самурзаканцы, 32 127 абхазцев, 16 195 мингрельцев, 7 812 турецко-подданных армян, 4 486 русских, 3 862 грека, 6 грузин, 3 имеретинца, 3 гурийца, 820 немцев и эстонцев, 934 турка и остальные народности“.⁹ სხვათა შორის, საინტერესოა, რომ რუს მოხელეს თავისი დოკუმენტის სხვა ადგილას რატომღაც „ავიწყდება“ ზემოთ მოყვანილი ციფრები და უკვე მარტო ქ. სოხუმში ასახელებს 1300 იმერელს (3-ის ნაცვლად), 200 „ქართველ“-„გუზინ“-ს (ნაცვლად 6-ისა) და მხოლოდ 100 აფხაზს¹⁰.

აი, ასე ურცხვად, ერთი ხელის მოსმით, რუსეთის იმპერიის ოფიციალური პირები ცდილობდნენ სამურზაყანოს მოსახლეობის, რომელთაც ისინი ადრე ურყევად მიიჩნევდნენ დადიანთა სახლის ქვეშევრდომებად (ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ზემოთ უკვე მოვიყვანეთ), მოწყვეტას დანარჩენი საქართველოსაგან. იგივე გენ. გერ-შელმანი მძიმედ განიცდიდა „домогательств грузин отру-зинить Сухумский округ“, რომელიც, მისი თქმით, თურმე „никогда не имел ничего общего с Грузией“.¹¹ და ეს მაშინ, როდესაც თავის დროზე რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსნები: პ. ციციანოვი, ი. გუდოვიჩი, როგორც ვიცით, აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანას პირველ რიგში ასაბუთებდნენ იმით, რომ ის ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო¹².

აფხაზეთისა და აფხაზების საერთო ქართული ეროვნულ-კულტურული ორგანიზმიდან ამოგლეჯისა და მხარეში „რუსული მოქალაქეობრივი“ შეგნების ფორმირების იმპერიული გეგმის მნიშვნელოვანი რგოლი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სწორედ სამურზაყანოელთა აფხაზებად გამოცხადება იყო. ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ სამურზაყანოში XIX საუკუნეში საერთოდ არ ცხოვრობდნენ აფხაზები. პირიქით, ჩვენი ნაშრომის სა-

თანადო ადგილას საკმაოდ სრულად იყო გაშუქებული ის ეთნო-დემოგრაფიული ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა თანამედროვე აფხაზეთის ამ ნაწილშიც XVII-XVIII საუკუნეებში ჯიქ-აფხაზთა ექსპანსიის შედეგად. მაგრამ მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ XIX საუკუნის II ნახევარში სამურზაყანოში ეთნიკური აფხაზები რიცხობრივად ბევრად ჩამორჩებოდნენ ადგილობრივ ქართულ (მეგრულ) მოსახლეობას. ამასთან, ისინი იყვნენ ქრისტიანები. უფრო მეტიც, მიმდინარეობდა მათი გაქართველების (გამეგრელების) პროცესი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ბევრმა მათგანმა გვარი მეგრულ ყაიდაზე გადაიკეთა (თარბა გახდა თარბაია, ბუთბა – ბუთბაია, აძინბა – აძინბაია, ქეცბა – ქეცბაია და ა.შ.). ის, რომ სამურზაყანო ეთნო-კულტურულად და პოლიტიკური მენტალიტეტით აფხაზეთის სხვა („უშინაგანესი“) რაიონებისგან სრულიად განსხვავებული რეგიონი იყო, მკაფიოდ გამოჩნდა 1810-1877 წლებში მიმდინარე აფხაზთა პერმანენტული ანტირუსული გამოსვლების დროს, როდესაც სამურზაყანოელი აფხაზები ფაქტობრივად განუდგნენ თავიანთ თანამოდმეთ და ცალკეულ შემთხვევებში აქტიური მონაწილეობაც კი მიიღეს ამბოხებული აფხაზების წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილ დამსჯელ ოპერაციებში. მათ ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოუჩენიათ 1877 წლის აჯანყების დროს. ეს ოფიციალურად დადასტურებულია სოხუმის განყოფილების უფროსის გენ. კრავჩენკოს 1877 წლის 4 მაისით დათარიღებულ პატაკში, სადაც ხაზგასმულია სამურზაყანოელ მოლაშქრეთა მხედრული მამაცობა. გენ. კრავჩენკო პირდაპირ წერს: „Самурзаканцы молодцы“.¹³

ერთი სიტყვით, ყველა საფუძველი გაგვაჩნია ვამტკიცოთ, რომ როგორც ეთნო-კულტურულად, ისე პოლიტიკური განწყობილების თვალსაზრისით, სამურზაყანო დანარჩენი აფხაზეთისგან სრულიად გამორჩეული მხარე იყო. ამის

მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ რეგიონის აბსოლუტურ უმრავლესობას (სულ ცოტა 80% მაინც) ქართული (ძირითადად მეგრული) მოსახლეობა შეადგენდა, რომელთა მიკუთვნება აფხაზი ეთნოსისადმი სრულიად გაუმართლებელია. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა დანარჩენ მეგრულს (გენ. გერშელმანის მონაცემებით 17000 კაცი) მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში ჩამოსახლებულად ჩავთვლით, რაც თავისთავად წარმოუდგენელია, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა ამ დროს რიცხობრივად მაინც აფხაზებზე მეტი აღმოჩნდება.

მაგრამ ყოველივე ეს არ მოსწონთ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ ისტორიკოსებს. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, დაარწმუნონ თავიანთი თანამემამულეები იმაში, რომ მთელ აფხაზეთში (1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე) მხოლოდ აფხაზები სახლობდნენ და რომ ამას თითქოს ადასტურებენ „многочисленные очевидцы, в том числе и грузинские, а также архивные документы и материалы периодической печати“.¹⁴ ამ განცხადების გასაქარწყლებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ზოგიერთი დოკუმენტური მასალა, მათ შორის უშუალო თვითმხილველთა დაკვირვებები, რომლებშიც ნაჩვენებია მუჰაჯირობამდელი აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული ვითარების უტყუარი სურათი. პირველ რიგში ესაა 1866-1870 წლებში შედგენილი „მოხსენებითი ბარათი“ თავად გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მამულების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი მოხელე თავადი მუხრანბატონი. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „В то время (იგულისხმება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის ხანა – **Æ.D.**) собственно Абхазию составляли земли по берегу моря к югу до реки Галидзга, к северу до реки Бзыби (по грузинский Капоетисцкали) и, кроме того, к Абхазии принадлежали горные округа: Псху, Ахчи-Псхе,

Либго и другие... Собственно абхазцы жили только частью в Бзыбском округе и... упомянутых горных округах. В остальных частях Абхазии, т.е. частью в Бзыбском, в бывшем Абхазском и Абжиквском округах жили большей частью жители смешанные – полумингрельского, полуабхазского происхождения. Это будет совершенно очевидным, – განაგრძობს „მონსენები ბარათის“ ავტორი, – если мы обратим внимание на то, что большая часть земель на плоскости в Бзыбском округе принадлежали Пицундскому католикосу и монастырю Симона Кананита, в Абхазском округе епископству Драндскому... и в Абжиквском округе епископству Моквинскому – церкви св. Гиоргия Илорского. Все эти церковные земли были заселены крестьянами, пожертвованными и владельцами Мегрелии, а также и разными помещиками... Так и теперь большинство крестьян, живущих на плоскости очень хорошо помнят свое мингрельское происхождение“.¹⁵

როგორც ვხედავთ, თავადი მუხრანბატონი სავსებით დამაჯერებლად აფიქსირებს, რომ მუჰაჯირობამდე აფხაზეთის ბარის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ხალხი „полумингрельского происхождения“, რომელთაც კარგად ახსოვდათ თავიანთი ქართული (მეგრული) წარმომავლობა. ბუნებრივია, ჩვენ შემოგვეკამათებიან, რომ „მონსენები ბარათის“ ავტორი თვითონ ქართველია და ამის გამო ის არ შეიძლება იძლეოდეს აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული ვითარების ობიექტურ სურათს. მაგრამ რა ვუყოთ სხვა თვითმხილველებს, რომელთაც არავითარი დაინტერესება (და არც სურვილი) არ ჰქონდათ, საგანგებოდ მოეძიათ მეგრულ-ქართველები აფხაზეთში. აი, როგორ აღწერს, მაგალითად, კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ოფიციალის – გაზეთ „Кавказ“-ის კორესპონდენტი ეთნო-დემოგრაფიულ ვითარებას ქ. სოხუმში 1866 წლის დამდეგს, ანუ 1866 წლის აფხაზეთა აჯანყებამდე, რომლის შედეგადაც, როგორც

ცნობილია, აფხაზეთი მუჰაჯირთა პირველმა ღიღმა ტალღამ დატოვა: „По окончательном завоевании всего Кавказа (იგულისხმება კავკასიის ომის დასრულება 1864 წელს – **А.Д.**) от прежних войск осталась в городе (ე. ი. სოხუმში – **А.Д.**) одна пятая доля и с тем вместе город потерял почти 4/5 своих потребителей, но местные произведения получают от одних абхазцев, народа полудикого и крайне ленивого... не... употребляющего ни аробь, ни вьючего скота для доставления кое-чего в город. Даже кукурузную траву доставляют в город на своей собственной спине. Молоко, которое разносят в бурдюках, покупается одними солдатами и мингрельцами“.¹⁶

ამ კორესპონდენციიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ **ΕΙ ΑΟΙ Ο (ΕΕΑΑΑ ΑΟΕάΑΕ ΑΥΑΙΕΥΙΑΑΕ – ΙΟάΑαΕΟΙ ΑΑΙΑΑ) ΟΙ αΟΙΕΟ ΙΙ ΟΑαΕΑΙ ΑΑΟ ΟΑΑΑΑΑΙΑΙΑΙ ΟΟΟΕ αΑΟΕΟΕΑΥΑΑΕ ΑΑ ΙΑΑΟΑΕΑΑΕ. ΟΑΥ ΟΑΑαΑΑΑ Α×αΑΑΑΟ, ΕΟΕΙΕ ΘΑΕΑΘΟΕ ΑΟ ΥαΙ ΑΟΙ ΑΑΙΑΙ ΑΑ ΙΑΕ ΕΘ ΙαΙ ΕΙ Α ΘΟΙ ΑΟΘΟΑΑΕ ΟΑαΘΙ Γ-ΑΑΕ.** თავისი პუბლიკაციის სხვა ნაწილში კორესპონდენტი უფრო გამოკვეთილად წერს, რომ აფხაზები არა შიგ ქალაქში, არამედ მის შემოგარენში ცხოვრობდნენ: „Есть надежда, что солдаты, выходящие в отставку, не будут бросать в Сухум-Кале свою оседлость.., потому что окружные абхазцы (ხაზს ვუსვამთ – „**окружные абхазцы**“ – **А.Д.**) прекратили свое прежнее отчаянное хищничество“.

ის, რომ აფხაზები (მუჰაჯირობამდეც) ნამდვილად არ ცხოვრობდნენ სოხუმში დასტურდება იმავე გაზეთ „Кавказ“-ის სხვა კორესპონდენციიდანაც, რომელიც მოთავსებულია ამ გაზეთის 1866 წლის 1 ივნისის (ე. ი. 1866 წლის ცნობილ აჯანყებამდე) ნომერში. კორესპონდენციის ავტორი აშუქებს რა ქ. სოხუმის კულტურულ ცხოვრებას, მოგვითხრობს ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის მიერ ქალთა სასწავლებლის გახსნის შესახებ 1866 წლის 3 მარტს, სადაც სხვებთან ერთად ჩაურციხავთ 5 აფხაზი. „Я слышал,

– წერს კორესპონდენტი, – что многие родители абхазцы желают отдать своих дочерей в училище, затрудняются только в помещении и содержании их, потому что **постоянных жителей из туземцев в Сухуме вовсе нет**, а отдавать к русским или **купцам-мингрельцам** (ხაზგასმა ჩვენია – **А.Д.**) они не решаются или по своей несостоятельности, или же по религиозным предрасудкам“. ე. ი. ამ პუბლიკაციიდანაც სავსებით მკაფიოდ ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1866 წლის აჯანყებამდეც ქ. სოხუმის მუდმივი მცხოვრებლები იყვნენ არა აფხაზები, არამედ მეგრელ-ქართველები. ეს არის რეალური ფაქტი, დაფიქსირებული ხელისუფლების ოფიციალური გაზეთის რუსი კორესპონდენტის მიერ და არა ვინმეს მოგონილი ამბავი. ქართველთა (მეგრელთა) მოსახლეობა ქ. სოხუმში მუჭაჯირობამდე დასტურდება საარქივო მასალებითაც. ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, „აღწერა ქ. სოხუმისა, 1864წ. ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა წოდებრივი და ეროვნული შემადგენლობის მიხედვით“, პირდაპირაა მითითებული, რომ ქალაქის მოსახლეობას შედგენდნენ „ა. ადგილობრივნი: მეგრელები 450, ბერძნები 217, სომხები 78, რუსები 25. ბ. გარედან მოსულნი: უცხოელები 320, ოფიცრები 42, ჩინოვნიკები 42, ვაჭრები 5. არც ერთი თურქი და არც ერთი აფხაზი ქალაქში არ ჩასახლებულა“. ¹⁷

ამრიგად, როგორც დავინახეთ, აფხაზ მკვლევართა დემაგოგიური მტკიცებები იმის შესახებ, თითქოს მუჭაჯირობამდე აფხაზეთში მარტო აფხაზები ცხოვრობდნენ, სრულიად უსაფუძვლოა.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის დამდეგის აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული ვითარების სრული სურათის საჩვენებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ „სამურზაყანოელთა“ ეთნიკური ვინაობის პრობლემას, რომელთაც, როგორც უკვე

აღვნიშნეთ, აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფია“ (პირველ რიგში ს. ლაკობა) უაპელაციოდ მიაკუთვნებს აფხაზურ ეთნოსს. აფხაზ მკვლევართა ეს მტკიცება მთლიანად აგებულია ცალკეული (სანდოობის თვალსაზრისით მეტად საეჭვო) სტატისტიკური მასალის (კერძოდ, 1886 და 1897 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის, რომლებშიც სამურზაყანოელები თვითნებურად მიათვალეს ეთნიკურ აფხაზობას) მონაცემებზე. ქართველმა მეცნიერებმა (ა. თოთაძემ, ს. ლეკიშვილმა და სხვ.) კარგა ხანია ამხილეს ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეთა მონაჭორი ამ საკითხზე და კონკრეტული ციფრების მოშველიებით დამაჯერებლად აჩვენეს, თუ როგორ იცვლებოდა რეალურად აფხაზთა რაოდენობა აღწერიდან აღწერამდე. ასე მაგალითად, 1886 წელს საკუთრივ აფხაზური მოსახლეობა შეადგენდა 28323 კაცს, სამურზაყანოელთა კი – 30640-ს, მაგრამ აფხაზთა საერთო რაოდენობა უდრიდა 58963 კაცს. როგორც ვხედავთ, ეს საბოლოო ციფრი მიღებული იყო აფხაზთა და სამურზაყანოელთა ელემენტარული არითმეტიკული მიმატების გზით. მაგრამ არსებობს სხვა სტატისტიკაც, რომლის შესახებაც დუმს ს. ლაკობა. ესაა 1883 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც აფხაზთა რაოდენობა უდრის 27526 კაცს, სამურზაყანოელთა – 25424-ს, 1914 წელს აფხაზები 42073 იყვნენ. 1917 წელს ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირდა და გაუტოლდა 38121-ს, ხოლო 1923 წელს – 36816-ს.¹⁸

აფხაზთა რაოდენობის შემცირების პარალელურად იზრდებოდა ქართული მოსახლეობის რაოდენობა. თუ 1886 წელს (როდესაც აფხაზებს მიათვალეს სამურზაყანოელები) ქართველები ითვლიდნენ მხოლოდ 25873 კაცს, 1923 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 71181-მდე. მაგრამ ყველაზე საინტერესო ფაქტი მოხდა 1926 წელს, როდესაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 36816-დან

გაიზარდა 55918-მდე. ამასთან, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ს. ლეკიშვილი, არც 1897-1923 წლებში იყო განსაკუთრებით არახელსაყრელი დემოგრაფიული ფაქტორები (ემიგრაცია, რეპრესიები, ეპიდემია და ა.შ.) მოსახლეობის შემცირებისათვის და რაც მთავარია, არც 1923-1926 წლებში შექმნილა შესაფერისი პირობები დემოგრაფიული ბუმისათვის, რომლის შედეგადაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 20000 კაცით გაზრდილიყო¹⁹.

ამ ერთი შეხედვით უცნაურ ციფრობრივ აღრევას ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – სამურზაყანოელებით მანიპულირება. 1886, 1897 და 1926 წლების აღწერისას სამურზაყანოელები მიათვალეს აფხაზებს, ხოლო 1914, 1917 და 1923 წლებში – ქართველებს. საინტერესოა, რომ თვით აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული ლიდერი ნესტორ ლაკობა 1926 წელს ოფიციალურად აღიარებდა, რომ „абхазцев с большой натяжкой около 57-60 тысяч душ. Почему большой натяжкой? – свамда კითხვას ნ. ლაკობა, – Потому, что несколько тысяч человек причисляют себя к абхазской народности, но язык у них не абхазский, а мингрельский“. ნ. ლაკობა იმასაც აღიარებდა, რომ მეგრელები ქართველები იყვნენ და თვლიდა, რომ ისინი ქართველობას უნდა მიკუთვნებოდნენ²⁰.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ნებისმიერი მცდელობა სამურზაყანოს მკვიდრი მოსახლეობის აფხაზებად გამოცხადებისა და ამის საფუძველზე აფხაზთა რაოდენობის გაზრდისა XIX საუკუნეში, არის ისტორიული ჭეშმარიტების უხეში გაყალბება, რომელიც მთლიანად მიმართულია აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული ისტერიის გაღვივებისაკენ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენ არ შეიძლება უარვყოთ, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ნამდვი-

ლად ჰქონდა ადგილი ქართული (ძირითადად მეგრული) მოსახლეობის გადმოსახლებას აფხაზეთში დასავლეთ საქართველოს მეზობელი რაიონებიდან. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის ხელისუფლება მეგრელთა ჩასახლებას აფხაზეთის შიდა რაიონებში მეტ-ნაკლებად ლოიალურად ეკიდებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, შეამჩნია რა „сильное противодействие развитию русской гражданственности и русскому направлению в Сухумском округе со стороны грузин, преимущественно мингрельцев“, ²¹ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია წინ აღუდგა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან გლეხების აფხაზეთის შიდა რაიონებში გადასახლებას. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1872 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა განსაკუთრებული „წესები“ („Правила“), რომლებიც „препятствовали закреплению на абхазских землях выходцев из Западной Грузии“. ²² ეს „წესები“ იყო ერთგვარი დამატება 1870 წელს შემუშავებული „დებულებისა“, რომლის მიხედვითაც მთავრობა „окончательно водворившиеся“ – სტატუსს აძლევდა მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც 1865 წლის 1 იანვრამდე ცხოვრობდნენ აფხაზეთში, სხვები კი „временно проживающими“-დ ითვლებოდნენ. ისინი, ვინც ამ წესს დაარღვევდნენ, სათანადოდ ისჯებოდნენ. ამასთან დაკავშირებით აფხაზ ისტორიკოს ს. ლაკობას მოჰყავს იმდროინდელ ქართულ პრესაში („სასოფლო გაზეთი“) დაფიქსირებული ფაქტი, იმის შესახებ, თუ როგორ გააძევა სოხუმის განყოფილების უფროსმა ოჩამჩირის „ოკრუგიდან“ იქ ჩასახლებული მეგრული გლეხები ²³.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იმპერიის ხელისუფლება უკვე ღიად წავიდა დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაზე ქართველების მიმართ. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა „Памятная записка о колонизации в Сухумском округе“, შედგენილი სოხუმის „ოკრუგის“ (ახუ

აფხაზეთის) ადმინისტრაციის უფროსის პოლკოვნიკ ბრაკერის მიერ 1895 წელს. მასში ნათქვამია: „Вселение в Сухумский округ иноземного элемента допущенное в начале в виду особых условия неустроенного и глухого еще края, не приостановленное и до последнего времени, несмотря на то что условия жизни в округе коренным образом изменились к лучшему, **необходимо прекратить теперь же, в особенности вселение мингрельцев. Желательно сберечь возможно большой фонд свободной земли для водворения исключительно коренных русских людей**“.²⁴

ამავე დროს კოლონიური მმართველობა ყოველნაირად ცდილობდა „сблизить коренное население Абхазии и Самурзакани с русским и водворить среди него начала русской гражданственности“.²⁵ ამ ვერაგული იმპერიული პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზნები ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გენ. გერშელმანმა, რომელმაც თავის „მოხსენებით ბარათში“ საგანგებოდ მიუთითა: „Русская колонизация округа имеет... большое государственное значение в политическом отношении. **Абхазцы**, составляющие главную массу населения округа, до сих пор представляют из себя народность крайне мало культурную, мало развитую как в умственном, так и в нравственном отношении, шаткую в своих религиозных убеждениях и не раз уже проявившую свою политическую неблагонадежность. Все это вызывает необходимость особого внимания к ним. Помочь делу можно внесением в край русской гражданственности... Лучшим средством к осуществлению ся надо бесспорно признать колонизацию края русским населением“.²⁶

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის რუსებში გათქვეფის იდეას რუსეთის იმპერიული პოლიტიკის იდეოლოგები პროპაგანდას უწევდნენ ჯერ კი-

დევ XIX საუკუნის 70-იან წლებში. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ხელისუფლების ოფიციალური – გაზეთ „Кавказ“-ის ერთ-ერთი პუბლიკაცია (დათარიღებული 1877 წლის 15 ოქტომბრით, №207), რომელშიც ავტორი აკრიტიკებს იაკობ გოგებაშვილის აზრს (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა) აფხაზეთში მეგრელთა ჩასახლების შესახებ. პუბლიკაციის ავტორი მიუთითებს, რომ „Абхазию нужны поселенцы, безусловно преданные правительству и энергичные, которые могли бы отстаивать свою самостоятельность и повлиять на туземное население так, чтобы заставить его слиться с собою“. პუბლიკაციის ავტორის აზრით, „самый лучший контингент поселенцев могут дать русские губернии южной и средней полосы“.²⁷

ხელისუფლება დიდი მონდომებით ახორციელებდა აფხაზეთის მხოლოდ რუსებით კოლონიზაციის პოლიტიკას. რუსებს აძლევდნენ მიწის დიდ „ნადელებს“ – ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსის ს. ლაკობას მონაცემებით კომლზე 5-დან 30 დესეტინამდე. მათ ეძლეოდათ აგრეთვე ფულადი დახმარება და სხვა არაერთი შეღავათი²⁸. განსაკუთრებული ხელშეწყობა ჰქონდა რუს თავადაზნაურობას. რუსული თავადაზნაურული ელიტის ცალკეული წარმომადგენლებისათვის გამოიყო მსხვილი მამულები. იმავე ს. ლაკობას გამოანგარიშებით, მხოლოდ გუმიდის უბანზე, დალის ხეობაში და წებელდაში მაღალი ჩინის რუსმა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა მიიღეს 27 ათას დესეტინაზე მეტი მიწა. მკვლევრები (გ. ძიძარია, ს. ლაკობა და სხვ.) განსაკუთრებით გამოყოფენ გრაფ ბობრინსკის (7500 დესეტინა), თავადების: ვიტგენშტეინის (7443 დესეტინა), ტოლსტოის (1565 დესეტინა) და სხვ. მამულებს, აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, ოლდენბურგის პრინცი, ნ. სმეცკოი და სხვ. საკმაოდ დიდი მიწის ნადელები

ებოდა ახალი ათონისა და ღრანდის (300 დესეტინა) მონასტრებს²⁹.

ასეთი იყო ძირითადად ცარიზმის საკოლონიზაციო პოლიტიკა აფხაზეთში. ჩვენს მიერ მოტანილი მასალა სრულიად ნათლად ცხადყოფს, თუ რა იყო ამ პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზანი და რეალურად რას უმზადებდა აფხაზეთს რუსეთის იმპერია. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება თავისი მიზნის მისაღწევად მხოლოდ იმპერიული საკოლონიზაციო პოლიტიკის გატარებით არ იფარგლებოდა. აფხაზეთის ჩვეულებრივ რუსულ მხარედ გადასაქცევად ის მიმართავდა სხვა, მათ შორის ე.წ. „კულტურულ-საგანმანათლებლო“ ღონისძიებებსაც, რომელთა შესახებაც მსჯელობა ქვემოთ გვექნება.

თავი XI

რუსეთის იმპერიის ღონისძიებები კულტურულ- საბანმანათლებლო სფეროში დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის მოსაწყვტად

Α×άΑÆÖÖÉ ΑΓΑΑΓÉ ÒÖÖÄÈÉÓ ÈΙΘΑÖÉÖÈÉ ΘΙ ÈÉÖÈÈÉÓ ΘΑΙ-
ΘΑάÖÖÜÉ. XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან კავკასიის რუსული ადმინისტრაცია შეუდგა აფხაზეთში რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევ მთავარ საშუალებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლება მხარეში ეთნიკური რუსების მასობრივ ჩასახლებას მიიჩნევდა. მაგრამ მთავრობა ამას არ სჯერდებოდა. მის საზრუნავს წარმოადგენდა საჭირო პირობების მომზადება, როგორც ერთ-ერთი გენერალი აღნიშნავდა: „ДЛЯ ПОЛНОГО СЛИЯНИЯ афхазцев с населением империи“.¹ ამისათვის კი აუცილებელი იყო აფხაზეთის მოწყვეტა საერთო ქართული ისტორიულ-კულტურული ორგანიზმისაგან, რაც წარმოუდგენელი იყო ქართული განათლების შევიწროების გარეშე. ეს აუცილებლობა იმით იყო განპირობებული, რომ მიუხედავად აფხაზეთის ერთგვარი გაუცხოვებისა, რომელიც შეიმჩნეოდა გვიანი შუა საუკუნეებიდან და რომელიც, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, დაკავშირებული იყო ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღის შემოტევასთან, მთლიანობაში, ეს რეგიონი XIX ს.-შიც რჩებოდა ქართული კულტურის, დამწერლობისა და წიგნიერების არეალში.

ამაზე მეტყველებს აფხაზეთის უკანასკნელ მთავართა ეპისტოლარული მემკვიდრეობა და აგრეთვე ზოგიერთი სხვა დოკუმენტი, რომლებიც ჩვენს მიერ ზემოთ არაერთხელ იყო ციტირებული. ქრისტიანული ეკლესიაც ასევე ქართული იყო. ეს, ბუნებრივია, აღიზიანებდა იმპერიის ხელისუფლებას, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა მხარის გარუსე-

ბას. ამიტომაც ქართული ენისა და ქართული წიგნიერების აღმოფხვრა პრიორიტეტულ სახელმწიფოებრივ ამოცანად იქნა დასახული. სწორედ ამისკენ იყო მიმართული კავკასიის ადმინისტრაციის პოლიტიკა საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში.

გარეგნულად ყოველივე, რა თქმა უნდა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ აფხაზი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. განსაკუთრებულად ეს აფხაზური დამწერლობის შექმნაში გამოვლინდა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1862 წელს ცნობილმა რუსმა მოღვაწემ, კავკასიის დიდმა მცოდნემ ბარონმა პეტრე კარლის ძე უსლარმა რუსული გრამატიკის საფუძველზე შეადგინა აფხაზური ანბანი. ამ ანბანის საფუძველზე სპეციალურმა კომისიამ ი. ბარტოლომეის, დ. ფურცელაძისა და ვ. ტრიროგოვის შემადგენლობით მოამზადა და გამოსცა 1865წ. აფხაზური ანბანი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ეს ანბანი კომისიის თავმჯდომარის ბარტოლომეის თქმით, შედგენილი იყო „при содействии природных абхазцев“ – священника Иоанна Гегия, прапорщика Георгия Курцикидзе и Симеона Эшба“.² რა თქმა უნდა, აფხაზური დამწერლობის შექმნა დიდი მოვლენა იყო აფხაზი ხალხის ცხოვრებაში. ერთ-ერთი პირველთაგანნი, ვინც მიესალმნენ ამას, იყვნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ყველაზე ნათლად ეს გამოხატა იაკობ გოგებაშვილმა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგი აფხაზი მკვლევარი ბრალს სდებდა „აფხაზეთის წინააღმდეგ ასწლოვანი ომის“ იდეოლოგიურ მომზადებაში: „გაზეთების ზოგი კორესპონდენტი, – წერდა ი. გოგებაშვილი, – მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მე მეტიმეტად მაცლებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართვე-

ლოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო, თვით აფხაზთა სურვილისამებრ; მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“.³ იმავე პუბლიკაციაში იაკობ გოგებაშვილი აგრეთვე აღნიშნავდა: „ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება, მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისათვისაც, მათ შორის აფხაზებისთვისაც“.⁴

მათ შორის, ვინც მიესალმა აფხაზური დამწერლობის შექმნას, იყო ეპისკოპოსი კირიონიც, რომელიც, როგორც ცნობილია, ასევე გამოცხადებული იყო აფხაზი ხალხის მტრად. მან სურვილიც კი გამოთქვა, მიეღო მონაწილეობა აფხაზური ენის სახელმძღვანელოს შექმნაში და მოუწოდა სოხუმელ ქართველებს „всячески содействовать аѣхазам в этом культурном начинании“.⁵

ის, რომ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები არ იფარგლებოდნენ უბრალო მისაღმებებით, არამედ უშუალოდ იღვწოდნენ ამ მიმართულებით, მოწმობს დ. ფურცელაძისა და ე.წ. „ПРИРОДНЫЕ“ აფხაზების, სინამდვილეში კი ქართველების – ივანე გეგიასა და გიორგი ქურციკიძის მუშაობა აფხაზური ანბანის მოსამზადებელ კომისიაში. და ბოლოს, 1892 გამოცემული აფხაზური ანბანის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და შემდგენელი, აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელთან, დ. გულიასთან ერთად, იყო ცნობილი ქართველი მოღვაწე კონსტანტინე დავითის ძე მაჭავარიანი.

ეჭვგარეშეა ის, რომ ქართველი მოღვაწეების მხარდა-

ჭერა და დახმარება აფხაზური დამწერლობის შექმნაში იყო ძმური გრძნობის გულწრფელი გამოვლინება აფხაზი ხალხისადმი და ამას არაფერი ჰქონდა საერთო ე.წ. რუსი „მფარველების“ ზრახვებთან, რომლებიც თითქოს ზრუნავდნენ „მცირე ხალხების“ კეთილდღეობაზე. რუსეთის ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზნის დაფარვა თვით პეტრე უსლარმაც კი ვერ მოახერხა, რომელიც აღიარებდა რა ქართული ანბანის, მისი თქმით, „едва не совершеннейшего из всех существующих алфавитов“ უდავო უპირატესობას, მიზანშეწონილად მიაჩნდა მისი მიღება „за основание для общей азбуки всех кавказких языков, чуждых до сих пор грамотности“. „Если мы позаимствуем у грузин не только систему азбуки, но и начертания букв, — წერდა პ. უსლარი, — то совершенно произвольно создадим затруднения, которые тем будут ошутительнее, чем более русская грамотность распространиться по Кавказу“. „Туземная грамота, — აგრძელებს პ. უსლარი, — должна служить только тому, чтобы облегчить для них изучение русского языка“.⁶ ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს წავიდა მეორე გამოჩენილი რუსი მოღვაწე ევგენი ვეიდენბაუმი, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნის მთავარი მიზანი იყო ქართული ენისა და დამწერლობის შევიწროება: „Абхазский язык не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык заменит его?.. Очевидно, роль проводника в население культурных идей и понятия должен был бы играть не грузинский а русский язык... поэтому учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы, потребности в грузинском языке и постепенной замене его государственным. Упустив это из виду мы рискуем создать, сверх грузинской и

прочих автономии, еще и автономию абхазскую“.⁷

ამგვარად, სრულიად ნათელია, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნისას იმპერიის ხელისუფლებას ყველაზე ნაკლებად ადარდებდა აფხაზი ხალხის ბედი და მათი მონღომება მთლიანად იყო მიმართული ქართული ენისა და დამწერლობის აღმოფხვრისაკენ აფხაზეთში.

ՍԻ ԴԵՐԵԱՎԱԷ ՕՂԷԷՆՈՒԷԻ ՕՒՈՒ ՍԷ. ანალოგიური მიზნები ამოძრავებდა ხელისუფლებას საეკლესიო სფეროშიც. როგორც უკვე აღინიშნა, უწმინდესი სინოდის 1898წ. 3 სექტემბრის განკარგულებით დადგინდა, რომ „богослужение и все христианские требы в приходах с абхазским населением совершать на славянском наречии“.⁸ ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ მთავარ დაბრკოლებას მხარის გარუსებაში წარმოადგენდა ქართული სამღვდელეობა, რომლის ხელშიც კვლავ იყო „ისეთი ძლიერი საშუალებები როგორცაა ეკლესია და სკოლა“. ეს გარემოება რუსი ოფიციალური პირების მიერ განიხილებოდა, როგორც „зло которое надо пресечь раз и навсегда, вырвать с корнем“.⁹ ამისათვის კი ერთადერთ საშუალებად მიჩნეული იყო ეკლესიისა და სკოლის წართმევა ქართული სამღვდელეობისათვის და დანიშვნა „в Сухумскую епархию в приходы с абхазским и самурзаканским населением русских священников и по мере возможности абхазцев“.¹⁰ „При условии назначения в сухумском округе русского духовенства, – წერდა ციტირებულ მოხსენებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გერშელმანი, – церковные школы могут там безопасно получить широкое развитие и послужат серьезным подспорьем для поднятия уровня умственного и нравственного местного населения., а в будущем для слияния туземного населения с русскими“.¹¹ იმავე მოხსენებაში გენ. გერშელმანი აყენებდა საკითხს, რომ „население Сухумского округа было... самым надежным образом убережено от грузинского влияния“ და აღნიშნავდა: „пред-

лагаемые меры круто повернут дело в сторону государственных интересов и положат навсегда предел домогательствам грузин огрузинить Сухумский округ“.¹²

თუმცა რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს არასაკმარისად მიაჩნდათ საეკლესიო სფეროში გატარებული ღონისძიებები და აუცილებლად თვლიდნენ, აფხაზეთი საერთოდ ჩამოეშორებინათ საერთო ქართული ქრისტიანული ორგანიზმისაგან. აი, რას წერდნენ ამასთან დაკავშირებით კავკასიის სამოქალაქო მმართველი თავადი გოლიცინი და საქართველოს ეგზარქოსი ალექსი უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს: „Сухумскую епархию... желательно оторвать от весьма нежелательного грузинского влияния. С этой целью было бы полезно присоединить Сухумскую епархию к Кубани. В Кубанском крае насчитывается 1,716.245 чисто русского православного населения. В этой массе легко растворится 100.000-е многоязычное население черноморского побережья“.¹³

ΘΑΘΕΑΑΕΕ ΑΑ Α×αΑΕΕ ΙΙ ΞΑΒΑΑΑΕ ΟΘΟΘΕΕ ΕΙΘΑΘΕΘ-ΕΕ ΘΙ ΕΕΘΕΕΕΘ ΒΕΙΑΑΪΑΑ. ΑΕΙ ΘΑΕ ΞΑΘΑΑΪΕΡΑ. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ XIX საუკუნის მიწურულსა და XX დამდეგს გატარებული მკვეთრად გამოხატული კოლონიური პოლიტიკის შედეგად არა მარტო სოხუმში და აფხაზეთის სხვა ნაწილებში, არამედ თვით სამურზაყანოშიც კი შეიქნა უაღრესად საშიში ვითარება, რომელიც აშფოთებდა იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს. სწორედ მათ აღიმალლეს ხმა აფხაზეთში ქართული ეკლესიისა და სკოლების შევიწროების გამო. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი მოღვაწის – თედო სახოკიას პუბლიკაცია „სანქტ-პეტერბურგის ვედომოსტის“ ფურცლებზე (№177, 1900წ. 1 ივლისი), რომელშიც ავტორი ამხელდა მაშინდელი საქართველოს საეგზარქოსოსა და სოხუმის ეპარქიის ხელმძღვანელობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ სწორედ

თელი სახოკია ჩაუღვა სათავეში ე.წ. „ქართულ პარტიას“, რომლის საქმიანობის მთავარ მიზანს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გენ. გერშელმანის არცთუ უსაფუძვლო მტკიცებით, წარმოადგენდა ყოველმხრივ ხელი შეეშალა „мерам правительства сблизить коренное население Абхазии и Самурзакани с русским и водворить среди него начало русской гражданственности“.¹⁴

თელი სახოკიას მიერ შექმნილი „ქართული პარტიის“ აქტიური წევრები იყვნენ არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში ცნობილი ადამიანები: ანთიმოზ ჯუღელი, ივანე გეგია, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, ფარნა დავითაია, დავით მაჭავარიანი, იოანე ჩხენკელი, ბესარიონ ხელაია (მომავალში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – ამბროსი), სპირიდონ ნორაკიძე, მღვდელი კერესელიძე და სხვ.

კავკასიის რუსული ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებული ძიების მასალების თანახმად, „ქართული პარტიის“ საქმიანობა მიმდინარეობდა „под тайным покровительством деятельных руководителей епископов – грузин: Гурийско-Мингрельского – Александра (Окропиридзе), викария Кириона (მომავალში საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II – **А.Д.**), члена синодальной канторы Леонида“ (მომავალში ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – **А.Д.**).¹⁵

„ქართულმა პარტიამ“, პირველ რიგში, დაიწყო ბრძოლა აფხაზეთში მოღვაწე რენეგატი ქართველების წინააღმდეგ, რომელთა შორის იყვნენ ლუმურიშის ეკლესიის წინამძღვარი ივანე ქავჭარაძე, ოჩამჩირის ზედამხედველი ბორის ხორავა და სხვ. ისინი აქტიურად ახორციელებდნენ ცხოვრებაში რუსეთის კლერიკალური წრეების გეგმას.

მიუხედავად რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების მცდელობებისა, როგორცე ამოეძირკვათ ქართული ეკლესია

და ქართული წიგნიერება აფხაზეთში და ამით გაეხლიჩათ ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობა, აფხაზეთში, თვით აფხაზთა შორის ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ ადამიანები, პირველ რიგში აფხაზური საზოგადოების ელიტარულ წრეებში – თავად-აზნაურთა შორის, რომლებიც არ აჰყვნენ რუსეთის ხელისუფლების პროპაგანდას და ბოლომდე შეინარჩუნეს ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობისადმი ერთგულება. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც „აფხაზთა დეპუტაციის“ ჩამოსვლა თბილისში და მისი შეხვედრა კავკასიის მეფისნაცვალ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან 1916 წლის 26 აპრილს.

აფხაზთა დელეგაციაში, რომელსაც მეთაურობდა თავადი ალექსანდრე შარვაშიძე, შედიოდნენ თავადები: დიმიტრი მარშანია, ასტამურ ინალ-იფა, გიორგი შარვაშიძე, პეტრე ანჩაბაძე; აგრეთვე გლეხები: ანტონ ჩუკბარი და ვინმე ეზუხბაია. „აფხაზთა დეპუტაციამ“ კავკასიის მეფისნაცვალს მიართვა პეტიცია, რომელშიც აღნიშნული იყო: „С древнейших времен до присоединения к России христианство в Абхазии распространялось грузинским духовенством, которое было общим для грузинской церкви Абхазии и которое находилось под покровительством правящих... князей и народа Абхазии. Это духовенство имело большое влияние в Абхазии и проявило удивительную способность и выносливость в распространении христианства во всех тех районах, где оно по тем или иным препятствующим причинам не прижилось. Затем, – аგრძელებენ პეტიციის ავტორები, – после присоединения к России Грузии и Абхазии и упразднения независимости грузинской церкви с подчинением Синоду, дело распространения христианства и его популяризация весьма затруднились; даже древнейшие христиане в некоторых районах Абхазии омусульманились. Причину этого прискорбного явления, – დელეგაციის წევრების მტკიცებით, – несомненно

следует искать в постоянном отделении друг от друга народа и проповедников христианства, пытавшихся распространять его на непонятном населению языке. Со второй половины 19-го в. – აღნიშნული პეტიციაში, – в церквях Абхазии ввели службу на непонятном народу славянском языке. Прервалась непосредственная связь между народом и духовенством, что привело нашу церковь до сегодняшнего жалкого состояния. Ныне, – აგრძელებენ აფხაზი დეპუტატები, – ходят слухи, что Синод имеет проект об отделении Сухумской Епархии от грузинского экзархата; Это навсегда покончит с целями церкви восстановить в Абхазии христианство... В вопросе вероисповедания не должно быть места для политики. ...По этим соображениями в целях защиты интересов вероисповедания, – ასკვნიან „აფხაზთა დეპუტაციის“ წევრები, – просим не отчислять и не отделять (Сухумскую епархию) от существующей с древнейших времен структур, создаваемых веками исторической и культурной жизнью Грузии и Абхазии“.¹⁶

ერთი სიტყვით, აფხაზი თავადაზნაურობისა და უბრალო ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე. მათ, როგორც იტყვიან, ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების ურყეობა, ამიტომაც ითხოვდნენ კიდევ ხელისუფლებისაგან ასე კატეგორიულად – არ დაეშვათ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტა ეკლესიურად.

ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის სიცოცხლისუნარიანობაზე (მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ღია და დაუფარავი იდეოლოგიური ექსპანსიისა) მსჯელობისას, არ შეიძლება საგანგებოდ არ შევჩერდეთ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟისა და მემკვიდრის, XIX საუკუნის უკანასკნელი

მეოთხედისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის – გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობაზე.

მან, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, დაკარგა სამთავრო ტახტი, ხოლო რუსეთის ხელისუფლებამ სიცოცხლე მოუსწრაფა მის მამას. 1866 წელს ამბოხებულმა აფხაზებმა გიორგი შარვაშიძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიანთ მთავრად გამოაცხადეს და მისი სურვილის წინააღმდეგ მძლავრი ანტირუსული აჯანყების მედროშედ აქციეს, რის გამოც მან შორეულ ორენბურგში გადასახლების სიმწარეც იწვნია. ქართული ფეოდალური არისტოკრატიის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა გიორგი შარვაშიძემ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა როგორც მშობლიური აფხაზეთის, ისე თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს, რომელსაც ის ხშირად ივერიას უწოდებდა, სიყვარული და ერთგულება. ის, რომ გიორგი შარვაშიძე თავის სამშობლოდ პირველ რიგში მიიჩნევდა საქართველოს მთლიანად და არა საკუთრივ აფხაზეთს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუმცა ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას, ეჭვი შევიტანოთ მის, ისევე როგორც საერთოდ გვიან შუა საუკუნეების შარვაშიძეთა საგვარეულოს აფხაზობაში ეთნო-ტომობრივად, როგორც ამას თავგამოდებით გვიქადაგებენ დღეს ცალკეული ჩვენი კოლეგები. გიორგი შარვაშიძეს, რომელიც უდავოდ იყო ქართველი ისტორიულ-კულტურულად, სავსებით ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ეთნო-ტომობრივი აფხაზობა. ამის მკაფიო დადასტურებაა მისი ერთ-ერთი პოეტური შედეგრი „ვარადა“, რომელშიც ის მთელი გრძნობით გამოხატავს სურვილს, რომ არ მოწყდეს თავის აფხაზურ ფესვებს:

„განგებავ! ამას ნუ მიწყენ,

ÀÀÒ ÀÀÀÀÀÀÀÒÀÀ ÀÀÒÀÀÀ,

ხანდისხან წავილულუნო

ÌÀÌÀÐÀÐÒÒÈ ÀÀÒÀÀÀ“ (ხაზგასმა ჩვენია – A.D.).

სწორად აღნიშნავს აკად. სიმონ ჯანაშია – ავტორი ბრწყინვალე ნარკვევისა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომ „მშობლიური თავისებურების დიდი გრძნობის წიაღში შეიძლებოდა მხოლოდ დაბადებულიყო ისეთი შედეგრი, როგორიცაა... აფხაზური სიმღერა „ვარადა“ – უშინაგანესი ლირიკული მღელვარების პოეტური შენივთება“.¹⁷

და ეს აფხაზი, მშობლიურ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავისი კუთხისა და აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნე, ამავე დროს იყო თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს ჭეშმარიტი შვილი და გულანთებული პატრიოტი, რომელიც ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, მედგრად დამდგარიყო საქართველოს სადარაჯოზე, დაეცვა მისი ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა და საკადრისი პასუხი გაეცა ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნებისათვის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გიორგი შარვაშიძის წერილი გერმანული გაზეთის „Berliner Tageblatt“-ის რედაქტორისადმი, პასუხად აღნიშნულ გაზეთში კორესპონდენტ ლორენცის მიერ გამოქვეყნებული სტატიისა. ამ სტატიაში კორესპონდენტი მკითხველებს მოუთხრობდა მისი ყოფნის შესახებ გაგრაში პრინც ოლდენბურგის მიწვევით. კორესპონდენტის მტკიცებით, წვეულების დროს „ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სუფრას“, თურმე „ერთ-ერთი სტუმრისათვის პალტო მოუპარავთ“. ასევე ერთგვარი ზიზლით წერდა ლორენცი თბილისზეც, იგი აღნიშნავდა, რომ „აქ ადამიანები და ცხოველები ერთნაირ მდგომარეობაში არიან“.

პასუხობდა რა გერმანელი კორესპონდენტის ამგვარ თავხედურ გამოხდომებზე, გიორგი შარვაშიძე წერდა: „Да, мы еще не дошли до европейской высоты цивилизации..., и такая отсталость может и делает нас похожим на людей медного века, но об этом не сожалеем, находим, что не следует усваивать себе... весь хлам, именуемый некото-
234

рым прогрессом, а мы стараемся выбирать из него, как жемчужины, выдающиеся произведения литературы и искусства, следим за открытиями в науке, словом берем лишь то, что считаем с пользой применимым к жизни и обществу. Так безхитростно мы живем, и если бы г. Лоренц больше вникнул в бытовые стороны, он бы понял все это и многое другое; узнал-бы, что **этот народ** к которому он отнесся презрительно, имеет блестящее историческое прошлое; **что грузины – рыцары, ходившие в крестовый поход поборниками первого христианства, стояли у врат Кавказа... в течение пятнадцать веков не для того, чтобы врываться в чужие страны и расхищать чужое добро, а для защиты отечества, – для охраны христианской культуры и гражданского быта, узнал бы также, что у грузин есть богатейшая древняя эпическая литература, сравниваемая с мировыми произведениями; узнал бы, что в иерархии грузинских царей и народа встречаются имена необыкновенных героев и людей гениальной мудрости и т.п.**

Можно бы еще многое сказать, – ასრულებს თავის წერილს გიორგი შარვაშიძე, – **но золотые страницы прошлого этого народа, омытые слезами и кровью всей нации, нельзя передать в газетном столбце.** По правде говоря и не стоит. К чему метать бисер...“.¹⁸

ამ წერილიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძისათვის აფხაზები და აფხაზეთი ქართველებისა და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეს არის ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყარო. ქართველთა და აფხაზთა ამ საერთო სამშობლოთი ამაცობს ის. აი, რატომაა, რომ 1917 წელს, როდესაც გამოიკვეთა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების კონტურები, გიორგი შარვაშიძე მთელი არსებით მიესალმა ახალი ეპოქის დადგომას. ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს მისი წერილი, გამოქვეყნებული გაზეთ „საქართვე-

ლოს“ (1917წ. 25-29 ივნისი) ფურცლებზე: „მართალია, ὙΠΑΪΤΟ ΟΑΪΟΥΙ ΑΕΪΤΟ ΕΑΑΘΕΑΘ ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ὙΠΑΪΤΕ წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიად, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ ილბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც კი ვიქნებოდით ὙΠΑΪΤ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მოვიტანეთ ὙΠΑΪΤე კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდი, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაღარბდა, ზნეობა წაგვიხდა, ქონება-შეძლება დავკარგეთ, რანდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვალწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ვპოვნდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში... ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელგულდაკრეფილი, იდგა საფლავეებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკვივლა ვაშა, ვაშა!“ და ასეთი ეროვნული გამოღვიძების ფონზე გიორგი შარვაშიძეს გულს უკლავს მავანთა შეძახილები: არ გვინდა თავისუფლება, არ გვინდა ავტონომია, მსოფლიოს ყველა ხალხი ერთია; ჩამოვართვათ მიწები მემამულეებს და გადავცეთ მშრომელებს; ძირს წოდებები და კერძო საკუთრება მიწაზე და ა.შ. მას ღრმად სწამს, რომ ამგვარ მიწიერ სურვილებს არ უნდა ეწირებოდეს „ბრწყინვალე მზე ერის განთავისუფლებისა და გამოცოცხლებისა“.¹⁹ მართლაც ძნე-

ლია არ აღფრთოვანდეს გიორგი შარვაშიძის ამ დიდი ეროვნული, ჭეშმარიტად ილიასეული პათოსით.

გიორგი შარვაშიძის, როგორც საქართველოს დიდი პატრიოტის, მამულიშვილის, მშობლიური ქვეყნის ჭირ-ვარამზე მუდმივად მაფიქრალი კაცის ეროვნული სატკივარი შესანიშნავადაა გადმოცემული ლექსში „**ΔΑΘÖáÉ Á. Í.**“, რომელიც მას დაუწერია ბათუმში 1883წ. გაზეთ „დროებაში“ (№1, 1883წ.) გამოქვეყნებული ვახტანგ ორბელიანის ლექსის – „ამერ-იმერს“ წაკითხვისაგან მიღებული შთაბეჭდილებების ფონზე. ამ ლექსში (ის ცენზურის ზეწოლის შედეგად ვერ დაბეჭდა „დროებაში“) გიორგი შარვაშიძე უერთდება მეგობარი პოეტის პატრიოტულ სულისკვეთებას და გულისტკივილით იგონებს იმ დროს, როდესაც საქართველო იყო ერთიანი:

*„...დიაღ, მოვასწროს ის ბედნიერი
დღე, როცა ხალხში შეერთებული,
ძველებურათა ძველი ივერი
შეიქმნას მძლე და სახელ-ქებული*

*და საქართველოს ყოველ კუთხიდამ
ლხინის საყვირთა გვესმას ტკერციალი;
იმერთა მღერა მთისა ლიხიდამ,
ამერს დასძახდეს იარი-იალალი!..*

*დუ, ნულარ ვიყო მაშინ ცოცხალი
და ნულარცა სცემს ტანჯული გული,
ეხლავ წინდაწინ ოცნებით მთვრალი
შენთან გახლავარ, ძმავ ალლა-ვერდი!“*

გიორგი შარვაშიძე მწარედ განიცდის, რომ ქართველობაში დაიკარგა ერთიანობის შეგრძნება, ქვეყანა მოიცვა

შურმა და დაპირისპირებამ.

*„რალაც პაწია დასები, აზრები აჭრელეებულნი,
ვაჰმე სად არი ქართველი ძველის ძველიდან ქებული!
ყაყანი, ლანძღვა, ჭორები, შურიანობით სნეული,
კალმის და ხანჯლის პრიალი, ორივე დაჩლუნგებული.
ვაჰმე, იმერი სად არი გონება დამიწებული!..
სად არის ვახტანგ მტერთ მეხი, მათგანვე ლომ წოდებული,
მხარგრძელი, სარდალთ სარდალი, ათასი წლისა ქებული,
ვახუშტი ბრძენი, რუსთველი ღვთაებით ამაღლებული,
და დავით მირონცხებული, არ ხედავს ის დიდებული,
რომ ყოველივე დაინგრა, რა ჰყო მან აღშენებული!“²⁰*

ამჯერად ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო თავს შევიკავებთ გიორგი შარვაშიძის ამ ბრწყინვალე ნაწარმოების ყოვლისმომცველი სრულფასოვანი ანალიზისაგან, ვფიქრობთ, ეს სპეციალისტების საქმეა. ვიტყვით მხოლოდ, რომ გ. შარვაშიძის ეს ლექსი თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში ქართული პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს.

მეორე დიდი აფხაზი, რომელიც ამ პერიოდში ასევე აქტიურად იღვა ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის სადარაჯოზე, იყო დავით ზურაბის ძე ჩქოტუა. გიორგი შარვაშიძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, დავით ჩქოტუა, თავისი წარმომავლობით, აღზრდით და აზროვნებით ქართული ფეოდალური ინტელიგენციის ლიბერალურ ფრთას წარმოადგენდა. „Шервашидзе и Чхотуа, – წერს აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, – не только происходили из одной и той же страны, они не только были связаны между собой в силу того обычая, который столь значителен для горцев, но всем своим воспитанием и мировоззрением они принадлежали к одному и тому же общественно-культурному кругу... Оба они были воспитаны на почве древнегрузинской культуры“.²¹ სწორედ ამით იყო განპი-

რობებული, რომ დავით ჩქოტუამ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროდ აირჩია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და დატოვა საკმაოდ სოლიდური მეცნიერული მემკვიდრეობა ამ სფეროში.

ὈὈὈἈἘἘὸ ἘἼἸἈὈἘἘὸ ἄἈἘἘὸὈ×ἘἈἈἘὸ ἸἘὸἈἈἘἘ „ΒἈὸἸἈ-ὈἈἈἈἈἘ“ Ἀ×ἄἈἈἘἈ ἈἈἈἸἸ ἈἘὸἈἈἘὸ „×ὈἸ ἸὸἈἈ“. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, არა მარტო გიორგი შარვაშიძისა და დავით ჩქოტუასათვის, არამედ აფხაზური თავადაზნაურული არისტოკრატის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობისათვის ქართული კულტურულ-ისტორიული სამყარო მაინც რჩებოდა მშობლიურად. მაგრამ ხელისუფლების მიერ გატარებულმა მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა პროპაგანდამ (XX ს. დამდეგიდან) ხელსაყრელი ნიადაგი ჰპოვა ე.წ. „ხალხის წიალიდან გამოსულ“ აფხაზურ ინტელიგენციაში. ძირითადად ესენი იყვნენ დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული „მოღვაწენი“, რომელთაც რუსული ოფიციალური განათლება ჰქონდათ მიღებული. სწორედ ამ „ახალი ინტელიგენციის“ წარმომადგენლებმა, რომელთაც ველიკორუსული შოვინიზმის იდეოლოგიები ყოველნაირად უნერგავდნენ აზრს, რომ აფხაზეთი არ იყო საქართველო, თავიანთი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მთლიანად ანტიქართული სულისკვეთებით წარმართეს.

ის, რომ აფხაზებში ანტიქართული განწყობილების გაღვივებაში გადამწყვეტი როლი პირველ რიგში სწორედ რუსული იმპერიული პოლიტიკის მესვეურებმა შეასრულეს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. სწორედ მათ დაიწყეს აფხაზური „ნაციონალური ისტორიის“ შეთხზვა და ამ „ისტორიით“ აფხაზების გაბრუება. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვინმე ლ. ვორონოვმა, რომელმაც 1907წ. მოსკოვში გამოაქვეყნა ბროშურა მეტად გამომწვევი სათაურით: „Абхазия не Грузия“. ამ წიგნში მოცემულია ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის ღია, თავხედუ-

რი ფალსიფიკაცია, რომლის მიზანი იყო აფხაზების დარწმუნება იმაში, რომ მათ არასოდეს არაფერი აკავშირებდათ ქართველებთან, რომ არასოდეს არსებულა ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობა და რომ ქართველები აფხაზებისთვის ისეთივე დამპყრობლები იყვნენ, როგორც ბერძნები, რომაელები, თურქები და ა.შ. ლ. ვორონოვი ადანაშაულებდა ქართველებს იმაშიც, რომ მათ თავიდანვე არ შეუქმნეს აფხაზებს დამწერლობა და არ გადაუთარგმნეს მშობლიურ ენაზე ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურა. ამავე დროს, რატომღაც ურჩევდა მათ (ე. ი. აფხაზებს) თავიანთ საეკლესიო ენად მიეღოთ სლავური (!?) და გამოთქვამდა რწმენას, რომ ქართველებისაგან განსხვავებით „ბუნებით პოლიგლოტი“ აფხაზები ადვილად შეითვისებდნენ ამ ენას და მისი წყალობით გავიდოდნენ განათლების ფართო შარა-გზაზე. ლ. ვორონოვის მტკიცებით, აფხაზების ამ „ნათელ გზაზე“ დაყენებას კი ხელს უშლიდა ეპისკოპოსი კირიონი (იგულისხმება კირიონ საძაგლიშვილი, მომავალში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II) „ტიპიური ქართველი ნაციონალისტი“, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა აფხაზეთში სლავურის საწინააღმდეგოდ ქართული ენის გავრცელებას.

ჩვენ უკვე საკმაოდ დაწვრილებით გავაშუქეთ რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკა საეკლესიო სფეროში და აღვნიშნეთ, რომ რუსეთის შავრაზმულ-კლერიკალური წრეები ყველაფერს აკეთებდნენ აფხაზეთის საერთო-ქართული კულტურულ-ისტორიული ორგანიზმიდან ამოსაგლეჯად. ამ მიზნით მათ სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოს იურისდიქციიდან გამოყვანის და მისი ყუბანის მხარესთან შეერთების საკითხიც კი დააყენეს. პარალელურად, იყო აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ადმინისტრაციულად ჩამოცილების მცდელობაც. 1903-1906წწ. სოხუმის ოკრუგი გამოყვანილ იქნა ქუთაისის გუბერნატორის

გამგებლობიდან და კავკასიის რუსული ადმინისტრაციის უშუალო დაქვემდებარების ქვეშ მოექცა. 1904წ. პრინც ალექსანდრე ოლდენბურგის შუამდგომლობის საფუძველზე მთავრობამ გადაწყვიტა გაგრისა და მისი შემოგარენის შავიზღვისპირა გუბერნიისათვის მიერთება, ხოლო 1914წ. პირველი მსოფლიოს ომის დაწყების წინ კავკასიის მეფის-ნაცვალმა სოხუმის ოკრუგის დამოუკიდებელ გუბერნიად გარდაქმნის საკითხი დააყენა.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ამ ღონიძიებებით იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას და რეგიონის ტიპურ რუსულ პროვინციად გადაქცევის პროცესის დასრულებას. რუსეთის იმპერიული მანქანის პერმანენტულმა ანტიქართულმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა კამპანიამ, რომელიც ინიღბებოდა „ტუზემცების“ (ამ შემთხვევაში აფხაზების) ეროვნულ-კულტურული თვითშეგნების ამაღლებაზე ფარისევლური ზრუნვით, შედეგი უკვე პირველი რუსული რევოლუციის წლებში გამოიღო. ბედის ირონიით აფხაზობა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ „საღვთო ომში“ მონაწილეობისათვის ხელისუფლებამ თავის დროზე სასტიკად დასაჯა და „დამნაშავე მოსახლეობად“ („виновное население“) გამოაცხადა, ამჯერად ამიერკავკასიის ხალხებს შორის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმისადმი ყველაზე ლოიალურად მოგვეკვლინა.

ὈὈἈἘἘὸ ΔΕὸἈἘἘ ὈἈἰ ἘὸΥἘἈ ἌἈ Ἀ×ἈἈἘἘ. 1905-1907წწ. რევოლუცია, როგორც ცნობილია, იყო სახალხო დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც შეძრა მთელი იმპერია. დემოკრატიულმა მოძრაობამ მოიცვა იმპერიის განაპირა მხარეებიც, უფრო მეტიც, ამ რეგიონებში მან მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ დიდი ეროვნული ბრძოლის ავანგარდში (მიუხედავად სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით მათი ბოლშევიკური

ფრთის მხრიდან სოციალურ-კლასობრივ მოტივებზე ყურადღების ზედმეტად აქცენტირებისა) იდგა საქართველო. რევოლუციურმა გამოსვლებმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი, მათ შორის აფხაზეთიც. მაგრამ საქართველოს ამ კუთხეში რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ არა აფხაზები, რომლებმაც გასაოცარი პასიურობა გამოამჟღავნეს და ფაქტობრივად ფეოდალურ-ბატონყმური იმპერიული რეჟიმის დამცველებად მოგვევლინნენ, არამედ ქართველები.

აფხაზეთის ქართველობამ იმთავითვე აიტაცა რუსეთის რევოლუციის პროგრესული, დემოკრატიული იდეები და უყოყმანოდ შეუერთდა დანარჩენ საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ აქციებს. აფხაზური მოსახლეობის ამგვარი პასიურობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ აფხაზებს შორის კლასობრივი წინააღმდეგობების არარსებობას. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის – გიორგი შარვაშიძის შეფასება. აი, რას წერდა 1910 წელს ამის შესახებ რევოლუციის პერიოდში თავის აფხაზ თანამოძმეთა პასიურობით გაკვირვებული და რამდენადმე გაღიზიანებული დემოკრატი მწერალი და საზოგადო მოღვაწე: „Тут вышел неожиданный казус. Каким образом абхазы, „известные бунтари“ вдруг сидели спокойно, когда вся Россия волновалась. **Не помешь ведь этих подлецов.** Всегда проделывают то, чего никак не ждешь. А это очень просто, говорят мудрые чиновники. У них все еще продолжается феодальный строй; надо это у них вышибить, ведь смешно же в наше время иметь в государстве народ с феодальной системой быта... Революционная пропаганда здесь не имела успеха потому, что здесь не существует сословной распри“.²²

ამ თვალსაზრისს პრინციპში ღლეს ავითარებს თანამედროვე აფხაზი მკვლევარი ს. ლაკობა, რომელიც ხაზს უსვამს პატრიარქალური წყობის სიცოცხლისუნარიანობას

აფხაზებში: „Абхазский христианин – წერს ს. ლაკობა, – не мог воспринять... революционную идеологию..., социально-демократические идеи... В отличие от других народов, склонных к товаро-денежным отношениям, абхазы не занимались торговлей, отхожими промыслами или поденной работой, считая эти занятия „позорными“. **Они за редким исключением не проживали в городе Сухуме, местечках Гудаута и Очамчира**“. აფხაზი ისტორიკოსის ჩვენი აზრით სავსებით სწორი დაკვირვებით, „абхазы еще сохраняли многие черты, присущие психологии народа – война и были лишены всего этого, что втягивают в капиталистические отношения“.²³ ე. ი. აფხაზობა არ აღმოჩნდა ჩართული რევოლუციურ პროცესებში სოციალურ-კულტურული ჩამორჩენილობის გამო. სხვათა შორის, აფხაზთა რევოლუციური პროცესებისაგან განდგომის გამო თავიანთ კმაყოფილებას ვერ მალავდნენ რუსეთის იმპერიის მესვეურები. შემთხვევითი არაა, რომ ერთ-ერთი ოფიციალური გაზეთი „Окраины России“ 1906 წელს წერდა: „К абхазцам еще не привился социализм, а потому с ними жить можно“.²⁴

1905-1907წწ. რევოლუციური მოვლენებიდან აფხაზთა განდგომის მიზეზებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ს. ლაკობას დასკვნას იმის შესახებაც, რომ „абхазское крестьянство события русской революции... в Абхазии воспринимало как „грузинскую“ революцию“,²⁵ მაგრამ ჩვენს აფხაზ კოლეგას ავიწყდება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება – აფხაზების ამგვარი „უნდობლობა“ ქართველებისადმი რუსეთის იმპერიის „აგიტატორების“ მიერ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული პროპაგანდისტული მუშაობის ნაყოფი იყო. სწორედ ისინი უნერგავდნენ „დაჩაგრულ“ აფხაზებს სიძულვილს „ქართველი დამპყრობლებისადმი“.

ქართული საზოგადოებრიობა შეშფოთებული იყო აფხაზეთში 1905წ. შექმნილი სიტუაციით. ამაზე ნათლად მეტ-

ყველებს იმდროინდელ ქართულ დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები. მათში მხილებულნი არიან „ბნელი ძალები“, რომლებიც აფხაზეთში ავრცელებდნენ ათასგვარ ბინძურ მონაჭორს, თითქოს ქართველები აპირებდნენ აფხაზეთა ამოწყვეტას და მათი მამულების მიტაცებას. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, თუ რა მონდომებით ეწეოდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ანტიქართულ პროპაგანდას აფხაზეთში და ამით ქმნიდა ხელსაყრელ ფონს აფხაზეთა საბოლოო გარუსებისათვის. გარუსების ამ იმპერიული პოლიტიკის სავალალო შედეგის შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში (№2786, 1.IV.1905წ.) თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე, აფხაზეთში შექმნილი ე.წ. „ქართული პარტიის“ ლიდერი – თედო სახოკია წერდა: „სამწუხაროა, რომ აფხაზები რუსის ბიუროკრატიის სატრფიალო სისტემის წყალობით გონებრივად გადაშენების გზას ადგანან და ჯერჯერობით სრულს ინდეფერენტიზმს იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავის მეზობლებს – ქართველებს. ამ პოლიტიკამ უკუღმართის აღზრდის წყალობით იმდენად დაამახინჯა ეს ხალხი გონებრივად, რომ დაავიწყდა, რომ თუკი საერთო ვისთანმე უნდა ჰქონდეს აფხაზის ხალხსა, ისევ მეზობლებთან, ისევ ქართველებთან, რომელთანაც ისტორიულად დაკავშირებულნი არიან და მათის სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობაც ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არ აქვს. დღეს კი აფხაზეთის ხალხს (იგულისხმება აფხაზობა – **A.D.**) ქართველებთან ერთობა არავითარი არა აქვს. შემაერთებელი გზა და ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაურ სკოლებიდან განდევნილია. ქართული გაზეთის ნაცვლად სხვადასხვა ოინებით და ხრიკებით ავრცელებდნენ ბათუმელ ჯამბაზის გაზეთს (იგულისხმება რუსული ოფი-

ციოზი – „Черноморский вестник“ – **A.D.**), რომელიც ქართველობას და მის კულტურას ამცირებდა თავის მკითხველთა თვალში და გარდა ამისა, აფხაზებს აგონებდა, ქართველები (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენო და სხვ. და სხვ.“

განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება 1905წ. აპრილში, როდესაც იმავე გაზეთ „ცნობის ფურცელის“ (№2801, 22 აპრილი, 1905წ.) ინფორმაციით ზოგიერთმა „წყლის მღვრევის“, „ძმების გადაკიდების“ მოტრფიალებმა... აფხაზებს (გავლენიან პირებს) დაუწყეს რიგება... ვიცით, რომ თქვენ მშვიდი, კეთილი და წესიერების მოყვარული ხალხი ხართ, თქვენგან არავითარი უწყესობა არ არის მოსალოდნელი. დარწმუნებულნი ვართ, არც იქნებაო. მაგრამ თქვენი მეზობელი ქართველები სანდონი არ არიან. იმათგან თქვენს დასალუპავად რასმე უნდა მოველოდეთ, ამიტომ ჰკა მაგათაო“.

აფხაზეთში ნამდვილად მზადდებოდა დიდი სისხლისღვრა. გავრცელდა პროვოკაციული ინფორმაცია, რომ თუკი რევოლუციური გამოსვლების დროს მოკლავდნენ რომელიმე აფხაზ მემამულეს, მაშინ აფხაზები ამოწყვეტდნენ სოხუმის ოკრუგში მცხოვრებ ქართველებს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ (№118, 1905წ. 15 ივლისი) იტყობინებოდა: „ბნელი ძალები კვლავ ჯოჯოხეთურ მუშაობას შეუდგნენ: ზოგიერთ გავლენიან აფხაზ თავად-აზნაურთა შემწეობით აბობოქრებული ხალხი შეუსისინეს ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთ – ყველა თქვენი უბედურების მიზეზნი ეგენი არიანო, ჰკა მაგათო. და კინაღამ ის უბედურება არ დატრიალდა, რაც ბაქო-ნახიჩევანში, კინაღამ უდანაშაულოთა სისხლით არ მოირწყო გუდაუთის ქუჩები, რომ უბრალო შემთხვევას არ ეხსნათ“.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, იმპერიის ხელისუფლებამ მაინც ვერ მოახერხა მორჩილი აფხაზების გამოყენება ამბოხებული ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ აფხაზთა

ლოიალობა მაინც იქნა დაფასებული რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელური რეჟიმის მიერ. ჯერ კიდევ 1906წ. მაისში გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ „в течение событий последних месяцев население Абхазии, носящее название виновного, выделялось своею лояльностью по отношению к Правительству, как по сравнению с населением соседних районов“, – კავკასიის მეფისნაცვალმა ზემდგომი ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი აფხაზური მოსახლეობის რეაბილიტაციის შესახებ. 1906წ. დეკემბერში თბილისიდან – კავკასიის რუსული ადმინისტრაციიდან წამოსულ ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა პეტრე სტოლიპინმა, რის შემდეგაც, 1907წ. 27 აპრილს გამოქვეყნდა იმპერატორის „წყალობა“, რომლის მიხედვითაც აფხაზებს ოფიციალურად მოეხსნათ „დამნაშავე მოსახლეობის“ იარლიყი. ეს იყო ჯილდო, რომელიც აფხაზმა ხალხმა მიიღო „სამშობლოსა და მეფის“ წინაშე გამოჩენილი ერთგულებისათვის. „Абхазцы с честью вышли из испытания“, – აცხადებდა კავკასიის მეფისნაცვალი და გამოთქვამდა ღრმა რწმუნას, რომ „абхазцы виновными против своего Государя Императора никогда и при никаких обстоятельствах более не будут“.²⁶

მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აფხაზებმა (მათმა დიდმა ნაწილმა მაინც) ნამდვილად გაამართლეს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი სატრაპთაგანის ეს იმედები და ამ დროიდან ისინი მართლაც ერთგულად ჩადგნენ (და დღემდე დგანან) ძველი თუ ახალი რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სამსახურში. პირველად ყველაზე მკაფიოდ ეს გამოჩნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ განვითარებული მოვლენებისას, რომელთა შესახებ საუბარი გვექნება ჩვენი ნაშრომის მე-2 წიგნში.

თავი I

- ¹ **С. Н. Замятнин.** Палеолит Абхазии, Сухуми, 1937; **С. Н. Замятнин.** Палеолитические местонахождения Восточного побережья Черного моря. – „*Очерки по палеолиту*“, М.-Л., 1961, გვ. 67-98; **Н. З. Бердзенишвили.** Новые данные о палеолите Абхазии. – *Труды Абхазского научно-исследовательского института языка, литературы и истории (შემდეგ ში აბნიიЯЛИ) АН Грузинской ССР*, т. XXX, Сухуми, 1959, გვ. 159-180.
- ² **М. М. Трапш.** Первобытно-общинный строй и рабовладельческие отношения на территории Абхазии. – „*Очерки истории Абхазской АССР*“, т. I, Сухуми, 1960, გვ. 5-6.
- ³ **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации Северо-Западного Закавказья в эпоху камня и раннего металла. – „*Разыскания по истории Абхазии/Грузия*“, Тб., 1999, გვ. 7.
- ⁴ **Ī. ἈἈὐἈἰἔἰἔἔἔ.** აფხაზეთის მთისწინა ზოლის ქვედაპალეოლითური ძეგლები (იანთხვა). – „*ἸἈὐἈἰἔἔ ὈἈἈὐἔἈἰἔἔ ὈἈ ἈἈ ἔἈἔἈὐἔἔ Ἀὐ-ὈἈἰἔἔ ἔἔ ἈἔἔὈἈἔἈἔὈ*“, VIII, თბ., 1979, გვ. 40.
- ⁵ **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 7; იხ. აგრეთვე: **О. М. Джапаридзе.** На заре этнокультурной истории Кавказа, Тб., 1989.
- ⁶ **М. М. Трапш.** Первобытно-общинный строй..., გვ. 8.
- ⁷ **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 8.
- ⁸ იქვე, გვ. 9.
- ⁹ იქვე; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **Ē. ΒἈὐἈἔἈἔἔ.** მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბ., 1979, გვ. 40.
- ¹⁰ **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 9.
- ¹¹ **Ē. ἸἈἔἈἔὈἔἈ.** დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 108; **Ī. ḅἈ×ἈὐἔἈ.** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 36; **Ē. ἔἈἔἈἰἈἈἈ.** დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე, თბ., 1986, გვ. 92-95, 109.
- ¹² **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 10; **Ē. ἔἈἔἈἰἈἈ-Ἀ.** დასავლეთ საქართველოს..., გვ. 15-49.
- ¹³ ამის შესახებ იხ.: **А. Л. Лукин.** Неолитические селище Кистрик близ Гудаута. – „*Советская археология*“, т. XII, М., 1950.
- ¹⁴ **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 10-11.
- ¹⁵ იქვე.
- ¹⁶ **Ἀ. ×ἈἈἔἈἈ.** ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები. – „*ἸἈ-ὈἈἔἈἔ ὈἈἈὐἔἈἰἔἔ ὈἈ ἈἈ ἔἈἔἈὐἔἔ ἈὐὈἈἰἔἔ ἔἔ ἈἔἔὈἈἔἈἔὈ*“, VII, თბ., 1979, გვ. 68-76; **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 11.

- 17 **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 13.
- 18 იქვე, გვ. 18.
- 19 **Ī. āĀ×ĀŌĒĖĀ.** ქართველ ტომთა..., გვ. 59.
- 20 იქვე.
- 21 **М. М. Трапш.** Первобытно-общинный строй..., გვ. 10; **Л. Н. Соловьев.** Энеолитическое селище у Очамчыры в Абхазии. – „*Материалы по истории Абхазии*“, вып. XV, сб. I, изд. АБНИИ АН СССР, 1939.
- 22 **Ī. āĀ×ĀŌĒĖĀ.** ქართველ ტომთა..., გვ. 174-175; **Ā. ×āĀĒĖĖĀ.** დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ., 1993, გვ. 88-92.
- 23 **В. В. Бжания.** Поселения Очамчирской культуры в горах Абхазии. – „*Кавказ и Восточная Европа в древности*“, М., 1973, გვ. 16.
- 24 **В. В. Бжания.** Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии. – „*Советская археология*“, I, М., 1966, გვ. 122.
- 25 **Б. А. Куфтин.** Материалы к археологии Колхиды. Три этапа истории культурного и этнического формирования феодальной Абхазии, т. I, Тб., 1949, გვ. 258-322.
- 26 **В. И. Марковин.** Дольмены Западного Кавказа, М., 1978, გვ. 283-319.
- 27 აფხაზეთში აღმოჩენილი დოლმენების შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. ამის შესახებ იხ.: **Ī. āĀ×ĀŌĒĖĀ.** დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ *ŪŌĪ ĪĀĀĒ*, 77, თბ., 1959; **Ī. āĀ×ĀŌĒĖĀ.** ქართველ ტომთა..., გვ. 179-182. იქვე იხ. სათანადო ლიტერატურა.
- 28 **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации..., გვ. 14.
